საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№33 (220)
11 - 17 სექტემბერი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

4 ევროკავშირი, ევრაზიის კავშირი და კავკასიელები გზაგასაყარზე

2

## ბიბი ნავა და ჩვენ მოვალთ...



სამხედროფორმიანი შეიარაღებული ამერიკელი აშშ-ის საელჩოსთან სირიის მხარდამჭერ დემონსტრანტებს დაერია 5

სომხებმა ზღვაზე გასასვლელი ნახეს. «ხაჩიკები» ლაზიკას ყიდულობენ 6

«ეს ხელისუფლებაც ისევე ანტიქართულია, როგორც შევარდნაძის და შემდეგ სააკაშვილის, იგივე სააკიანცის იყო» 7

«თავს ზემოთ ძალა არ არის» 9

«საქართველო არის საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფო» 11

«მოსაზრება, რომ მარგველაშვილი ხელისუფლების კადრია, მცდარია!» 12

ვინ და სად დაამონტაჟა ე.ნ. ჯიპადის ვიდეო? 13

ევროკავშირი მომაკვდავს ემსგავსება 22

## შმი ბადრიჯნები



8

## ვაი ქვეყნისაგან

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წავა ბიძინა და დაგვიტოვებს „თავისუფლების ინსტიტუტის“ განაყოფებს, რომლებიც მისი წასვლისთანავე ვერცხლისწყლის წვეთებივით შეერწყმიან ერთმანეთს! წავა და დაგვიტოვებს „პლასტელინის“ პრეზიდენტს, რომელიც კვლავ გიგა ბოკერიას ჩაეხუტება! წავა და პირველ-მეორეზე გათვლილ, გუშინდელ და დღევანდელ „ნაციონალებს“ დაგვიტოვებს, აკი სწორედ ისინი ავსებენ ამ წინასაარჩევნოდ „ოცნების“ რიგებს!**



# ბიბი წავა და ჩვენ მოვალთ... ამისთვის ღირდა 41-ის შემოხაზვა?!

**დიახ, ამისთვის მართლაც ღირდა 41-ის შემოხაზვა! ხელკეტისთვის თავის მიშვერაც, ციხის ხეხვაც, უმუშევრობაც, ყოველდღიური მუქარის ატანაც და ანგარიშსწორების მოლოდინიც!**
**ხო, აბა, ჩვენ ვინ ვართ — მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკოსების გამარჯვებისთვის შექმნილი მასა, ბრბო, რომელსაც შემდეგ არჩევნებამდე ფეხებზე იკიდებენ და დასცინიან, მიუხედავად იმისა, უმრავლესობაში არიან თუ ოპოზიციაში!**
**ჩვენ არაფერი ვართ, ისინი — ზეპური საზოგადოება, რომლის დანიშნულება ოთხ წელიწადში ერთხელ დაპირებების დარიგება და შემდგომ არჩევნებამდე მათი გულდაგულ დავიწყებაა.**

საინტერესოა, შარშან, სექტემბერში ვინმესთვის რომ ალალად ეთქვათ, რასაც ახლა გპირდებით, გაის ამ დროს „ნიჩურტა“ იქნებაო, ხალხი მაინც მისცემდა ხმას? ალბათ, კი, რადგან „ნაცბანდის“ დარჩენას ყველაფერი ერჩივნა, თუმცა თვალებში ასეთი ნაცრის შეყრით კმაყოფილს დღეს ნაკლებად ნახავ.

შარშან, როცა ივანიშვილმა განაცხადა, რომ პოლიტიკაში დროებით მოვიდა, არავის უფიქრია, რომ ეს „დროებით“ ასეთი ხანმოკლე იქნებოდა. ხომ ცნობილია, რომ არაფერია ისეთი მარადიული, როგორც „დროებითი“ გადაწყვეტილებები!

ასე იყო თუ ისე, **ბიძინა ივანიშვილმა ჯერ თქვა, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ წავალო, მერე — თუ მარგველაშვილს არ აირჩევთ, უფრო მალე წავალო! უფრო მალე, ალბათ, რამდენიმე საათია, მაგრამ ასეც და ისეც ის წასვლას აპირებს, ხოლო ჩვენ „თავისუფლების ინსტიტუტის“ კურსდამთავრებულებს გვიტოვებს!**

ისინი დღეს უმრავლესობაშიც არიან და ოპოზიციაშიც, მათ ერთი წყარო და საწყისი აქვთ. თითქოს პირველ-მეორეზე გაითვალეს და ასე გადაჯგუფდნენ „ნაცმოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებაში“! მათი ეს მოძრაობები, კარგად რომ დავაკვირდეთ, უცნაურ ხორუმს წააგავს: **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სათავეებთან, დღეს საძულველად ქცეულ სააკაშვილთან ერთად, ამჟამად „მეოცნებეების“ იდეოლოგიურ რუპორად ქცეული ლევან ბერძენიშვილიც იდგა.**

„ყველაზე ძველი“ პარტიის უხუცესი წევრი იმთავითვე ორ სკამზე ჯდომის სიყვარულში იყო შემჩნეული; ხან საბჭოთა რეჟიმს „ანგრევდა“, ხან კი საკუთარ წერილობით აღიარებაში ხაზგასმით მიუთითებდა: **„ჩვენ დავუბრუნდით ჩვენს საზოგადოებას, ჩვენ გვახარებს ჩვენი დიდი ქვეყნის წარმატებები და განსაკუთრებით ყველაფერი კარგი, რაც ჩვენს რესპუბლიკაში კეთდება ბოლო წლებში.**

**მინდა დიდი მადლობა ვუთხრა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებს, განსაკუთრებით კი სამძებრო განყოფილების გამგეს, პოლკოვნიკ ა. მირიანაშვილს და გამომძიებელს, კაპიტან გ. ცინცაძეს, რომლებმაც მამაშვილური და მეგობრული, ჰუმანური დამოკიდებულებით საშუალება მომცეს, ამეხსნა ჩემი სულისთვის ეს მძიმე ტვირთი და მეღიარებინა ჩემი დანაშაული. ველოდები დამსახურებულ სასჯელს და იმედი მაქვს, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ რაიმეთი მაინც გამოვადგები ჩემს ერს, ჩვენს ქვეყანას, ჩვენს საბჭოთა ხალხს და მის იდეალებს. როგორც იქნა, ჩემი სინდისი სუფთაა“.**

სინდისი დღესაც „სუფთა“ აქვს; აბა, როგორ დაგესვრება ის, რაც არ გაქვს?!

ასეთი იყო და ასეთად დარჩა; როცა გუნებაში მოუვა, ილია ჭავჭავაძეს არ ცნობს, როცა დასჭირდება, მის ციტატებს წამოისვრის! როცა უნდა, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლია, როცა უნდა, ამ დამოუკიდებლობას ბრჭყალებში სვამს; როცა გაეხარდება, „უძველესი პარტიის“ დამფუძნებელია, როცა არა — „არარსებულ“ პარტიას უწოდებს: **„იმისთვის, რომ ჟურნალის მკითხველისთვის თავიდანვე ცნობილი არ გამხდარიყო მის ავტორთა რიცხობრივი სიმცირე და სისუსტეები, თვითნაბეჭდი ჟურნალი გამოცხადდა არარსებული პარტიის ორგანოდ, ხოლო „პარტიას“ მოეძებნა პომპეზური და პრეტენზიული დასახელება — საქართველოს რესპუბლიკური პარტია“** (ლ. ბერძენიშვილის აღიარება).

ივანიშვილის განცხადებისთანავე პოლიტიკაში მოსვლის შესახებ, ამ „მოღვაწემ“ იმდენი ლაფი დაასხა „ოლიგარქს“, რომ „ქართულ ოცნებაში“ მისი მყისიერი შესრიალება იმათაც კი გაუკვირდათ, ვინც კარგად უწყოდა მისი სრული უპრინციპობის შესახებ. ზედმეტი პატივია ამ ოდიოზური, პოლიტიკას მიტმასნილი პირის შესახებ კიდევ ერთხელ წერა, მით უფრო, რომ ყველამ კარგად იცის მისი რეალური ღირებულება, მაგრამ მას დღესაც ყოფნის უტიფრობა, პრეტენზიები სხვებს წაუყენოს.

**დღეს მისი ესტაფეტა დავით უსუფაშვილმა გადაიბარა და ქართული დემოკრატიის ამოცანად „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენა გამოაცხადა. ხალხო, არ დაუჯეროთ, რომ კოჰაბიტაცია ვინმემ მოახვია თავს — სინამდვილეში ისინი, დიდი ხანია, კოჰაბიტირებენ, უბრალოდ, ახლა ამას საჯაროდ აკეთებენ!**

**ისინი დღეს უმრავლესობაშიც არიან და ოპოზიციაშიც, მათ ერთი წყარო და საწყისი აქვთ. თითქოს პირველ-მეორეზე გაითვალეს და ასე გადაჯგუფდნენ «ნაცმოძრაობასა» და «ქართულ ოცნებაში»!**

წავა ბიძინა და დაგვიტოვებს „თავისუფლების ინსტიტუტის“ განაყოფებს, რომლებიც მისი წასვლისთანავე ვერცხლისწყლის წვეთებივით შეერწყმიან ერთმანეთს! წავა და დაგვიტოვებს „პლასტელინის“ პრეზიდენტს, რომელიც კვლავ გიგა ბოკერიას ჩაეხუტება! წავა და პირველ-მეორეზე გათვლილ, გუშინდელ და დღევანდელ „ნაციონალებს“ დაგვიტოვებს, აკი სწორედ ისინი ავსებენ ამ წინასაარჩევნოდ „ოცნების“ რიგებს!

ვერაფერს იტყვი, კოხტად ჩაებნენ ურეიტინგო და გაკოტრებული პოლიტიკანები ივანიშვილის ლოკომოტივს! ახლა მომავალ არჩევნებამდე თავი ქუდში აქვთ, „ნაციონალებისა“ და „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატები კი ორ ხმაში გაიძახიან, რომ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს არ დაუშვებენ!

მერე რა, რომ ჩვენ აღარ გვინდა მათი ყურება, თანაც ივანიშვილის გარეშე! ივანიშვილის გვერდითაც არ გვხიბლავდნენ, უიმისოდ კი მათი ატანა სულ უფრო ძნელი იქნება. ისინი კი ერთმანეთს დაჰხარიან და დროდადრო სიმართლეც წამოსცდებათ ხოლმე: **მათ მეორე ადგილზე ბურჯანაძის გასვლას ბაქრაძის გასვლა ურჩევნიათ. ასე ხომ სრულ სიამტკბილობაში იქნებიან და ვერავინ დაურღვევთ არჩევნებამდე დარჩენილ სამწლიან მყუდროებას!**

რაკი გადაგიწყვეტიათ, ბატონო ბიძინა, წადით, მაგრამ წასვლამდე ის მაინც გააკეთეთ, რომ ოთხი წლით შემოჩეჩებული ეს ვითომ „ხალხის რჩეული“ დეპუტატები მოგვაცილეთ! თუ ასე მოგწონთ და აფასებთ, თან წაიყვანეთ – ან ბიზნესში, ან სამოქალაქო საზოგადოებაში, მაინც მარტო საკუთარ თავს მიიჩნევენ სამოქალაქო საზოგადოებად! თუ ბითუმად ვერ მიგყავთ, ცალობით წაიყვანეთ, ჩვენთვის ესეც შეღავათია! მაჟორიტარები მაინც მოგვაშორეთ, პატარ-პატარა ფაშებად რომ ექცნენ რაიონებს! თუ ნებით არ უნდათ წასვლა, დაარწმუნეთ, თქვენ ხომ ეს გეხერხებათ!

**საოცარია, მაგრამ ივანიშვილის წასვლას ყველაზე დიდი ხალისით სწორედ მის მიერ „ოცნებაში“ და შემდეგ პარლამენტში შეყვანილი პარტიები მიესალმებიან, თუმცა არის კიდევ ერთი პარტია, რომელიც სიტყვით სულ „უპასუხისმგებლოს“ ეძახის პრემიერმინისტრს, გულში კი იცინის, იცინის, კვდება სიცილით!**

წავალ, მაგრამ მოვბრუნდებიო, განმარტა ივანიშვილმა და ესეც მალამოდ დაედო მის თანაგუნდელებს; მერეც ხომ იქნება არჩევნები და კიდევ დასჭირდებათ ლოკომოტივი, ახლა კი ერთხანს დეპოში იდგეს, საკუთარი ნება-სურვილით ცხოვრება აცადოს! თუ არადა, აგერ არ არის „ნაციონალური მოძრაობა“? რა დაუშლის ლევან ბერძენიშვილსა და მისი ესტაფეტის გადამბარებელ უსუფაშვილს, ისევ მათ შეერწყან?

არც არაფერი!

ვერც ვერავინ!

**მათთვის ტყავის გამოცვლა არახალია. დასავლეთთან დამეგობრებამდე ისინი საბჭოთა წყობილებასთან თანამშრომლობას ახერხებდნენ, მერე პატრონი ოკეანის გაღმა გამოუჩნდათ. თუ ადრე რადიოგადაცემებს აყურადებდნენ, ახლა პირდაპირ იღებენ დირექტივებს, მაგრამ, თუ საჭირო გახდა, ისინი კვლავაც შეიცვლიან ფერს და ისევე აჭიკჭიკდებიან, როგორც ლევან ბერძენიშვილი ამ 35 წლის წინ:**

**„თუ ადამიანი სულიერად მდგრადია, თუ მისი პიროვნება დაზღვეულია ზემოაღნიშნული მანკიერებისგან, ვერანაირი უნიჭო რადიოგადაცემა ოკეანის გაღმიდან, ვერანაირად უნიჭოდ შეთითხნილი ანტისაზოგადოებრივი „დოკუმენტური“ თუ „მხატვრული“, ასე ვთქვათ, „ლიტერატურა“ ვერ მოახდენს მასზე დამღუპველ გავლენას. მე ამაში ღრმად დარწმუნებული ვარ, მაგრამ ეს კიდევ უფრო ამძიმებს ჩემს დანაშაულს, მაგრამ ამავე დროს მეტ იმედს აღმიძრავს, რადგან გარდაქმნა ჩემს პიროვნებაში უკვე მოხდა, მე უარი ვთქვი საკუთარ გაზვიადებულ წარმოდგენებზე, მე ჩავწვდი ჩემი ეგოიზმის მთელ სიღრმეს და უარი ვთქვი მასზე;**

**სულიერად მე უკვე მზად ვარ, დავუბრუნდე ჩვენს საზოგადოებას, ვიყო მისი წევრი, ჩემი პატარა წვლილი შევიტანო ამ დიდ საქმეში, დავარიგო სხვები და ავაცდინო ისინი დანაშაულის გზას, რომელსაც ოდესღაც თავად დავადექი“.**

ბატონო ბიძინა, გაარიდე ისინი პარლამენტს, „დაუბრუნე საზოგადოებას“ და „ააცდინე დანაშაულის გზას“, თორემ მერე ისევე მოგიბრუნდებიან, როგორც ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძეს და მიხეილ სააკაშვილს. მოგიბრუნდებიან და ყველა ცოდვას აგკიდებენ, ჯერაც არ უქნიათ თუ რა!

**თამარ დავითულიანი**

**მერე რა, რომ ჩვენ აღარ გვინდა მათი ყურება, თანაც ივანიშვილის გარეშე! ივანიშვილის გვერდითაც არ გვხიბლავდნენ, უიმისოდ კი მათი ატანა სულ უფრო ძნელი იქნება. ისინი კი ერთმანეთს დაჰხარიან...**

**ფუნდამენტური ფაქტორი, რომელიც ორ ბანაკად ხანგრძლივ, მკაფიო დაყოფას უზრუნველყოფს, სინამდვილეში არ არსებობს, თუმცა ფსიქოლოგიური ინერცია ამ მოდელის ერთგულებისკენ გვიბიძგებს. საერთოდ კი, „ორი პოლუსის თეორია“ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ქართული საზოგადოების განწყობით მანიპულირების ერთ-ერთ ყველაზე მოსახერხებელ საშუალებას წარმოადგენდა.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე დაბნეულები მსოფლიოში

**დაბნეულობა, ბუნდოვანება, გაურკვევლობა. თუ საჭირო გახდება დღევანდელი სიტუაციის აღწერა ერთადერთი სიტყვით, არჩევანის გაკეთება, სავარაუდოდ, ამ სამ სიტყვას შორის მოგვიწევს. სულ უფრო მეტ ადამიანს, უბრალოდ, არ ესმის, რა ხდება ქვეყანაში და, ალბათ, საინტერესოა იმის დადგენა, თუ რა იწვევს ამას.**



**დიდი ალბათობით, დაიწყება ნამდვილი შეტევა როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებაზე მწვავე კრიტიკით და ახალი წინადადებებით**

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, ალბათ, ისაა, რომ „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ყოვლისმომცველი დაპირისპირების ბიპოლარული, შავ-თეთრი მოდელი, რომელსაც მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა პოლიტიკური პროცესების ანალიზისთვის იყენებდა, უიმედოდ მოძველდა და შექმნილ ვითარებას აღარ შეესაბამება. **როგორც მმართველი კოალიცია, ისე ,,ნაცმოძრაობა“ გადაიქცნენ ერთგვარ კონფედერაციებად და მათში შემავალი ჯგუფები საკუთარ თამაშს აწარმოებენ. ამ თამაშის ფარგლებში მეორე მსგავსი ჯგუფი, რომელიც, ფორმალური თვალსაზრისით, მოკავშირეა, შეიძლება მთავარ მოწინააღმდეგედ მოგვევლინოს, ხოლო ფორმალური მოწინააღმდეგე, პირიქით, — ფარულ მოკავშირედ.** პოსტსაარჩევნო ტრანსფორმაცია ჯერ არ დასრულებულა, თუმცა სიტუაციის შეფასება ძველ ბიპოლარულ მოდელზე დაყრდნობით უკვე დაახლოებით იგივეა, რაც მსოფლიოში მიმდინარე პროცესების დაყვანა მხოლოდ მოსკოვისა და ვაშინგტონის დაპირისპირებამდე, რითაც ქართველი ექსპერტები, სხვათა შორის, ხშირად სცოდავენ. პირველი ნაბიჯი რეალობის ადეკვატური აღქმისკენ, ალბათ, იმის გააზრება იქნება, რომ საქმე უკვე არა ჭადრაკთან, არამედ პოკერთან გვაქვს.

საინტერესოა, რომ მას შემდეგ, რაც სიტუაცია შეიცვალა, კომენტატორების საკმაოდ დიდი ნაწილი მაინც ბიპოლარული მოდელის ერთგული დარჩა, თითქოს მასთან განშორების ეშინოდეს და მის დაფუძნებას ამჟამად ან პროამერიკული და პრორუსული ძალების დაპირისპირებაზე ცდილობს (ეს შედარებით ხშირად ხდება), ან კიდევ პირობითი „კონსერვატორების“ და „ლიბერალების“ (ეს მაინც იშვიათობაა, რადგან ქართველი პოლიტიკოსების ცინიკური პრაგმატიზმის წარმოჩენა იდეოლოგიური დაპირისპირების ნაყოფად, ალბათ, მაინც სასაცილოა). **რა თქმა უნდა, საქართველოში დიდია უცხო სახელმწიფოების გავლენა, მათი კონკურენცია გავლენისთვის სახეზეა და გარკვეულ, ფრიად მოკრძალებულ როლს იდეოლოგიაც ასრულებს, მაგრამ საქმე ამით არ ამოიწურება და ამ ნიადაგზე ახალი ბიპოლარული მოდელის დაფუძნება ქვიშაზე სახლის აგებას მოგვაგონებს.**

დღევანდელ საქართველოში, ისევე, როგორც შუა საუკუნეების შოტლანდიაში (ყველა ღარიბი ქვეყანა ერთმანეთს რაღაცით ჰგავს), შემოსავლებისა და გავლენის გაზრდისთვის მებრძოლი კლანებისგან, როგორც ორი, ისე სამი და ხუთი კოალიციის ფორმირება (და დაშლა) შეიძლება. **ფუნდამენტური ფაქტორი, რომელიც ორ ბანაკად ხანგრძლივ, მკაფიო დაყოფას უზრუნველყოფს, სინამდვილეში არ არსებობს, თუმცა ფსიქოლოგიური ინერცია ამ მოდელის ერთგულებისკენ გვიბიძგებს. საერთოდ კი, „ორი პოლუსის თეორია“ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ქართული საზოგადოების განწყობით მანიპულირების ერთ-ერთ ყველაზე მოსახერხებელ საშუალებას წარმოადგენდა.**

,,ნაციონალები“ დასუსტდნენ (საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მათი ლიდერების მდგომარეობა, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად გართულდება), „№1 მტრის“ როლს სათანადოდ ველარ ასრულებენ და მათ რიგებში, ვინც 2012 წლის 1 ოქტომბერს ხმა ,,ქართულ ოცნებას“ მისცა, დაიწყო უცნაური პროცესი, რომელსაც შეიძლება პირობითად „დაკარგული მტრის ძიება“ ვუწოდოთ. **ზოგი ამბობს, რომ ბოროტების სათავე რესპუბლიკელებსა და ალასანიას ჯგუფშია** (ფარულ ალიანსში მათთან „ნაცმოძრაობის“ ნარჩენებიც მოიაზრებიან)**, ზოგი, პირიქით, ამტკიცებს, რომ სასიკვდილო საფრთხეს ქვეყანას რაღაც ფუნდამენტალისტურ-სტალინისტურ-პრორუსული ერთობა უქმნის, რომელიც თითქოსდა მალე ხელისუფლებას აიღებს. ყველა, ვინც მსგავს იდეებს ავრცელებს ისევ და ისევ ფსევდო-ბიპოლარულობის ჩაბეტონებაზე, „ცივი სამოქალაქო ომის“ ფსიქოლოგიის კიდევ უფრო ფართო დამკვიდრებაზე მუშაობს.** მთავარი პრობლემა კი, სავარაუდოდ, არა რესპულიკელებში ან პირობით „ფუნდამენტალისტებშია“, არამედ იმაში, რომ **ერის ფსიქოლოგიური რესურსები** (არანაკლებ ღირებული, ვიდრე ეკონომიკური; მათ გარეშე არაფერი გამოვა) **წარმოსახვითი „სინათლისა“ და „სიბნელის“, აგრეთვე, წარმოსახვით ბრძოლაში იფლანგება, ხოლო ზემონახსენებ „ცივ სამოქალაქო ომს“ დასასრული არ უჩანს.** არადა, სააკაშვილის რეჟიმის დასამარების შემდეგ (ბოლო აკორდამდე ცოტაღა დარჩა) მთავარი პრიზი ქართული საზოგადოებისთვის, იდეაში, ომის დასრულება და არა მისი (ახალი მონაწილეებით) გაგრძელება უნდა გამხდარიყო.

**ყველაზე ტრაგიკული ამ სიტუაციაში, ალბათ, ისაა, რომ დღეს მთელი რიგი მოქალაქეებისთვის შავ-თეთრი დაყოფა ფსიქოლოგიურად უფრო კომფორტულია, ვიდრე მრავალფეროვნება და, გეოპოლიტიკურ ტერმინს თუ გამოვიყენებთ, მრავალპოლუსიანობა, რადგან ამ უკანასკნელს გაურკვევლობას და არასტაბილურობის განცდას უკავშირებენ.** ჩვენში დარჩეს და, სამყაროს სურათის მაქსიმალური გამარტივების, სინათლე-სიბნელის ყოვლისმომცველ დაპირისპირებამდე მისი დაყვანის დაუოკებელი სურვილი შიზოფრენიის განვითარების ერთ-ერთ უტყუარ ნიშანს წარმოადგენს.

**„კომპრომისი“ საქართველოში ფრიად არაპოპულარული სიტყვაა. სააკაშვილის რეჟიმი უკომპრომისოდ ებრძოდა ოპონენტებს, მართლაც რომ არაადამიანურ სისასტიკეს ავლენდა და აიძულა ისინი ასეთივე უკომპრომისონი გამხდარიყვნენ. „ნაციონალების“ მმართველობის წლებში ჩადენილმა უბედურებამ და მათმა უპრეცედენტოდ არაადეკვატურმა ქცევამ საპარლამენტო არჩევნებში მარცხის შემდეგ საზოგადოების დიდი ნაწილი მიიყვანა დასკვნამდე, რომ სააკაშვილის ჯგუფი ქართული პოლიტიკიდან უნდა ამოიშანთოს. მაგრამ ახალ რეალობაში ამ ბრძოლის ლოგიკის გადმოტანა არ შეიძლება; მტრის პოლიტიკური განადგურების სურვილი, რომელიც სავსებით ლოგიკური და ადეკვატური იყო დიქტატორულ რეჟიმთან და მის ნარჩენებთან დაპირისპირების დროს, მთელი ეს პათოსი დღეს უადგილო და სახიფათოა, ხოლო ახალი მტრების ძიება, ისევე, როგორც კომპრომისებზე უარის თქმა, კარგს, სავარაუდოდ, არაფერს მოიტანს.**

ის, რასაც დღეს ბევრი ქართველი ამომრჩეველი გრძნობს, რაღაცით ჰგავს იმ ფსიქოლოგიურ პრობლემებს, რომლებიც ომიდან დაბრუნებულ ჯარისკაცს ექმნება. ის ვერ ხედავს ფრონტის ხაზს, უჭირს იმის გააზრება, რომ ოპონენტს ან უბრალოდ განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანს არ შეიძლება მოექცე, როგორც მტერს და ა. შ. მას გაურკვევლობა, მკაფიო გამყოფი ხაზების არარსებობა და დასახული მიზნების მიღწევის (ფარდობითი) სირთულე აფრთხობს. მაგრამ თქმულიდან სულაც არ გამომდინარეობს, რომ მან და მით უმეტეს ქვეყანამ ამის გამო ახალი ომი უნდა გააჩაღოს. **რაოდენ ბანალურადაც უნდა გაიჟღეროს, ზოგს არ მოსწონს ლიბერალები, ზოგს — კონსერვატორები, ზოგს — ალასანია-რესპუბლიკელები, ზოგს — „სახალხო კრება“, მაგრამ ახალი რეალობა ეკუთვნის ყველას და ფიქრები პოლიტიკური ოპონენტების სრულ, ლამის რიტუალურ განადგურებაზე ან თუნდაც მარგინალიზაციაზე, ალბათ, გვერდზე უნდა გადავდოთ.** ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სულ რაღაც ერთი წლის წინ ყველა თავისუფლებისმოყვარე ადამიანი საქართველოში, იდეოლოგიური სიმპათიების მიუხედავად, ერთმანეთის მოკავშირე იყო და მომავალშიც გახდება, თუ ვინმე ახალი დიქტატურის ჩამოყალიბებას განიზრახავს.

დაბნეულობა და „რა მოხდება ხვალ?“ ტიპის შიშნარევი კითხვები, სავარაუდოდ, იქიდანაც მოდის, რომ **საზოგადოებამ სრულად ვერ გააცნობიერა 2012 წლის არჩევნების მნიშვნელობა, საკუთარი ძალა და პროცესებზე გავლენის შესაძლებლობა, რომელსაც დღეს პრაქტიკულად არ იყენებს.** იბადება უამრავი კონსპიროლოგიური თეორია იმის თაობაზე, რომ ესა თუ ის ჯგუფი ივანიშვილის პოსტიდან წასვლის შემდეგ ხელისუფლების უზურპაციას მოახდენს და ამ კონსტრუქციებში არ არის გათვალისწინებული არც ამ ჯგუფების ან თუნდაც მათი პოტენციური ალიანსების ფატალური სისუსტე და არც ის, რომ, თამაშის წესების დარღვევის შემთხვევაში, დემოკრატიის დაცვაზე ორიენტირებული საზოგადოება (განაწყენებულ პოლიტიკოსებთან ერთად) მათ უბრალოდ ბულდოზერივით გადაუვლის, ჯერ მარჯვნიდან — მარცხნივ, შემდეგ კი ზემოდან — ქვემოთ.

**დღეს არც ერთ პოლიტიკურ ჯგუფს არ ძალუძს, დომინანტურ მდგომარეობას მიაღწიოს. ერთადერთი პრობლემა ამ კონტექსტში, ალბათ, ისაა, რომ ეს ყველამ როდი გააცნობიერა. საერთოდ კი, მანიაკალური იდეები პოლიტიკოსების თავებში იბადება მაშინ, როდესაც საზოგადოება მათ ჯეროვნად არ აკონტროლებს, მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში ამის შესაძლებლობაა.** ბოლო დროს ჩვენ ვიხილეთ რამდენიმე საგულისხმო ეპიზოდი, როდესაც საზოგადოების (საკმაოდ ზომიერი) პროტესტის შემდეგ პოლიტიკოსებმა უკან დაიხიეს, ხოლო ზოგიერთმა ჩინოვნიკმა პოსტი დატოვა. რატომ უნდა გვეშინოდეს ხვალინდელი დღის და პოლიტიკოსების ხუშტურების იმ სიტუაციაში, როდესაც მათ უნდა ეშინოდეთ (და ეშინიათ კიდეც) ჩვენი?

**ივანიშვილის გადადგომის შემდეგ არანაირი პოლიტიკური აპოკალიფსი, სავარაუდოდ, არ მოხდება. სამაგიეროდ, მოიხსნება უცნაური და თავისებურად უნიკალური პრობლემა, რომლის არსის ფორმულირება დაახლოებით ასე შეიძლება: „ბიძინას ხათრით, კრიტიკისგან თავს შევიკავებ“. დიდი ალბათობით, დაიწყება ნამდვილი შეტევა როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებაზე მწვავე კრიტიკით და ახალი წინადადებებით, ხოლო კონტროლი პოლიტიკოსებზე გაცილებით მკაცრი გახდება.** სწორედ ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება კიდევ ერთხელ არ იქცეს განგებ „შემოგდებული“ ახალი ბიპოლარული მოდელის მძევლად, მორიგი მანიპულაციის მსხვერპლი არ გახდეს და კვლავ არ იგრძნოს, რომ სიკეთისა და ბოროტების (სინამდვილეში, წარმოსახვითი) ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფება. არადა, ამ ნეგატიური სცენარით პროცესების განვითარების შესაძლებლობა ნამდვილად არსებობს და ძველი სენის ზოგიერთი სიმპტომი უკვე ფიქსირდება.

ნებისმიერი პროცესის უკან კონსპიროლოგიური ქვეტექსტის ძიება საქართველოში, დიდი ხანია, სპორტის ეროვნულ სახეობად იქცა და კონკურენციას მას მხოლოდ მოსალოდნელი მოვლენების კატასტროფიზაციის უნარი თუ გაუწევს. დღეს იმის მტკიცება, რომ არაფერი ზებუნებრივი არ ხდება და წლის ბოლოს არანაირ პოლიტიკურ მიწისძვრას ადგილი არ ექნება, დაახლოებით ისე გამოიყურება, როგორც შუა საუკუნეებში ერეტიკული დოქტრინის გაჟღერება რომის პაპის სასახლესთან, მაგრამ **იქნებ ვითარება ისეთი დრამატული არ არის, როგორც გვეჩვენება, ხოლო მმართველი ელიტა ჩვენზე გაცილებით დაბნეული და შეშინებულია, რადგან რამდენიმე თვეში საზოგადოებასთან პირისპირ დარჩენა მოუწევს?** ამასთანავე, **მთელმა რიგმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა, უბრალოდ, არ იციან, რა მოიმოქმედონ, რადგან მთელი ცხოვრება სხვის ნაბიჯებზე რეაგირების რეჟიმში გაატარეს და დამოუკიდებლად არაფერი გაუკეთებიათ. სად აქვთ მათ მზაკვრული სტრატეგიული გეგმების შედგენის თავი, ხელისუფლების უზურპაციაზე რომ არაფერი ვთქვათ?!**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სამართლიანობის აღდგენის მიზმა უცხო ქვეყნების პოზიციაზე არსებითად სხვა არაფერია, თუ არა ქვეყნის სუვერენიტეტისა და კანონის უზენაესობის პრინციპის იგნორირება, უფრო ანტიევროპული და ანტიდემოკრატიული აქტი უბრალოდ ძნელი წარმოსადგენია... მართლმსაჯულების დაქვემდებარებას საგარეოპოლიტიკური კონიუნქტურის მიმართ, ალბათ, ვერ მიეცემა სხვა კვალიფიკაცია, თუ არა სახელმწიფოსა და მისი კანონების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯის.**

# ევროკავშირი, ევრაზიის კავშირი და კავკასიელები გზაგასაყარზე

**გასულ კვირას ქართული აუდიტორიის ყურადღება ორი უცხოელი პოლიტიკოსის განცხადებამ მიიპყრო. სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა მოსკოვში ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა შევა პოსტსაბჭოთა ქვეყნების „საბაჟო კავშირში“, შემდგომ კი მიიღებს მონაწილეობას ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ფორმირებაში. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რადოსლავ სიკორსკიმ კი ვილნიუსში ბიძინა ივანიშვილთან საუბრის შემდეგ თქვა, რომ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების არა მხოლოდ პარაფირებაზე, არამედ ხელმოწერის დაჩქარებაზე გადაწყვეტილება უკვე არსებობს, „თუ პირობები შესრულდება და საქართველო მოახდენს ასოცირების შეთანხმების პარაფირებას, კომისია მოამზადებს დოკუმენტებს ხელმოსაწერად კომისიის ვადის ამოწურვამდე“. ამ ორ ფაქტს საქართველოში, ხშირ შემთხვევაში, ერთ კონტექსტში განიხილავდნენ და მსჯელობდნენ იმაზე, თუ რას მოუტანს სამხრეთ კავკასიას ბრიუსელისა და მოსკოვის კონკურენცია ახლო მომავალში.**



## ევროპელი, მაშასადამე ევრაზიელი

სერჟ სარქისიანის განცხადების შემდეგ, ევროკომისიამ ოფიციალურ ერევანს დამატებითი განმარტებები სთხოვა. **„ჩვენ მოუთმენლად ველოდებით შესაძლებლობას, უკეთ გავიგოთ, როგორია სომხეთის განზრახვა და როგორ აპირებს უზრუნველყოს საბაჟო კავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების თავსებადობა იმ ვალდებულებებთან, რომელთაც ევროკავშირთან ასოცირების და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში აიღებს“,** — განაცხადა ევროკავშირის გაფართოების და სამეზობლო პოლიტიკის კომისარმა შტეფან ფულემ და დასძინა, რომ ეს სიტუაცია **„არ წარმოადგენს თამაშს ნულოვანი ჯამით და არ მოითხოვს მარტივ არჩევანს რუსეთსა და ევროკავშირს შორის“** (ბი-ბი-სი). ამ რბილი დიპლომატიური ფორმულირების მიუხედავად, ყველასთვის ცხადი გახდა, რომ სომხეთი ორივე მიმართულებით ერთდროულად ვერ წავა. ყველაზე მოკლედ და გასაგებად პრობლემის არსი ევროპარლამენტის დეპუტატმა ჩარლზ ტანოკმა ჩამოაყალიბა: **„მიერთება საბაჟო კავშირთან გამორიცხავს შეთანხმებას ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“.**

ოფიციალური ერევნის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ყველაზე მკაფიოდ (ჯერჯერობით) რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელმა ვიგენ სარქისიანმა დააფიქსირა: **„ვილნიუსის სამიტზე სომხეთი აპირებს, ხელი მოაწეროს ევროკავშირთან ასოცირების პოლიტიკურ ნაწილს, ეკონომიკური შემადგენლის გარეშე... სომხეთის პოზიცია ცნობილია, ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით, შეგვეთავსებინა ეს დებულებები, ხოლო თუ ეს შეუძლებელი გახდება, ჩვენ ავიღებთ ამ შეთანხმებიდან მთავარს, რაც იყო ევროპულ მიმართულებაზე“.** ამ ინტერვიუში იყო ერთი ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი, ერევნელმა მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომ **„საბაჟო კავშირში გაწევრიანებაზე წლების წინ ვსაუბრობდით, მაგრამ მაშინ გვითხრეს, რომ საერთო საზღვრის არარსებობა ამ გზაზე სერიოზულ წინაღობას წარმოადგენს“.** საინტერესოა, რატომ შეიცვალა კრემლის პოზიცია დღეს? რას მოუტანს (სულ მალე) სამხრეთ კავკასიას ახალი სატარიფო რეალობა, როდესაც საქართველო და სომხეთი დასახულ მიზნებს მიაღწევენ?

საერთოდ, ქართველი კომენტატორები მოსკოვისა და ბრიუსელის კონკურენციის ამ ასპექტს, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ მკვეთრ ტერმინებში განიხილავენ, თითქოს საუბარი ნატოს და ოდკბ-ს დაპირისპირებას და ფრონტის ხაზს ეხებოდეს, მაშინ, როდესაც სივრცე მანევრისთვის ამ შემთხვევაში გაცილებით დიდია. **სომხეთის გადაწყვეტილება არ გამორიცხავს მის შემდგომ დაახლოებას საქართველოსთან და ევროკავშირის ქვეყნებთან, ხოლო ვილნიუსში საქართველო-ევროკავშირის შეთანხმების პარაფირება რუსეთთან კონფრონტაციაში ავტომატურად არ შეგვიყვანს. მეორე შეცდომა, რომელსაც საქართველოში ხშირად უშვებენ, ამ შეთანხმების ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მაპ-ის მინიჭების** (ჩვენ შემთხვევაში — არმინიჭების) **მსგავს მოვლენად წარმოჩენაა და საუბარი იმაზე, რომ ის თითქოს ევროკავშირში გაწევრიანების არაფორმალურ გარანტიას წარმოადგენს ან პროცესს მნიშვნელოვნად აჩქარებს. რასაკვირველია, ის დააახლოებს საქართველოს ევროკავშირთან, თუმცა გაწევრიანებაზე საუბარი ჯერ ძალზე ნაადრევი ჩანს.**

შეთანხმება ევროკავშირთან ასოცირების და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (ოდნავ განსხვავებული სათაურებით და შინაარსით) თავის დროზე ხელმოწერილი აქვს ეგვიპტეს, იორდანიას, ისრაელს, ლიბანს, პალესტინის ავტონომიას, მექსიკას, ჩილეს, სამხრეთ აფრიკასა და სამხრეთ კორეას (სრული ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია), მოლაპარაკებები კი საუდის არაბეთთან, ეკვადორთან, კანადასთან და რიგ სხვა ქვეყნებთან მიდის. დღესდღეობით შეჩერებულია დიალოგი სირიასთან, თუმცა არცთუ შორეულ წარსულში მას ადგილი ნამდვილად ჰქონდა. აშკარაა, რომ ამ ქვეყნების გაწევრიანება ევროკავშირში ხელშესახებ პერსპექტივაში ფანტასტიკის სფეროს მიეკუთვნება.

**გეოგრაფიულად უფრო ახლო ზონას თუ შევეხებით, ვნახავთ თურქეთს, რომელსაც აქტივში აქვს შეთანხმება ევროკავშირთან საბაჟო კავშირის შესახებ და უამრავი სხვა, ფრიად სასარგებლო დოკუმენტი, თუმცა ევროკავშირში მისი გაწევრიანების პროცესი ფაქტობრივად დაბლოკილია.** რა თქმა უნდა, თეორიულად შესაძლებელია საქართველო ევროკავშირის წევრი თურქეთზე ადრე გახდეს, მაგრამ ეს, ალბათ, ცოტა ძნელი წარმოსადგენია. ამასთანავე, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა უკრაინის გამოცდილება: **2012 წლის 30 მარტს პარაფირებულ იქნა შეთანხმება ასოცირების შესახებ ევროკავშირსა და უკრაინას შორის, მაგრამ შემდეგ დაიწყო პროცესი, რომელიც, ალბათ, საგანგებო განხილვას საჭიროებს, რადგან საქართველოს ახლო მომავალში შეიძლება მსგავსი პრობლემები შეექმნას.** პარაფირება არ ნიშნავს ავტომატურ ხელმოწერას — ამ ტაქტიკური პერსპექტივისთვის საკმაოდ მნიშვნელოვან ნიუანსს ქართველი კომენტატორები ხშირ შემთხვევაში ყურადღებას არ აქცევენ.

## მძევლადქცეული სამართლიანობა

**ბრიუსელს კიევთან ბევრი პრეტენზია აქვს, თუმცა გამორჩეულ ადგილს ყოფილი პრემიერ-მინისტრის იულია ტიმოშენკოს პრობლემა იკავებს. ის, რომ მისი ყოფნა ციხეში უკვე პარაფირებული დოკუმენტის ხელმოწერას ხელს უშლის, არავისთვის საიდუმლო არაა.** ამ კონტექსტში, ალბათ, საინტერესო იქნება ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი რეპლიკის გახსენება. ჟურნალისტებთან საუბარში პრემიერმა სამართლიანობის აღდგენის პროცესთან დაკავშირებით თქვა: **„მხოლოდ ემოციურობით არ შეიძლება, ჩვენ შეუძლებელი შევძელით კანონიერების ფარგლებში, ნუ გგონიათ, რომ ასე მარტივი იყო ევროპელებისა და ამერიკელებისთვის ამ ყველაფრის დასაბუთება. საკმარისია, ამ მოკლე პერიოდში პროკურატურას მოეხერხებინა და მომხდარიყო კიდევ რაღაც დაპატიმრებები. იმ დონეზე ველარ ვახერხებდით განმარტებებს ევროპაში, რომ, აი, ვილნიუსის სამიტი შეიძლება გვერდზე დაგვრჩენოდა და შეიძლება რაღაც პროექტებზე ამერიკას უარი ეთქვა, კონგრესი ხედავთ რა დღეში იყო“** (პირველი რადიო). შემდეგ პრემიერმა სცადა, დაერწმუნებინა საზოგადოება, რომ სამართლიანობის აღდგენის განცდა მალე დაუბრუნდება, თუმცა, ამის მიუხედავად, ალბათ, უნდა ითქვას, რომ ვითარება დრამატულია.

**სამართლიანობის აღდგენის მიზმა უცხო ქვეყნების პოზიციაზე არსებითად სხვა არაფერია, თუ არა ქვეყნის სუვერენიტეტისა და კანონის უზენაესობის პრინციპის იგნორირება, უფრო ანტიევროპული და ანტიდემოკრატიული აქტი უბრალოდ ძნელი წარმოსადგენია.** სადაც თუნდაც ერთი დამნაშავე, ნებისმიერი პოლიტიკური მიზეზიდან გამომდინარე, დაუსჯელი რჩება, იქ არ არის ევროპა და არ არის დემოკრატია. სასჯელი შეიძლება იყოს მსუბუქი ან თითქმის სიმბოლური (ეს სულ სხვა საკითხია), მაგრამ **მართლმსაჯულების დაქვემდებარებას საგარეოპოლიტიკური კონიუნქტურის მიმართ, ალბათ, ვერ მიეცემა სხვა კვალიფიკაცია, თუ არა სახელმწიფოსა და მისი კანონების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯის.**

ყოველივე ამასთან დაკავშირებით, არაერთ მოქალაქეს შეიძლება გაუჩნდეს ეჭვი, რომ პოლონეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის, რადოსლავ სიკორსკის, სიტყვები „თუ პირობები შესრულდება“ ეხება არა მხოლოდ არჩევნების სანიმუშო ჩატარებას ან ქართული კანონმდებლობის დახვეწას ევროპული სტანდარტების შესაბამისად, არამედ რაღაც საიდუმლო შეთანხმებასაც, **საქართველოს ხელისუფლების პირობას, რომ ყოფილი მაღალჩინოსნების სისხლის სამართლებრივი დევნისგან თავს შეიკავებს, მიუხედავად იმისა, თუ რა ჩაიდინეს მათ წარსულში.** ეს, ცხადია, კონსპიროლოგიური ვარაუდია, თუმცა ის აუცილებლად გაჩნდება, თუ სამართლიანობის აღდგენის შეფერხებული პროცესი მკვდარი წერტილიდან არ დაიძვრება. **თუ ახალი ხელისუფლება ამომრჩეველთა ზურგს უკან რაღაც საეჭვო გარანტიებს გასცემს, ჩვენ უნდა გავიგოთ ამის შესახებ, რაც მალე, მით უკეთესი, მითუმეტეს ამის დამალვა მაინც ვერ მოხერხდება.**

ამასთანავე, ჩვენ არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ევროკავშირთან შეთანხმების პარაფირების შემდეგ, რომელიმე საააკაშვილის რეჟიმის რომელიმე წარმომადგენლის ან, სულაც, თავკაცის დაპატიმრება და გასამართლება ჩადენილი დანაშაულისთვის, მისი ხელმოწერისთვის შეიძლება შემაფერხებელ ფაქტორად იქცეს. **მთავრობა დრამატული არჩევანის წინაშე დადგება; მან უკვე დაუშვა მძიმე შეცდომა, როდესაც დამნაშავეთა შესაძლო დასჯის საკითხი უცხოელების პოზიციაზე მიაბა და გამორიცხული არაა, რომ ის მარწუხებში მოექცევა, ევროპელ ჩინოვნიკებსა და განრისხებულ ამომრჩევლებს შორის, რომელნიც ძალიან ძნელად ეგუებიან პროცესის შეფერხებას და მისი უშედეგო დასრულების მცდელობას, ალბათ, პროტესტის ნამდვილი ამოფრქვევით უპასუხებენ.** ნუთუ ვინმეს მართლა სურს, ეს ხალხი იმპროვიზებული საველე ტრიბუნალების შექმნამდე მიიყვანოს? ეს ევროპული არჩევანი იქნება?

**ალბათ, შეცდომაა** (თუ არა შეურაცხყოფა) **სამართლიანობის აღდგენის და დამნაშავეთა დასჯის მოთხოვნის წარმოჩენა ემოციების მოზღვავების ნაყოფად, რადგან, ობიექტურად თუ მივუდგებით, იმ მოქალაქეებს, რომელნიც ამას მოითხოვენ, ალბათ, უფრო სახელმწიფოებრივი და, ამასთანავე, ზნეობრივი პოზიცია უკავიათ, ვიდრე პოლიტიკოსებს, რომლებმაც ეს თემა ვაჭრობის საგნად აქციეს.** ეს ადამიანები დღეს იცავენ კანონის უზენაესობის პრინციპს, უფრო ფართოდ კი — სუვერენიტეტსა და დემოკრატიას, ხოლო რას აკეთებს ამ მიმართულებით ახალი ხელისუფლება, ჯერჯერობით გაუგებარია.

## როდის აღმოვაჩენთ რუსეთს?

პოსტსაბჭოთა ქვეყნების შეთანხმებები ევროკავშირთან, რომელთაც ხელი ნოემბერში ვილნიუსის სამიტზე მოეწერება, არ გამოიწვევს რუსეთის ისეთ გაღიზიანებას და მკვეთრ ნაბიჯებს, რომელსაც, მაგალითად, საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭება მოჰყვებოდა, მაგრამ ეს, ალბათ, მაინც გახდება დამატებითი იმპულსი კრემლისთვის, რათა ყოფილი სსრკ-ის ▶



„ამერიკას სურს, მოისყიდოს ყველა ქვეყნის ხელისუფლება, თუკი ვერ მოისყიდის და თავისი ქვეყნის ინტერესების გამტარებელი პრეზიდენტი ჰყავს ქვეყანას, მაშინ ის ცდილობს, დაამხოს ის ხელისუფლება და ის პრეზიდენტი, როგორც გამსახურდია დაამხო 20 წლის წინ საქართველოში, როგორც ასადს ამხობს დღეს სირიაში“.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ტერიტორიაზე უფრო აქტიურად იმოქმედოს. **რუსების წინსვლა სომხეთში,** (და ამავე დროს) **აზერბაიჯანში სახეზეა და, ალბათ, გულუბრყვილო იქნება იმის წარმოდგენა, რომ ისინი საქართველოს გვერდს აუვლიან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სირიის კრიზისის ფონზე** (ეს არ არის ერთადერთი მიზეზი) **რეგიონი და მსოფლიო სულ უფრო არასტაბილური ხდება, ასეთ პერიოდებში კი დიდი სახელმწიფოები, ტრადიციულად, ზრუნავენ იმაზე, რომ გავლენის სფერო გაიფართოონ და ხშირად სარისკო, სწრაფ ეფექტზე ორიენტირებულ სტრატეგიებს იყენებენ.**

მიხეილ სააკაშვილი ასეთ სიტუაციაში, ალბათ, გამოვიდოდა და დაიწყებდა წინმსწრებ ყვირილს იმის თაობაზე, რომ ევროკავშირთან შეთანხმებით საქართველომ რუსეთზე ისტორიულ გამარჯვებას მიაღწია და მეზობელ ქვეყანას, მის ლიდერებთან ერთად, ყველა წარმოსადგენი ეპითეტებით შეამკობდა და, შესაძლოა, იმასაც მიაღწევდა რომ კრემლი თავის პოლიტიკას საქართველოს მიმართ კიდევ უფრო გაამკაცრებდა; მსგავსი რამ არაერთგზის მომხდარა. **ბიძინა ივანიშვილი კი** (და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ზოგადად) **ყველანაირად ცდილობს, რომ შეთანხმება ევროკავშირთან არ წარმოჩინდეს რუსეთთან დაპირისპირების აქტად, ხოლო რიტორიკა მაქსიმალურად რბილი იყოს.** სავარაუდოდ, (მათ შორის) აქედან მოდის ცნობილი განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო ევრაზიის კავშირის ფორმირების პროცესს აკვირდება.

ალბათ, საგულისხმოა შემდეგი მონაკვეთიც „რადიო თავისუფლებისთვის“ მიცემული ინტერვიუდან: **„რუსეთი უზარმაზარი ქვეყანაა და მისი აღზრდის პრეტენზია მე არ მაქვს. რუსეთს აქვს თავისი ხელწერა, თავისი ქმედება და, რა თქმა უნდა, სამწუხაროდ, ეს ხშირად არ არის ისეთი, როგორის სურვილიც შეიძლება გვქონდეს ჩვენც და ევროპასაც, მაგრამ ჩვენ ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ, მოთმინებით უნდა ვუყუროთ, უნდა ვიყოთ პრინციპულები, კონსტრუქციულები და დიპლომატიურები. რას ვიზამთ, რეალობას ანგარიში უნდა გავუწიოთ. ვინც არ გაუწია ანგარიში და როგორც არ გაუწია ანგარიში რეალობას, აი, რა მივიღეთ ჩვენ და რა გვაქვს დღეს! რომ არა ჩვენი ეს უმეცრება და ჩვენი წინა ხელისუფლების ეს უმეცრება და ეს სულელური ნაბიჯები, ჩემი დიდი რწმენით, ეს ასე არ მოხდებოდა და** [მოვლენები] **ასე არ განვითარდებოდა. შესაბამისად, ახლა ისინი** [წინა ხელისუფლების წარმომადგენლები] **ისევ გვაწვებიან ისტერიულად, თუ როგორ ბედავ და რუსეთზე რაიმეს პოზიტიურს ამბობ. მტრის ხატს ხატავენ, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენ პოზიცია დავიჭიროთ. ეს ჩვენი ყველაზე დიდი მეზობელია და ჩვენ ვსაჭიროებთ მათთან ნორმალურ ურთიერთობებს“.** ეს, ალბათ, გაცილებით (თუ არა განუზომლად) ჯანსაღი პოზიციაა, ვიდრე ის, რომელსაც სააკაშვილი თავის ტელემონოლოგებში აფიქსირებდა. ამასთანავე, საინტერესო იქნება ყურადღების გამახვილება „უმეცრებაზე“, რომელიც პრემიერმა ახსენა (თუ ამ სიტყვას პირდაპირი მნიშვნელობით აღვიქვამთ და არა როგორც „სისულელის“ შერბილებულ სინონიმს).

პარადოქსულია, მაგრამ არც პოლიტიკოსთა შორის, არც სამოქალაქო სექტორში ჩვენ თითქმის არ გვყავს კარგი ექსპერტები რუსეთის საკითხებში, რომელთაც შეუძლიათ მეტ-ნაკლებად ადეკვატურად შეაფასონ კრემლის დღევანდელი ნაბიჯები სამხრეთ კავკასიაში (პროგნოზებზე ხომ საუბარი ზედმეტია). ამ თითქოს უმნიშვნელო ნიუანსმა ბოლო ათწლეულში არაერთი უბედურება მოგვიტანა; **ჩვენ ძალიან ცუდად ვიცნობთ თანამედროვე რუსეთს და ძნელად წარმოგვიდგენია რას მოიმოქმედებს ის უახლოეს მომავალში. ეს არა მხოლოდ ჩვენი პრობლემაა, წამყვანი ქვეყნების ექსპერტებიც ხშირად ჩივიან, რომ, მრავალწლიანი სამეცნიერო მუშაობის მიუხედავად, მათთვის რუსეთში მაინც რჩება რაღაც ამოუცნობი, რამაც ყველა პროგნოზს ერთ წამში შეიძლება ხაზი გადაუსვას.** თუმცა, ცხადია, ისინი გაცილებით მაღლა დგანან ჩვენი ექსპერტების დიდ ნაწილზე, რომელთა წარმოდგენები რუსეთზე მითების, ლეგენდებისა და შიზოფრენიული ბოდვების კრებულს მოგვაგონებს.

დიალოგი რუსეთთან და კონფრონტაციისთვის თავის არიდება, რა თქმა უნდა, კარგი და აუცილებელია, თუმცა გაურკვევლობა და მისგან მუდმივად გამომდინარე პრობლემები დარჩება, ვიდრე ქართველი პოლიტიკოსები და ექსპერტები რუსეთის ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის და ა. შ. საფუძვლიან შესწავლას არ დაიწყებენ და არ მოუსმენენ მათ, ვინც რუსეთს კარგად იცნობს. ამ შემთხვევაში საუბარი, აკადემიურ ინტერესს კი არა, საქართველოს ყოფნა-არყოფნას ეხება; ეს ეროვნული უსაფრთხოების საკითხია. **დღეს არაერთი პოლიტიკოსი მიანიშნებს იმაზე, რომ ხანმოკლე განმუხტვის შემდეგ ურთიერთობა ჩრდილოელ მეზობელთან ისევ რთულდება, თუმცა ვერ ხსნის დამაჯერებლად, თუ რატომ ხდება ეს და, როგორც წესი, სააკაშვილის დროინდელი რეალობისგან მოწყვეტილი სტერეოტიპებით ოპერირებს.**

წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ისევ ინტუიციაზე დაყრდნობით, იმპულსურად ვიმოქმედებთ, შეცდომებს დავუშვებთ, მათ მოტივებს ვერ გავშიფრავთ და შესაძლო მოქმედებას ვერ ამოვიცნობთ, რაც, სავარაუდოდ, კარგს არაფერს მოგვიტანს. ნორმალური, მწვავე კრიზისებისგან დაცული ურთიერთობა რუსეთთან ვერ დამყარდება მანამ, სანამ ჩვენ არ გავაცნობიერებთ, რას წარმოადგენს რუსეთი.

**დიმიტრი მონიავა**

# სამხედროფორმიანი შეიარაღებული ამერიკელი აშშ-ის საელჩოსთან სირიის მხარდამჭერ დემონსტრანტებს დაერია

**6 სექტემბერს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღდგენის საინიციატივო ჯგუფმა ამერიკის საელჩოსთან გამართა ბაშარ ასადისა და სირიელი ხალხის მხარდამჭერი აქცია. აქციის მონაწილეებს ინგლისურ და ქართულ ენებზე გამოტანილი ჰქონდათ ტრანსპარანტები, რომლებზეც ეწერა: „ხელები შორს სირიისგან“, „შეაჩერეთ სამხედრო ინტერვენცია სირიაში“, „შეწყდეს ინსპირირებული ომი სირიაში“. როგორც აქციის ინიციატორმა, ქალბატონმა ეთერ მგალობლიშვილმა აღნიშნა, უკვე ორი წელია, რაც ე. წ. მეამბოხეები მასონური ამერიკისა და მასონური ევროპის წაქეზებითა და მხარდაჭერით სირიაში ხელისუფლებისა და სირიელი ხალხის წინააღმდეგ აწარმოებენ ომს, რომელმაც ათი ათასობით უდანაშაულო, მშვიდობიანი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. აქციას „ქალები მშვიდობისათვის“ ამერიკის საელჩოს მხრიდან ძალზე მწვავე რეაქცია მოჰყვა. მომხდარზე „საქართველო და მსოფლიოს“ „ქალები მშვიდობისათვის“ ხელმძღვანელი ეთერ მგალობლიშვილი დეტალურად ესაუბრა.**

## ეთერ მგალობლიშვილი: რაც დღეს სირიაში ხდება, იგივე მოხდა 1991-92 წლებში საქართველოშიც



— მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის საელჩოს შენობისგან საკმაოდ მოშორებით ვიდექით (მოგეხსენებათ, გარკვეულ მანძილზე არ შეიძლება მიახლოება), ჩვენდა გასაოცრად, **შენობიდან სულ მცირე 15 სამხედროფორმიანი, ხელჯოხიანი მამაკაცი გამოვარდა, რომელთაც სასტიკად აგვიკრძალეს იქ დგომა და ტრასპარანტების გაშლა. იქ საზოგადოებრივი მაუწყებლის კორესპონდენტიც იყო, რომელსაც მივარდნენ და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ხელი დააფარეს ოპერატორის კამერას, გადაუყირავეს ეს კამერა და კატეგორიულად გააფრთხილეს, რომ აღარაფერი გადაეღო.** შემდეგ საელჩოდან კიდევ ერთი პიროვნება გამოვარდა, იარაღიანი. უფროსი იყო, როგორც ჩანს, რადგან სხვები მას ემორჩილებოდნენ. მოვარდა ჩვენთან და იკითხა, ვინ არის აქციის ხელმძღვანელიო, თითქოს რაღაც დანაშაულს შეესწრო. მე გამოვეყავი ჯგუფს. სახელი და გვარი მითხარით ახლავეო, მომმართა აგრესიულად. ვუთხარი სახელი და გვარი და — ახლავე თქვენი პირადობის მოწმობა მომეცითო. დამნაშავეს რომ ეტყვის პოლიციელი, აი, დაახლოებით ასე მესაუბრებოდა. ჯერ ჩვენ აქცია არ დაგვიწყია და თქვენ მთხოვთ პირადობის მოწმობას, რაშია საქმე-მეთქი, ვკითხე. ბუნებრივია, მაქვს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, მაგრამ ჯერ აქციის დაწყებისა და დასრულების საშუალება მოგვეცით-მეთქი, დავძინე. კანონის ენით ველაპარაკე, ავუხსენი, რომ წესრიგს არ ვარღვევდით, უბრალოდ, ვატარებდით სირიის მხარდამჭერ აქციას, თუმცა უშედეგოდ.

ფაქტობრივად, აქციის ჩატარების უფლება არ მოგვცეს. მხოლოდ ცოტა ხნით მოვახერხეთ იქ ყოფნა და მხოლოდ ერთი-ორი ტრანსპარანტი გავშალეთ. ჩქარა წადითო, გვიყვიროდნენ, დიდხანს არ გაგვაჩერეს. სამწუხაროდ, ეს ინფორმაცია არც ერთმა არხმა არ გააშუქა, როგორც ჩანს, საზოგადოებრივ მაუწყებელსაც კი აუკრძალეს ამ აქციის გაშუქება, დაბლოკეს ეს სიუჟეტი. მათი მხრიდან იყო მუქარა და, ალბათ, შეშინდნენ ტელევიზიები. ერთი რამ მინდა აღვნიშნო: **ამერიკას სურს, რომ ყველა ქვეყანაში ჰყავდეს მარიონეტი პრეზიდენტები. როდესაც მამა ბუშმა ნახა, რომ ზვიად გამსახურდია ვერანაირად ვერ იქნებოდა მარიონეტი და ის იყო დამოუკიდებელი და ქართველი ხალხის ინტერესების გამტარებელი პრეზიდენტი, გამოიყენეს იარაღი და დაამხეს ზვიად გამსახურდია. დიახ, რაც დღეს სირიაში ხდება, იგივე მოხდა 1991-92 წლებში საქართველოშიც, ამერიკელებმა მაშინაც ზვიად გამსახურდიას კანონიერი, ლეგიტიმური ხელისუფლება დაამხეს, იმიტომ, რომ ის იყო ეროვნული ხელისუფლება, ანუ მოხდა პუტჩი, რომელსაც, სამწუხაროდ, სამოქალაქო ომს უწოდებენ.** არანაირი სამოქალაქო ომი ეს არ იყო და, რაც ჩვენთან მოხდა ოცი წლის წინ, რაც ჩვენთვის მიუღებელი იყო, ზუსტად ის ხდება დღეს სირიაში, ამიტომაც არის მიუღებელი ეროვნული ძალებისთვის.

სირიელ ხალხს, ბაშარ ასადის ხელმძღვანელობით, სურს დამოუკიდებლობა, სურს, იბრძოლოს თავისი ხალხის ინტერესებისთვის და თავისი ღირსებისთვის. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ, ორი წელია, გააფთრებული ბრძოლაა და ხალხი კანონიერი პრეზიდენტის გვერდით იბრძვის ე.წ. ოპოზიციის წინააღმდეგ. დიახ, ე.წ. ოპოზიცია, რადგან ისინი ოპოზიციის წარმომადგენლები კი არა, მეამბოხეები არიან. სხვებისგან, პოლიტიკოსებისგან, განსხვავებით, მე ამას ხმამაღლა, მორიდების გარეშე ვიტყვი. აი, ეს მეამბოხეები იბრძვიან მასონური ამერიკისა და მასონური ევროპის მხარდაჭერით. ისინი აწვდიან მათ იარაღს და ესენიც ებრძვიან კანონიერ ხელისუფლებას, რომელსაც ხალხი უჭერს მხარს. და ასე გრძელდება ეს უსამართლო ბრძოლა. ვიმეორებ: **ამერიკა ანადგურებს ყველას, ვინც არ ემორჩილება მას და არ ხდება მისი მარიონეტი. ამერიკას სურს, მოისყიდოს ყველა ქვეყნის ხელისუფლება, თუკი ვერ მოისყიდის და თავისი ქვეყნის ინტერესების გამტარებელი პრეზიდენტი ჰყავს ქვეყანას, მაშინ ის ცდილობს, დაამხოს ის ხელისუფლება და ის პრეზიდენტი, როგორც გამსახურდია დაამხო 20 წლის წინ საქართველოში, როგორც ასადს ამხობს დღეს სირიაში.**

**— და როგორ მოგწონთ ის ფაქტი, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებაც, შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლებათა მსგავსად, მონური აღტაცებით აქიცინებს კუდს ვაშინგტონის წინაშე?**

— კუდსაც აქიცინებს და ამერიკის ბრძანებებსა და მითითებებსაც არანაკლები მონდომებით ასრულებს. დღესაც იგივე ხდება, რაც რამდენიმე წლის წინ ხდებოდა — **მარიონეტი ხელისუფლებაა დღეს საქართველოში. მე არ ვასხვავებ სააკაშვილის ხელისუფლებას ივანიშვილის ხელისუფლებისგან. ივანიშვილი ამერიკის პოლიტიკას ახორციელებს საქართველოში და მის ინტერესებს იცავს, შესაბამისად, ივანიშვილი იგივეა, რაც სააკაშვილი. და ეს კოაბიტაციაც ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია იმისა, რომ ისინი ერთობლივად ემორჩილებიან ამერიკას და მის ინტერესებს ახორციელებენ საქართველოში.** სამწუხაროდ, ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ დარჩა მოტყუებული, ორივე ძალა მოგებული დარჩა არჩევნებით, „ოცნებამ“ შეიყვანა პარლამენტში ისეთი პარტია, რომელსაც 1% მხარდაჭერაც კი არ აქვს ქართველ ხალხში, ეს არის რესპუბლიკური პარტია. ხალხს სურდა, მოეცილებინა როგორმე სააკაშვილის რეჟიმი, თუმცა საბოლოოდ ქართველი ხალხი დარჩა მოტყუებული, მაგრამ ხალხი ასეთ ხელისუფლებას ნამდვილად არ მიიღებს. მე ღრმად მჯერა და მწამს, რომ ხალხი უკვე გამოფხიზლდა, მიხვდა, რომ ამერიკის ინტერესები არ შეესაბამება ქართველი ხალხის ინტერესებს და ისინი იბრძოლებენ ისევე, როგორც იბრძოდნენ უწინ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის. **ხალხმა მრავალი წლის წინ იმისთვის არ დაღვარა სისხლი, რომ ამერიკის დიქტატის ქვეშ ყოფილიყო. ქართველ ხალხს არავის დიქტატის ქვეშ ყოფნა არ სურს.**

**— ივანიშვილი რომ მიდის პოლიტიკიდან და რესპუბლიკელებს გვიტოვებს, ამაზე რას ფიქრობთ?**

— ეს მიზანმიმართულად ხდება იმიტომ, რომ ივანიშვილმა შეასრულა თავისი დავალება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **ივანიშვილს ამერიკელებმა დაავალეს, ხელისუფლებაში მოეყვანა რესპუბლიკელები, რომელთაც იგივე იდეოლოგია და ინტერესები აქვთ, რაც „ნაციონალებს“, მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის, ეს ერთი და იგივე ძალაა, უბრალოდ, სხვადასხვა სახელი აქვთ, ორსახიანი იარუსია დღეს ხელისუფლებაში.** ეს ორი ძალა სხვადასხვა სახელით ქართველი ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგება. ივანიშვილი მიდის იმიტომ, რომ მან უკვე შეასრულა ამერიკის დავალება — მოიყვანა ამერიკისთვის მისაღები „ნაცმოძრაობა 2“ ხელისუფლებაში. დააკვირდით, ვის უტოვებს ახლა საქართველოს? უტოვებს „ნაციონალებსა“ და რესპუბლიკელებს. აი, მხოლოდ ეს იყო ივანიშვილის მიზანი და ამერიკელების ოცნება!

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მთელი საქართველო შტორმისა და ცუნამის მოლოდინში იყო, ანაკლიის მკვიდრნი დაზაფრულები და შეშინებულები ელოდნენ ციკლონს, რომელიც მათკენ მოემართებოდა და ამ დროს სომეხი „ტურისტები“ ანაკლია-განმუხურის ტერიტორიაზე მშენებლობებსა და საძირკვლებს ათვალიერებდნენ“**

# სომხებმა ზღვაზე გასასვლელი ნახეს

# «ხაჩიკები» ლაზიკას ყიდულობენ

**სომხებს კარგა ხანია ანეკდოტების თემად ქცეული შური აწუხებთ იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ზღვა აქვს. ამ საკითხზე ხშირად სომხებიცა და ქართველებიც ხუმრობენ, მაგრამ დღეს საქმე სახუმაროდ სულაც არ გვაქვს. „ნაცმოძრაობის“ პერიოდში მათ მოახერხეს, ზღვაზე გასასვლელი მოენახათ. ზუგდიდის რაიონის მოსახლეობა შეშფოთებულია, ისინი თვალყურს ადევნებენ იმ ფაქტს, რომ სომხური დელეგაციები ანაკლია-განმუხურს ხშირად სტუმრობენ და ჯერარაშენებული ლაზიკის დასათვალიერებლად დადიან. ამის შესახებ გაზეთის რედაქციას სამეგრელოს რეგიონულმა საზოგადოებრივმა უხუცესთა კავშირმა „სხუნუმ“ სპეციალური წერილით აცნობა, რომელსაც აქვე გთავაზობთ. „რედაქცია ვითარების დეტალებში უკეთ გასარკვევად „სხუნუს“ გამგეობის თავმჯდომარეს, ანზორ ლომაიას, დაუკავშირდა.**



**— ბატონო ანზორ, მართალია თუ არა ის ფაქტი, რომ სომხური დელეგაციები ანაკლია-განმუხურს სტუმრობენ და მიმდინარე მშენებლობებს ათვალიერებენ?**

— მოგიყვებით იმას, რაც ანაკლიის მკვიდრთა და ჩვენი ორგანიზაციის წევრებისგან ვიცი. დაწესებული გვაქვს სპეციალური მეთვალყურეობა იმასთან დაკავშირებით, რომ არც ერთი ნაბიჯი და საეჭვო ვიზიტი არ გამოგვრჩეს.

**5 სექტემბერს შტორმს რომ ველოდით, სწორედ მაშინ ერთი დღით ერევნიდან დელეგაცია ჩამოვიდა. ხალხი დელეგაციის ერთ-ერთი აქტიური წევრის ფიზიკურ მონაცემებსაც აღწერს — ჭაღარათმიანი, 45 წლის, საშუალო სიმაღლის მამაკაცი.** ისინი სასტუმროში დარეგისტრირდნენ, როგორც ტურისტები, ამაში საეჭვო არაფერია, რადგან ანაკლიაში უამრავი ტურისტი ჩამოდის, მაგრამ ეს შემთხვევა სხვა შემთხვევებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ **მთელი საქართველო შტორმისა და ცუნამის მოლოდინში იყო, ანაკლიის მკვიდრნი დაზაფრულები და შეშინებულები ელოდნენ ციკლონს, რომელიც მათთკენ მოემართებოდა და ამ დროს სომეხი ტურისტები ანაკლია-განმუხურის ტერიტორიაზე მშენებლობებსა და საძირკვლებს ათვალიერებდნენ.**

ანაკლიელებს ჯერ არ ახსოვთ ისეთი შემთხვევა, რომ ჩვეულებრივი ტურისტი, თან ასეთ ამინდში, მშენებლობების დასათვალიერებლად წასულიყოს.

**— ბატონო ანზორ, შემთხვევით, ხომ არ იცით რომელიმე მათგანის გვარი?**

— კი, ერთ-ერთი სომხის გვარია ნალბანდიანი.

ჩემთვის ხელმისაწვდომი არ არის ოფიციალური ინფორმაცია, მაგრამ შესაბამისი ორგანოები თუ დაინტერესდებიან, ამის გაგება შესაძლებელია.

ოფიციალური პირები, რომელთა გვარების დასახელებისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ, ამბობენ, რომ **საქართველოს წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებს ამ ბინძურ საქმეში დიდი ფული აქვთ აღებულიო.** ასახელებენ ადგილობრივ ბიზნესმენებსაც, მაგრამ ჯერ მათ გვარებსაც ვერ გეტყვით, ფაქტების მოძიებით ვართ დაკავებულნი. გაგიკვირდებათ, ისეთ გვარებს ასახელებენ, ისინი მზად არიან, ნებისმიერი გზით იშოვონ ფული, ოღონდ ამდენი ფული რად უნდათ, არ ვიცი.

**— ქართველი ბიზნესმენებიდან ვის ასახელებენ?**

— ჯერ ვერ ვიტყვი... **ამერიკაში მცხოვრებმა მილიონერმა სომხებმა აფხაზეთი თითქმის მთლიანად ხელში ჩაიგდეს.**

აფხაზეთის უხუცესთა საბჭოსთან მჭიდრო არა, მაგრამ წვალებით და დიდი ძალისხმევით რაღაც ფორმის ურთიერთობას ვამყარებთ. მათგან ინფორმაციებს ვიღებთ, მათი აზრი ვიცით. **არც აფხაზებს მოსწონთ სომხების ასეთი აქტიურობა. აფხაზეთში 23 სომხური სკოლაა და 29 საბავშვო ბაღი. თვითონ აფხაზებიც თვლიან, რომ ანაკლია-განმუხურის პორტის აშენება სიკეთეს მოიტანს ორ ხალხს შორის ურთიერთობაში. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ აძლევთ ხელს სომხებს, რადგან აფხაზეთი თავისად მიაჩნიათ.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**საქართველოს პრემიერმინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს**
**საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს**
**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას**

# ღია წერილი

მოგმართავთ სამეგრელოს რეგიონული საზოგადოებრივი უხუცესთა კავშირის წევრთა სახელით და მოგახსენებთ შემდეგს: სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სუფევს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა (ეს მხარე ადრეც და დღესაც მივიწყებულია ხელისუფლების მხრიდან), მასიურად განადგურებულია ჩაის კულტურა და ჩაის მრეწველობა, არ მუშაობს არც ერთი ფაბრიკა-ქარხანა, ფინანსთა სამინისტრო ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. უფრო მეტიც — კანონიერების სრული დარღვევით, პირადი ინტერესით, განადგურდა სააქციო საზოგადოება „ზუგდიდსოფლტექნიკა“. ჩადენილ უკანონობაზე და ადამიანის კონსტიტუციური უფლებების უხეშად დარღვევაზე ჩვენ მოვახსენეთ საქართველოს მთავრობას, პარლამენტს და მთავარ პროკურორს. მიმართვა და მასალები დაეწერა ბატონ ნოდარ ხადურს, მაგრამ შეგნებულად საქმე დღემდე რეაგირებული არაა.

ჩვენთვის ცნობილი გახდა საკვირველი ამბავი: **„ენგურჰესის“ თაღოვან კაშხალს არა აქვს დამბის დასაცლელი, წყლის საწრეტი სპეციალური არხი, მიუხედავად იმისა, რომ კაშხლის მშენებლობის დროს არხის გაკეთება პროექტით იყო გათვალისწინებული. 1964 წელს ქ. ზუგდიდში შეიკრიბნენ ენერგეტიკის დარგის ღვაწლმოსილი მუშაკები, რომლებმაც განიხილეს საკითხი და დაადგინეს, რომ უბედური შემთხვევის შედეგად კაშხლიდან წამოსული ნიაღვარი წალეკავს დასავლეთ საქართველოს და თურქეთის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს.** ამავე საკითხზე 1982 წლის 3 თებერვალს, მთავრობას № 75 დადგენილებით გადაწყვეტილება აქვს მიღებული არხის მშენებლობაზე, რაც დღემდე შეუსრულებელია და **დასავლეთ საქართველოში მცხოვრები მოსახლეობა იმყოფება უმაღლესი კატეგორიის „უბედურების ზონაში“.** მით უმეტეს, როგორც ვიცით, **ხელისუფლება აპირებს „ენურჰესის“ ზემოთ „ხუდონჰესის“ მშენებლობას, რითაც დასავლეთ საქართველო, ფაქტობრივად, მოექცევა ორმაგი საფრთხის ქვეშ, ხოლო სვანეთის რამდენიმე სოფელი დაიტბორება, სვანებს მიგრაცია ელოდებათ, რაც „მთის დაშლას“ ნიშნავს.**

არხის მშენებლობა სასწრაფო და აუცილებელია! იგი სიკეთის მომტანია: აგვაცილებს უბედურებას და გააერთიანებს ქართველ და აფხაზ ხალხს, შექმნის მყარ ეკონომიკურ პირობებს, რადგან დაკავშირებულია ანაკლია-განმუხურის სატვირთო ნავსადგურის მშენებლობასთან, რომელსაც შეუძლია, ყოველწლიურად საქართველოს ბიუჯეტს შემატოს ერთი მილიარდ აშშ დოლარზე მეტი შემოსავალი, უზრუნველყოს 200 ათასი ტონა წყალწყვის გემებით ნავთობის, გაზისა და წყლის გადაზიდვა; დაასაქმოს 10 ათასზე მეტი ადამიანი; შეუწყოს ხელი ქვეყნის ყოველმხრივ განვითარებას, რადგან მდინარე ენგურის შესართავიდან 150 მეტრში იწყება კანიონი ფართით — 800X1000 კვ.მეტრი, წყლის სიღრმით 700 მეტრზე მეტი, როცა სხვა პორტებთან წყლის სიღმე საშუალოდ 7 მეტრს არ აღემატება. **აქვე სავალდებულოდ მიგვაჩნია რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებით კოდორის ხეობაში, ნავსადგურიდან დაახლოებით 80 კმ-ში ნავთობისა გაზის ტერმინალების აშენება, რომლებიც მიიღებენ ნავთობსა და გაზს ჩრდილოეთ კავკასიიდან. ტერმინალებიდან ნავსადგურამდე მილსადენები გაივლის გალის რაიონის ტერიტორიას.**

ჩვენი შეხედულება და მოსაზრება დასტურდება ყოფილი მინისტრის, ბატონ ჯუნა მხეიძის 2013 წლის გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ №31-ში გამოქვეყნებული ინტერვიუთი.

საზოგადოებაში გაკვირვებას იწვევს ყოფილი ხელისუფლების მხრიდან ანაკლიასთან მიმართებაში გაკეთებულ-გაპიარებული ქმედებები, რაც მხარის ეკონომიკური პოტენციალის დაქცევის ტოლფასია. უფრო მეტიც, **არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ანაკლია-განმუხურში უნიკალური ნავსადგურის მშენებლობის წინააღმდეგები არიან აშშ-ში მცხოვრები მილიარდერი სომხები, რომლებიც ცდილობენ საქართველოდან აფხაზეთის ჩამოცილებას, რაც დასტურდება კოლხეთის დასაქცევად ლაზიკის გაუმართლებელი მშენებლობით, რადგანაც კოლხეთის ეს ნაწილი და აფხაზეთის ტერიტორია, პერსპექტივაში, სომხებს თავისად მიაჩნიათ!**

ფაქტს რეაგირება სჭირდება და არა დამალვა, რათა საქართველომ არ გაიზიაროს „ჩერნობილის“ ხვედრი!

ვფიქრობთ, საქართველოს გადასარჩენად ჩვენი მოთხოვნა იმსახურებს მთავრობის სხდომაზე საკითხის განხილვას სპეციალისტების მონაწილეობით, ბატონი ჯუნა მხეიძისა და ჩვენი წარმომადგენლების თანდასწრებით.

პრეზიდენტობის კანდიდატებს ვთხოვთ, დააფიქსირონ თავიანთი აზრი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და საქართველოს მოსახლეობას განუმარტონ, რას ფიქრობენ დასავლეთ საქართველოს გადარჩენაზე და როგორ აპირებენ ქვეყნის გამთლიანებას!

**ანზორ ლომაია,**
სამეგრელოს რეგიონული საზოგადოებრივი უხუცესთა კავშირ „სხუნუს“ გამგეობის თავმჯდომარე;

გამგეობის წევრები:
**ჯონი ზარანდია,**
**მიხეილ ხუბუტია,**
**კლიმენტი კიკალიშვილი,**
**ალიკო თოდუა,**
**ვახტანგ ბულია,**
**გივი ქირია**

„სომეხი მათი მეცნიერები, რომელთაც რაიმე წონა აქვთ და ჭკუა ეკითხებათ, იქ მჭიდროდ თანამშრომლობენ თავიანთ პოლიტიკურ ელიტასთან. სომხური ეკლესიაც ანტიქართულ სამეცნიერო ნაშრომებს აფინანსებს და ყველა ესენი ერთად არიან. ეჩმიაძინს, რომელსაც, ცნობისთვის, სომხურად ეჯმიაძინ ჰქვია, განსაკუთრებული წვლილი შეაქვს ამაში.“

ჰკა მამათა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ალექსანდრე აბდალაძე:

# ეს ხელისუფლებაც ისევე ანტიქართულია, როგორც შევარდნაძის და შემდეგ სააკაშვილის, იგივე სააკიანცის იყო

**„საქართველო და მსოფლიოს“ 14-20 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა არქიტექტორ ბაადურ ჩხატარაშვილის მცირე ნარკვევი საქართველოს ეროვნული სიმბოლოების წარმომავლობის საკითხზე. ავტორის დაჟინებული მტკიცებით, დღევანდელ ქართულ დროშაზე გამოსახულია „ხაჩ ვორდან კირმიზის“ ხუთეული, ხოლო ზოგადად წითელი ფერი კი თურმე სომხური ტრადიციაა.**
**ჩხატარაშვილი თავის ნაშრომში V საუკუნის ბოლნისის სიონზეც საუბრობს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი წარმოადგენს ასევე სომხური ტრადიციის ტიპიურ ბაზილიკას. მისი თქმით, ეკლესია აგებულია სწორედ სომხური წყობის ტექნიკის გამოყენებით და გააჩნია ცილინდრული კამარის ელემენტები, რაც, უბრალოდ, გამორიცხულია აღმოსავლეთ საქართველოს არქიტექტურაში.**
**რამდენად რეალურია ნარკვევში მოყვანილი არგუმენტები და რა საერთო აქვს ქართულ სიმბოლიკას ძველ სომხურთან? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე აბდალაძე.**

**— ბატონო ალექსანდრე, ამას წინათ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ ნარკვევში არქიტექტორმა ბაადურ ჩხატარაშვილმა საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა სომხურ სიმბოლოდ, ბოლნისის სიონი კი ლამის სომხური არქიტექტურის ნიმუშად გამოაცხადა. თქვენ, როგორც მეცნიერი და მკვლევარი, რას იტყვით ამაზე?**

— ვნახე ეს წერილი და შევეცადე, გამეანალიზებინა. არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს, მაგრამ მე **ჩემი პირადი გამოცდილებით დარწმუნებული ვარ, ამ ადამიანმა ფული აიღო რომელიმე სომხური ორგანიზაციისგან. შეუძლებელია, მსგავს აბსურდს სხვა ახსნა ჰქონდეს.** ვერანაირი არგუმენტი, ვერანაირი ფაქტი მას ვერ მოჰყავს, ეს ე. წ. ნარკვევი თავიდან ბოლომდე არის დაუსაბუთებელი მსჯელობა, რომელიც არაფერს ემყარება.

**— პირადი გამოცდილება ახსენეთ და რას გულისხმობდით?**

— 1996 წელს ერთ-ერთ ქართულ გაზეთში დაიბეჭდა ჩემი წერილი: „რატომ ებრძოდნენ სომხები ილია ჭავჭავაძეს“. ეს, ცხადია, არ მოეწონათ აქაურ სომხურ წრეებს და წერილის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში ვან ბაიბურთმა, რომელიც სინამდვილეში ბაიბურთიანია, მოინდომა ჩემთან შეხვედრა. შევედი კაბინეტში და მეკითხება: რამ დაგაწერინა ასეთი წერილი, რამდენს გიხდიან ჰონორარს ამაშიო? მე ვუთხარი, — გვერდში ხუთ ლარს-მეთქი. აიტეხა ჰომერული ხარხარი: ამისთვის იკლავ თავს, შეეშვი მსგავსი რაღაცების ბეჭდვას და ჩვენ, სომხები, გადაგიხდით თვეში ათას დოლარსო. იქვე დაამატა: გეყოფა ათასი დოლარიო? ანუ შევაჭრებაც შეიძლებოდა; არადა, მაშინ ჩვენთან, თბილისში, ეს იმხელა ფული იყო, სადმე გარეუბანში ბინის ყიდვა შეიძლებოდა. აი, ამ ჩემი **პირადი გამოცდილებით ვამბობ, რომ ჩხატარაშვილს ფული მისცეს. სხვა ახსნა, კიდევ ვიმეორებ, შეუძლებელია ჰქონდეს მსგავს სისულელეს.**

**— როგორც ვიცი, სომხურ სამეცნიერო წრეებთან თქვენ ადრე სერიოზული დაპირისპირება გქონდათ. კონკრეტულად რა იყო ამის მიზეზი?**

— ერთ მაგალითს გეტყვით. 1997 წელს ვიყავი ერევანში და ისე ცუდად მომექცნენ, იმის მერე იქით აღარ გამიხედავს. კერძოდ, ერევნის საჯარო ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი რაღაც საკითხზე და, როცა მოვითხოვე ჩემ მიერ გამოწერილი სომხური წიგნები, აღარ მომცეს. ბიბლიოთეკარს ვკითხე, რაშია საქმე-მეთქი, — არაფერი ვიციო. მერე ავდექი და მივედი დირექტორთან. ის კაცი მეუბნება: პარუელ მურადიანმა (ერთი ჯავახეთელი სომეხი ქართველოლოგი იყო, რომელიც შარშან გარდაიცვალა) თქვენზე მითხრა, რომ ანტისომხურ საქმეს აკეთებთ. ვეღარ მოვითმინე და ვუთხარი, რაც მაგ მურადიანს ანტიქართული საქმე უკეთებია, ჯერ იმის მეათედი ანტისომხური არ მაქვს გაკეთებული-მეთქი. საუბრის ბოლოს დამემუქრა, შენ აქ, მარტო ერევანში კი არა, თბილისში რომ ჩახვალ, იქაც ცუდად წაგივა საქმეო. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, არც მანამდე მქონდა ნორმალური სამუშაო და იმის მერე სულ მავიწროებდნენ. აგერ, 2006 წლიდან საერთოდ უმუშევარი დამტოვეს.

**— გინდათ თქვათ, რომ სომხური ლობი გავიწროებდათ საქართველოში?**

— რა თქმა უნდა, მათ ხომ უამრავ ქვეყანაში ჰყავთ ლობი. მეტიც, მე მებრძოდნენ არა მარტო ისინი, არამედ ზოგიერთი ქართული სამეცნიერო წრეც, კერძოდ, გიული ალასანიას ტაშის დამკვრელები. ამ ტაშის დამკვრელებში ვგულისხმობ მის თაყვანისმცემლებს, მათ შორის კაცებსაც, რომლებიც მას არასდროს აკლდა. ერთი სიტყვით, **სომხური წრეები, როგორც სამეცნიერო, ისე პოლიტიკური, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ საქართველოში ქართული არმენოლოგია ჩაკლან, რომ აქ არ იყოს არანაირი კვლევები და დავიწყებას მიეცეს ისტორია.**

**— თქვენი აზრით, რასაც სომეხი მეცნიერები წერენ საქართველოზე, რამდენად შეიძლება, განვიხილოთ ერევნის სახელმწიფო პოლიტიკის წინააღმდეგ?**

— პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ **სომეხი მათი მეცნიერები, რომელთაც რაიმე წონა აქვთ და ჭკუა ეკითხებათ, იქ მჭიდროდ თანამშრომლობენ თავიანთ პოლიტიკურ ელიტასთან. სომხური ეკლესიაც ანტიქართულ სამეცნიერო ნაშრომებს აფინანსებს და ყველა ესენი ერთად არიან. ეჩმიაძინს, რომელსაც, ცნობისთვის, სომხურად ეჯმიაძინ ჰქვია, განსაკუთრებული წვლილი შეაქვს ამაში.**

**— როგორ ფიქრობთ, რა არის დღეს ამ ყველაფრის საბოლოო მიზანი?**

— გავიხსენოთ ჩვენი უახლესი ისტორია; კერძოდ, 1918 წლის დეკემბერში რაც მოხდა. თქვენ იცით, რომ სომხეთის დაშნაკურმა ხელისუფლებამ დაიწყო ომი საქართველოს წინააღმდეგ და სცადა, ფაქტობრივად, ქვეყნის სრული ოკუპაცია. შემდეგ საქმეში ჩაერივნენ ინგლისი და საფრანგეთი და უკვე 1919 წლის დამდეგს დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ქართველების სისხლით მორწყული მიწა-წყალი, კონკრეტულად ლორე-ტაშირის მონაკვეთი გამოცხადდა ნეიტრალურ ზონად. მერე მოხდა ისე, რომ 1921 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა და ეს ტერიტორია ოფიციალურად შევიდა სომხეთის შემადგენლობაში. ახლა ამას რატომ ვახსენებ: მიზანზე მკითხეთ და **დღეს სომეხი ვაიმეცნიერები გიჟდებიან, როდესაც ვამბობ, რომ ლორე-ტაშირი არის ქართული მიწა.** აი, რა მიზანი ამოძრავებთ მათ, რაც შეეხება ჯავახეთს, ეს კიდევ ცალკე პრობლემაა და ამაზე შეგვიძლია მომავალში ვრცლად ვილაპარაკოთ...

**— რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ანაკლიის სანაპირო ზოლი სომეხმა ინვესტორებმა შეისყიდეს. სოციალურ ქსელებსა თუ ფორუმებში მოქალაქეები გამოთქვამენ მოსაზრებებს, რომ ეს არის იმ სომხური გეგმის, ექსპანსიის ნაწილი, რომლის საბოლოო მიზანი ზღვაზე გასასვლელის მოპოვებაა. თქვენ რას ფიქრობთ?**

— სულ შორიდან დავიწყებ. ბევრი ქართველი დღეს ამბობს, რომ თურმე ჩვენ მადლობა უნდა ვუთხრათ ბიძინა ივანიშვილს სააკაშვილის მოშორებისთვის. ასე რომ მივყვეთ, მაშინ თვითონ სააკაშვილსაც, რომლის ნამდვილი გვარია ტერ სააკიანცი, ასევე მადლობა უნდა ვუთხრათ შევარდნაძის გასტუმრებისთვის. მე რის თქმა მინდა: **ასეთი ბრმა მადლიერება არ შეიძლება, თუ ეს ივანიშვილი უკეთესი არ გამოდგა ტერ სააკიანცზე, მადლობას ვერ ვეტყვით, იმიტომ, რომ გამოთქმისა არ იყოს, გინდა მგელს შევუჭამივარ და გინდა მგლისფერ ტურას.** ახლა რაც შეეხება ანაკლიის გასხვისებას: არ ვიცი, იქ რა პირობებია ჩადებული და რა ხელშეკრულებაა, მაგრამ პირდაპირ ვამბობ: **დღევანდელ ვითარებაში, როცა ქვეყანა ისედაც დაქუცმაცებულია, როცა ამდენი ადამიანია უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ, კიდევ მიწების გაყიდვა უცხოელებზე ღალატის ტოლფასია. ბიძინა ივანიშვილი არის ჩვენი დროის მეჯღანუაშვილი და ასევე მეჯღანუაშვილებია მთელი მისი გუნდი.**

## «დღევანდელ ვითარებაში ანაკლიის გასხვისება უცხოელებზე ქვეყნის ღალატის ტოლფასია»

**— ე. ი. ეს ხელისუფლებაც, წინამორბედის მსგავსად, არაფერს აკეთებს ანტიქარულად განწყობილი სომხური წრეების საპასუხოდ?**

— აბსოლუტურად არაფერს. სამწუხაროდ, დღეს ქართული ეროვნული იდეოლოგია ჩამკვდარია. ის არსებობდა თავის დროზე ილიასა და აკაკის, შემდეგ კი მერაბისა და ზვიადის წყალობით. იმის მერე ყველაფერი უკუღმა წავიდა, ერის აზროვნება შეიცვალა და აი, ახლა სად ვართ... ამას წინათ ერთ ქალბატონთან საუბარში ვახსენე ეს ჩვენი ეროვნული გმირები და მეუბნება: კარგით რა, ახლა ეგენი ვიღას ახსოვსო. გული მომიკვდა. ესაა ჩვენი რეალობა, აქამდე დავედით...

**— რა უნდა გაკეთდეს ეროვნული იდეოლოგიის ასაღორძინებლად?**

— **XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ეზოპეს ენით წერდნენ, იმიტომ, რომ მეფის ცენზურა იყო. დღეს კი სხვა რეალობაა და ვფიქრობ, მათ მიერ დამუშავებულ ეროვნულ იდეოლოგიას გამომზეურება სჭირდება. ამის აუცილებლობა უკვე დღესავით ნათელია, მაგრამ არაფერი მსგავსი არ ხდება.**

**— სამეცნიერო წრეები რამდენად აქტიურია ამ მხრივ? იქნებ რაიმე იდეის მიწოდება სჭირდება ხელისუფლებას?**

— ყველას სახელით ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ისევ პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე მოგიყვებით ერთ ამბავს. დიდი ხანია, უმუშევარი ვარ და ხელისუფლება რომ შეიცვალა, ვიფიქრე, რაღაც შესაძლებლობები გაჩნდა-მეთქი. მივედი „ქართული ოცნების“ ოფისში და, მათი რჩევით, განცხადებით მივმართე დასაქმების სამინისტროს. თავის მხრივ, ამ უწყების წარმომადგენლებმა ეს განცხადება განათლების სამინისტროს გადაუგზავნეს. მოგვიანებით კი მომივიდა პასუხი დავით ზურაბიშვილის ხელმოწერით: თქვენისთანა იმდენია, რომელ ერთს გავწვდეთო. ისე ცუდად იმოქმედა ამან, გახსენებაც არ მინდა. არადა, განცხადებაში დასაბუთებული მქონდა, რომ პოლიტიკური ნიშნით ვიყავი შევიწროებული.

ცხადია, ამით არ დავკმაყოფილდი და დავწერე მეორე განცხადება, უკვე ივანიშვილის სახელზე. იქ ვამბობდი, რომ, სამწუხაროდ, დღეს, გარკვეული მიზეზების გამო, ქართული ეროვნული სულისკვეთება ძალზე შესუსტებულია, რაც ჩვენისთანა რთულ მდგომარეობაში მყოფი ერისთვის დამღუპველია. იქვე დავძინე, მე შემიძლია ისეთი წიგნის დაწერა, რომელიც ამ პრობლემის მოგვარებას სასიკეთოდ წაადგება-მეთქი. ეს განცხადება მთავრობის კანცელარიაში რომ დეკემბერში შევიტანე, დღემდე პასუხი არ მაღირსეს. მერე ერთხანს ვრეკავდი იმ იმედით, რომ ყურადღებას მომაქცევდნენ, მაგრამ არც არაფერი. ბოლოს მითხრეს, თქვენ ხომ გაგცეს ერთხელ პასუხი, მეტი რაღა გინდათო. მოკლედ, მომიშორეს. ამ მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ **დღევანდელი ჩვენი ხელისუფლებაც ისევე არის ანტიქართული, ანტიეროვნული, როგორც თავის დროზე შევარდნაძის და შემდეგ სააკაშვილის, იგივე სააკიანცის ხელისუფლება იყო. ესენი, პრაქტიკულად, იმეორებენ იმას, რასაც აკეთებდა „ნაციონალური მოძრაობა“ და ემორჩილებიან იმავე ძალებს, რომლებიც ამ ცხრაწლიან რეჟიმს მართავდნენ...**

ახლა რა შეიძლება გაკეთდეს კონკრეტულად ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად, ძნელი სათქმელია, ერთი რამ კი ცხადია, ქართველ ხალხს, უპირველესად, სჭირდება ერთსულოვნება და სოლიდარობა. ამის გარეშე ჩვენ ვერაფრისგან დაცული ვერ ვიქნებით, ვერაფერს შევქმნით სამომავლოდ წინსვლისა და განვითარებისთვის...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შე კაცო, დიღომში, პოლიციის სამმართველოსთან ცხვირი რომ ღორის დინგს დაგიმსგავსეს, ეს ფაქტი თუ არ გყოფნის, ის მაინც გაიხსენე, იმ პარლამენტმა, რომელშიც თავად ზიხარ, სამასამდე პოლიტპატიმარი და პოლიტდევნილი აღიარა და ვინ არის ამ უკანონო განაჩენების მამამთავარი, თუ არა კუბლაშვილი?**

# უმი ბადრიჯნები

**პრემიერმინისტრის ბოლო პრესკონფერენცია, მოკლედ რომ შევაფასოთ, სრული კატასტროფა, გაუგებრობა იყო! თუმცა ივანიშვლის პოლიტიკიდან წასვლა-არწასვლის საკითხი, რაც ბოლო დროს გვირილის ფურცლებზე მკითხაობას დაემსგავსა, საბოლოოდ გაირკვა — პრემიერმინისტრი ახალ წლამდე უეჭველად დატოვებს თანამდებობას; როგორც თავად განმარტა, უფრო საჭირო, არასამთავრობო სექტორში გადავა და იქიდან იზრუნებს „დაბალი პოლიტიკური კულტურის“ მქონე ქართველი საზოგადოების აღზრდაზე.**



მაშ, რა შუაშია ბადრიჯანი და „ჰამაც“ უმი? რა ვქნა, ჩემო მკითხველო, პიტალო ბადრიჯანს ხომ არ დავწერდი ეს დროული კაცი, მინიშნება სათაურიდანვე გასაგები რომ ყოფილიყო?! ჰოდა, დანარჩენი თქვენი მიხვედრილობის იმედად იყოს. **მოკლედ, ბიძინა მიდის და ქვეყანას პარლამენტში მის მიერვე ქეჩოთი შეთრეული უმი ბადრიჯნების ხელში ტოვებს?!**

თანაც რამდენი არიან, კაცოო! რომ ჩაშუშ-ჩაააჯაფსანდალო, ვინძლო შიმშილის პრობლემა მოგვარდეს საქართველოში!

მთავარი ბადრიჯნით, ფილოსოფოსი პრეზიდენტობის კანდიდატით, დავიწყოთ: კაცი იმას რომ იტყვის, პლასტელინი ვარო, თანაც ქსოვა მიტაცებსო, რაზეა საუბარი? **შე კაცო, თუ პლასტელინი ხარ (ადრე ვაზელინი უფრო იყო „ხოდში“), ანუ ყველა ნაპრალს უპირებ ამოვსებას და თანაც „დიაცსა ქსლისა მბეჭველსა“ პროფესიისკენ გაგირბის თვალი, რა გინდა, რას გვემართლები? პლასტელინი და „ტკაჩი“ პრეზიდენტი (მთავარსარდალი) უნდა ტერიტორიებდაკარგულ საქართველოს?**

მაგრამ რას იზამ! ასეთია ნება „უზენაესისა“. ბიძინამ, გიორგი მარგველაშვილს თუ არ აირჩევთ, ხომ მაინც მივდივარ და მივდივარ, გაგებუტებით და ისე წავალო!

ზაქარია ქუცნაშვილი? ამას წინათ, „ფეისბუქში“ ვიღაცამ ენამოსწრებულად იანგლა — „მაგის პარიკმახერი სამსახურებრივი უფლებების ბოროტად გამოყენებისთვის დასაჭერიაო!“, ასემც უქნია, „ნანეტი“ გაუკეთებია, მაგრამ ეს ბადრიჯანი ორ-ორი ჯიპით რომ დაქრის აღმა-დაღმა, არც ეგ იცის ბიძინა ივანიშვილმა? ეეე, ზაქროოო, შე მართლა ზაქრო! ვინა ხარ ამისთანა, რომ დაცვის ესკორტი დაგყვება, „ნამუს ვაფშემც ჩკაა, ტო?“.

გადეპუტატების შემდეგ ვინა გგონიათ თავი არა მარტო ზაქროს, საერთოდ ბადრიჯნის პლანტაციად ქცეულ პარლამენტში დეპუტატების აბსოლუტურ უმრავლესობას, დაბურულმინებიანი ჯიპებიდან რომ ვერაფერს ამჩნევთ? „ნაცებივით“ პრემიებს აღარ ვიღებთო და ხელფასები კი გაიორმაგეთ, რაა, როგორც იტყვიან, ბნელა მთვარიან ღამეში? ტელეფონს მაინც უპასუხეთ, თქვე პიტალო ბადრიჯნებო, თქვენა!

ან ზაქროს მამა, რომლის „უკანონო პატიმრობით“ თავი წაგვჭამა წინასაარჩევნოდ მისმა შვილმა, რა არის, რა ხდება, რომ ყოფილი „პოლიტპატიმარი“ ქუცნაშვილ I ციხიდან ხეირიანად გამოსულიც არ არის, რომ საყდრისის საჩოთირო თემაში გამოჩნდა — ეე, ზაქრო, როგორც ქიზიყში იციან, „რაებს მიაცვ-მააცვამთ“, მამა-შვილი?

**დავით საგანელიძე — აბა, უმი და თანაც ნამყენი ბადრიჯანი ეგ არის, აი! უმრავლესობის ლიდერი, რომელიც ირაკლი მელაშვილისა და მალხაზ მჭედლიშვილის ხელით უხეშად ერევა ადგილობრივ თვითმმართველობებში „ნაცების“, დიახ, არ შემშლია, „ნაცების“ სასარგებლოდ! ამ ბადრიჯნების სინდისზეა ბოლნისის მოვლენები!**

ამას წინათ დაიჩივლა საგანელიძემ — **ჩემი დისკრედიტაცია მარგველაშვილის დისკრედიტაციაა და ამიტომაც მებრძვიანო!** — ეხ, საგანელიძე, საგანელიძე, პლასტელინს რაღა დისკრედიტაცია უნდა და მით უმეტეს შენ კიდევ დისკრედიტაცია გინდა? გეტყობა, კარგად იცი ჟოზეფ ფუშეს შეგონება: **„შესაფერის დროს ღალატი მომავლის განჭვრეტაა და არა ღალატი“.** გეტყობა, როგორც ნამყენმა ბადრიჯანმა, დროზე განჭვრიტე და „ახლებიდან“ ბიძინას ნავში ცვითე თავი! მაგრამ ძველ სამეგობროს უღალატე როო? „ახლების“ შემოგდებულს უფრო ჰგავხარ „ქართულ ოცნებაში“, ვიდრე „ახალი მემარჯვენეების“, გნებავთ, ძველი თითლიბაზების მოღალატეს!

**ახლა რომ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ისვრიან საკუთარ „უმწიკვლო“ წარსულზე, „ახლები“ და საგანელიძე არ იყვნენ, რომ ჯერ შევარდნაძეს ეკურკურებოდნენ და შემდეგ მიშას „ნავში“ იყვნენ შეყუჟულები? ვინ, თუ არა „ახლებმა“, გაუპრავეს მიშას აგვისტოს ომი იდიოტური მორატორიუმით?**

დღეს კი პირადად საგანელიძემ გააიმპიჩმენტებინა ბოლნისის საკრებულოს თავმჯდომარე მალხაზ ერაძე, რომლის დანაშაული ის იყო, რომ თავის მხრივ ბოლნისის ოდიოზი გამგებელი ფალავანდიშვილი გაათავისუფლა თანამდებობიდან და, როგორ თუ პარტიას არ მკითხეთო, პოლიტსაბჭოზე ტყავი გააძრეს მალხაზ ერაძეს — თვითმმართველობა მომინდომეთ ახლა, როცა მინდა, მაშინ დაგიშლი უმრავლესობასო. აკი დაუშალა კიდეც და ახალმა „ნაცუმრავლესობამ“, თავისი ჭკუით (რადგან საქმე სასამართლოშია), გააიმპიჩმენტა მოსახლეობის მხარდაჭერით ცნობილი მალხაზ ერაძე — **სხვათა შორის, ბოლნისის საკრებულოს უპარტიო მაჟორიტარი დეპუტატი, რომელმაც მარტომ, მოსახლეობის მასიური მხარდაჭერით დაამარცხა „ნაცების“ კანდიდატი „ნაცებისავე“ ზეობის ჟამს!**

ბოლნისის საქმით ე.წ. უწყებათაშორისი კომისია და არასამთავრობოები დაინტერესდნენ და იქნებ ბოლნისში მაინც ჭამოს სამართალმა პური?

ამ „თავისუფალმა დემოკრატმა“ ზურაბ აბაშიძემ ხომ საერთოდ... ჯერ სახეს დააკვირდით, როცა რამე კომენტარს აკეთებს, როგორი დიდაქტიკური გამომეტყველება უჭირავს... **იმ კომენტარით კი, რომელიც მან კოტე კუბლაშვილის გადადგომის მოთხოვნით გამართული აქციის შესახებ გააკეთა, თავად ჩაიყენა თავი უმი ბადრიჯნების რიგში — ფაქტები მოგვაწოდეთ, თორემ მხოლოდ ემოციებით კუბლაშვილის იმპიჩმენტს ვერ დავიწყებთო!**

შე კაცო, დიღომში, პოლიციის სამმართველოსთან ცხვირი რომ ღორის დინგს დაგიმსგავსეს, ეს ფაქტი თუ არ გყოფნის, ის მაინც გაიხსენე, იმ პარლამენტმა, რომელშიც თავად ზიხარ, სამასამდე პოლიტპატიმარი და პოლიტდევნილი აღიარა და ვინ არის ამ უკანონო განაჩენების მამამთავარი, თუ არა კუბლაშვილი?

ან კუბლაშვილის სასამართლომ არ „გასროკა“ საქართველოს 300 ათასზე მეტი მოქალაქე, რაც, იმპიჩმენტისთვის კი არა, პუტინი მიშას რომ ემუქრებოდა, კუბლაშვილის „იმითი“ ჩამოსაკიდებლადაც კმარა! მაგრამ რას იზამ! ეტყობა, პოტომაკის ნაპირებზე მაგრად არიან დადაღულები და ამერიკული ნალებით დაჭედილები...

**დავით უსუფაშვილი, თინა ხიდაშელი, პაატა ზაქარეიშვილი, სოზარ სუბარი, ძმები ბერძენიშვილები და რა ვიცი კიდევ... უმი ბადრიჯნების სახელი ლეგიონია!**

**ჰოდა, ამ ლეგიონის ამარა უნდა დაგვტოვოს ბიძინა ივანიშვილმა?**

არა, ბატონო ბიძინა, საბედისწერო შეცდომას დაუშვებთ. როგორც კი წახვალთ, არჩევნებით იქნება თუ სხვა გზით, „პოლიტიკურად უმწიფარი ქართველი ერი“ უკან მოგაყოლებთ უმი ბადრიჯნების ლეგიონს, ასე წარბშეუხრელად რომ დაგვასვით თავზე... და ეს — მიუხედავად იმისა, რომ გვჯერა საპრეზიდენტო პლასტელინი კანდიდატის დაპირებისა, რომ არჩევნების შემდეგ კოჰაბიტაცია „ნაცებთან“ დამთავრდება!

დიახ, გვჯერა, მაგრამ, როგორც პოლიტიკურად გაუნათლებელ ბოგანო ხალხს, ჩვენებურად გვჯერა...

კოჰაბიტაცია, არაპოლიტიკური კონტექსტით, ნაჩხუბარი ცოლ-ქმრის მშვიდობიან თანაცხოვრებას ნიშნავს. ჰოდა, „ნაცები“ და „ოცნების“ სახელითა და თქვენი ხელშეწყობით ხელისუფლებაში მოსული უმი ბადრიჯნები ხომ იდეოლოგიურად ერთნი არიან, ანუ პოლიტიკურად ერთსქესიანები — ერთი ნეოლიბერალური ტალახისგან არიან მოზელილები. ჰოდა, არჩევნების შემდეგ დამთავრდება ეს გაუგებრობა (გასაყოფი რა აქვთ? იდეოლოგიურად, თორემ გასაყოფ-გასანაწილებელი მთელი ქვეყანა აქვთ) და კოჰაბიტაციაც დასრულდება გრანდიოზული ერთსქესიანი ქორწინებით, დიდი ქორწილის ტაშფანდურისა და ხვევნაპროშნის თანხლებით, რის გამოც ამერიკელები ჩათვლის წიგნაკში „გალოჩკას“ ჩაგვიწერენ...

რაც შეეხება იმას, თუ ვინ იქნება ცოლი და ვინ ქმარი, ანუ დედალ-მამალი, ამ დავასაც შეყვარებულ წყვილს ამერიკის საელჩო გადაუწყვეტს და, როგორც იტყვიან, ნაცქოცების პოლიტიკური ტანდემი „ჰგიებს უკუნისამდე“. ამინ კი არა, ფუი ეშმაკს, ჰკა მაგათ!!!

**ბიძინა მიდის და ქვეყანას პარლამენტში მის მიერვე ქეჩოთი შეთრეული უმი ბადრიჯნების ხელში ტოვებს?!**

**დათო მხეიძე**

## დავით ბაქრაძის საარჩევნო შტაბს ალექსანდრე კვიტაშვილი უხელმძღვანელებს

**„ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატის, დავით ბაქრაძის, საარჩევნო შტაბს თსუ-ს ყოფილი რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი უხელმძღვანელებს. ალექსანდრე კვიტაშვილი, როგორც საარჩევნო შტაბის უფროსი, ბაქრაძემ დღეს წარადგინა.**

„ჩემი და ჩემი გუნდის სურვილი იყო, საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი ყოფილიყო ადამიანი, რომელიც საზოგადოებაში იქნებოდა ცნობილი თავისი რეპუტაციით, წესიერებით, კომპეტენტურობით, ცოდნით; არ იქნებოდა დაკავშირებული სკანდალებთან, არეულობასთან და საზოგადოების დაპირისპირებასთან. გვინდოდა, რომ მისაღები ფიგურა ყოფილიყო იმ ადამიანებისთვისაც კი, რომლებიც მას არ ეთანხმებიან. ეს ადამიანი არის სანდრო კვიტაშვილი, რომელიც იქნება ჩემი საარჩევნო კამპანიის შტაბის უფროსი“, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

თავად კვიტაშვილი იმედოვნებს, რომ ბაქრაძის საარჩევნო კამპანიაში საკუთარ წვლილს შეიტანს. **„დავით ბაქრაძე გამოცდილი პოლიტიკოსია. მან დაამტკიცა, რომ შეუძლია, ნებისმიერი კატეგორიის პოლიტიკოსთან გამონახოს საერთო ენა და, რაც მთავარია, იყოს მომავალში საქართველოს ევროატლანტიკური მიმართულების შენარჩუნების გარანტი. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემს წვლილს შევიტან მის საარჩევნო კამპანიაში“,** — აღნიშნა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

**„ჩემო ქართველო საზოგადოებავ, ახლა თქვენზეა დამოკიდებული, „ნაციონალები“ რამდენ ხმას მიიღებენ; სწორედ ახლა დაამტკიცებთ, გჭირდებათ თუ არა ეს პარტია. თუ ესენი ბოლო ადგილზე გავლენ, ეს იქნება ქართველი ხალხის გამარჯვება.“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, რეჟისორი და მსახიობი სოსო ჯაჭვლიანი.

## სოსო ჯაჭვლიანი:

# თავს ზემოთ ძალა არ არის

**«ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი, ჩემი შვილიც რომ იყოს, უნდა დაისაჯოს. 27 ოქტომბერს დამთავრდება ამათთან ყველაფერი...»**

**— ბატონო სოსო, რამდენიმე დღის წინ თქვენ და თქვენს თანამებრძოლებს ახალი კანონპროექტის დასამტკიცებლად პრეზიდენტის სამი ვეტოს დაძლევა მოგიხდათ. უკვე მეთერთმეტე თვეა, ასეთ რეჟიმში გიწევთ მუშაობა. საზოგადოებას აინტერესებს, როდის დამთავრდება ეს დაპირისპირება, როდის ჩადგება პარლამენტი ნორმალურ სამუშაო რიტმში?**

— ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ უკვე კომიკური ხასიათი მიიღო ამ კაცის მოქმედებამ. როგორც ჩანს, 9 წელი რომ ერთობოდა, ძალიან გაუტკბა და ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს, ახლა რა რეალობაშია. ეს არ არის არც დაპირისპირება და არც რაიმე პოლიტიკური სვლა, ამას მარტო ერთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს: უბრალოდ, **იმდენად დიდი ბოროტება და ზიზღია ამ ადამიანში დაგროვილი საკუთარი ოპონენტების მიმართ, რომ ყველანაირ ღონეს ხმარობს, ყველა უფლებას იყენებს რაღაც ბარიერების შესაქმნელად.** რაც შეეხება თქვენს კითხვას, როდის დამთავრდება ეს წინააღმდეგობრივი პროცესი, ძალიან მოკლედ შემიძლია, გიპასუხოთ: 27 ოქტომბერს მორჩება ამათთან ყველაფერი, ამაზე მარგველაშვილმაც ისაუბრა თავის გამოსვლაში და მეც ამის მჯერა.

**— უფრო გასაგებად განვუმარტოთ საზოგადოებას, — რას ნიშნავს კოაბიტაციის დასრულება. დასავლეთი და განსაკუთრებით ამერიკის პოლიტიკური ელიტა პირდაპირ გვეუბნება, რომ სწორედ კოაბიტაციაზეა დამოკიდებული ჩვენი მომავალი დემოკრატიული განვითარება.**

— დასავლეთში გაკეთებული განცხადებები, რა თქმა უნდა, საყურადღებოა, მოგწონს თუ არ მოგწონს, ამის იგნორირება შეუძლებელია, მაგრამ ჩემთვის, ამ შემთხვევაში, ბევრად მნიშვნელოვანია, აქ რა ხდება; ხალხი რას ფიქრობს და რითაა უკმაყოფილო ან კმაყოფილი. კოაბიტაციის დასასრული იმას ნიშნავს, რომ ერთხელ და სამუდამოდ ყველას მიეჩინება თავისი ადგილი. დამთავრდება ეს რაღაც გაურკვევლობა და გამოჩნდება, ვინ მტყუანი იყო, ვინ — მართალი, ვინ დააშავა, ვინ — არა.

**— თვითონ პრემიერი კოაბიტაციის მომხრეა, მან ამას წინათ განაცხადა, რომ „ნაცმოძრაობაშიც“ არიან ღირსეული ადამიანები და მათ შანსი უნდა მივცეთ.**

— თქვენ იცით, რომ მე მათთან კოაბიტაციაში არასდროს ვყოფილვარ და არც ვიქნები. ეს გამორიცხულია, იმიტომ, რომ დამნაშავეებთან პირის შეკვრა არ შეიძლება. საერთოდ, ამ სიტყვის — „კოაბიტაციის“ მოსმენითაც დაიღალა უკვე ხალხი, ამიტომ მოდი გასაგებ ენაზე ველაპარაკოთ ადამიანებს: **ჩემი შვილიც რომ იყოს და დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი, არ უნდა ეპატიოს. სხვანაირად საზოგადოებას არ ექნება რწმენა და ვერ შედგება სახელმწიფო, ეს ცალსახად ასეა.**

**— პირდაპირ გკითხავთ, რამდენად კმაყოფილი ხართ მიმდინარე სამართლებრივი პროცესით?**

— პირდაპირ გიპასუხებთ: კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ მედალს ორი მხარე აქვს, უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორია; ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, **ძალიან ბევრი საქმეა პროკურატურაში ერთბაშად შესული. ყველას უნდა თავის საქმეზე სიმართლის გარკვევა და დამნაშავის დასჯა. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, უჭირთ საგამოძიებო სტრუქტურებს მუშაობა, ეს წმინდა ადამიანური მომენტია. ვიცი, ამის ახსნა უსამართლობით გამწარებული ადამიანებისთვის ძალიან ძნელია, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს.** თავს ზემოთ ძალა არაა, რას ვიზამთ, პროცესები თავისას ითხოვს...

**— ერთია, რომ პროკურატურას ძალიან ბევრი საქმე აქვს ერთბაშად გამოსაძიებელი, მაგრამ მტკიცებულებებიც საკმარისადაა. ჯერ, ფაქტობრივად, არც ერთი პროცესი არ დასრულებულა. ამის ფონზე არ არის სამართლიანი საზოგადოების უკმაყოფილება?**

— მე ამას, უკმაყოფილებას კი არა, საზოგადოების კონტროლს დავარქმევდი. ეს ნებისმიერ შემთხვევაში კარგია. წინა ხელისუფლება სწორედ ამ კონტროლს იყო მოკლებული და ამიტომ მივედით სრულ კატასტროფამდე. ახლა რაც შეეხება ისევ სამართლიანობის აღდგენას, შემაფერხებელ ფაქტორებზე ვსაუბრობდი და აქ არ შეიძლება, არ ითქვას, რა მდგომარეობაა დღეს სასამართლო სისტემაში. თქვენ იცით, რომ იქ აბსოლუტური უმეტესობა წინა ხელისუფლებისდროინდელი კადრია. მათი ნაწილი დღეს ისევ იმავე ძალების მიერ იმართება, ნაწილი კი „ნაცმოძრაობასთან“ კუდითაა გადაბმული, ძალიანაც რომ უნდოდეს, ობიექტურად ვერ იმოქმედებს. ეს უკვე თავისთავად პრობლემაა. ასე რომ, რა უნდა ქნას პროკურატურამ? გამოძიება დაბორკილი ცხენივითაა, თითქოს წინ მიდის და ამავე დროს უჭირს.

**— რა შეიძლება გაკეთდეს ამის გამოსასწორებლად?**

— დღეს ხომ, ფაქტობრივად, ორხელისუფლებიანობაა საქართველოში?! აი, ამას უნდა დაესვას წერტილი. როგორ, რანაირად, ახლა დეტალურად ნუ ვისაუბრებთ, მაგრამ აგერ მოდის არჩევნები და იქ გადაწყვიტოს თითოეულმა ჩვენგანმა ყველაფერი. ადრეც არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ **ვერ მოვისვენებ, როცა ადამიანი ქონებაწართმეულია; როცა კაცი სამართალს ეძებს და ვერ პოულობს. ჩვენ თუ ასე არ მოვიქცევით, ამ ხელისუფლებაზეც იმავეს იტყვიან, რასაც სააკაშვილის რეჟიმზე ამბობდნენ და ღირსებიც ვიქნებით.** სხვათა შორის, ამას წინათ ერთ-ერთ გაზეთში ჟურნალისტმა დამიწერა, სოსოს ვურეკავ და არ მპასუხობს, ნეტავ, რა იშოვა ასეთიო. იცით, რა ვიშოვე? — ნერვების გლეჯვის მეტი, არაფერი. 100 კაცი ერთად რომ დაგირეკავს, ყველას ერთად ხომ ვერ უპასუხებ?! ბოლოს და ბოლოს, ფიზიკურად ვერ გასწვდები ამდენს...

**— ისევ სამართლიანობის აღდგენის პროცესზე გკითხავთ: ამ ეტაპზე მორატორიუმია გამოცხადებული და, ფაქტობრივად, ყველა საქმეზე შეჩერებულია გამოძიება. როგორ ფიქრობთ, არჩევნების შემდეგ განახლდება ეს ყველაფერი?**

— ეს აუცილებელია. სხვანაირად, უბრალოდ, ვერ წარმომიდგენია ნორმალური, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა. 27 ოქტომბრის შემდეგ უამრავ ცვლილებას ველოდები და ამას ყველა დავინახავთ. ახლა ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, არჩევნებამდე სულ ორი თვე დარჩა.

**— საუბრობენ ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილის შესაძლო გათავისუფლებაზეც...**

— ამას ვერც ხელისუფლება გადაწყვეტს, ვერც ოპოზიცია და ერთმნიშვნელოვნად ვერც სასამართლო, ამას გადაწყვეტს სამართალი და ქართველი ხალხი. ის, რომ ბიძინა ივანიშვილი თავის გამოსვლებში ხშირად იმეორებს ტერმინს **პოლიტიკური თანაცხოვრება**, ცალსახა დასკვნების გამოტანის უფლებას არავის აძლევს. მესმის, რომ რეჟიმის მიერ დაზარალებული ადამიანებისთვის ძნელია ამის ახსნა, მაგრამ მინდა, ყველას ვთხოვო, არასწორად ნუ გაიგებენ გამონათქვამებს.

**— ფაქტია, რომ ხელისუფლების შეცვლიდან თერთმეტი თვის თავზე საზოგადოებაში უკმაყოფილება იზრდება.**

— ჩემთვის ეს გასაგებია, ხალხი იმდენად იყო გამწარებული და სიმართლეს მოწყურებული, რომ ახლა ყველაფერს მინიმალურ დროში ითხოვს. მეორე მხრივ, არის ის რეალობა, რომელზეც დასაწყისში ვისაუბრე, — წინა ხელისუფლების დროინდელი მოსამართლეები, გუბერნატორები, გამგებლები და ა.შ. ამის მიუხედავად, კიდევ ვიმეორებ, **სამართლის აღსრულებას წინ არაფერი უდგას. ვისაც კონკრეტული დანაშაული აქვს ჩადენილი, იმასთან როგორ შეიძლება კოაბიტაციაში შეხვიდე?!**

**— ამ ლოგიკით მთლიანად „ნაცმოძრაობასთან“ არ შეიძლება კოაბიტაცია.**

— თქვენ თუ ჩემი სუბიექტური შეხედულება გაინტერესებთ, რა თქმა უნდა, არანაირი სურვილი არ მაქვს ამათთან რაიმე თანამშრომლობის, მაგრამ ეს ყველაფერი, რასაც სამართლიანობის აღდგენა ჰქვია, არა ჩემი და ვიღაც სხვისი მოსაზრებებით, არამედ კანონის კარნახით უნდა გაკეთდეს. ვიმეორებ, თუნდაც **ერთი დამნაშავე თუ დარჩა დაუსჯელი, შენ თუ ეს პრეცენდენტი დაუშვი, დემოკრატია კი არა, აქ იქნება ისეთი ამბავი, ძაღლი პატრონს ვერ იცნობს.** ამისთვის გვჭირდება ჩვენ სასამართლო და ნორმალური ხალხი იმ სისტემაში, თორემ პიროვნულად რომ არავის ინტერესი არ აქვს, ყველა ხვდება.

**— რაც შეეხება ფარული ჩანაწერების ფაილებს, რომლებიც წინა კვირას განადგურდა, თქვენი აზრით, რამდენად სწორი იყო ეს გადაწყვეტილება?**

— როცა საკითხი დაისვა, რა უნდა ექნათ ფაილებისთვის, მაშინვე ვთქვი, რომ ამის განადგურება არ იქნება სწორი-მეთქი. პირიქით, **ყველა ადამიანს, რომელთაც ეს ჩანაწერები ეხებათ, უნდა ვუშველოთ. იცით, რატომ? იმიტომ, რომ იმ გათახსირებულმა ხალხმა, რომლებმაც კადრები გადაიღეს, არ დააშანტაჟონ ისინი და რამე უბედურება არ ჩაიდინონ. ვფიქრობ, დღეს ამის რეალური საფრთხე არსებობს, დაცული არავინაა.**

**— მაინც რა შეიძლება ამ ადამიანებს გააკეთებინონ, როგორ ფიქრობთ?**

— ქართული მენტალიტეტი, ყველამ ვიცით, რაცაა, — როცა დაგემუქრებიან ისეთი რამით, რაც შენს ცხოვრებას აზრს დაუკარგავს, ყველაფერზე წახვალ. შეიძლება ახლობელიც მოგაკვლევინონ ან სახელმწიფოსთვის ძალიან საზიანო რაღაც გაგაკეთებინონ.

**— ფიქრობთ, რომ ვინმეს შეიძლება დღესაც ჰქონდეს მსგავსი ფაილები?**

— გამორიცხულია? როგორც ამბობენ, იქ უამრავი კადრი იყო — გვერდიდან, მარჯვნიდან, ზემოდან, ქვემოდან... ხომ შეიძლება, ვიღაც კიდევ ინახავდეს? ახლა წარმოიდგინეთ: იმ ადამიანს, რომელსაც გადაუღეს ეს ფირები, ურეკავს ვიღაც თახსირი და ეუბნება: გააკეთე, რასაც გეუბნები, თორემ ასე და ასეო. ვინ დაიცავს მას? რაც უნდათ, იმას ჩაადენინებენ, თან ისე, რომ ჩვენ ვერც გავიგებთ ვერაფერს.

**— დასასრულ, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზეც გკითხავთ. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს მის დანიშვნას მოითხოვს, თქვენი აზრით, რამდენად სამართლიანია ეს მოთხოვნა?**

— გახსოვთ, ალბათ, თავის დროზე პარლამენტში ვთქვი, — ბედნიერი ვიქნები, თუ ჩატარდება ვადამდელი არჩევნები-მეთქი. დღესაც იმავე აზრზე ვარ, იმიტომ, რომ ის 40 პროცენტი, „ნაციონალებმა“ რომ აიღეს ვითომ, არ არის რეალური.

**— გასაგებია, მაგრამ ვთქვათ პირდაპირ: ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში, „ნაციონალების“ მსგავსად, უმრავლესობაში მყოფი არაერთი სუბიექტი შეიძლება ასევე ვერ მოხვდეს პარლამენტში.**

— გეთანხმებით, გამორიცხული არაფერია, მაგრამ ჩემთვის პარლამენტარობა არაფერს ნიშნავს. თუკი რამე პოზიტიური გამაჩნია და საზოგადოებისთვის რამეს წარმოვადგენ, ეს მანამდეც მქონდა. ამიტომ, ვიქნები უმრავლესობაში თუ არა, არაფერს შეცვლის. პირიქით, ხომ იცით, ჩვენთან როგორაა? — ადამიანს საგინებელს რომ ვერაფერს გიპოვიან, აუცილებლად დეპუტატად უნდა აგირჩიონ, რათა მერე ცუდი თქვან შენზე. ესაა ჩვენი რეალობა, რომელსაც ვერ გაექცევი ვერც ერთ შემთხვევაში. ასე რომ, **საზოგადოების მოთხოვნა თუა, რატომაც არა, ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები, ხალხმა განსაზღვროს, ვისი ადგილია იქ და ვისი არა.**

**— წინა კვირას ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ გიორგი მარგველაშვილის გამარჯვებაში დარწმუნებულია. ამ უკანასკნელის უალტერნატივობაზე მან ადრეც რამდენიმეჯერ ისაუბრა თავის გამოსვლებში. თქვენ რას ფიქრობთ?**

— არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო. მარგველაშვილი „ქართული ოცნების“ კანდიდატია და ამით ბევრი რამაა ნათქვამი. დანარჩენს არჩევნების შედეგი გვიჩვენებს. დაველოდოთ პროცესების განვითარებას.

**— ბევრი თვლის, რომ მეორე ტურის ჩატარება იქნება საჭირო.**

— საბოლოო ჯამში, ჩვენ, ვისაც ეს ქვეყანა მართლა გვიყვარს, ერთ რამეში ვთანხმდებით: ყველაზე დიდი გამარჯვება იქნება ის, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდეს. ამისთვის ვიბრძოდით ცხრა წელი და ვფიქრობ, დღეს არის ამის რეალური შანსი. ამას გამოყენება უნდა, ამიტომ თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ ყველას: ჩემო ქართველო საზოგადოებავ, ახლა თქვენზეა დამოკიდებული, „ნაციონალები“ რამდენ ხმას მიიღებენ; სწორედ ახლა დაამტკიცებთ, გჭირდებათ თუ არა ეს პარტია. თუ ესენი ბოლო ადგილზე გავლენ, ეს იქნება ქართველი ხალხის გამარჯვება.

**— „ნაცმოძრაობის“ კანდიდატს პესიმიზმი არ ეტყობა...**

— ამაზე არჩევნების შემდეგ ვილაპარაკოთ, 27 ოქტომბერს გამოჩნდება, ვის რა პოლიტიკური წონა და მხარდაჭერა აქვს...

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

სტატისტიკის ენით

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პოლიტიკური ზემოქმედებისგან გათავისუფლების საწყის პერიოდში არჩევანის თავისუფლება ეკონომიკური ზრდის შენელებას უწყობს ხელს. ბიზნესს სჭირდება თვითორიენტაცია და საკუთარი თავის დამკვიდრება, ამიტომაც მისი გათავისუფლების შემდეგ მოსალოდნელი იყო და, ფაქტობრივად, მივიღეთ შედეგი, რომელსაც მკაფიოდ გამოხატული რეცესიის ნიშნები აქვს.

# კოაბიტური რეცესია...

## სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში ბიზნესი პრობაციონერის მდგომარეობაში აღმოჩნდა

**2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალის მიერ გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ბიზნესის პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლებისა და ეკონომიკის ლიბერალიზაციისთვის.**

### რა გაკეთდა

1 ოქტომბრამდე არსებულთან შედარებით ჯარიმების ზომა შემცირდა: საგადასახადო დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენისთვის — 4-ჯერ, საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დარღვევისთვის — 2,5-ჯერ, სასაქონლო ზედნადების გარეშე საქმიანობის პირველად გამოვლენისას — 2-ჯერ, საქონლის წარდგენის ან დეკლარირების ვადა ან სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევისთვის მაქსიმალური ზღვარის ზომა — 1/3-ით, ხოლო ყოველ დაგვიანებულ დღეზე — 2-ჯერ; საურავის ოდენობა შემცირდა 0,07%-დან 0,06%-მდე. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების ვადა გაიზარდა ერთიდან სამ წლამდე; მიწაზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო ოდენობა, მთავრობის დადგენილების ნაცვლად, განისაზღვრა კანონით.

მნიშვნელოვანი შეღავათები მიიღო მოსახლეობამ კომუნალური ტარიფების გაიაფებით. საშუალო მომხმარებელზე გაანგარიშებით, **დენის ტარიფი შემცირდა 15,9 პროცენტით, ბუნებრივი გაზის — თითქმის 10 პროცენტით.** ამით მოსახლეობას ერთ წელიწადში დაეზოგება 150 მილიონ ლარზე მეტი. ეს იმ პირობებში, როდესაც, მაგალითად, **საქართველოში მოქმედი დენის ტარიფი შეადგენს საშუალო ევროპულის** (ევროკავშირის 27 ქვეყნის) **მხოლოდ 33 პროცენტს.**

2012 წლის 27 დეკემბერს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებით, 6000 ლარამდე წლიური ხელფასის მქონეთა შემოსავლებიდან 1800 ლარი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან. ყოველთვიურად დაზოგილი თანხა (150 ლარის 20%) ფიზიკურ პირებს ერთიანად დაუბრუნდება მომავალი წლის 1 აპრილიდან. ამ თანხის წლიური მოცულობა გადააჭარბებს 110 მილიონ ლარს.

**2013 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალურ დაცვაზე გაღებული ხარჯების მოცულობა, წინა წელთან შედარებით, თითქმის 14 პროცენტით იზრდება (1848,6 მილიონი ლარი), მაშინ, როცა ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების ზრდა მხოლოდ 4,8 პროცენტითაა გათვალისწინებული. 2013 წლისთვის მთელი საბიუჯეტო ხარჯების 42,4 პროცენტი პირდაპირი სოციალური დანიშნულებისაა (განათლება, ჯანდაცვა, სოციალური დაცვა). ეს კი 8 პროცენტული პუნქტით მეტია, ვიდრე 2009 წელს და 2,4 პროცენტული პუნქტით მეტი, ვიდრე 2012 წელს.**

ბოლო თვეებში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, პირველად დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ადგილი ჰქონდა საგულისხმო მოვლენას: **ფულადი ერთეულის მსყიდველობითუნარიანობა დაბალშემოსავლიან და პენსიონერ მოსახლეობას უფრო მეტად გაეზარდა, ვიდრე მაღალშემოსავლიანებს.**

**2012 წლისთვის 2000 წელთან შედარებით, ოფიციალურმა ინფლაციამ პენსიონერებისთვის 125 პროცენტი შეადგინა, დანარჩენი კატეგორიის მოსახლეობისთვის — მხოლოდ 92 პროცენტი.**

### რაში ჩამოვრჩით

**საქართველოს პოლიტიკურ, სამართლებრივ და სოციალურ სფეროში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებები ჯერჯერობით ადეკვატურად ვერ აისახება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებში.** 2013 წლის პირველ ნახევარში ქვეყნის ეკონომიკის ზრდამ, წინასწარი შეფასებით, მხოლოდ 1,8 პროცენტი შეადგინა, რაც გასული წლის პირველი ნახევრის ზრდის მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად დაბალია (2012 წლის პირველ ნახევარში — 7,4%). უკუსვლა შეინიშნება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გეგმის შესრულებაშიც: **2013 წლის პირველ ნახევარში, წინა წლის პირველ ნახევართან შედარებით, მოგების გადასახადი 55,5 მილიონი ლარით ნაკლები იქნა მობილიზებული, დღგ — 34,4 მილიონით.** ეს იმ პირობებში, როდესაც 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, დაგეგმილია მხოლოდ საგადასახადო შემოსავლების ზრდა 620 მილიონი ლარით, მათ შორის, მოგების გადასახადის — 80 მილიონი ლარით და დამატებული ღირებულების გადასახადის — 332 მილიონი ლარით.



მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა ივლისშიც. უფრო მეტიც, **2013 წლის ივლისში, წინა წლის ივლისთან შედარებით, ბიუჯეტში 0,2 მილიონი ლარით ნაკლები მოგების გადასახადი და 13,4 მილიონი ლარით ნაკლები დამატებული ღირებულების გადასახადი იქნა მობილიზებული.**

ანალოგიური მდგომარეობაა საბანკო-მონეტარულ სფეროში: მიუხედავად ოდნავი გამოცოცხლებისა, **2013 წლის 31 ივლისის მონაცემებით, მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის მოცულობა, ისევე, როგორც სარეზერვო ფული, ჯერაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება წინასაარჩევნო — 2012 წლის 30 სექტემბრის დონეს. ხოლო ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფულის მასა, 2013 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, დაახლოებით 80 მილიონი ლარით ჩამორჩებოდა 2012 წლის სექტემბრის მაჩვენებელს.**

რა ფაქტორებმა განაპირობა აღნიშნული გარემოება?

როგორც ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, გასულ წელს არჩევნებამდე „ნაციონალური მოძრაობის" მოთხოვნით, ბიზნესის მიერ წინსწრების რეჟიმში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილია 1,5 მილიარდი ლარი, ანუ ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მეოთხედი. წინსწრებ რეჟიმში მობილიზებული შარშანდელი გადასახადები წლევანდელი მაჩვენებლების მნიშვნელობას აფერმკრთალებს.

**როგორც წესი, დიდი სისტემური და ინსტიტუციური ცვლილებების, ხელისუფლების შეცვლის, ახალი ორიენტირების, ხედვების, ფასეულობათა სისტემის ცვლილების მომდევნო პერიოდში ადგილი აქვს ეკონომიკური ზრდის საგრძნობ შენელებას და რეცესიას. ასე იყო, მაგალითად, „ვარდების რევოლუციის" შემდეგაც, როდესაც ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 2004 წელს წინა წელთან შედარებით თითქმის განახევრდა.**

2012 წლის ოქტომბრამდე თითქმის ცხრა წლის მანძილზე საქართველოში ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებსა და ობიექტურ ეკონომიკურ კანონებზე მეტად ავტორიტარული მეთოდებით იმართებოდა. ამ პერიოდში **საკუთრების უფლება აბსოლუტურიდან შეფარდებით კატეგორიად იქცა, ხოლო ბიზნესი, მმართველი პოლიტიკური ძალისადმი სავალდებულო პერიოდული ფინანსური მხარდაჭერისა და ლოიალობის მოთხოვნის გამო, ფაქტობრივად, პრობაციონერის მდგომარეობაში აღმოჩნდა ჩაყენებული.**

შეიძლება ვთქვათ, რომ 2012 წლის 1 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დამარცხებით ბიზნესის პრობაციონერობა დასრულდა.

**ხელისუფლების კონტროლისგან გათავისუფლებული ბიზნესი დღეს იმყოფება ერთგვარი დასვენების, თავისი საქმიანობის მასშტაბისა და პროფილის განსაზღვრისა და საქმიანი პარტნიორების შერჩევის არც თუ მარტივ პროცესში.**

პოლიტიკური ზემოქმედებისგან გათავისუფლების საწყის პერიოდში არჩევანის თავისუფლება ეკონომიკური ზრდის შენელებას უწყობს ხელს.

### ეკონომიკის ვარდნის ეროვნული თავისებურებანი

**ეკონომიკური ზრდის შენელების სხვა ობიექტური საფუძვლებიდან აღსანიშნავია ის, რომ ბიზნესსექტორის მთლიანი ბრუნვის 82 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის. მაგრამ მსხვილი ბიზნესი, ერთი-ორი „დისიდენტი" ბიზნესმენის გარდა, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე, როგორც წესი, აფილირებული იყო მმართველ პოლიტიკურ ძალასთან.** შესაბამისად, „ქართული ოცნების" გამარჯვებისა და ქვეყანაში დაწყებული სამართლიანობის აღდგენის, წინა წლებში ჩამორთმეული ქონების დაბრუნების მოთხოვნის პირობებში ლოგიკურია, რომ მსხვილი ბიზნესი ზედმეტი აქტიურობით არ, ან ვერ გამოირჩევა. დღევანდელი მსხვილი ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილი ასეთად „ნაციონალური მოძრაობის" პერიოდში ამ პოლიტიკური ძალის ხელშეწყობით იქცა. შესაბამისად, სამართლიანობის აღდგენის კამპანიას ასეთი ბიზნესის მფლობელები გარკვეულწილად საკუთარი ბიზნესინტერესებისთვის მომეტებული საფრთხის შემცველ გარემოებად მიიჩნევენ.

**გაურკვევლობა საკუთრებისა და ბიზნესის სფეროში ეკონომიკური ზრდის მოკავშირე ნამდვილად არაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეკონომიკის რეცესია მნიშვნელოვანწილად ქვეყანაზე თავსმოხვეული კოაბიტაციის შედეგსაც წარმოადგენს.**

**წვრილი წარმოების წინაშე, ფაქტობრივად, არ დგას ის ზემოხსენებული პრობლემები, რომლებიც ბოლო დროს „ნაციონალურ მოძრაობასთან" სხვადასხვა ფორმით დაკავშირებული მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლების წინაშე იდგა. შედეგად, რაც უფრო მცირე ზომისაა საწარმო, მით უფრო ნაკლები ალბათობით ემუქრება მას რესტიტუციის საფრთხე, გაურკვევლობა, ამიტომ მეტი მოტივაციით და შედეგიანად საქმიანობს** (არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავისი გავლენა მოახდინა უკვე ნახსენებმა საგადასახადო შეღავათებმა და რეპრესიული სანქციების გაუქმებამ). მოგების (11.,5%-ით) და დღგ-ის (2,5%-ით) მოცულობის შემცირება წლეულს იანვარ-ივნისში შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შეიძლება მნიშვნელოვანწილად დავუკავშიროთ მსხვილი ბიზნესის ჭოჭმანს და მოლოდინს, ხოლო იმავე პერიოდში საშემოსავლო გადასახადის ზრდა (12,7%-ით), ხელფასების მატებასთან ერთად, მცირე ბიზნესის უპირატეს ზრდას და საკანონმდებლო, საგადასახადო ლიბერალიზმს, რითაც ყველაზე სრულად ინდმეწარმეებმა ისარგებლეს.

და კიდევ ერთი გარემოება, რომლის გამოც ეკონომიკური ზრდის ტემპებმა იკლო.

სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში სახსრების დაბანდებას განსხვავებული ეკონომიკური, მულტიპლიკაციური ეფექტი აქვს. მარტივად რომ ვთქვათ, ერთი მილიონი ლარი, რომელიც იხარჯება გზის ან თუნდაც შადრევნის მშენებლობაზე, მოკლევადიან პერიოდში ქმნის მეტ სამუშაო ადგილს, აყალიბებს მეტ საგადასახადო რესურსს და მთლიანობაში — მეტ მოთხოვნას სამომხმარებლო ბაზარზე, ვიდრე იგივე მოცულობის ხელფასი ან პენსია. ამიტომ **ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ქმედითი რეცეპტი ხარჯვის სტიმულირებაა. რაც მეტს ხარჯავს სახელმწიფო და მოსახლეობა, მით უფრო მეტია ეკონომიკური აქტიურობა და ეკონომიკური ზრდაც.**

### რა ვაკეთოთ?

**მაკროეკონომიკური კუთხით, ხარჯების და ამის საფუძველზე ეკონომიკური ზრდის წახალისების ნაცვლად, ჩვენ მოვახდინეთ ხარჯების შეზღუდვის, ანუ ეკონომიკური ზრდის შეზღუდვის წახალისება.**

გასაგებია, რომ საზოგადოებას სჭირდებოდა გარკვეული მორალური კომპენსაცია იმ შეზღუდვებისა და ეკონომიკური სიდუხჭირის შემდეგ, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის" ცხრაწლიანმა მმართველობამ მოიტანა. თუმცა ხშირად ეკონომიკური მიზანშეწონილობა და პოპულისტური ნაბიჯები ერთმანეთთან შესაბამისობაში არ არის და ამ დროს ხელისუფლებამ უნდა შეძლოს დროებით არაპოპულარული, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში საჭირო ნაბიჯების გადადგმა.

**მაგრამ, კოაბიტაციის რეჟიმში ჩაყენებულ, „ქართული ოცნებით" დაკომპლექტებულ ხელისუფლებას ბოლომდე ჯერ არ დაუსრულებია თვითდამკვიდრების პროცესი, ამიტომ იგი ბოლომდე ვერ გათავისუფლებულა პოპულისტური გადაწყვეტილებებისგან, იგი ჯერ კიდევ რჩება თავისი წინასაარჩევნო დაპირებების მძევლად.** მაგალითად, ეკონომიკური ზრდის კონტექსტში გრძელვადიან პერსპექტივაში ხელისუფლების სტრატეგია უნდა იყოს ზრუნვა შემოსავლების ზრდაზე და არა ტარიფების შემცირებაზე. დღეს მოქმედი ტარიფი და სატარიფო პოლიტიკა უბიძგებს საზოგადოებას და ოჯახებს, რომ რაც შეიძლება ნაკლები მოიხმარონ. მაგრამ, თუ გვინდა ეკონომიკური აღმავლობა და ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპი, ისეთი მექანიზმები უნდა შევქმნათ, რომ ადამიანს გაუჩნდეს დამატებითი სტიმულები მეტის დასახარჯად. ამიტომ ახალმა ხელისუფლებამ ხარჯების სტიმულირება და, თუ საჭირო გახდა, პროვოცირებაც (ამ სიტყვის კარგი გაგებით) უნდა მოახდინოს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა უაღრესად გაძნელდება...

**იოსებ არჩვაძე**

**„ჩვენ არ გვჭირდება უცხოური ინვესტიციები, შარშან საქართველოს კომპანიებში წმინდა მოგების სახით, გადასახადების გადახდის შემდეგ, 6 მილიარდი ლარიდან არაფერი შემობრუნებული არ არის ეკონომიკაში. დათვალეთ, 6 მილიარდი საკუთარი ფული კომპანიების ანგარიშებზე დევს ან გატანილია საზღვარგარეთ, ორ-ნახევარი მილიარდი დოლარი კი საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ, რომ შემოიტანონ და წარმოიდგინეთ, რამხელა სტიმული იქნება ქვეყნისთვის, მთავრობა კი ამ მიმართულებითაც არაფერს აკეთებს.“**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

დემურ გიორხელიძე:

# საქართველო არის საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფო

**„ქართული ოცნების“ კიდევ ერთი დაპირება, რომ ბიზნესი წნეხისგან გათავისუფლდებოდა, არ შესრულდა. იგი კვლავ მონოპოლიზებულია და ისევ ძველი კანონებით იმართება, რასაც პირად საუბრებში თავად ბიზნესმენებიც აღიარებენ და რაზეც ექსპერტებიც თამამად საუბრობენ. ეკონომიკა წინ არ მიდის ან ნელა ვითარდება... არადა, სულ სხვა მოლოდინი იყო. არის თუ არა ეკონომიკაში სტაგნაცია? რა ნაბიჯები გადაიდგა ბიზნესის განვითარებისთვის და არის თუ არა ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენცია? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე ესაუბრა.**



**— ბატონო დემურ, ეკონომიკაში ცუდად ვერკვევი, ვიცი მხოლოდ ის, რა თანხა მიდევს ჯიბეში და რისთვის მეყოფა. ჩემისთანა მკითხველმა რომ კარგად გაიგოს, ისე აგვიხსენით, რა ვითარებაა დღეს ქართულ ეკონომიკაში და არის თუ არა სტაგნაცია?**

— სტაგნაცია ზრდის შეჩერებას ნიშნავს. ზრდა არის, მაგრამ დაბალი. რატომ არის ზრდის დაბალი ტემპი, ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი ისაა, რომ **გრძელდება ის მანკიერი ეკონომიკა, რომელსაც წინა ხელისუფლება ატარებდა, რაც არ შეიძლებოდა და ამას მოვუწოდებდი კიდეც ახალ ხელისუფლებას.** მათ უნდა ჰქონოდათ გამბედაობა იმისა, რომ ვარდნაზე წასულიყვნენ, რადგან, რაიმეს ახალ რელსებზე გადაწყობა თუ გინდა, ბუნებრივია, შეფერხებები იქნება. **სამწუხაროდ, მთავრობა არაენერგიულად და არაკომპლექსურად მოქმედებდა, რაც ზრდის ტემპზე აისახა კიდეც.**

**— რაში გამოიხატებოდა მათი არაკომპლექსური მოქმედება?**

— პირველი უდიდესი მოლოდინი ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად იყო კერძო ინიციატივების რეალიზაცია, რომელიც ათიათასობით მოქალაქეს აქვს. კერძოდ, მათ უნდათ დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობა, სამუშაო ადგილები, ბიზნესი, მაგრამ ამისთვის ათი თვის განმავლობაში მთავრობას არაფერი გაუკეთებია. არანაირი ინსტიტუციონალური ცვლილებები, არანაირი ინიციატივა ამ მიმართულებით არ გამოუჩენია. **მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი პირველი ნაბიჯებიც კი არ ჩანს. არადა, სწორედ ეს იყო სფერო, რომელიც უზრუნველყოფდა დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესებას და იმედს გაუჩენდა უამრავ ადამიანს, რომ ნელ-ნელა ბიზნესი განვითარდებოდა და სამუშაო ადგილები შეიქმნებოდა.**

**— სახელმწიფოს ეს როგორ უნდა გაეკეთებინა, თანხა თავად უნდა გამოეყო?**

— **საქართველოში ნომერ პირველი პრობლემა არის ფინანსების ხელმიუწვდომლობა. მახინჯი საბანკო სისტემის პირობებში, შეუძლებელია სტარტ-აპი, ანუ ბიზნესის დაფინანსება. ჩვენ ვართ ერთადერთი სახელმწიფო მთელს მსოფლიოში, რომელშიც ასეთი რამ ხდება.** სხვა ქვეყნებში არსებობს განტოტვილი ფინანსური სისტემა, რომლებშიც ჩართულები არიან ინსტიტუციონალური ინვესტორები; საპენსიო, საპაიო ფონდები გრძელვადიან ფულს იძლევიან. არის სტუქტურა, რომელიც უწევს დამწყებ ბიზნესს კონსულტაციებს, ეხმარება შეღავათიანი კრედიტების მიღებაში, უცხადებს მხარდაჭერას თანადაფინანსებაში, იმ დრომდე, ვიდრე ფეხზე დადგომას შეძლებს. არსებობს ინკუბატორები, სტრუქტურები. ამერიკაში არის მცირე და საშუალო ბიზნესის ადმინისტრაცია, რომლის ხელმძღვანელსაც ამერიკის პრეზიდენტი ნიშნავს.

ჩვენ ვთავაზობდით ბატონ ბიძინას, ეროვნული, გამორჩეული სტრუქტურა შეექმნათ, რომელიც იქნებოდა მცირე და საშუალო ბიზნესის პარტნიორი ორგანიზაცია და მსურველებს იურიდიულ, ფინანსურ, ინკუბატორულ დახმარებას გაუწევდა, მაგრამ არაფერი გაკეთებულა.

**— აქ თქვენი ოპონენტი რომ იჯდეს, ალბათ, გეტყოდათ, გვაცადეთ, ჯერ ძალიან ცოტა დრო გავიდა საამისოდო...**

— ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ წლები ვაცადოთ მთავრობას; არც იმის ფუფუნება გვაქვს, მთავრობას მოვუწონოთ, მისთვის კოაბიტაცია უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ეკონომიკური ცვლილებები; ეს არის მათი პოლიტიკური შეცდომა, რომლის შედეგებსაც დღეს იმკიან. მათ მიმართ ნდობა იკარგება.

თავის დროზე, როდესაც ეს გავიგე, ძალიან გამიჭირდა დისონანსის შეტანა ხალხის საერთო განწყობაში, მაგრამ იანვარში განვაცხადე, რომ ეკონომიკური ზრდა ვერაფრით იქნებოდა 2,5-3%-ზე მეტი, რადგან ეკონომიკური აქტივობა ძალიან დაბალია, ხელშემწყობი არაფერი არ არის; **ათიათასობით ადამიანს სურვილი აქვს, იმუშაოს, მაგრამ შეუძლებელია, რადგან ბანკები ბანდიტური ორგანიზაციებია. ისინი შეკრულნი იყვნენ წინა ხელისუფლებასთან, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დღეს საბოტაჟს აწყობენ.** მოეწონება ეს ვინმეს თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ვიტყვი, რომ **ეს არის შეკრული მაფიოზური ჯგუფი,** რომელსაც ფული ხელისუფლებების მხარდაჭერით აქვთ დაგროვილი. დღეს ისინი ცდილობენ, არ გამოჩნდეს კონკურენტული ჯგუფი. როგორც კი კონკურენცია დაკანონდება და დაცული იქნება შესაბამისი კანონმდებლობით, როგორც კი გაჩნდება საბაზრო ეკონომიკა, რომელიც იმ ინსტიტუტებით და იმ სახელისუფლო პოლიტიკით იმართება, რომელიც მაკრო დონეზე ახდენს რეგულაციას, დღევანდელი ცნობილი ფინანსური ჯგუფებისგან არაფერი დარჩება.

> **«ათიათასობით ადამიანს სურვილი აქვს, იმუშაოს, მაგრამ შეუძლებელია, რადგან ბანკები ბანდიტური ორგანიზაციებია. ისინი შეკრულნი იყვნენ წინა ხელისუფლებასთან, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დღეს საბოტაჟს აწყობენ... ეს არის შეკრული მაფიოზური ჯგუფი»**

**საქართველო არის საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფო, რომელიც ადამიანის ნიჭისა და უნარის განვითარებას ხელს უშლის. ხელს არ უწყობს, რომ გაჩნდნენ შეძლებული ადამიანები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ხელისუფლებისგან და პოლიტიკანური მართვისგან. ასეთი იყო სახელმწიფო პოლიტიკა წლების განმავლობაში, სწორედ ამიტომ გვაქვს დღეს ასე მცირე ეკონომიკა.**

ქვეყანას, რომელსაც სულ რაღაც 16-17-მილიარდიანი ეკონომიკა აქვს, რაც ერთი საშუალო ევროპული ფირმის შემოსავალია, 2 პროცენტით განვითარდება თუ 6-ით, მიზერი მაინც მიზერია. წინა ხელისუფლების დამსახურებაა ის, რომ ქვეყანა მთლიანად იმპორტზე ჩამოკიდეს, მათ სრული დეინდუსტრიალიზაცია მოახდინეს. ფაქტობრივად, ხელი არ შეუწყეს იმ სფეროებს, რომლებიც კონკურენტულ პოტენციალს შეიცავს. ასეთი სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი გაგვაჩნია. **ყველაფერი, რაც წინა ხელისუფლებამ გააკეთა, მონოპოლიების ხელში აღმოჩნდა და ეს მონოპოლიები დღესაც ხელშეუხებელია.** ანტიმონოპოლიური სამსახურის თაობაზე ათი თვის თავზე კანონიც კი არ არის მიღებული, კონკურენციის დაცვისთვის არსებობს რაღაც სასაცილო სააგენტო, რომელიც არ ფუნქციონირებს, რაც ახალ მთავრობას არ ეპატიება. საბაზრო ეკონომიკაში მაკრო დონეზე სახელმწიფო რეგულირება უნდა იყოს და მკაცრი საკანონმდებლო ჩარჩოები, ის ინსტიტუტები უნდა ფუნქციონირებდეს, რომლებიც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისთვის. ჩვენს ქვეყანაში კი ამ დრომდე არაფერი მსგავსი არ არის.

**— როგორ ფიქრობთ, სუსტი ეკონომიკური გუნდი ჰყავს?**

— არ ვფიქრობ, რომ სუსტი გუნდია. ჩვენ ვსაუბრობთ მთავრობის ერთიან გუნდზე და მათ ერთობლივ გადაწყვეტილებებზე. წლის ბოლო მთავრობის საქმიანობის შეფასების დრო დადგება. ჯერჯერობით ძალიან ცოტა საკანონმდებლო ინიციატივაა, ძალიან ცოტა ნოვაციაა მთავრობის მხრიდან, არადა, ყველაფერი დამუშავებულია, ყველაფერი განსაზღვრულია, რა და როგორი მიმართულებით უნდა გაკეთდეს. ახლა სპეციალურად მთავრობისთვის „საქართველო 2020 — განვითარების სტრატეგია“ იწერება და სექტემბერში იქნება განხილვები. პარლამენტი, ალბათ, მიიღებს მას და საკანონმდებლო ჩარჩოს მისცემს, რითაც ყველა სახელმწიფო სტუქტურა გარკვეულ ვალდებულებას აიღებს, მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან დაგვიანდა.

მთავარია, პოლიტიკური სიტუაცია ხელს არ უშლიდეს ეკონომიკურ განვითარებას.

**— რას გულისხმობთ პოლიტიკურ სიტუაციაში?**

— იმას, რომ ბიძინა ივანიშვილის წასვლა არ იქნას გაგებული, როგორც ტრაგიკული მოვლენა და ქვეყნის დაქცევის ნიშანი.

„ქართულ ოცნებაში“ როცა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციაზე ვმუშაობდით, ემიგრანტების დაბრუნების შესანიშნავი პროგრამა გვქონდა. ჩვენი მოქალაქეები მზად არიან, დაახლოებით ორ-ნახევარი მილიარდი დოლარი ჩადონ ქართულ ეკონომიკაში, დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში, ამის განხორციელებას კი გარკვეული საკანონმდებო მხარდაჭერა სჭირდება, რადგან საქმე მარტივად არ არის. მათ გარკვეული გარანტიები სჭირდებათ. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობისთვის ეს პროგრამა ცნობილია, ნაბიჯი წინ არ იდგმება. **ჩვენ არ გვჭირდება უცხოური ინვესტიციები, შარშან საქართველოს კომპანიებში წმინდა მოგების სახით, გადასახადების გადახდის შემდეგ, 6 მილიარდი ლარიდან არაფერი შემობრუნებული არ არის ეკონომიკაში. დათვალეთ, 6 მილიარდი საკუთარი ფული კომპანიების ანგარიშებზე დევს ან გატანილია საზღვარგარეთ, ორ-ნახევარი მილიარდი დოლარი კი საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ, რომ შემოიტანონ და წარმოიდგინეთ, რამხელა სტიმული იქნება ქვეყნისთვის, მთავრობა კი ამ მიმართულებითაც არაფერს აკეთებს.**

მთავრობა პოლიტიკური შეთანხმების კონფიგურაციაა. ბიძინა ივანიშვილის გარშემოც პოლიტიკური ძალები საკუთარი ინტერესების შესაბამისად დაკომპლექტდა და მთავრობაც დააკომპლექტეს. მთავრობა ერთიანი ხედვის ფარგლებში არ მოქმედებს, საქართველოში სისტემური კრიზისია, არაფერი მუშაობს, კრიზისიდან გამოსვლის გზები არ არის.

**— ბატონო დემურ, მოდი ჩამოვთვალოთ ყველაზე აუცილებელი ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაიდგას, რათა უახლოეს რამდენიმე წელიწადში უკეთესობა ვიგრძნოთ.**

— ბიზნესის დაფინანსების საქმე (სტარტ-აპი) თუ მოგვარდება, საქმის დაწყება ადამიანებს გაუადვილდებათ. ბანკებმა უნდა დააფინანსონ დამწყები ბიზნესი, არ უნდა იყოს გიჟური მოთხოვნები, სახელმწიფომ უნდა შექმნას ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამა, ფული ხელმისაწვდომი უნდა იყოს და კლანურ ჯგუფებში არ უნდა იყოს კონცენტრირებული. ბანკების მაღალი მოთხოვნის გამო, საქართველოს უდიდესი პრობლემაა ქონების გაუფასურება. უნდა შეიქმნას ფინანსური ინფრასტრუქტურა, საბანკო სისტემის მოდერნიზაცია, მახინჯი სისტემა უნდა აღმოიფხვრას. პარალელურად საჭიროა საკანონმდებლო ინიციატიები, რომლებიც გააჩენს ვენჩორულ კომპანიებს, ანუ სარისკო კაპიტალს, რომლებიც მაღალი მოგების მიღების სურვილით ნოვაციებში ფულს ჩადებენ. ჩვენ არ გვაქვს საპენსიო ფონდები, არ გვაქვს ფულის წყაროები, არ გვყავს საინვესტიციო კომპანიები, ჩვენ არ გვაქვს კერძო ფონდები, რომლებიც მრავლად უნდა იყოს. **არ გვაქვს საკანონმდებლო რეგულაციები, ბიზნესი იყო და არის მონოპოლიზირებული. წილებში ახალი ხალხი ჩაჯდა, არაფერი შეცვლილა. გვჭირდება კერძო ინიციატივის წახალისება, არ უნდა მოხდეს არაფორმალური შეთანხმებები.** მოკლედ, რაც ჩამოვთვალეთ, იქიდან არაფერი კეთდება, რაც კეთდება, ის ქვეყანას კრიზისიდან ვერ გამოიყვანს.

> **«ყველაფერი, რაც წინა ხელისუფლებამ გააკეთა, მონოპოლიების ხელში აღმოჩნდა და ეს მონოპოლიები დღესაც ხელშეუხებელია»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

კანდიდატი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საქართველოს ჯარი საერთოდ არ უნდა ჰყავდეს. ვის უნდა ვეომოთ? რუსეთს და თურქეთს მაინც ვერაფერს ვუზამთ. ჯარი ფულის გათეთრების საშუალებაა. ტანკები კი არა, ტრაქტორები უნდა ვიყიდოთ. შეიარაღებაზე უარი უნდა ვთქვათ და ეს თანხა ეკონომიკაზე მივმართოთ. ჩვენ მილიტარისტული სახელმწიფო არასდროს ვყოფილვართ. ან ნატოს რატომ ვეხვეწებით? ვინ გვესხმის თავს?“



## ქართლოს ღარიბაშვილი:

# მოსაზრება, რომ მარგველაშვილი ხელისუფლების კადრია, მცდარია!

**პრეზიდენტობის კანდიდატი, ადვოკატი ქართლოს ღარიბაშვილი არც ამჯერად ღალატობს ტრადიციას და საპრეზიდენტო არჩევნებში უკვე მეხუთედ მონაწილეობს. როგორც ამბობს, პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, სასამართლო სისტემის რეფორმას განახორციელებს, პროკურატურასა და ჯარს კი საერთოდ გააუქმებს. სამომავლო გეგმებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ქართლოს ღარიბაშვილი ესაუბრება.**

**— უკვე წლებია, მეხუთედ მონაწილეობთ საპრეზიდენტო არჩევნებში, თუმცა გამარჯვება ვერც ერთხელ ვერ მოახერხეთ. როგორ ფიქრობთ, ამჯერად მოიპოვებთ ხალხის მხარდაჭერას?**

— 18 წელია, საპრეზიდენტო არჩევნებში ვმონაწილეობ. შეიძლება ვილაცამ ეს მინუსად ჩამითვალოს, მაგრამ ხომ ფაქტია, 18 წელი გავიდა და მაინც ბრძოლის ხასიათზე ვარ და 18 წლის წინანდელ იდეაზე უარს დღემდე არ ვამბობ! სწორედ იმიტომ, რომ უკვე მეხუთედ ვმონაწილეობ არჩევნებში, ამჯერად ცოტა ვყოყმანობდი, მაგრამ ჩემზე ზეგავლენა მეგობრებმა მოახდინეს და მეც დავთანხმდი, ვინაიდან ჩემთვის სულერთი არ არის, საქართველოს პრეზიდენტი ვინ იქნება. **საქართველო ჩვენი ქვეყანაა, ჩვენი სამშობლოა და იმიტომ მინდა, ამ ქვეყნის პრეზიდენტი ვიყო, თორემ ხვალ, რუსეთის პრეზიდენტობა რომ შემომთავაზონ, უარს ვიტყოდი.**

ჩემი პროგრამა ბოლომდე რომ შესრულებულიყო, თუ სხვა გააკეთებდა ჩემს გასაკეთებელს, დიდი სიამოვნებით ვიტყოდი უარს ყოველგვარ საზოგადოებრივ აქტიურობაზე. ჩემი იდეაა ტოტალიტარული საქართველო, პროკურორების ქვეყნიდან, დემოკრატიულ საქართველოდ, ადვოკატების ქვეყნად გადავაქციოთ. პრეზიდენტი მყინვარწვერზე კი არ უნდა დარბოდეს და მარკეტებსა და კაფე-ბარებს კი არ უნდა ხსნიდეს, კაბინეტში უნდა მუშაობდეს.

**ვფიქრობ, ეს არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება, რადგან ქვეყანაში სიტუაცია შეიცვალა და ხალხი უკვე მიხვდა, რომ გაუწონასწორებელი ადამიანი ქვეყნის ლიდერად არ უნდა აირჩიოს. პრეზიდენტი უნდა იყოს დიქტატორი, მაგრამ კანონის ფარგლებში უნდა მოქმედებდეს. მიშას მთელი უბედურებაც ეგ იყო, რომ კანონიდან ამოვარდა.** ვანო მერაბიშვილმა და ზურაბ ადეიშვილმა, ლუდოვიკო მეთოთხმეტესი არ იყოს, ჩათვალეს, რომ სახელმწიფო და კანონიც თავად იყვნენ. ორმასამმა კაცმა სახელმწიფოს უზურპირება ვერ უნდა მოახერხოს. ამის მიუხედავად, მე არ მაქვს ის განწყობა მიშა სააკაშვილის მიმართ, რომელიც საზოგადოებაშია, რადგან შურისძიებით სამართლიანობას ვერ დავამყარებთ.

**— ანუ თქვენც ემხრობით ამ ყბადაღებულ კოაბიტაციას?**

— კი, ბატონო, შევრიგდეთ, მაგრამ დამნაშავეები უნდა დაისაჯონ. ოღონდ მათ პასუხი პრეზიდენტმა არ უნდა აგებინოს. პრეზიდენტი კანონის ჩარჩოებში უნდა მოქმედებდეს. დღეს კუბლაშვილი კი არ ახდენს ახალაიასა და სხვების სასამართლო პროცესებზე ზეგავლენას, არამედ პროკურატურაა სუსტი.

**— თქვენ პროფესიით იურისტი ხართ. რას ურჩევთ მთავარ პროკურორს — არჩილ კბილაშვილს?**

— ვფიქრობ, უფალი ყოველთვის მფარველობდა და ამის შედეგია, რომ პროკურორი არ გავხდი. პროკურატურა საბჭოთა სისტემის გადმონაშთია და ის საერთოდ არ უნდა არსებობდეს. ეს ურჩხული — პროკურატურა უნდა დაიშალოს. მოქმედ იურიდიულ ლექსიკონში სიტყვა პროკურორი საერთოდ არ უნდა არსებობდეს, დაე, ერქვას ბრალმდებელი. უნდა გაძლიერდეს საგარეო საქმეთა სამინისტრო. **მე ნინო ბურჯანაძე ან შალვა ნათელაშვილი არ ვარ, რომ ვიძახო, მე უკვე პრეზიდენტი ვარო, მაგრამ, თუ გავხდი პრეზიდენტი, თუ ხალხმა მხარი დამიჭირა, პროკურატურის შენობაში საგარეო საქმეთა სამინისტრო განთავსდება.**

კბილაშვილი კარგი ადვოკატი იყო და ძალიან გამიკვირდა, როცა ამ თანამდებობას დათანხმდა. კბილაშვილი სამოქალაქო საქმეებზე მუშაობდა და, მგონი, ამ შენობაში პირველად მისი ხელმძღვანელის სტატუსით შევიდა, შესაძლოა, მანამდე ნამყოფიც არ იყო იქ. **როგორც ჩანს, ბიძინას — ამ „სუპერმენს“, ჰიპნოზის უნარი აქვს, ჯერ კალაძე დაითანხმა ენერგეტიკის მინისტრობაზე, მერე — კბილაშვილი პროკურორობაზე, ახლა კი მარგველაშვილი — პრეზიდენტობაზე, თუმცა მარგველაშვილი აზრზე არ არის, რაზე იყრის კენჭს.**

ბიძინა ივანიშვილს კადრების სერიოზული დეფიციტი აქვს, პარლამენტიც ძალიან სუსტია. ერთი „ადვოკატების პრინცესა“ — ეკა ბესელია ლაპარაკობს, ხანდახან მანანა კობახიძე და ელისო ჩაფიძე თუ იტყვიან რამეს, დანარჩენები ჩუმად არიან.

**— ამ დროისთვის უკვე პრეზიდენტობის 54 მსურველია. ყველაზე ძლიერ კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?**

— 54 ცოტაა, ასმა, ორასმა კაცმა უნდა მიიღოს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა, ყველამ უნდა იყვიროს, რომ საქართველო ფეხზე დავაყენოთ. არც ერთ კანდიდატზე ცუდს არ ვიტყვი.

გააჩნია, ძლიერი კონკურენტი რას ნიშნავს. **ათას რაღაცას რომ გვპირდებიან ეს კანდიდატები, მიშაც მაგას აკეთებდა, ტუალეტებსა და მარკეტებს ხსნიდა. ეგ რა პრეზიდენტის საქმეა. პრეზიდენტს რა ესაქმება, კახეთში რა ჯიშის ყურძენი უნდა მოიყვანოს გლეხმა ან რა ღვინო უნდა დააყენოს? რომელ კანდიდატს აქვს პროგრამა? ორ-სამ პენსიონერს შეხვდებიან და ლაპარაკობენ რაღაცას.**

სანამ ვინმეს აირჩევს, საზოგადოება თითოეული კანდიდატის ბიოგრაფიითა და წარსულით უნდა დაინტერესდეს. **გიორგი თარგამაძემ ყველას უღალატა, პატარკაციშვილსაც, ასლან აბაშიძესაც, ახლა კი გამოდის და პრეზიდენტობა სურს. ბოლო დროს სექსუალურ უმცირესობებს დაუწყო დევნა (თუმცა ჯერ კიდევ დასადგენია, ვინ არის უმცირესობა). მე სექსუალური გადახრები არ მაქვს და სხვისი სექსუალური ცხოვრება არ მაინტერესებს.**

**ჩვენი საკანონმდებლო სივრცე „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განადგურდა. სწორედ ნინო ბურჯანაძისა და დავით ბაქრაძის მიერ მიღებულმა კანონებმა დაამყარა ჩვენთან რეჟიმი. 12-14 წლის ბავშვებს სკოლაში უბრალო ჩხუბის გამო აპატიმრებდნენ. რატომ იღებდა ბურჯანაძე იმ კანონებს, რომლებმაც ქვეყანა გაანადგურა? ამათი არჩევა არ შეიძლება. საქართველო, მიშამ კი არა, ამათმა მიღებულმა კანონებმა გაანადგურა.**

რაც შეეხება გიორგი მარგველაშვილს, მის შესახებ საერთოდ არაფერი ვიცით — ვინ არიან მისი მშობლები, წინაპრები. ღიად ვილაპარაკოთ, ვინ რა წარმოშობის ვართ, ვინ საიდან მოვდივართ, ვის გვაქვს სომხური, ოსური, რუსული, ჩინური წარმოშობა. მახსოვს, ზურაბ ჟვანიამ თქვა ერთხელ პარლამენტში, დედაჩემი სომეხიაო. დედამისი, სომეხი კი არა, ებრაელია. წარმოშობა ნაკლი არ არის, ნაკლი ის არის, როცა იტყუები. ყველამ უნდა თქვას, ვინ ჰყავს მამა, დედა, პაპა, ბებია. ხალხმა ყველაფერი უნდა იცოდეს.

**— საქართველოში რატომ მალავენ საკუთარ წარმოშობას? პრეზიდენტი რომ იყოთ, ამას რას დაუპირისპირებდით?**

— **მიხეილ სააკაშვილი მალავს საკუთარ წარმოშობას. ტყუილად ამბობენ, რომ სააკაშვილს სომხური წარმოშობა აქვს, სინამდვილეში მას ოსური წარმოშობა აქვს.** ეს თქვენი, ჟურნალისტების, საქმეა. გამოიკვლიეთ და დაწერეთ, მაგრამ, როგორც ნებისმიერი სფერო, ჟურნალისტიკაც ვერ არის სათანადო დონეზე.

ჩატარდეს ტელედებატები და ნებისმიერ კანდიდატთან დავჯდები პირისპირ, მაგრამ მეეჭვება, რომელიმე კანდიდატი დებატებში ჩემთან დაჯდეს.

სამართლიანობის აღდგენა, უპირველესად, სასამართლო სისტემაში უნდა დაიწყოს და სასამართლო თუ სახელისუფლო სტრუქტურების სისტემა ჩემზე უკეთ არავინ იცის. ამის სპეციალისტი ვარ. მარგველაშვილი ფილოსოფოსია და სამართლიანობა ფილოსოფოსობით როგორ უნდა დაამყაროს?

**— ანუ გიორგი მარგველაშვილს არ მიიჩნევთ კონკურენტად, ის ხომ ხელისუფლების კანდიდატია?**

— რომელი ხელისუფლების? ბიძინა ივანიშვილს რა ხელისუფლება აქვს? მას ჰყავს უმრავლესობა საკანონმდებლო ორგანოში და ამის მეშვეობით შექმნა მინისტრთა კაბინეტი. **ბიძინა ივანიშვილს არავითარი ხელისუფლება არ აქვს და იმიტომაც გარბის პოლიტიკიდან. მოსაზრება, რომ მარგველაშვილი ხელისუფლების კადრია, მცდარია.** ასე, იურიდიულად, ყველა კონკურენტია.

ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი სერიოზულად დაეცა, როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი დაასახელა. ტყუილია, რომ ამბობენ, მარგველაშვილს 65% აქვსო. შეხვდით მარგველაშვილს, თუ აზრზეა საერთოდ რაზე იყრის კენჭს. **მარგველაშვილს არანაირი შანსი არ აქვს, პრეზიდენტი გახდეს. მეტსაც გეტყვით, გიორგი მარგველაშვილმა შეიძლება დავით ბაქრაძესაც ვერ მოუგოს. ეგ კი არა, მაგას შეიძლება შალვა ნათელაშვილმაც გაუსწროს.**

**— გიორგი მარგველაშვილი არ მოგწონთ. როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტობის კანდიდატად ვინ უნდა დაესახელებინა ბიძინა ივანიშვილს?**

— არ ვიცი. ჩემთვის არ უკითხავს, თორემ ვეტყოდი, მე დამასახელე-თქო, რადგან სასამართლო სისტემა ჩემზე უკეთ არავინ იცის.

**— მომავალი პრეზიდენტის ერთ-ერთი პრიორიტეტი საგარეო პოლიტიკა იქნება. თქვენ როგორ გეგმავთ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას? რას ფიქრობთ ნატოს, ევროკავშირისა თუ ევრაზიული კავშირის შესახებ?**

— საქართველოში საუკუნეების განმავლობაში პროვინციული ფსიქიკა ჩამოყალიბდა, ამიტომ შევარდნაძის პოლიტიკა იყო, რუსეთის მაგივრად, დასავლეთს „შეტენვოდა“. **სამხრეთთან, დასავლეთთან, აღმოსავლეთთან თუ აღვადგინეთ ურთიერთობა, რუსეთთან რატომ არ უნდა აღვადგინოთ? რუსეთის იმპერია ქართველების შექმნილია. ისევე, როგორც საქართველოს, რუსეთის ეროვნულ ინტერესებში შედის ჩვენთან ურთიერთობის აღდგენა. ქართველები რომ გამოჩნდნენ რუსეთში, რუსეთი გახდა ქართველების. ქართველები რომ შევლენ ნატოში, ხომ არ გგონიათ, ნატო ისევ ბელგიელების ან ინგლისელების იქნება? ისიც ქართველების იქნება. ჩვენ ისე კი არ უნდა ვითამაშოთ ნატოში, რომ რუსეთის ინტერესები დავძაბოთ, პირიქით.**

**— ნატო და რუსეთი დაგვთანხმდებიან ამ თამაშზე, არ იქნებიან წინააღმდეგი?**

— მერე მოვხსნათ ეს წინაღმდეგობა. ჩვენ მოსკოვისა და ვაშინგტონის ინტერესები კი არ უნდა დავაჯახოთ, პირიქით, იქაც შემრიგებლური პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ. დიპლომატიაში სერიოზულად მოვიკოჭლებთ. ჩვენ ნატოს განაპირა ადგილას კი არ უნდა ვიყოთ, უნდა შევეცადოთ, ცენტრში მოვექცეთ.

**— ეს როგორ უნდა მოვახერხოთ?**

— გეტყვით. პოლიტიკაში გვინდა მცოდნე ხალხი. პრეზიდენტად გვინდა პრინციპული, განათლებული, კარგი წარსულის მქონე, მებრძოლი, დიქტატორული, მტკიცე ხასიათის მქონე ადამიანი. **საქართველოს მომავალი პრეზიდენტი არც შევარდნაძისნაირი მელაკუდა უნდა იყოს და არც მიშასნაირი სულელი.**

**— დაკარგულ ტერიტორიებს როგორ დაიბრუნებდით?**

— სად დავაბრუნოთ? არასწორი კონცეფცია გვაქვს. ცხინვალი და აფხაზეთი კი არ უნდა დავაბრუნოთ თბილისში, საქართველო უნდა დაბრუნდეს ცხინვალსა და აფხაზეთში. **საქართველოს ფედერაციული მოწყობის მომხრე ვარ.**

**— ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, სირიის კონფლიქტის გამწვავების შემთხვევაში, საქართველო ცივილიზებული სამყაროს გვერდით დადგება. რა ელოდება ამ შემთხვევაში საქართველოს?**

— ან ავღანეთსა და ერაყში რაზე ხოცავენ ამ ხალხს? თუ ბელგია, ავსტრია არ იღებს ხმას, ჩვენ რა გვალაპარაკებს? მიმაჩნია, **საქართველოს ჯარი საერთოდ არ უნდა ჰყავდეს. ვის უნდა ვეომოთ? რუსეთს და თურქეთს მაინც ვერაფერს ვუზამთ. ჯარი ფულის გათეთრების საშუალებაა. ტანკები კი არა, ტრაქტორები უნდა ვიყიდოთ. შეიარაღებაზე უარი უნდა ვთქვათ და ეს თანხა ეკონომიკაზე მივმართოთ. ჩვენ მილიტარისტული სახელმწიფო არასდროს ვყოფილვართ. ან ნატოს რატომ ვეხვეწებით? ვინ გვესხმის თავს?** ცხინვალში რაც მოხდა, ყველაფერი ცხადია. თუ იდიოტი არ არის, ყველა ყველაფერს მიხვდება. მიშა რუსეთის კაცია, ტყუილად აბრალებენ მაგას დასავლეთისააო, მაგას დასავლეთის ქცევები აქვს? რატომ არ იღებენ ლუსტრაციის კანონს? მაგრამ თავის თავზე ხომ არ მიიღებენ? ან რა უფლება აქვთ, ფარულ ჩანაწერებს რომ ანადგურებენ? იმიტომ ხომ არა, რომ თავად არიან იმ კადრებშიც?! თუ პრეზიდენტი გავხდი, ლუსტრაციის კანონს მივიღებ.

პრეზიდენტობის კანდიდიტებს წარმატებებს ვუსურვებ. მე ჩემს პროგრამას წარვუდგენ საზოგადოებას და დანარჩენი ხალხის გადასაწყვეტია. თუ მენდობიან, ამირჩევენ. თუ მხარს არ დამიჭერენ, არც ეგ მეწყინება, შეჩვეული ვარ. უბრალოდ, ჩემი ცოდნიდან, გამოცდილებიდან, წარსულიდან გამომდინარე, გადავწყვიტე, კენჭი ვიყარო, რადგან მინდა ისეთი თანამდებობა მქონდეს, რომლის მეშვეობითაც ქვეყნისთვის სასარგებლოდ პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენას მოვახდენ.

«რატომ არ იღებენ ლუსტრაციის კანონს? მაგრამ თავის თავზე ხომ არ მიიღებენ? ან რა უფლება აქვთ, ფარულ ჩანაწერებს რომ ანადგურებენ? იმიტომ ხომ არა, რომ თავად არიან იმ კადრებშიც?!»

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

**„ჯიჰადის ვიდეო“ არის იმ ჯგუფის გაკეთებული, რომელიც ცდილობს, შეუძლებელი გახადოს სამართლიანობის აღდგენა საქართველოში; რომელიც ცდილობს, ისეთი კომპრომატებით გასვაროს პოლიტიკური აქტანტები, რომ შეუძლებელი გახდეს რაიმე ტიპის სამართლიანობის აღდგენის მცდელობაც კი.“**

ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვინ და სად დაამონტაჟა ე.წ. ჯიჰადის ვიდეო?

ის ფაქტი, რომ „ნაცები“ ყველას სააბაზანოში, საძინებელსა და თეთრეულში კამერებით დაძვრებოდნენ და, მათი აზრით, კომპრომატებს აგროვებდნენ, აღარავისთვისაა საიდუმლო. სრულიად ბუნებრივია, რომ კომპრომატების ომში გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალას თავის არსენალში ამ ბინძური მეთოდების გარკვეული ნაწილი გადმოეტანა. ჰოდა, თუ ბოროტ ენებს დავუჯერებთ, ე. წ. ჯიჰადის ვიდეო, რომელმაც საქართველო შეძრა, თურმე ბერას სტუდიასა და ულტრათანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ „მეცხრე არხში“ დამონტაჟებულა. ჰოდა, ამერიკულ სპეცსამსახურებსაც ასე უთქვამთ, სახლში მოაწესრიგეთ ურთიერთობები, კაციშვილს არ აინტერესებს ავღანეთში თქვენი მოღვაწეობის პერსპექტივებიო, თუმცა თავიანთ უერთგულეს ყმებს, ანუ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ ჯგუფს ექსპერტიზის დასკვნაც გადმოსცეს და, რაკი მარტო დასკვნა არ იყო საკმარისი, ის მეთოდებიც ასწავლეს, რომლებითაც ივანიშვილსა და მის გუნდზე ზეწოლას განახორციელებენ. თუ არა შანტაჟი, აბა, რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მთელი ზაფხულის განმავლობაში „ნაცები“ ზომიერად ჭიკჭიკებენ და მხოლოდ ზრდილობის გამო აკრიტიკებენ ივანიშვილს?

იმავე ბოროტი ენების თქმით, ივანიშვილს ეს ვიდეო იმისთვის სჭირდებოდა, რომ ავღანეთიდან ქართული ჯარის კონტიგენტი ღირსეული ფორმით წამოსულიყო, მაგრამ იქით შეუტრიალდა ეს და შანტაჟის სახე მიიღო. „ნაცები“ ივანიშვილს აშანტაჟებენ და, რასაც მოისურვებენ, იმას გააკეთებინებენო, ამტკიცებენ ავი ენები...



**„საქართველო და მსოფლიო“ ამ საკითხზე სასაუბროდ „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერს — სოსო მანჯავიძეს დაუკავშირდა.**

## „ჯიჰადის ვიდეო“ თუ სააკაშვილის საკომპრომეტაციოდ გააკეთეს, სააკაშვილი ხომ ისედაც მოსიარულე კომპრომატია?!“

**— არც ისე დიდი ხნის წინ დიდი სკანდალი იყო ატეხილი „ჯიჰადის ვიდეოზე“, მაშინ ითქვა, რომ ეს ვიდეო სააკაშვილის გუნდმა დაამზადა, როგორ ფიქრობთ, რა მიზნით უნდა გაეკეთებინა ეს პრეზიდენტის გუნდს, რაში სჭირდებოდათ ეს?**

— რა ინტერესი უნდა ჰქონოდა სააკაშვილს? ქვეყანაში დაძაბულობის შექმნის მიზნით მოამზადა ეს ვიდეო? ახლა აქ თუ ვინმე დაინახავს რაიმე ტიპის მოგებას სააკაშვილისთვის, ძალიან გამჭრიახი გონება ექნება, ჩემი გონების მასშტაბები ამას ვერ სწვდება. ასეთი გამჭრიახიც არ ვარ, ვერ დავიბრალებ...

**— დღეს არსებობს ვერსია, რომ ეს ე. წ. ჯიჰადის ვიდეო ივანიშვილის გუნდმა დაამზადა ბერას სტუდიაში. რამდენად რეალურია ეს?**

— დიახ, არსებობს ინფორმაცია, რომ „ჯიჰადის ვიდეო“ დამზადებულია ბერას სტუდიაში, მაგრამ საკითხავია, რა ინტერესი უნდა ჰქონოდა ივანიშვილის გუნდს? თუ ეს სააკაშვილის საკომპრომეტაციოდ გააკეთეს, სააკაშვილი ხომ ისედაც მოსიარულე კომპრომატია და თანაც, ან ეს რა კომპრომატია?! წესით და რიგით, **სააკაშვილის იქ ჩასვლა და მისი საქციელი მისი იმპიჩმენტის დაუყოვნებლივი საფუძველი უნდა გამხდარიყო, რაც „ქართულმა ოცნებამ“ არ განახორციელა. ჩავიდა კაცი, პროვოკაცია მოაწყო; საერთოდ, ადამიანისთვის შეუფერებლად მოიქცა, ისეთ კითხვებს სვამდა — რამდენი მოკალით და ა.შ. და ჩამოვიდა, ანუ მოაწყო პროვოკაცია და წამოვიდა. ამის გამო იგი თავმოყვარე ქვეყნის პარლამენტს უნდა გადაეყენებინა. ასე რომ, რამის გაკეთება რომ ნდომებოდათ სააკაშვილის წინააღმდეგ, ეს ერთი საქციელიც სრულიად საკმარისი იქნებოდა.**

ჩნდება კითხვები: ეს აფეთქებები ხომ რეალურია? ხომ არავის უთქვამს, რომ ეს არ არის რეალური? ვინ მისცა, საიდან მოიპოვეს ამ აფეთქებების კადრები, ვინ მოიპოვა და რა მიზნით? ვინც მოიპოვა, რატომ დაადო ეს რგოლი ამას?! აი, აქ სრული გაუგებრობაა. საქმე ის არის, რომ ეს კითხვები არც დასმულა და მე ვსვამ აგერ. რა მოხდა სინამდვილეში იქ, ვინ ააფეთქა ის ხალხი და, თუ ააფეთქა, იმ ჯიჰადისტებს არ გამოუქვეყნებიათ ეს კადრები და საიდან მოიპოვეს მათ, ვინც კლიპი გააკეთა? ანუ გამოდის, რომ, აქ ვინც კლიპი გააკეთა, ის უკვე ფლობდა იმ კადრებს და კავშირი აქვს იმ ჯიჰადისტებთან თუ როგორ არის საქმე? სრული გაურკვევლობაა. წესით და რიგით, ამაზე საგამოძიებო ორგანოები უნდა მუშაობდნენ, მაგრამ ყველაფერი კვლავ ბურუსითაა მოცული.

**— თუ ეს მართლაც ასეა, ერთ-ერთი ორგანიზაცია, რომელიც კვალიფიციურ დასკვნას დადებდა, თუ რომელ სტუდიაში დამზადდა კლიპი, არის FBI, მეთანხმებით? ავი ენების თქმით, FBI-ის დასკვნის მიხედვით, კლიპი ბერას სტუდიაში დამზადდა და ახლა „ნაცები“ ივანიშვილს აშანტაჟებენ...**

— სად არის ეს FBI-ის დასკვნა? რასთან გვაქვს საქმე? ივანიშვილმა თავად დაამზადა? არ ვიცი, აქ საერთოდ ბევრი კითხვა კი არა, ბევრი გაუგებრობაა. გვაბოლებენ და, რაც მთავარია, **ასეთი ტიპის საქმეები არ იხსნება, იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ და „ნაცები“ თანამშრომლობენ და სამართალი არის გოშია და პირისფარეში, აი, ამ გუნდების ბინძური პოლიტიკური ინტერესებისთვის. არავინ არავის ებრძვის, ეს არის ბრძოლის იმიტაცია; უბრალოდ, ამ იმიტაციის პროცესში თავად იხლართებიან, თორემ რა ბრძოლაზეა ლაპარაკი, ივანიშვილმა თავად აღადგინა „ნაციონალური მოძრაობა“.**

„ქართულ ოცნებასა“ და „ნაცებს“ შორის კოაბიტაცია, ანუ თანამშრომლობა 1 ოქტომბერს არ დაწყებულა, ეს მიმდინარეობდა ხანგრძლივი დროის მანძილზე, ჯერ კიდევ არჩევნებამდე. ასეა, **„ქართული ოცნება“ და „ნაცები“ ერთი ხის ნაყოფი არიან.** და ივანიშვილი არათუ ყველაფრის საქმის კურსშია, არამედ ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედია. კეთილი მეფისა და ბოროტი ვეზირების იდეებისთვის, მე მგონი, კაცობრიობა საკმაოდ ბებერია. და იცით, ამ ყველაფერს რა მოჰყვება? ამას თუ დავუმატებთ იმას, რეგიონებში რა პოლიტიკასაც აწარმოებენ და როგორი უხეში ჩარევაც ხდება სუს-ის რეგიონალურ ადგილობრივ თვითმმართველობებში, მივიღებთ ხელისუფლების ჩამოშლას. დიახ, „ნაცების“ რესტავრაციას უწყობს ხელს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სამართალმემკვიდრე სუსი. აი, კიდევ ერთი პარადოქსი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისა. აი, ეს ყველაფერი გამოიწვევს ნდობის ვარდნას.

**ივანიშვილის წასვლა საბოლოოდ გაანულებს ნდობის ფაქტორს სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, რასაც მოჰყვება ხელისუფლების ჩამოშლა. დაიწყება სახალხო გამოსვლები, რომლებიც იძულებულს გახდის ხელისუფლებას, დანიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რომელიც უნდა ჩატარდეს ადგილობრივ არჩევნებთან ერთად.** ასეც იქნება, მითუმეტეს, როდესაც ახალაიასა და მერაბიშვილს გამოუშვებენ, სააკაშვილს საპატიო პენსიაში გააცილებენ და კრება დარჩება მხიარული. ეს არჩევნები ჩატარდება საპროტესტო აქციების ფონზე, რაც შეუძლებელს გახდის არჩევნების გაყალბებას. აი, ახლაც გაყალბებით გაიყვანენ მარგველაშვილს პრეზიდენტად, ნახავთ თქვენ ამას.

კვლავ „ჯიჰადის ვიდეოს“ რომ დავუბრუნდეთ, **ეს არის იმ ჯგუფის გაკეთებული, რომელიც ცდილობს, შეუძლებელი გახადოს სამართლიანობის აღდგენა საქართველოში; რომელიც ცდილობს, ისეთი კომპრომატებით გასვაროს პოლიტიკური აქტანტები, რომ შეუძლებელი გახდეს რაიმე ტიპის სამართლიანობის აღდგენის მცდელობაც კი.** რომ ვთქვა, რომ ესენი ამერიკული ან რუსული დაზვერვის ქვეშ მომუშავე ძალები არიან-მეთქი, სერიოზული ვიქნები? მგონი, ყველაფერი ვთქვი!



**„საქართველო და მსოფლიოს“ ამ საკითხზე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი კობა ხაბაზი ესაუბრა:**

## „კლიპი ჯიჰადის შესახებ დაამზადა საქართველოს ხელისუფლებამ?!“

**— არ ვიცი, რომელ სტუდიაში არის ეს „ჯიჰადის კლიპი“ დამზადებული, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: „ჯიჰადის კლიპი“ არ არის დამზადებული თალიბების მიერ. დეტალებს რომ არ ჩავუღრმავდეთ, ელემენტალური ანალიზიც აჩვენებს, რომ ეს კლიპი არ არის თალიბების დამზადებული. ეს კლიპი გაკეთდა საქართველოში, დაამზადა საქართველოს ხელისუფლებამ: პირველი — რუსეთის საამებლად და მეორე — თუკი, არ გამჟღავნდებოდა, რომ საქართველოში იყო დამზადებული, ყველაფერი დაებრალებინათ ჩვენთვის. თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში აბსურდამდე მიდის საქმე, დამზადდა მასშტაბური კლიპი და შინაგან საქმეთა სამინისტრო ვერ ადგენს კლიპის ავტორის ვინაობას.**

ცხადია, ამის დადგენა ძალიან მარტივია და იქიდან გამომდინარე, რომ დღემდე დუმან, ჩემთვის ნათელი ხდება, რომ ეს კლიპი დამზადებულია საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიერ მათივე სტუდიაში, მათივე შეკვეთით. და მთელი ეს დრო დაიხარჯა იმისთვის, რომ რამენაირად გაექროთ, წაეშალათ ის მისამართი და ის კვალი, რომელიც მიიყვანდა ძიებას დღევანდელ ხელისუფლებასთან. მახსენდება, როდესაც ეს კლიპი გავრცელდა, საზოგადოებაში ბუნებრივად გაჩნდა ეჭვი, რომ ეს იყო ხელისუფლების მიერ მომზადებული და მთელი ის დღეები სხვადასხვა აქციებით, პოლიტპატიმრებით და ა.შ. როგორ ცდილობდნენ, გადაეფარათ ამ კლიპით გამოწვეული მღელვარება საზოგადოებაში. **ეს იყო ყველაზე ბინძური კლიპი, რომელიც იყო დამზადებული საქართველოს წინააღმდეგ, რომლის მიზანიც იყო ჩვენი, ოპოზიციის წინააღმდეგ ანგარიშსწორება, მაგრამ, როცა არ გამოუვიდათ, რადგან ძალიან უნიჭოდ და უხარისხოდ შესრულებული კლიპი გამოუვიდათ, დაიწყეს ამ თემის გადაფარვა.** ორჯერ ორი როგორც ოთხია, ისე იკითხებოდა ყველაფერი ამ კლიპთან მიმართებაში.

ამის გამოძიებას სჭირდებოდა, როგორც გითხარით, ძალიან მცირე დრო, ერთი დღე და თავისთავად ფაქტი, რომ არ გამოიძიეს და დღემდე გაიჭიმა გამოძიება, ნიშნავს იმას, რომ ისინი არამც თუ არ აპირებენ გამოძიებას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ გამოძიების კვალს, რეალურ დამნაშავეს, ანუ თავის თავს ფარავენ. ბუნებრივია, არც გამოიძიებენ.

**— ერთ-ერთი ვერსიით, FBI-მ მოგაწოდათ თქვენ ეს ინფორმაცია და ივანიშვილს აშანტაჟებთ. ამაზე რას იტყვით?**

— ჩვენ შანტაჟის გზით სიარულს ნამდვილად არ ვაპირებთ, ამ ხელისუფლების მოქმედებიდან, რეაქციიდან გამომდინარე, ისედაც ყველასთვის ყველაფერი ნათელია. მით უმეტეს, ეს ნათელია ამერიკისა და ისრაელის სპეცსამსახურებისთვის, რომლებიც, ოფიციალური ვერსიით, გამოძიებაში არიან ჩართულები. ეს ამბავი ვერ დაიმალება და მალე ყველასთვის ცხადი გახდება ის, რასაც ყველა ისედაც ვხვდებოდით.



**„საქართველო და მსოფლიო“ დაინტერესდა „ქართული ოცნების“ პოზიციით და პარლამენტის წევრ ანი მიროტაძეს დაუკავშირდა:**

## „მოვუწოდებ პროკურატურას, რომ რაც შეიძლება სწრაფად გამოიძიოს ეს საკითხი“

— ბერას სტუდიაში? რა თქმა უნდა, გამოვრიცხავ და იცით, რატომ? იმიტომ კი არა, რომ ამ გუნდის წევრი ვარ, არამედ იმიტომ, რომ მე არ ვფიქრობ, ვინმე ჩემს გუნდში იყოს ასეთი ვიწრო აზროვნების, რომ ამ ტიპის ვიდეოებით თუ პოლიტიკური ქმედებებით ცდილობდეს რაღაც პოლიტიკური ქულების დაწერას. ასეთი ჩემს პოლიტიკურ გუნდში არავინ მეგულება.

**— და გამოძიება რატომ ჭიანურდება? კარგა ხანი გავიდა...**

— ძალიან ცუდია, თუ გამოძიება არ მიმდინარეობს ან შეჩერებულია, ან რაიმე მიზეზით ხდება ის, რომ ხელი ეშლება გამოძიებას. ვიმეორებ, ეს ძალიან ცუდია. მეც ვარ დაინტერესებული, რომ დადგინდეს, საიდან და როგორ მოხდა ეს, იმიტომ, რომ **ისევე, როგორც ამ ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს, მეც მაინტერესებს, რა მოხდა რეალურად. მოვუწოდებ პროკურატურას, რომ, რაც შეიძლება სწრაფად გამოიძიოს ეს საკითხი და, ბოლოს და ბოლოს, გაირკვეს სიმართლე, იმიტომ, რომ არ შეიძლება ასეთი რაღაცები ხდებოდეს ქვეყანაში.**



**„საქართველო და მსოფლიო“ ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად შსს-ს პრესსამსახურის ხელმძღვანელს — ნინო გიორგობიანს დაუკავშირდა.**

## „ამერიკული მხარე და ისრაელი ძალიან აქტიურად გვეხმარებიან და წარმატებით მიმდინარეობს ეს გამოძიება“

**— გამოძიება მიდის თუ არა იმ აზრამდე, რომ ე. წ. ჯიჰადის ვიდეო შექმნილია და დამონტაჟებულია საქართველოში პრეზიდენტის ან პრემიერის გუნდის მიერ?**

— ბევრი ვერსია გავრცელდა, მაგრამ გამოძიების დასრულებამდე ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ, თუმცა ვამბობ და მინისტრმაც განაცხადა არაერთხელ (შეგიძლიათ, ეს მინისტრის ოფიციალურ ვებგვერდზეც ნახოთ), რომ ინტენსიურად და წარმატებით მიმდინარეობს მიმდინარეობს გამოძიება, ამერიკული მხარე და ისრაელი ძალიან აქტიურად გვეხმარებიან და, როცა დასრულდება, შედეგებს მაშინ ვამცნობთ საზოგადოებას.

მოამზადა
**ქეთი ხომერიკმა**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩემს ცხოვრებაში ათი წლის მანძილზე სულ რაღაც ორი-სამი გამონათება იყო. ერთხელ, როცა „იმედის დილაში“ დამიძახეს, მწირი ბიუჯეტითა და შიშველი ხელებით კარგი პროექტი გამოგვივიდა, მაგრამ ხუთ თვეში „ამერიკური ხედვის გოგონა“ მოიყვანეს და მე გამომიშვეს. დიახ, სწორედ ასე მითხრეს — „ამერიკული ხედვის გოგონა“. ქართულ ტელევიზიას და, თუ გნებავთ, სხვა რამესაც, ამერიკული ხედვა არ სჭირდება, ჩვენ გვჭირდება ქართული ხედვა.“**

# ირმა სოხაძე: ქართული კულტურის ყველა დარგი დიდ გასაჭირშია

**მშობელი, როგორც კი ბავშვში რაიმე ნიჭს აღმოაჩენს, მაშინვე ცდილობს, ეს ნიჭი გაალვივოს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საუკეთესო პედაგოგებთან მიიყვანოს, უკანასკნელ ლუკმას მოიკლებს და შვილის მომავლისთვის არაფერს დაზოგავს. მშობლები თვალ-ყურს ადევნებენ რეკლამას, ეძებენ სასწავლებელს, რომელიც უფრო პრესტიჟულია და კარგი რეკლამა აქვს. ცოტამ თუ იცის, რომ თბილისში, „ბასტი-ბუბუსა“ და „ენკი-ბენკის“ გარდა, არსებობს საბავშვო სტუდია „მხიარული ნოტები“, რომელსაც ქალბატონი ირმა სოხაძე ხელმძღვანელობს. რატომ არ არის პოპულარული „მხიარული ნოტები“ და რა უქმნის მას დაბრკოლებას? სადამდე მოგვიყვანა ფავორიტების არსებობამ? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო“ ქალბატონ ირმა სოხაძეს ეწვია.**






**«უნდა ვუსაყვედურო ხელმძღვანელებს იმ საბავშვო ანსამბლებისა, რომელთა წევრებიც მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით, მაკიაჟით გამოდიან სცენაზე, ერთი სიტყვით, ქალებს ჰგვანან და საბავშვო სიმღერებს მღერიან. არ მესმის, რა საჭიროა ამ ასაკიდან ბავშვის გემოვნების გაფუჭება?!»**

— საბავშვო სტუდიების აღორძინებითა და მათი არსებობით პერიოდულად სულ ვიყავი დაკავებული და დაინტერესებული. 80-იან წლებში საქართველოს ტელევიზიაში პირველ არხთან არსებული საბავშვო მუსიკალური თეატრი ჩამოვაყალიბეთ, სამი მიუზიკლი დავდგით და გადავიღეთ კიდეც. რეჟისორი დალი გურგენიძე გახლდათ, კეთილ საქმეში მთელი საბავშვო და მუსიკალური განყოფილებები მეხმარებოდნენ. ეს იყო ჩემი ცხოვრების უბედნიერესი ხანა. ჩვენი საბავშვო თეატრი იმითაც იყო გამორჩეული, რომ მასში ტელევიზიის თანამშრომელთა შვილები ირიცხებოდნენ, საუკეთესო მონაცემების მქონე ბავშვები, პროექტიც სწორედ მათთვის გაკეთდა, ტელევიზიაში ხომ ძალიან ბევრი თანამშრომელი იყო. რაღაც პერიოდის შემდეგ სხვა ბავშვებიც შემოგვიერთდნენ. ეს არ იყო კომერციული პროექტი, ამიტომ სულ 25-30 ძალიან ნიჭიერი ბავშვი ირიცხებოდა. ისე, მე არ მჩვევია 100 და 200 ბავშვის აყვანა, რადგან ამ შემთხვევაში სწავლის ხარისხი ეცემა, ბავშვთან პირად კონტაქტს ვერ ახერხებ.

**ტელევიზიაში საბავშვო თეატრის გაკეთების იდეა სრულიად სპონტანურად გაჩნდა. მოსკოვში იყო რაღაც ამგვარი გადაცემა, მაგრამ იქ უფროსები თამაშობდნენ ბავშვებისთვის, მე კი გადავწყვიტე, ბავშვებს თავად ეთამაშათ. გადაწყვეტილება კი მივიღე, მაგრამ ვერ მოვიძიე ქართული საბავშვო მიუზიკლი და თავად დავწერე, ეს იყო „ზღაპარქალაქი-1“ და „ზღაპარქალაქი-2“. ჩემი კონსულტანტი გახლდათ საბავშვო პოეტი და არჩვეულებრივი ადამიანი, ბატონი გივი ჭიჭინაძე. მესამე მიუზიკლი, რომელიც დავდგით, გივი ჭიჭინაძის ლექსზე დავწერე — „ნაძვნარა ტყის ზღაპარი“.**

პირველი მიუზიკლის დადგმა არც ისე უმტკივნეულო იყო. საბავშვო რედაქციაში მაშინვე ჩოჩქოლი ატყდა, ამბობდნენ, რა საჭიროა სპექტაკლი, რომელშიც ბავშვი სკოლის მაგივრად ზღაპარქალაქში მიდისო. სრული სისულელე იყო, მაგრამ ჩემზე ძალიან მძიმედ იმოქმედა, ჯანმრთელობაც კი შემერყა. სპექტაკლი გადამიდეს, დეკორაცია უკვე გაკეთებული იყო, ჩანაწერები, ფონოგრამა — ყველაფერი მზად გვქონდა, ორი დიდი გრამფირფიტაც გამზადებული იყო. ყველაფერ ამას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რადგან ჩემი სურვილი იყო, ბავშვებს ფული არ გადაეხადათ, მათ უფასოდ ვამეცადინებდი, ამიტომ ყველაფერს უფასოდ და თხოვნის საფუძველზე ვაკეთებდით. დაბრკოლებების მიუხედავად, საბავშვო სპექტაკლი მაინც წარმატებით დასრულდა. ახლახან ჩანაწერები მოვიძიე, მაგრამ ტელევიზიაში არ აღმოჩნდა.

რაღაც პერიოდის შემდეგ ჩვენი თეატრი საბავშვო ქალაქ „მზიურთან“ არსებულ თეატრად გადაკეთდა. შაბათ-კვირას თბილისელებისთვის და სტუმრებისთვის სრულიად უფასოდ „მზიურის“ თეატრონზე წარმოდგენებს ვმართავდით. ახლაც მიკვირს ის ენთუზიაზმი, რომელსაც მაშინ ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფი იჩენდა.

კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტში როდესაც ვასწავლიდი, არაჩვეულებრივი კურსი შემხვდა, მათთან ურთიერთობის გაწყვეტა სწავლის დასრულების შემდეგაც ვერ შევძელი. ბევრი ვიფიქრეთ, ერთობლივად რა გაგვეკეთებინა და მოვიფიქრეთ, რომ საბავშვო სტუდია დაგვეარსებინა. არ მინდოდა, რაც ჩემს სტუდენტებს ვასწავლე, დაკარგულიყო, არც მათ სურდათ თავისი ცოდნის დაკარგვა.

ხუთი წლის წინ ჩემმა სტუდენტებმა სტუდია „მხიარული ნოტები“ დააარსეს. მოგვიანებით მეც ჩავერთე, თავდაპირველად კონსულტანტი უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ ახლა ცოტა მეტი ვარ, რადგან მიწვეული კონსულტანტები კვირაში ან თვეში ერთხელ დადიან, მე კი ხშირად იქ ვარ. ამ გაზაფხულზე, ისევ „ზღაპარქალაქი“ დავდით. ძველი სპექტაკლის დადგმა უცებ მომივიდა აზრად.

**ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ აბსოლუტურსმენიანი ბავშვები ვეძებოთ. არის უამრავი საბავშვო სტუდია, მშობლები ცდილობენ, რომელსაც უკეთესი რეკლამა აქვს, იქ შეიყვანონ თავისი შვილი, ამიტომ ცოტა გვიჭირს ნიჭიერი ბავშვების პოვნა.** სწორედ ეს გახდა ძველი სპექტაკლის დადგმის მიზეზი, მაინტერესებდა, საშუალო მონაცემების მქონე ბავშვები რას იზამდნენ. ჩემს გაოცებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შედეგი ვნახე. ეს იყო ცოცხლად შესრულებული მუსიკა. სხვათა შორის, მაშინ იმ ნიჭიერ ბავშვებთან, ტელევიზიაში, ფონოგრამაზე ვმუშაობდი.

**ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ცოცხალ მუსიკას, ბავშვის ბავშვურობას, მის ზოგად განვითარებას, ყურადღებას ვაქცევ იმას, თუ რას მიიღებს ჩემს გაკვეთილზე ახალსა და საინტერესოს. არ მაქვს ის ამოცანა, რომ წარმოდგენები დავდგა და 200 ბავშვი ერთნაირად ვაცეკვო, უფრო ინდივიდზე ვმუშაობ, თითოეულ მათგანს რაც მოსწონს, რაც უყვარს, უფრო გავუღვივო, თუ რამე ცუდი ჩვევა აქვს, გადავაჩვიო და უკეთესი ჩავუნერგო. ჩემთვის ბავშვებთან ურთიერთობა ყველაზე დიდი სიამოვნებაა. ჩემ გვერდით დგანან და ძალიან მეიმედებიან ნათია ხუციშვილი და ელენე მელქაძე.**

**— ძალიან პოპულარულია „ბასტი-ბუბუ“. რას იტყვით ამ სტუდიაზე?**

— „ბასტი-ბუბუ“ მთელი ინდუსტრიაა, ის კარგად არის რელსებზე დაყენებული, მაგრამ არ მომწონს, საბავშვო სტუდიების სივრცეში მონოპოლია რომ აქვს აღებული. თუმცა ეს არ არის „ბასტი-ბუბუს“ ბრალი. ამაში დიდი წვლილი ტელევიზიებს მიუძღვით. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა „ბასტი-ბუბუ“ გაუშვა და სანაცვლოდ არაფერი მნიშვნელოვანი არ გააკეთა. იმედი მაქვს, რომ ახალი სეზონიდან საზოგადოებრივი მაუწყებელი საბავშვო გადაცემებს მეტ ყურადღებას დაუთმობს, იმუშავებს სხვადასხვა სტუდიასთან, მათ შორის — „მხიარულ ნოტებთან“. მინდა, რომ ჩვენი დადგმული მიუზიკლის შესახებ მოველაპარაკო, რომ ახალი ვერსია კვლავ გადავიღოთ და ბავშვებს ვაჩვენოთ. იმიტომ კი არა, რომ ეს ჩემი ბავშვები არიან და საუკეთესოა, არა, ეს საჭიროა, ამ ზღაპრებზე თაობები გაიზარდა, მას ბავშვები უსმენდნენ.

**უნდა ვუსაყვედურო ხელმძღვანელებს იმ საბავშვო ანსამბლებისა, რომელთა წევრებიც მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით, მაკიაჟით დგანან სცენაზე, ერთი სიტყვით, ქალებს ჰგვანან და საბავშვო სიმღერებს მღერიან. არ მესმის, რა საჭიროა ამ ასაკიდან ბავშვის გემოვნების გაფუჭება?!** კარგი იქნება, თუ ამაზე დაფიქრდებიან. ბავშვისთვის, უპირველესად, მუსიკის სიყვარულია მთავარი, მან უნდა ისწავლოს ცოცხლად შესრულება.

**— რა ვითარებაა კონსერვატორიაში? იზრდება თუ არა კარგი თაობა?**

— ცუდი მდგომარეობაა, რამდენიმე ფაკულტეტი, შესაძლებელია, დაიხუროს კიდეც. პირველი მიზეზი ის არის, რომ ყველაფერი ფასიანი გახდა. მე მუსიკალურ ათწლედში ვსწავლობდი, ეს იყო სკოლა-ინტერნატი. იქ, იცით, როგორი მუსიკოსები გაიზარდნენ? კორიფეები. დღეს ასეთი სასწავლებლები აღარ არსებობს, არ არის ხელშეწყობა, მშობელმა ფული უნდა იხადოს და ხშირად ამის საშუალება არ აქვს. სასულე სპეციალობებზე ბავშვები ძირითადად რაიონებიდან მოდიოდნენ სასწავლებლად, ეს ინტერნატი კი ძალიან ადგებოდათ. იქ ცხოვრობდნენ და მხოლოდ სწავლით იყვნენ დაკავებულნი. ეს იყო უნიკალური სკოლა, რომელიც დაანგრიეს. ასეთი სამჭედლოს მოსპობა არაფრით შეიძლებოდა.

**ამას წინათ კულტურის სამინისტროში რაღაც საქმეზე მიველი და მითხრეს, რომ ჩვენ კლასიკურ მუსიკას უნდა მივხედოთო. ერთ-ერთმა მოადგილემ მითხრა, თუ როგორ აპირებენ, რომ სოფლებში გააგზავნონ ალტისტი კულტურის ასამაღლებლად. ეს საკითხისადმი ძალიან ზედაპირული, არასერიოზული მიდგომაა, სასაცილოც კია. ასე არ ეშველება ამ სფეროს.**

**— დახმარებისთვის არ მოგმართეს?**

— ჯერ არავის მოუმართავს. მათ ძალიან კარგად იციან, რომ პრობლემა არსებობს, მათი მოგვარებისა და გადაჭრის გზებზე ჩემთან საუბარი თუ აინტერესებთ, დამიძახონ და აუცილებლად დავეხმარები. ამჟამად არსად ვმუშაობ. არაფერს დავიშურებ და არ დავზარდები. **ქართული კულტურის ყველა დარგი დიდ გასაჭირშია. დაუჩემებიათ ქართული ესტრადა, რა, აკადემიური მუსიკის თვალსაზრისით უკეთესადაა საქმე? კომპოზიტორები გვყავს? გასულ საუკუნეში საოცარი პლეადა იყო. მესმის, რომ მსგავსი საუკუნეში ერთხელ ხდება, მაგრამ თითო-ოროლა მაინც ხომ უნდა იყოს.**

ფავორიტულმა სისტემამ დაღუპა, დაანგრია ქართული კულტურა. ეს „არტიმედიდან“ დაიწყო. მართალია, ბადრი პატარკაციშვილს კარგი ჩანაფიქრი ჰქონდა, მაგრამ ისეთ ადამიანებს ჩაუგდო ეს საქმე ხელში, რომ ყველაფერი სხვანაირად წარიმართა. ფავორიტები იქიდან დაიწყო, ფონოგრამით სიმღერაც მათ დაიწყეს. სულ ფონოგრამით სიმღერა არ შეიძლება, ცოცხლად სიმღერა უნდა შეგეძლოს, რა იცი, როდის დაგჭირდება?!

მას შემდეგ ყოველთვის რამდენიმე მომღარალი ჩანდა, დანარჩენები კი გადაყრილები ვიყავით, შოუშიც კი არავინ გვეძახდა.

**— ანუ ჩარეცხილები?**

— ვერ ვიტან მაგ სიტყვას, მაგრამ, რაც გინდათ, დაარქვით. ჩვენ არსად არ უნდა გავქაქანებულიყავით, **ჩემს ცხოვრებაში ათი წლის მანძილზე სულ რაღაც ორი-სამი გამონათება იყო. ერთხელ, როცა „იმედის დილაში“ დამიძახეს, მწირი ბიუჯეტითა და შიშველი ხელებით კარგი პროექტი გამოგვივიდა, მაგრამ ხუთ თვეში „ამერიკური ხედვის გოგონა“ მოიყვანეს და მე გამომიშვეს. დიახ, სწორედ ასე მითხრეს — „ამერიკული ხედვის გოგონა“, რომელმაც შემდეგ მთელი რედაქცია დაშლის და დანგრევის პირას მიიყვანა. ქართულ ტელევიზიას და, თუ გნებავთ, სხვა რამესაც ამერიკული ხედვა არ სჭირდება, ჩვენ გვჭირდება ქართული ხედვა.** მე ვიცი, რა უნდა ჩვენს მაყურებელს.

დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერს მიეხედება, განსაკუთრებით კულტურას, მანკიერი რაც არის, აღმოიფხვრება.

**— ამ შემადგენლობით, ვინც ახლა კულტურის სამინისტროშია?**

— ვფიქრობ, რომ ყველაფერს მოევლება, რადგან ხალხმა გასული წლის ოქტომბერში დიდი საქმე გააკეთა და ვიცი, მალე სინათლეზეც გავალთ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**„ქურდს, რომელსაც მუდმივი დაძაბულობის პირობებში უხდება ცხოვრება და დასჯის შიში მისი მუდმივი თანმდევია, როგორც მხეცს, უვითარდება თავდაცვის ინსტიქტი: იგი ტანით გრძნობს მოახლოებულ საშიშროებას. ეტყობა, ბოიოვამაც იგრძნო, რომ მის გარშემო სიტუაცია დაიძაბა და ის ათი დღე ქურდობაზე ხელი აიღო, შინიდანაც არ გამოსულა."**

გრიფით «საიდუმლოდ»
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა, აღსრულებულია


ვაჟა ასათიანი

**გასული საუკუნის 70-იან წლებში კანონიერი ქურდები თავიანთი სამყაროს საზღვრებში იყვნენ ჩაკეტილნი, განსხვავებით ჩვენი უახლესი ისტორიისა, როცა კრიმინალური „ელიტა" სახელმწიფო მმართველობას შეეზარდა ან თითქმის შეეზარდა. მაგალითისთვის ხშირად მოხსენიებული ტარიელ ონიანი გამოდგება, რომელთან ურთიერთობასაც ერთი მხარე მეორეს მიაწერდა, მეორე — პირველს.**
**ეს სერიოზული თემაა და ფაქტის კონსტანტაციით დავკმაყოფილდეთ.**
**დავუბრუნდეთ იმ პერიოდს, როცა ქურდულ სამყაროს მკვეთრად უპირისპირდებოდა სახელმწიფო სამართალდამცავი ორგანოები.**
**ქურდი იმ დროს ქურდობდა, ყაჩაღი — ყაჩაღობდა და ქურდის „წოდების" ყიდვა, მომდევნო პერიოდში ლამის მოდად რომ იქცა, კრიმინალური სამყაროს „გაგებაში" არ ჯდებოდა.**
**სხვათა შორის, ქურდობით გამდიდრება ან ბიზნესის წარმოება „წესებიდან" ამოვარდნა იყო: ნაქურდალი „ობშჩიაკში" მიდიოდა.**
**ქურდის პროფესია ძარცვა იყო და ისიც ვერ იშლიდა ხელმრუდობას.**
**პოლკოვნიკი ზურაბ მაჩაიძე მორიგ კრიმინალურ ისტორიას იხსენებს:**


ზურაბ მაჩაიძე

## ბოიოვა ნარკომანიც იყო და ნარკოდილერიც. საზოგადოებისგან მისი იზოლაცია ამიტომაც იყო აუცილებელი

— ერთ-ერთი ცნობილი ბოროტმოქმედი იმ პერიოდში იყო ვინმე **ომარ ხაჩატუროვი**, მეტსახელად **ბოიოვა**, რომელიც თბილისში, ელიას უბანში ცხოვრობდა. იყო რეციდივისტი, მრავალჯერ ნასამართლევი.

ბოიოვამ მორიგი სასჯელი ის იყო მოიხადა და გააგრძელა მშვიდობიანი თანამოქალაქეების დაწიოკება, ძარცვა და ყაჩაღობა. ამის შესახებ ოპერატიული ინფორმაცია მოგვაწოდა დავით ზეიკიძემ, რომელიც ახლადმიღებული გვყავდა ქალაქის სისხლის სამართლის სამსახურში ინსპექტორის თანამდებობაზე.

**— ბოიოვა ჩადიოდა დანაშაულს და მილიციამ არაფერი იცოდა?**

— დიახ, არ იცოდა, რადგან მსხვერპლი ისე ჰყავდა დაშინებული, რომ მილიციაში გაცხადებას ვერ ბედავდა.

თანამშრომლების ოპერატიულ თათბირზე **განყოფილების უფროსმა უშანგი ჭიჭინაძემ** (მე მისი მოადგილე ვიყავი), უაღრესად პატიოსანმა და ჭეშმარიტმა პროფესიონალმა, შექმნილი ვითარების გაანალიზების და ჩვენი მოსაზრებების მოსმენის შემდეგ გადაწყვიტა, დაგვეწყო რეციდივისტ ხაჩატუროვის ოპერატიული დამუშავება შინაგან საქმეთა სამინისტროს სადაზვერვო სამსახურთან ერთად.

დაახლოებით ათი დღის განმავლობაში გაგრძელდა ეს ოპერაცია, მაგრამ უშედეგოდ.

**ქურდს, რომელსაც მუდმივი დაძაბულობის პირობებში უხდება ცხოვრება და დასჯის შიში მისი მუდმივი თანმდევია, როგორც მხეცს, უვითარდება თავდაცვის ინსტიქტი: იგი ტანით გრძნობს მოახლოებულ საშიშროებას.**

ეტყობა, ბოიოვამაც იგრძნო, რომ მის გარშემო სიტუაცია დაიძაბა და ის ათი დღე დანაშაულზე ხელი აიღო, შინიდანაც არ გამოსულა.

ამასთან, გამორიცხული არ იყო, რომ ინფორმაციამ ოპერაციის ჩატარების თაობაზე რაღაცნაირად გაჟონა ქურდებთან „შეკრული" რომელიმე დაზვერვის თანამშრომლის საშუალებით.

მუშაობა ამ ვერსიითაც დავიწყეთ და ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ეჭვი არ გამართლდა. ამიტომ მთელი ძალისხმევა მთავარ ვერსიაზე გადავიტანეთ — როგორმე უნდა გამოგვეტყუებინა ხაჩატუროვი-ბოიოვა სამალავიდან — თავისი სახლიდან ელიაზე, წყაროს უბანში, მაშინ ავიყვანდით კიდეც. ეს ვარიანტი, საგამოძიებო თვალსაზრისით, გაცილებით პერსპექტიული ჩანდა.

**ბოიოვა ნარკომანიც იყო და ნარკოდილერიც. საზოგადოებისგან მისი იზოლაცია ამიტომაც იყო აუცილებელი.** ნარკომანობა გარკვეულ პირობებში ადამიანს განსაკუთრებულად მგრძნობიარეს ხდის. გადავწყვიტეთ, სწორედ ამით გვესარგებლა: იმ პერიოდში ხაჩატუროვს ქალაქის პირველ საავადმყოფოში დისშვილი ეწვა, რომელიც, როგორც ამბობდნენ, განსაკუთრებით უყვარდა.

ცრუმაგიერმა პირმა, ვითომდა საავადმყოფოს მორიგემ, დაურეკა და აცნობა, რომ დისშვილი ძალიან ცუდად იყო და სასწრაფოდ მისვლა სთხოვა.

ამასობაში შექმნილი გვყავდა ოთხი ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც ეს ოპერაცია უნდა განეხორციელებინა. ერთი ოპერჯგუფი — **უშანგი ჭიჭინაძე, მე და კიდევ ერთი თანამშრომელი,** ე.წ. არამიანცის ზედა შესასვლელის გადასაკეტად წავედით. ბოიოვას შესაძლო მარშრუტი გათვლილი გვქონდა: თუ თავისი სახლიდან მოკლე გზით წამოვიდოდა, სწორედ ამ შესასვლელთან უნდა გამოჩენილიყო. ჩვენც იქ დავხვდებოდით.

თუ გრძელ გზას აირჩევდა და ქვემოდან მოუვლიდა, ჩვენი სამი ოპერატიული ჯგუფი ქვედა შესასვლელთან აიყვანდა.

ამ ჯგუფებში შედიოდნენ: **დავით გოცირიძე,** ქვეგანყოფილების უფროსი; **დავით ზეიკიძე, ვაჟა ასათიანი, ალიოშა რზგოევი, ნოდარ მაისაია, ალიკ ალხაზოვი, დგებუაძე** და **ამირან ხურცია** — ოპერმუშაკები.

მოხდა ისე, რომ ბოლო მომენტში ხურცია **ანზორ ბურდულმა** შეცვალა: ოპერატიულ თათბირზე შემოსულმა ითხოვა, მეც წამიყვანეთო. ხურცია დაკავებული იყო სხვა საქმით და ხელმძღვანელობაც დათანხმდა.

**ბედისწერა იყო მისი, ეტყობა, ასეთი.**

1978 წლის 23 მარტია. საღამოვდება. 7 საათი ხდება. დავიწყეთ ოპერაცია. ყველა ჯგუფი თავისი მარშრუტით დაიძრა.

ერთმანეთთან კავშირი რაციებით გვაქვს. სად იყო მაშინ ის ტექნიკური აღჭურვილობა, როგორიც ახლა აქვთ ოპერატიულ თანამშრომლებს ან სპეცრაზმის მებრძოლებს — ჯავშანჟილეტები და ტყვიაგაუმტარი მუზარადები... მთელი ჩვენი შეიარაღება ერთი ტაბელური „მაკაროვია". მართალი იყო, მაშინ რომ ამბობდნენ, რომელიც უწინ მუშაობდა ერთ-ერთ კოლონიაში, რომელშიც ეს კაცი სასჯელს იხდიდა და შეჰყვირა:

— ძაღლები მოდიან!

ბოიოვა, ისე, რომ ლაბადის ჯიბიდან იარაღი არ ამოუღია, დამიზნებით ესვრის ჩვენს მეწინავე ჯგუფს.

მძიმედ დაიჭრნენ ბურდული და რზგოევი.

**ვაჟა ასათიანი არ დაიბნა და დაუყოვნებლივ გაუხსნა საპასუხო ცეცხლი — ხაჩატუროვი ფეხში დაჭრა, ბარძაყის ძვალი დაუზიანა, იგი დაეცა, დაახტა ვაჟა და განაიარაღა.**

ამ დროს იქვე, მალაზიიდან გამოვარდა კიდევ ერთი იქაური და სროლა ატეხა. ვაჟამ, რომელსაც მსხვერპლი ქვეშ ჰყავდა მოქცეული, ისე, რომ არ ამდგარა, ესროლა ამ თავდამსხმელს და მკლავში დაჭრა.

სროლის ხმაზე მივარდა ზეიკიძე თავისი ჯგუფით. ვაჟამ ანიშნა, საითაც გაიქცა მის მიერ დაჭრილი კაცი. დათო დაუყოვნებლივ დაედევნა, მაგრამ იმ მჭიდრო დასახლებაში ურთიერთგამავალი ეზოებითა და ხვეული ვიწრო ქუჩებით რას იპოვიდა...

ჩვენს ჯგუფს რაციით შეგვატყობინეს, რომ წყაროს უბანში სროლა იყო და უცებ გავჩნდით შემთხვევის ადგილზე.

დაჭრილები სასწრაფოდ საავადმყოფოში გადავიყვანეთ. უახლოესი ყოფილ კამოს ქუჩაზე იყო. ახლა წინამძღვრიშვილის ქუჩაა.

ანზორ ბურდულს ექიმებმა ვერაფერი უშველეს — სასაკვდილოდ იყო დაჭრილი. ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვალა რზგოევი.

მილიციელები ბანდიტებთან ბრძოლის დროს ტყვიას მკერდს უშვერენო.

სამი ჯგუფი ელიასკენ გაემართა, წყაროს უბნისკენ. მეწინავეა ვაჟა ასათიანის, ალიოშა რზგოევისა და ანზორ ბურდულის ჯგუფი.

ორი დანარჩენი მოშორებით მიჰყვება.

ხედავენ, წყაროსთან ოთხი იმუბნელი დგას და შამპანურს სვამენ. ბოიოვაც სახლიდან გამოდის და უბნელების ჯგუფს უერთდება. ისინი შამპანურით სავსე ჭიქას მიაწვდიან. მეინახეებმა შეამჩნიეს, რომ უცხო პირები უახლოვდებიან. ერთმა იცნო ანზორ ბურდული,

სამწუხაროდ, ორი თანამშრომელი დავკარგეთ.

ახლა რომ ვაანალიზებ იმ ოპერაციას, აშკარა ხდება, ვაჟა ასათიანის ვაჟკაცობა და პროფესიონალიზმი რომ არა, ბანდიტები რამდენიმე კაცს კიდევ შეიწირავდნენ. ეს ერთი.

მეორეც. **სამსახურებრივი მოკვლევა, რომელიც იმავე ღამეს დაიწყო, ჩვენი, იმ ოპერაციის მონაწილეთათვის, ნამდვილ წამებად იქცა, ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული მეთოდის ზეობად, როგორც ხდება ხოლმე ასეთი შემთხვევების დროს. მაგრამ ჩვენ ფორმალური მოთხოვნებიც დაცული გვქონდა, ხოლო მილიციის თანამშრომლების პროფესიულ ქმედებას ხინჯი არ მოეძებნებოდა, მაგრამ სამინისტროს მაღალი რანგის ჩინოვნიკებმა ყალბი პრინციპულობით საკუთარი ავტორიტეტის განმტკიცება მოინდომეს.**



სწორედ აქ გამოჩნდა **თბილისის სამმართველოს უფროსის — ჯემალ მიქელაძისა** და **სისხლის სამართლის ხაზით მისი მოადგილის — დამიანე ალანიას** პრინციპულობა, სამართლიანობა და ჰუმანურობა: **გადაეფარნენ ისინი თავიანთ თანამშრომლებს, რომლებმაც უაღრესად საშიში დამნაშავე გააუვნებლეს.**

გაიწელა სამსახურებრივი მოკვლევა, მაგრამ ვიტყვი, რომ პროკურატურამაც ობიექტური პოზიცია დაიკავა და სერიოზულად არავინ დაუსჯიათ. თუმცა ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი სამსახურის უფროსი უშანგი ჭიჭინაძე, ყოველმხრივ სამაგალითო და დამსახურებული კაცი, პენსიაში გაისტუმრეს.

ბიუროკრატიამ მაინც მოიქნია კუდი.

**— ის ბოროტმოქმედი, რომელიც სროლით გამოვარდა იმ შემთხვევის დროს, ვაჟა ასათიანმა რომ დაჭრა მკლავში და გაიქცა, თუ იპოვეთ ბოლოსდაბოლოს?**

— იმ ღამესვე დავადგინეთ, ვინც იყო. აღმოჩნდა, რომ იყო ვინმე აგაჯანოვი, ორი დღის შემდეგ დავაპატიმრეთ. აქ მოხდა ისე, რომ წინასწარი პატიმრობის იზოლატორში საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა.

**— რას ერჩოდნენ?**

— ერთ-ერთი ვერსიით, მოკლეს იმიტომ, რომ მილიციის თანამშრომლების მკვლელობა მისთვის დაებრალებინათ და ქურდული სამყაროს ავტორიტეტი ბოიოვა გადაერჩინათ, ყოველ შემთხვევაში, აეცილებინათ სასჯელის უმაღლესი ზომა.

**— ბოიოვა კი დაჭრილია...**

— დიახ, დაჭრილია და მას მკურნალობენ, რადგან იმ დროის კანონმდებლობით, დაჭრილი, ავადმყოფი ეჭვმიტანილის გასამართლება დაუშვებელი იყო — ჯერ უნდა მოერჩინათ.

ორ წელიწადს მკურნალობდნენ. აუცილებელი გახდა ფეხის ამპუტაცია. გადააფრინეს იმდროინდელ ლენინგრადში და გაუკეთეს ეს ურთულესი ოპერაცია.

წყაროზე მყოფი ოთხეულიდან ერთ-ერთი — ბალათუროვი, რომელმაც იცნო ბურდული და დაიძახა „ძაღლები მოდიანო", შემთხვევის ღამესვე დავაპატიმრეთ. სამი დანარჩენი შემთხვევითი პირი აღმოჩნდა და მათ მიმართ არავითარი სადამსჯელო ღონისძიება არ განხორციელებულა.

**— სასამართლომ რა თქვა ბოლოსდაბოლოს?**

— ამ ბალათუროვს მიესაჯა ათი წელიწადი, ომარ ხაჩატუროვი, იგივე ბოიოვა ცნობილი იქნა დამნაშავედ და სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა, მიუსაჯეს.

სასჯელი აღსრულდა.

კრიმინალური სამყარო მიყუჩდა, მიიმალა, ფსკერზე დაწვა. თბილისის მოქალაქეებმა ამოისუნთქეს.

ჩაიწერა
**არმაზ სანებლიძემ**

ეროვნება არ აქვს მხოლოდ ცხოველს

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის მასშტაბები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ეხება და ამრიგად სულ უფრო ძნელდება ეროვნული თვითმყოფადობის, ეროვნული კულტურისა და ცნობიერების დაცვა და შენარჩუნება. ასეთ პირობებში ეროვნული ხელისუფლებები ყოველმხრივ უნდა ეცადონ, თავიდან აიცილონ მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები. მთავარია, ამ პროცესში საკუთარი თავი, საკუთარი ეროვნული და ზნეობრივი ღირებულებები არ დავკარგოთ.**



# ვინ ვართ ჩვენ და რას ნიშნავს, იყო ქართველი

დასასრული. დასაწყისი იხ. №32 (219)

**ორიოდე სიტყვა აუცილებლად უნდა ითქვას არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომელთა უმეტესობა საკმაოდ სოლიდურად ფინანსდება გარედან და მიუხედავად იმისა, რომ მათ წარმომადგენლებს არც შიოდათ და არც წყუროდათ, კუდის ქიცინს მაინც ვერ მორჩნენ თავიანთი დამფინანსებლების წინაშე.**

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან არასამთავრობო ორგანიზაციები „სამართლიანი არჩევნები", „საერთაშორისო გამჭვირვალობა", „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და მათი ახალგაზრდა ხელმძღვანელები: **ნინო ლომჯარია, ეკა გიგაური** და **კახა კოჟორიძე.** ამ ახალგაზრდების გამოსვლას სატელევიზიო არხებზე ხშირად ვისმენ და გაოგნებული ვარ, ასე რამ შეაძულათ ყოველივე ის, რაც ნაღდი ქართულია და ქვეყანასა და ეროვნებასთან არის დაკავშირებული; რა ისეთ მსუქან ჯამაგირს იღებენ, რომ ლამის საქართველოს გაქრობას მოაწერონ ხელი?! ახალგაზრდები არიან და ხომ უნდა დაფიქრდნენ იმაზე, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში მიწები ასე უპრაგონოდ არსად იყიდება — არც სომხეთში, აზერბაიჯანსა და თურქეთში, არც ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში — რუსეთის ფედერაციის სუბიექტებში: ადიღეში, ყარაჩაი-ჩერქეზეთში, ყაბარდო-ბალყარეთში, ჩრდილო ოსეთი — ალანიაში, ინგუშეთში, ჩეჩნეთსა და დაღესტანში.

**ბოლოს და ბოლოს სირცხვილის გრძნობას ხომ ანგარიში უნდა გაუწიოს ადამიანმა. მათი მოღვაწეობა აუგად იყო მოხსენიებული რამდენიმე გაზეთში, მაგრამ, ვითომ არაფერი მომხდარა, ისინი ტელევიზიიდან ტელევიზიაში გადარბიან და აგრძელებენ უკულმართ ლაპარაკს.** გაზეთმა „ასავალ-დასავალმა" (2013 წლის 26 აგვისტო-1 სექტემბერი) ნინო ლომჯარიას, ეკა გიგაურისა და კახა კოჟორიძის მოღვაწეობის სამარცხვინო ფაქტები მოიყვანა, ხოლო გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" (23 აგვისტო, 2013) გამოქვეყნდა ქალბატონ მედეა კუჭუხიძის შესანიშნავი წერილი „ფსევდომორფოზა", რომელშიც ავტორი აღნიშნავს: **„სულ ახლახან, როცა უმიწებოდ დარჩენილი გამწარებული ქართველი გლეხობის გამოსვლების შემდეგ პარლამენტმა ერთწლიანი მორატორიუმი დააკანონა უცხოელებისთვის მიწის მიყიდვაზე (სანამ სრული აღწერა არ მოხდება), სასწრაფოდ გამოხტნენ ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციები და დაიწუნეს ეს მართლაც ძალიან სწორი და დროული კანონი.**

**რას წარმოადგენენ ეს არასამთავრობო ორგანიზაციები? ვინ და რამდენს უხდის ამ ახალგაზრდებს, რომელთა უტყვი სახეების ყურებისა და მათი შეფასებების მოსმენას ქართველი აუდიტორიისთვის ესოდენ აუცილებლად მიიჩნევენ ყველა სახის ჟურნალისტები? ვინ არიან? საიდან ასეთი მონური, ქვეშევრდომული მორჩილება, არანაირი ინდივიდუალობა? ზომბებივით არიან. მხოლოდ პარაზიტები არიან თუ რაღაც ახალი ფსევდომორფოზაა?"**

**ამ ახალგაზრდებისთვის უცხოა ქართული ადათები, ცხოვრების წესები. ისინი არაფრად აგდებენ ჩვენი წინაპრების მოღვაწეობას, მათ დანატოვარ მდიდარ მემკვიდრეობას. არც თავს იწუხებენ ამ მემკვიდრეობის შესწავლით. ამ ოკეანედალეულებს თუ ვინმემ არ მოქაჩა, უკიდურესად დაანაგვიანებენ ქართულ სულიერ კულტურას.**

როდესაც გაზეთ „ასავალ-დასავალში" ლომჯარიას, კოჟორიძისა და გიგაურის ერთად დაბეჭდილ სურათს ვუყურებ, ასე მგონია, ფაშისტური დიქტატურის დროინდელი დაუნდობელი, თავისი პატრონების დავალებების უხმოდ შემსრულებელი, ყოველგვარი ადამიანური ფასეულობების უარმყოფელი ახალგაზრდები გამოგვეცხადნენ, რომელთათვისაც სრულიად უცხოა, მაგალითად, ძველი ბერძენი მოაზროვნის, თალესის, გამონათქვამი: **„სირცხვილი ხანდახან იმას გვიკრძალავს, რასაც კანონი არ კრძალავს".** გახსენებადაც არ ღირს კოჟორიძის აჭარული ვოიაჟები. დღეს მათთვის უკვე არაფერს წარმოადგენს დიდი ქართველი მოღვაწისა და პედაგოგის, იაკობ გოგებაშვილის, შემდეგი ნააზრევი: **„შეუძლებელია უცრემლოდ, მწველი სევდისა და სასოწარკვეთილების გარეშე უმზიროთ საქართველოს აწინდელ მდგომარეობას. ყველაზე მომაკვდინებელ დღეშია ქართველი გლეხობა, ქართველი ხალხის ყველაზე მრავალრიცხოვანი და საუკეთესო ნაწილი. ქართულ მიწას, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ურიცხვი მტრების შემოსევებისგან სამშობლოს დამცველთა მიერ დატოვებული ძვლებისგან შედგება მთლიანად, ბევრად უფრო სიამოვნებით გადასცემდნენ და ახლაც გადასცემენ ჩამოთესლილ ელემენტებს, ვიდრე ისტორიულ მფლობელთ, აბორიგენებს, ქართველ გლეხობას. მოსახლეობის რიცხვთან შეფარდებით ქართული მიწა ჩამოთესლილთა ხელში ოთხჯერ უფრო მეტია, ვიდრე ადგილობრივ მცხოვრებთა ხელში. აქედან მოდის ჩვენი გლეხების მიწის უკიდურესი სიმცირე და უმიწობა"** (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 4, თბ., 1955, გვ. 308).

ამ ახალგაზრდებს ყველაფერთან ერთად არც მიღებული ცოდნა ჰყოფნით ეროვნული პრობლემების ანალიზისა და საერთოდ მომავალი სიტუაციის შესაფასებლად. **უკვე დღეს ევროპის ქვეყნები შეშფოთებულები არიან აფრიკელების, არაბებისა და აზიის ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან ჩამოსულთა მასშტაბებით. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ევროპის ქვეყნების განათლების დონე იწევს დაბლა, მომავალში თანდათანობით გაუარესდება ცხოვრების დონე, სხვადასხვა ცივილიზაციას სულ უფრო გაუჭირდება ერთად არსებობა და გარდაუვალი იქნება მათ შორის დაპირისპირება, ცივილიზაციათა დაპირისპირება კი ყველა ომზე საშიშია.** თუ ცივილიზაციათა დაპირისპირება დიდი მასშტაბით არ მოხდა, გარდაუვალი მაინც ის არის, რომ საბოლოოდ მათ ეროვნულ და კულტურულ ფასეულობებს მათივე ქვეყანაში უკვე უფრო მომრავლებული სხვა ხალხი დაეპატრონება და სხვა ხალხის დიქტატით გაგრძელდება ცხოვრება. ამისათვის სულაც არ არის საჭირო საუკუნეები. ევროპის ქვეყნებმა თუ რამე არ იღონეს, 50 წელიწადში ან ცოტა უფრო მეტ ხანში ყოველივე ეს საშინელ რეალობად იქცევა.

ნიშანდობლივი ფაქტია: **მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიას დასავლეთის ქვეყნები დაეხმარნენ დანგრეული მეურნეობის აღდგენაში. თურქეთიდან უამრავი იაფი მუშახელი მიაწყდა გერმანიას. როდესაც იქ თურქების რაოდენობამ მილიონს და შემდეგ ორ მილიონს მიაღწია, გერმანელებმა ეს შემთხვევა ზეიმით აღნიშნეს, მაგრამ, როდესაც თურქები ოთხი მილიონი გახდნენ და ამ ფაქტში გერმანელებმა საშიშროება დაინახეს, მათ გერმანიაში მცხოვრები თურქები დაარბიეს.**

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მილიონობით ადამიანის მიგრაცია მარტო წყლის ნაკლებობის გამო ხდება. მსოფლიო მოსახლეობის 40 პროცენტი აწყდება წყლის დეფიციტს. ყოველწლიურად 1,8 მილიონი ბავშვი კვდება არასაკმარისი სუფთა წყლის და არასრულყოფილი სანიტარული მომსახურებით გამოწვეული დაავადებებით. მილიარდი სოფლის მცხოვრები კუჭში გადის ღია ცის ქვეშ, რაც სერიოზულად მოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე. ამ დროს მოსახლეობა სწორედ ასეთ ქვეყნებში მრავლდება სწრაფად. **2050 წლისთვის მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა 9,3 მილიარდი კაცი იქნება. აზია მსოფლიოს ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რეგიონია და ასეთად დარჩება 21-ე საუკუნეში. ამჟამად მსოფლიო მოსახლეობის 60 პროცენტი აზიაში ცხოვრობს, ხოლო 15 პროცენტი — აფრიკაში, რომლის მოსახლეობამ 1 მილიარდს 2009 წელს გადააჭარბა. აფრიკის მოსახლეობა წელიწადში 2,3 პროცენტით იზრდება და ზრდის ტემპით ორჯერ და მეტად სჭარბობს აზიის მოსახლეობის ზრდის ტემპს, რომლის მოსახლეობა 2052 წელს 5,2 მილიარდი იქნება. აფრიკის მოსახლეობა კი 2 მილიარდი 2044 წელს გახდება, ხოლო 21-ე საუკუნის ბოლოს 3,6 მილიარდს მიაღწევს, ე. ი. ერთ საუკუნეში თითქმის გაოთხმაგდება.**

კიდევ ერთი დემოგრაფიული მონაცემია მეტად საგანგაშო: **ამჟამად მსოფლიოში 60 წელს გადაცილებული 893 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და საუკუნის შუახანებში ეს რიცხვი 2,4 მილიარდ კაცამდე გაიზრდება. ასეთ მოკლე დროში მოსახლეობის დაბერების უაღრესად სწრაფი ზრდის ტემპი უამრავ მწვავე პრობლემას დააყენებს კაცობრიობის წინაშე.** სულ უფრო გართულდება ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა, პენსიებით უზრუნველყოფა. ეს პრობლემები ამჟამად უკვე მწვავედ დგას მსოფლიოს განვითარებული და, მით უმეტეს, ნაკლებად განვითარებული რეგიონების წინაშე.

ასეთი დემოგრაფიული მონაცემების ფონზე, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, უპირველეს ყოვლისა, აფრიკიდან და აზიიდან მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი საარსებო პირობების გასაუმჯობესებლად შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს. ეს პროცესი ახლაც ფართო მასშტაბით მიმდინარეობს და საქართველოშიც, „ნაციონალების" მიერ ყოვლად უღირსი ეროვნული პოლიტიკის გატარების შედეგად, უმტკივნეულოდ ხორციელდება. **უამრავმა უცხოელმა შეიძინა მიწები, ბინები, სხვა ჩვენი ეროვნული სიმდიდრე და ჩვენც არხეინად ვუყურებთ ჩვენს მორალურ და ფიზიკურ სიკვდილს. ისტორიულად აუარებელი სისხლი დაღვარა ქართველმა ერმა მიწა-წყლის შესანარჩუნებლად, ახლაც, ბოლო 20 წლის განმავლობაში, მხოლოდ ქართველმა ხალხმა ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად რამდენი ომი გადაიტანეთ, რამდენი გაჭირვება, შიმშილი, უბინაობა, ავადმყოფობა, ფსიქიკური სტრესი და ახლა მოდის მზამზარეულზე ინდოელი, ჩინელი თუ ზანგი და არხეინად იძენს ჩალის ფასად სიმწრით აქამდე მოტანილ ჩვენს სიმდიდრეს.**

თუნდაც იმის გამო, რომ საქართველოში თითქმის 100 ქვეყნის წარმომადგენელს შეუძლია უვიზოდ შემოსვლა, „ნაციონალებს" ხმა აქვთ ამოსაღები? კორდინატორებსა და მათ მსგავს ადამიანებს, რომლებიც „ნაციონალების" ნასუფრალით იკვებებოდნენ და ფეხებზე ეკიდათ ქვეყანა, პასუხი არ უნდა მოეთხოვოთ? რას დაამგვანეს ჩვენი ქვეყანა და სადამდე მიიყვანეს ჩვენი ხალხი? ახლა კიდევ ვიღაც ლომჯაროების, გიგაურების, კოჟორიძეების, ნინია კაკაბაძეებისა და მათ მსგავსთა ჭკუაზე უნდა იაროს ქართველმა ხალხმა: არიქა, ქსენოფობები არ გვიწოდონ და კარი ფართოდ გავუღოთ ყველა გადამთიელს? ჩვენს მეზობელ სომხეთს მაინც მივბაძოთ, სადაც ამ ოცი წლის წინათ მთელ მოსახლეობაში სომხები 97 პროცენტს შეადგენდნენ, ახლა კიდევ 99 პროცენტს შეადგენენ და ერთმანეთსაც ქსენოფობობას არ სწამებენ.

**თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის მასშტაბები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ეხება და ამრიგად სულ უფრო ძნელდება ეროვნული თვითმყოფადობის, ეროვნული კულტურისა და ცნობიერების დაცვა და შენარჩუნება. ასეთ პირობებში ეროვნული ხელისუფლებები ყოველმხრივ უნდა ეცადონ, თავიდან აიცილონ მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები. მთავარია, ამ პროცესში საკუთარი თავი, საკუთარი ეროვნული და ზნეობრივი ღირებულებები არ დავკარგოთ.**

მიუხედავად ამისა, 2003 წელს ხელისუფლებაში მოსული „ნაციონალები" მთელი ცხრა წლის განმავლობაში არა თუ არაფერს აკეთებდნენ ქართული კულტურის განვითარებისთვის, არამედ ქართულ კულტურას, ყოველივე ქართულს შეუპოვრად ებრძოდნენ და ფსევდოეროვნული კულტურით ცდილობდნენ მათ შეცვლას. „ნაციონალებმა" ცნება „სამშობლო" საერთოდ ამოიღეს ხმარებიდან. ყველაფერს, რაც სამშობლოს სიყვარულთან იყო დაკავშირებული, ბოლო მოუღეს. საფუძველი გამოაცალეს ადამიანის არსებობის მთავარ არსს. ამიტომ იყო, რომ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნების" დაფუძნების კონფერენციაზე შემდეგი აღნიშნა: **„ვხედავ, სამშობლო მეკარგება, ხოლო როდესაც სამშობლო გეკარგება, არაფერს აქვს ფასი — არც ქონებას, არც ფულს, არც პრივილეგირებულ მდგომარეობას".** ▶

**ევროპის ქვეყნები შეშფოთებულნი არიან აფრიკელების, არაბებისა და აზიის ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან ჩამოსულთა მასშტაბებით. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ევროპის ქვეყნების განათლების დონე დაბლა იწევს, მომავალში თანდათანობით გაუარესდება ცხოვრების დონე, სხვადასხვა ცივილიზაციებს სულ უფრო უჭირთ ერთად არსებობა და გარდაუვალი ხდება მათ შორის დაპირისპირება — ცივილიზაციათა დაპირისპირება კი ყველა ომზე საშიშია**

**უამრავმა უცხოელმა შეიძინა მიწები, ბინები, სხვა ჩვენი ეროვნული სიმდიდრე და არხეინად ვუყურებთ ჩვენს მორალურ და ფიზიკურ სიკვდილს. ისტორიულად აუარებელი სისხლი დაღვარა ქართველმა ერმა მიწა-წყლის შესანარჩუნებლად, ახლაც, ბოლო 20 წლის განმავლობაში, მხოლოდ ქართველმა ხალხმა ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად რამდენი ომი გადაიტანეთ, რამდენი გაჭირვება, შიმშილი, უბინაობა, ავადმყოფობა, ფსიქიკური სტრესი და ახლა მოდის მზამზარეულზე ინდოელი, ჩინელი თუ ზანგი და არხეინად იძენს ჩალის ფასად სიმწრით აქამდე მოტანილ ჩვენს სიმდიდრეს.**

ეროვნება არ აქვს მხოლოდ ცხოველს

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◄ „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში მიმდინარეობდა მასობრივი შეტევა ეროვნულ ფასეულობებზე, ოჯახზე, სინდისსა და ზნეობაზე. საკუთარ ხალხს, მის კულტურას, სულიერებას, ქართულ ეროვნულ ღირსებას, როგორც მტერს, ისე ებრძოდა და ახლაც არ აკლებს ხელს სამთავრობო ტელევიზიის არხები და განსაკუთრებით „რუსთავი 2“. ამ ტელევიზიის თანამშრომლები, ეჭვი არ არის, „ნაციონალური მოძრაობის“ თავკაცებიდან იღებდნენ და ახლაც იღებენ დირექტივებს, თვითონაც უკან არაფერზე იხევენ და „საქართველოს ფუჭნი ძენი“ კუდის ქიცინს არ იშლიან თავიანთი პატრონების წინაშე. უზნეობის ზეიმმა „რუსთავი 2“-ის არხზე აპოგეას მაშინ მიაღწია, როდესაც მან უკვე აშკარად დაიწყო ბრძოლა ეროვნული ფასეულობების წინააღმდეგ, აშკარად დაიწყო ქართული ტრადიციების, კულტურის, ადათების დაცინვა, ქალიშვილობის ინსტიტუტის შეურაცხყოფა. ეკრანი გაივსო მეტად საეჭვო ყოფაქცევის გოგო-ბიჭებით, რომლებმაც თავზე წამოიცვეს საქართველოს ზნეობა, ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ დღესაც მისი ეკრანი განუწყვეტლივ ეთმობა ჰომოსექსუალებს, პედერასტებს, ლესბოსელებსა და პროსტიტუტკებს.

**ქართული სატელევიზიო არხები და განსაკუთრებით, „რუსთავი 2“ არენას უთმობს მხოლოდდამხოლოდ შერეულ ქორწინებებს, კერძოდ, ქართველი გოგონების დაქორწინებას ზანგებთან, ჩინელებთან... და „ივიწყებენ“, რომ ქართველი ქალი შეიძლება ქართველ მამაკაცზეც დაქორწინდეს და ამ თემასაც მიუძღვნას სპეციალური გადაცემა, ამასთან, სატელევიზიო გადაცემებში აუცილებლად ზანგებიც უნდა მონაწილეობდნენ, მაგრამ რა აუცილებლობაა ამისა, ამაზე არავინ მსჯელობს.**

რა თქმა უნდა, სხვადასხვა ადამიანის ქორწინება სრულიად დასაშვებია და ამის გამო ტრაგედია არ უნდა შევქმნათ, მაგრამ არც ამ მოვლენის ტელევიზიით გაუთავებლად ჩვენება და ხოტბის შესხმა არ არის მიზანშეწონილი. ეს მით უფრო დამაფიქრებელია, რომ **2011 წელს ქვეყანაში 1347 ქალი გათხოვდა უცხოელზე. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ უცხოეთში სამუშაოდ თუ სასწავლებლად წასული ქართველი ქალებიც ქორწინდებიან უცხო ეროვნების მამაკაცებზე, ანუ როგორც ახლა უწოდებენ, უცხოელ მოქალაქეებზე, მაშინ 2011 წელს დაქორწინებული ქართველი ქალების თითქმის 10 პროცენტი სხვა ეროვნების მამაკაცზე დაქორწინდა.** ასეთ შემთხვევაში გამოიკვეთება მთელი რიგი საკითხები, რომლებიც აუცილებლად მხედველობაშია მისაღები. კერძოდ, ეროვნული კულტურის სპეციფიკურობა, სხვადასხვა მშობლიური ენა, განსხვავებული ცხოვრების წესი. ბოლოსდაბოლოს ადამიანები აღზრდილნი არიან სხვადასხვა ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში, მათ აქვთ სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობა, სხვადასხვანაირი ნათესაური ურთიერთობები, ეროვნული ლიტერატურა, ტრადიცია, ქცევები, ადათები, სიმღერები, ცეკვები და იკვებებიან სხვადასხვა კერძით.

ამ მხრივ საინტერესოა გოეთეს საუბარი ეკერმანთან: **„მცენარეთა სამყარო ამა თუ იმ ქვეყნისა ზემოქმედებას ახდენს მის მკვიდრთა სულიერ ჩამოყალიბებაზე. და, რა თქმა უნდა, რომ ვინც მთელი თავისი დღე და მოსწრება ძალუმ, მრისხანე მუხნარში ცხოვრობს, სხვაგვარი კაცია, ვიდრე ის, ვინც მუდამ ჰაეროვან არყის ხეებს შორის დაიარება... ჩვენ ხომ დანამდვილებით ვიცით, რომ თანდაყოლილი რასობრივი თვისებების გარდა ადამიანებზე დიდ ზეგავლენას ახდენს ჰავა და ნიადაგი, ასევე საკვები და საქმიანობა, საბოლოოდ კი ხალხის ხასიათი ყალიბდება. ისიც ცნობილია, რომ პირველყოფილი ტომები უმთავრესად იმ მიწა-წყალზე სახლდებოდნენ, რომელიც მათ უფრო მოსწონდათ, ესე იგი თვით ადგილმდებარეობა ჰარმონიულ თანხმობაში იყო მათ თანდაყოლილ ხასიათთან“** (გოეთეს საუბრები ეკერმანთან. ბათუმი, 1988, გვ. 187).

ეს განსხვავებები ერთად ცხოვრების პირობებში სხვადასხვა ზომით აუცილებლად იჩენს თავს და ზოგჯერ საკმაოდ მძიმედაც. მაგალითად, **ქართველი ქალი თუ ისეთ ქვეყანაში გათხოვდა, რომელშიც ჩვეულებრივი მოვლენაა ქორწინება ბიძაშვილებსა და მამიდაშვილ-დეიდაშვილებს შორის, ფსიქოლოგიურად მას ამის გადატანა ძალიან გაუჭირდება. ენობრივი ბარიერიც არანაკლებ როლს ასრულებს მეუღლეთა შორის ურთიერთობაში, საერთო ინტერესების პოვნაში. ასეთ შემთხვევაში უმეტესად პირუტყვული ჟინის დაკმაყოფილებაზე შეიძლება მხოლოდ საუბარი.**

ერთხელ ტელევიზიით აჩვენეს ქართველი ქალისა და ზანგი მამაკაცის ოჯახი. ქმარი დამტვრეული ქართულით ძლივს ახერხებდა მეუღლესთან საუბარს. ჟურნალისტის კითხვაზე, თუ როგორი აზრი აქვთ მათ შეუღლებაზე მშობლებს, ქალმა უპასუხა: მამამ მითხრა, ძალიან შორს გათხოვდი და როგორღა განახავ ხოლმეო. აქამდეც დავეცით. ინტერესს მოკლებული არ არის ლიტვაში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევისას ეროვნებათაშორის ქორწინებაზე დამოკიდებულების შესახებ ანკეტის კითხვაზე გაცემული პასუხი: **„შერეული ქორწინება არ არის სასურველი. ისინი საფრთხეს უქმნიან მცირე ერების არსებობას. მისი მეშვეობით დიდი ერები ახდენენ მცირე ერების ასიმილაციას. ისინი იწვევენ ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებებისა და მთელი ლატვიური ერის გაქრობას“** (А. Сусоколов, межнациональные браки в СССР, М., 1987, с. 117).

„ნაციონალებმა“ იმდენი აუგი საქმე ჩაიდინეს ქვეყნისა და ხალხის წინაშე, რომ ძნელია ყველას ჩამოთვლა. ავტორიტარული რეჟიმის დამყარება განაპირობა უშუალოდ პრეზიდენტის მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხების ერთპიროვნულად გადაწყვეტის მახინჯმა პრაქტიკამ. ხშირად, თუ ყოველთვის არა, პრეზიდენტის მიერ მიღებულ არასწორ გადაწყვეტილებას მისი გუნდის წევრები ყოველგვარი განსჯის გარეშე ერთ ხმაში აპიარებდნენ. ასე იყო მაშინ, როდესაც პრეზიდენტმა სამეგრელოდან განაცხადა ანაკლიასთან ახლოს ნახევარმილიონიანი ქალაქ ლაზიკის მშენებლობის შესახებ. ასე იყო მაშინაც, როდესაც პრეზიდენტმა ტელევიზიით გამოსვლისას აღნიშნა: დაღვლარჭნილი შენობები მიყვარსო, მაგრამ იმას კი არ უწევდა ანგარიშს, დაღვლარჭნილი შენობები სხვას უყვარდა თუ არა. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ამის შედეგად **აივსო საქართველო დაღვლარჭნილი შენობებით, უფუნქციო ხიდებით და მისი მსგავსი ნაგებობებით. გმირთა მოედანზე აღმართული სვეტი პრეზიდენტისა და მისი არქიტექტორის სრულ უგემოვნებასა და უცოდინარობაზე ლაპარაკობს. ჯერ ერთი, ამ სვეტთან მისვლა და მასზე ორმოცი მეტრის სიმაღლეზე დაწერილი დაღუპულ გმირთა გვარების წაკითხვა შეუძლებელია და ამდენად ეს დაღუპულთა უპატივცემულობაა. მეორეც, სვეტი მოედნის ერთიან ანსამბლში არ ჯდება. ყველაფერი ეს ვალითა და დახმარებით კეთდებოდა, რომელიც სხვა მიზნებისთვის იყო განკუთვნილი.** სამართლიანად აღნიშნავს მეცნიერი ევან ეზარი: **„უცხოური ქვეყნისთვის დახმარება ის ფულია, რომელსაც მდიდარი ქვეყნის ღარიბები იხდიან და ღარიბი ქვეყნის მდიდრები იღებენ“.**

ამ განუკითხაობამ ისიც გამოიწვია, რომ **მომრავლდნენ თვითმარქვია მწერლები, ისტორიკოსები, რომლებიც, ღმერთმა უწყის, რას წერენ, როგორ რყვნიან ქართულ ლიტერატურას, ამახინჯებენ საქართველოს ისტორიას. არავითარ ანგარიშს არ ვუწევთ იმას, თუ რას ვაკეთებთ, რას ვწერთ, რატომ ვცდილობთ ჩვენი ისტორიის მთლიანად თავიდან გადაწერას?** ასეთი რა კვიმატი შეგვიჩნდა. ზოგჯერ ისე ამოვიჩემებთ რამეს, რომ იმას იქით ველარ ვიხედებით და ვცდილობთ, ჭეშმარიტებად ვაქციოთ ჩვენი ამოჩემებული ნაცოდვილარი მოსაზრება. სხვას ვერაფერს ვუწოდებთ ვინმე იური პაპასქუას „ნააზრევს“ იმის შესახებ, რომ თითქოს **„დღეს ყველასთვის ცნობილია (და ვისთვისაც ჯერაც ცნობილი არ არის, ირწმუნოს) ქართული სამეტყველო და ლიტერატურული ენა კრეფსითი, ხელოვნურად შექმნილი ენაა“.** ეს აზრი მან გამოთქვა ჯუნი ჯუმბერ კაკულიას წიგნის წინასიტყვაობაში, რომლის გამომცემელი და რედაქტორი თვითონაა. თვით ავტორი ჯ. ჯ. კაკულია კი წიგნში (საქართველოს ისტორიის ახალი აღქმა, ტ. III, თბ. 2000) გარკვევით მიუთითებს, რომ **„ქართული ენა გახლავთ IV საუკუნის მეორე ნახევარში ქრისტიანული რელიგიის დასანერგად შექმნილი ხელოვნური ენა“** (გვ. 12). ეს აზრი ავტორს წიგნში მრავალგზის აქვს გამეორებული ოდნავ განსხვავებული ინტერპრეტაციით: **„მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული ენა, კოლხთა ხელოვნური სალიტერატურო ენა, სამეგრელოში, ჭოროხის ხეობაში შეიქმნა სრულიად კოლხეთის გასაერთიანებლად და ქრისტიანული რელიგიის დასანერგად“** (გვ. 93) და იგი **„კოლხური მეტყველების განვითარებაა“** (გვ. 26).

რა უნდა ითქვას ამის შესახებ? ალბათ, არაფერი. ისე კი საინტერესოა, ჭოროხის დინების ზედა თუ ქვედა ხეობაში შეიქმნა ქართული ენა. ამიტომაა, რომ ჩვენმა ცნობილმა მეცნიერებმა ამ წიგნს, როგორც ვიცი, დუმილით აუარეს გვერდი, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა ითქვას: **კოლხეთის უძველესი, მდიდარი კულტურა მთელი ქართველი ხალხის სიმდიდრეა, მაგრამ ამან ისე არ უნდა გაგვაბრუოს, რომ ყველაფერ დანარჩენს ხაზი გადავუსვათ.** ჯერ ერთი, რას ჰგავს ასეთი ლაპარაკი: ყველასათვის ცნობილია, რომ ქართული სამეტყველო და ლიტერატურული ენა ხელოვნური ენაა და ვისთვისაც ჯერაც ცნობილი არ არის, ირწმუნოსო? მეორეც, ენები ასე ხელოვნურად არ იქმნება ქრისტიანული რელიგიის გავრცელებისთვის — ასეთ შემთხვევაში უამრავი ხელოვნური ენა უნდა მიგვეღო, მაგალითად, სომხური და სხვ. ამასთან, თუ მე-4 საუკუნეში შეიქმნა ქართული სალიტერატურო ენა ხელოვნურად, ყოვლად შეუძლებელია, მე-5 საუკუნეში ამ ენაზე ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ყოველმხრივ სრულყოფილი და ლიტერატურულად გამართული უბრწყინვალესი ძეგლი „შუშანიკის წამება“ შექმნილიყო. კიდევ ბევრი რამის გაკეთება არ შეიძლება ეროვნული თვალსაზრისით, რაზეც გვმართებს დაფიქრება.

დასასრულს, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ, **თუ საქართველოს დაწყნარებული ცხოვრება უნდა, თუ ბოლოსდაბოლოს, უნდა ვაკეთოთ ქართული საქმე, არ დავკარგოთ ქართული ცნობიერება და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უნდა დატოვოს პოლიტიკური ასპარეზი — მისი ადგილი ქართველთა ცხოვრებაში არ არსებობს.** ჯერ კიდევ 2012 წლის ოქტომბერში, მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებში გაიმარჯვა, სტუდენტებს შორის ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ, **სტუდენტთა 39,1 პროცენტის აზრით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ აუცილებლად უნდა დატოვოს პოლიტიკური ასპარეზი, 25,8 პროცენტის აზრით, — უნდა დატოვოს, ხოლო 23,2 პროცენტის აზრით, — არ უნდა დატოვოს, ხოლო 11,9 პროცენტმა პასუხზე თავი შეიკავა.** ახლახან კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებთან (326 სტუდენტი) განმეორებით ჩავატარეთ სოციოლოგიური გამოკვლევა. **სტუდენტთა 42,6 პროცენტის აზრით, „ნაციონალური“ ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულზე აუცილებლად საჭიროა უფრო მკაცრი ზომების მიღება, 36,5 პროცენტის აზრით, საჭიროა, ხოლო სტუდენტთა ძალიან მცირე ნაწილი (7,1 პროცენტი) პასუხობს, რომ „ნაციონალური“ ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე არ არის უფრო მკაცრი ზომების მიღება საჭირო. სტუდენტთა 13,8 პროცენტს გაუჭირდა პასუხის გაცემა ამ კითხვაზე.**

**სტუდენტების დიდ უმრავლესობას მიაჩნია, რომ პრეზიდენტი განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში მოქმედებს ჩვენი ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ. ასე თვლის სტუდენტთა 55,5 პროცენტი. სტუდენტთა 19,3 პროცენტი კი ამ კითხვაზე უარყოფითი აზრისაა.**

სიტყვამ მოიტანა და აუცილებლად ხაზგასმით უნდა აღვნიშნო: მაშინ, როდესაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ქვეყანაში დემოგრაფიული კვლევის ყველა ცენტრი დახურა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დირექტორმა და ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ბატონმა ვახტანგ წივწივაძემ უნივერსიტეტში დემოგრაფიული კვლევის ცენტრი გახსნა, სადაც ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს საქართველოსთვის ამ მეტად მტკივნეულ ეროვნულ პრობლემებზე. სტუდენტთა შორის სოციოლოგიური გამოკვლევაც მისი უშუალო ხელშეწყობითა და ინიციატივით ჩატარდა. აუცილებლად საჭიროა, ისიც ითქვას, რომ მაშინ, როდესაც „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლების პერიოდში ბევრი მათ კოჭს უგორებდა, ბატონი ვახტანგი მხოლოდ ეროვნული პოზიციებიდან წყვეტდა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს და ახალგაზრდობას ეროვნული სულისკვეთებით ზრდიდა.

**ხელისუფლებაში მოსულ „ქართულ ოცნებას“ უამრავი ეროვნული საკითხი დახვდა გადასაწყვეტი. უპირველეს ყოვლისა, საბოლოოდ უნდა მოისპოს „ნაციონალების“ მიერ ერთი კაცის ხუშტურზე დაფუძნებული მმართველობის უაღრესად მახინჯი სისტემა, რომელმაც ქვეყანა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი უფსკრულის პირამდე მიიყვანა.** როგორც ძველი საბერძნეთის უდიდესი მოაზროვნე დემოკრიტე ამბობს, მსგავსი მსგავსს შეიცნობს და პრეზიდენტმაც შემოიკრიბა სიმართლესთან დაქვრივებული ადამიანები: გიგა ბოკერია, გოკა გაბაშვილი, კოტე კუბლაშვილი, ნუგზარ წიკლაური, გიგი უგულავა, დავით დარჩიაშვილი, აკაკი მინაშვილი, როლანდ, ბაჩანა და დათა ახალაიები, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ჭიაბერაშვილი, ზაზა გოროზია, ზურაბ ადეიშვილი, თეა თუთბერიძე, ეკა ხერხეულიძე, ხათუნა ოჩიაური, აკაკი ბობოხიძე და ბევრი სხვაც პატარა თუ დიდი ჩინოვნიკი და შეუდგნენ „სოფლის შენებას“.

მოკლედ, როგორც რუსთაველი ამბობს: „მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს“ და დაიწყეს საქმის მაგივრად ენის ტრიალი. მათ, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, „სიტყუაი დამპალი“ და „უქმსიტყვაობაი“ უყვარდათ და ლაპარაკად იყვნენ სათავისოდ გადაქცეულნი. მე მათ დავარქმევდი „ენამანქანა“ ადამიანებს, რომლებიც, როგორც ეს აღნიშნულია მე-11 საუკუნის ერთ-ერთ ლიტერატურულ ძეგლში, არაფრად ფასობდნენ. **ეს „ენამანქანა“ ადამიანები, მართალია, თავისთავად არაფრად ფასობდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი „სიტყუაი დამპალი“ საშინელ ჭირად შეეყარა ქვეყანას, რომლისგანაც განთავისუფლებას ცხრა წელი მოანდომა ქართველმა ხალხმა.**

ყოველივე აღნიშნულის გამო, აუცილებელია, დეტალურად გაანალიზდეს „ნაციონალების“ მთელი საქმიანობის ცხრა წელი და გამოიცეს ცალკე წიგნად, რათა აღარასოდეს განმეორდეს ეროვნული კულტურის, ეროვნული ცნობიერების მკვლელობის მცდელობა, ქართველი ქართველად დარჩეს და უფრო ნათლად დავინახოთ ვარდებით მოსული „ბოროტი ყვავილების“ ნამდვილი სახე.

**ანზორ თოთაძე,**
**პროფესორი, დემოგრაფი**

**მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიას დასავლეთის ქვეყნები დაეხმარნენ დანგრეული მეურნეობის აღდგენაში. თურქეთიდან უამრავი იაფი მუშახელი მიაწყდა გერმანიას. როდესაც იქ თურქების რაოდენობამ მილიონს და შემდეგ ორ მილიონს მიაღწია, გერმანელებმა ეს შემთხვევა ზეიმით აღნიშნეს, მაგრამ, როდესაც თურქები ოთხი მილიონი გახდნენ და ამ ფაქტში გერმანელებმა საშიშროება დაინახეს, მათ გერმანიაში მცხოვრები თურქები დაარბიეს**

სამშენებლო ფრონტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ ობიექტის მშენებლობა რომ დაჩქარდეს და აქაურობამ ჭეშმარიტად საუკუნის მშენებლობის შესაფერი გაქანება და მასშტაბი მიიღოს, ექსკავატორები, „კოდალები“, ბულდოზერები, სხვა სპეცტექნიკა საქმეში დროზე რომ ჩაერთოს, ტრანსეროვნული რკინიგზის მშენებლობისთვის საჭირო მასალა თურქეთიდან დროზე რომ შემოვიდეს, აუცილებელი გახდა ახალი გზის გაჭრა.**

ოლეგ ბიჭიაშვილი:

# ახალქალაქის სადგურის მშენებლობა ამ ეტაპზე ყველაზე უფრო პრობლემურია

**მანგლისიდან თავფარავნისკენ გზას თუ გაუყვებით, ჩვენ კი სწორედ ამ გზას ვადგავართ, წალკის მისადგომებთან „თხუნელების დასახლებას“ გადაეყრებით.**
**უეჭველად.**
**უსახელო მთის ფერდობზე შეფენილ ციცქნა ბორცვებით მოჩითულ კვადრატულობით კილომეტრიან კოლონიას.**
**ჩარიგებულ-ჩაწიკწიკებულს: რაღა ეს და რაღა წეროვანში ლტოლვილების ჩასახლების „სწორება მარჯვნივ! სმენა!“**


ოლეგ ბიჭიაშვილი

მარჯვნივ, ანუ ასფალტირებული გზის (გაეროს მილენიუმის პროგრამით ბოძებული სიკეთე) მეორე მხარეს — იგივე პანორამა გადიდებული მასშტაბით: თივის ბულულების მწყობრი რიგები — სოფელი პირუტყვისთვის საკვებს იმარაგებს.

ზამთრისთვის ემზადება სამხრეთ საქართველოს ეს კუთხე.

თხუნელების მიწისმთხრელურ ოსტატობას ბატონი **ოლეგ ბიჭიაშვილი, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობის ხელმძღვანელი,** მაშინ გაიხსენებს, როცა ზღვის დონიდან 2250 მეტრის სიმაღლეზე, მომავალი გვირაბის პორტალის თავზე ავალთ ახლადგაჭრილი გრუნტის გზით.

კარწახი-გვირაბის მონაკვეთი მშენებლობის ბოლო — მეექვსე ეტაპია. იმის იქით თურქეთის ტერიტორია და მისი პასუხისმგებლობის ზონა იწყება.

საზღვარზე — მთაზე ვდგავართ.

მთის ძირიდან იწყება ორლიანდაგიანი გვირაბის გაყვანა. ობოლი ექსკავატორი შენელებული ქანქარის მონოტონურობით კისრის მოწყვეტამდე თხრის, ავსებს მრავალტონიანი თვითმცლელების ძარებს.

თანამედროვე ტექნიკის ეს ერთადერთი წარმომადგენელი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ სამშენებლო ბრძოლის ველზე მარტოც შეიძლება იყო გმირი.

თხუნელების სიმრავლის ტექნიკაზე გავრცელება ინატრა ბატონმა ოლეგმა (კარგი იუმორის პატრონია), მიწისმთხრელების არმიის, ტექნიკის ნაკლებობა აშკარაა.

**თურქული ფირმა „ბაიაჩელია“ გვირაბის გაყვანაზე პასუხისმგებელი.**

**ამ ობიექტის მშენებლობა რომ დაჩქარდეს და აქაურობამ ჭეშმარიტად საუკუნის მშენებლობის შესაფერი გაქანება და მასშტაბი მიიღოს, ექსკავატორები, „კოდალები“, ბულდოზერები, სხვა სპეცტექნიკა საქმეში დროზე რომ ჩაერთოს, ტრანსეროვნული რკინიგზის მშენებლობისთვის საჭირო მასალა თურქეთიდან დროზე რომ შემოვიდეს, აუცილებელი გახდა ახალი გზის გაჭრა.**

უმოკლესი მარშრუტია.

ვდგავართ ახლა აქ, ამ გზის უმაღლეს ნიშნულზე, აქაურობის გაბატონებულ წერტილზე, უსასრულობისა და პირველყოფილობის სივრცის ცენტრში და რკინიგზის გაყვანა და ამუშავება ოცნებას ჰგავს.

### ყურადღების ცენტრში

**რეალობაში დასაბრუნებლად ბატონ ოლეგ ბიჭიაშვილთან** ერთი კვირის თავზე ჩაწერილ ინტერვიუს გთავაზობთ.

ამთავითვე ხაზი გავუსვათ, რომ შპს „მარაბდა-კარწახის“ რკინიგზის მშენებლობის ხელმძღვანელად იგი ეს-ესაა დანიშნეს.

**— ბატონო ოლეგ, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ პროექტის შესრულებაზე გამოყოფილი სახსრები გაცილებით მეტი დაიხარჯა, ვიდრე საჭირო იყო. ასეა?**

— სულ ორი კვირაა, რაც ვმუშაობ, მაგრამ შევეცადე, მთლიანად შევსულიყავი საქმის კურსში და შემიძლია გიპასუხოთ ამ შეკითხვაზე.

გადახდა შესრულებული სამუშაოს მიხედვით ხდება. შესაბამის დოკუმენტაციას ჩვენი ზედამხედველები ამოწმებენ; თუ დადასტურდება, რომ ყველაფერი წესრიგშია, ჩვენი დასკვნით ვაგზავნით ბაქოში, საიდანაც გადმორიცხავენ შესაბამის თანხას. მიღებიდან ერთ-ორ დღეში ვურიცხავთ მშენებელს, რომელთანაც ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული. ასეთი წესით ვმუშაობთ.

მშენებლობის დაწყებისთანავე შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 40 პროცენტი ავანსად გადმოირიცხა.

ვერ ვიტყვი, რომ ფული მეტი დაიხარჯა და შესრულებული სამუშაო ნაკლებია, რადგან იმ ავანსის დიდი ნაწილი ჯერ კიდევაა დარჩენილი.

**— ჟურნალისტების ჯგუფი, რომელმაც თქვენთან ერთად დავათვალიერეთ მშენებლობა, მოწმე გავხდით იმისა, რომ რიგ ობიექტებზე სამუშაოები გამართულად სრულდება, მაგრამ ზოგან, — თქვენს ნათქვამს დავიმოწმებ მაგალითად — ახალქალაქის სადგური, პრობლემურია.**

— დიახ, ასეა.

**— თუ ასეა, ეს ნიშნავს, რომ დათქმულ ვადაში რკინიგზის მშენებლობის დასრულება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. მიხეილ სააკაშვილი თავის ტელეგადაცემებში ამ ჩამორჩენას ახალი ხელისუფლების მხრიდან უკონტროლობასა და დაუინტერესებლობას აბრალებს.**

— ტყუილია. სწორედ ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობა, უწინარესად, ბატონი ბიძინა ივანიშვილი არის დაინტერესებული რკინიგზის დროზე დამთავრებით. თუნდაც ის ფაქტი, რომ დღეს ეკონომიკის სამინისტროში გაიმართა სპეციალური თათბირი, რომელზეც ჩვენ მიმდინარე საქმიანობის ანგარიშით წარვდექით, ამის დამადასტურებელია.


რკინიგზის მაღალმთიანი მონაკვეთი

**კარწახი-გვირაბის მონაკვეთი მშენებლობის ბოლო — მეექვსე ეტაპია. იმის იქით თურქეთის ტერიტორია და მისი პასუხისმგებლობის ზონა იწყება**


ლიანდაგების შედუღება ფრანგული ტექნოლოგიით

**ამ დილით კი მშენებლობის ხელმძღვანელს საქმიანი შეხვედრა ჩვენთან აქვს — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტ ოთარ ტურაბელიძესთან და ამ სტრიქონების ავტორთან.**

**ეს ინტერვიუ გაცნობითი ხასიათისაა: მასმედიაში ოლეგ ბიჭიაშვილის ახალ ამპლუაში პირველი გამოსვლაა. ამიტომაა, რომ დეტალურად ყვება „სამუშაო სივრცის“ ექვს ეტაპად დაყოფის შესახებ, რომ ამ ეტაპებს შორის პირველის — მარაბდა-თეთრიწყაროს მონაკვეთის დამთავრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მაშინ საგრძნობლად დაჩქარდება საერთო მშენებლობის ტემპი.**

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ დაიწყება ელმავლებით სამშენებლო მასალების გადაზიდვა, გაიზრდება ამ მონაკვეთის ტექნიკური სიმძლავრე, მუშა მატარებლების წონა, ეფექტიანობა და ეკონომიურობა. მშენებლობა 2015 წლის თებერვალში უნდა დამთავრდეს, თუმცა თავიდან 2011 წლისთვის იყო დადგენილი. ვადები რამდენიმეჯერ შეიცვალა.

**— რა ვიცი, სააკაშვილი სულ იმას ტრაბახობს, ჩემს დროს აქ მუშაობა დუღდა და გადმოდიოდაო...**

**მაგრამ ოლეგ ბიჭიაშვილს წამსვლელის ტყუილ-მართალი ნაკლებად აინტერესებს — დღევანდელ პრობლემებზეა აქსენტირებული: ჩამორჩენის დაძლევა მან უნდა შეძლოს, რაგინდარა იპოზიოროს და იქადაგოს სააკაშვილმა.**

### მდუმარება ახალქალაქის სადგურსა ზედა

**აქ, წესითა და რიგით, მაქსიმალურად უნდა იყვნენ მობილიზებული მშენებლები, რადგან უზარმაზარია სამუშაო ფრონტი. მაგრამ, კარწახისკენ მიმავლებს, ახალქალაქის სადგურის მშენებლობას რომ ჩავუარეთ, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რა ეს ობიექტი და რა წალკის მისადგომებთან კომუნისტების დანატოვარი და „რევოლუციური“ აღტკინებით გამოშიგნულ-გაძარცული შენობების ჩონჩხების მდუმარება და უპატრონობა.**

აქ თავმოყრილი ტექნიკა, უპირატესად, თვითმცლელები, ექსკავატორები და ბულდოზერები, სკრეპე- ▶

---

## არგვეთის შემდეგ ჭყონდიდი და ფოთი — რა ხდება ეპარქიებში?

**პოლიტიკური განცხადებებით ცნობილი მამა ელიზბარ დიაკონიძე მორიგ ხმაურიან განცხადებას აკეთებს.** ამჯერად, წმინდა გიორგის სადროშოს ხელმძღვანელი ხმაურიან განცხადებას ეპისკოპოსებზე აკეთებს. სასულიერო პირის განცხადებით, მარგვეთის ეპარქიის ხელმძღვანელის, მეუფე ვახტანგის, გარდა პრობლემები აქვთ ჭყონდიდელ და ფოთელ მიტროპოლიტებს.

„ძალიან იშვიათად ნახავთ პირს, რომელიც პირად ამბიციებზე მაღლა აყენებს ქვეყნის ინტერესებს. მოგეხსენებათ, ამ ბოლო დროს თუნდაც იმავე მარგვეთის ეპარქიიდან, ძალიან ბევრი საჩივარი შევიდა საპატრიარქოში მეუფე ვახტანგის (ახვლედიანი) ღვირახსნილობის შესახებ, მაგრამ თქვენ რა გგონიათ, საქმე მხოლოდ მარგვეთის ეპარქიას ეხება?

არაერთხელ მწარედ გაგვიკენწლავს და გვიმხელია ჭყონდიდელი მიტროპოლიტი მეუფე პეტრე (პაატა ცაავა) და ფოთელი მიტროპოლიტი მეუფე გრიგოლი (გურამ ბიჭაშვილი), რომელმაც ჟურნალისტებს კამერა დაულეწა, მაგრამ რა შედეგით დამთავრდა ეს ყოველივე?

აგერ, მარტვილიდან მრევლმა წერილი გამომიგზავნა, სადაც წერენ, რომ „მარგვეთის ეპარქია მონაგონი იქნება, თუ აქ რაიმე ზომებს არ მიიღებენო!“ — აცხადებს „ასავალ-დასავალთან“ საუბარში მამა ელიზბარი.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## კარწახისკენ მიმავლებს, ახალქალაქის სადგურის მშენებლობას რომ ჩავუარეთ, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რა ეს ობიექტი და რა წალკის მისადგომებთან კომუნისტების დანატოვარი და „რევოლუციური“ ალტკინებით გამოშიგნულ-გაძარცული შენობების ჩონჩხების მდუმარება და უპატრონობა.

◀რიც, თუ არ ვცდები, „დასაწყობებულს“ უფრო ჰგავდა, ვიდრე დიდი მშენებლობის „ტექნიკური უზრუნველყოფის“ მოქმედ ბატალიონს.

სადღაც, ალბათ, იდგა ამ ქონების ყარაული.

ამწეს ტროსები ისე ეკიდა, როგორც დაძონძილი სარეცხი, რომლისთვისაც ვერავინ მოიცალა და შერჩა გამოფენას, ვითარცა სუპერარტის ეგზემპლიარი.

ასე იყო, როცა მივდიოდით, თავფარავნის გავლით, ჩამოვლისას კი აბსოლუტურად შეცვლილი სურათი დაგვხვდა: გამოცოცხლებული და დაძაბული, ვიღაცის დაძახილზე გამოსული ქუდზე კაცი — მშენებლის ჩაფხუტით თავზე თუ უჩაფხუტოდ და უქუდოდ, უმეტესად ჩვეულებრივი ტანსაცმლით, არა „სპეცით“. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ელოდნენ ახალ ხელმძღვანელს.

სამი დღის დანიშნული იყო მაშინ ოლეგ ბიჭიაშვილი.

შესჩივლეს: სადგურის დასრულებას პირი არ უჩანს ბეტონის უქონლობის გამო, გრუნტის აფეთქებები შეჩერებულია, ტრანსპორტელები დგანან უხელფასობის გამო და იმუქრებიან, რომ ოჯახებით ამოვლენ, აქ დასცემენ საპროტესტო ბანაკს და მუშაობის საშუალებას არავის მისცემენ.

**შევახსენე ეს მომენტი ბატონ ოლეგს, მისი პასუხი ასეთი იყო:**

— მიმაჩნია, რომ ახალქალაქის სადგურის მშენებლობა ამ ეტაპზე ყველაზე უფრო პრობლემურია.

აქ ჩასატარებელია უდიდესი მოცულობის მიწის სამუშაოები. სადგურის ერთ მხარეს იჭრება მიწა, კეთდება გალერეა, მეორე მხარეს იყრება, ივსება ტაფობი, თარაზოსებრ სწორდება ზედაპირი, რაც გათვალისწინებულია პროექტით.

გავერკვიე საკითხებში და ვიცი, რომ სერიოზული უთანხმოებაა უშუალო შემსრულებელს, მთავარ კონტრაქტორსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ რამდენიმე ქვეკონტრაქტორს შორის. ქვეკონტრაქტორები, უნდა ვივარაუდოთ, რომ უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან შემსრულებლებისთვის ფულის გადარიცხვას სახელფასო ფონდში. უთანხმოებანი სწორედ ამ ნიადაგზეა წარმოქმნილი. და კიდევ — სამუშაოთა ცუდი ორგანიზებულობიდან.

**— ბატონო ოლეგ, ერთ უხერხულ შეკითხვას დაგისვამთ, თუ არ მიწყენთ.**

— ბრძანეთ.

**— ზოგიერთმა რკინიგზელმა თქვა, რომ მარაბდა-კარწახის მაგისტრალი იმდენად წამგებიანი იქნება, რომ ამ მშენებლობის დაწყება სხვა არაფერია, თუ არა ფულის საჭრელი ქარხნის ამუშავება. თქვენი კომენტარი.**

— ეს პროექტი ახალი არ არის. ხდება მისი მოდერნიზაცია, განახლება. თუ დაგეგმილი ტვირთბრუნვა იქნება უზრუნველყოფილი, წლიურად 5 მილიონ ტონაზეა ლაპარაკი, ეს რკინიგზა წამგებიანი არ უნდა იყოს. საერთოდ, არც ერთი რკინიგზის სატვირთო გადაზიდვები წამგებიანი არ არის.

**— მიუხედავად იმისა, რომ რთული პროფილია?**

— და მატარებლის წონაც შეზღუდულია. დიახ, მიუხედავად ამისა. რადგან ეს გარკვეულ მონაკვეთზეა და არა თავიდან ბოლომდე. ყველას უნდა, რომ რკინიგზის ექსპერტი იყოს! მითხრან, როგორია რკინიგზის თვითღირებულება? დათვალეს? როგორი იქნება ტარიფი? ყველაფერი ხომ ორ კომპონენტზეა დამოკიდებული — როგორია შემოსავალი და როგორია ხარჯი. აქედან ხდება მოგების დათვლა, მაგრამ დათვალა ვინმემ?

**— „...ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები“.**

— *(ვიცინით).* არ დაუთვლიათ. ეს არის მოსაზრებები არაკომპეტენტური ადამიანების. თუ აინტერესებთ, დავსხდეთ და ვისაუბროთ. ხოლო თქვენს მკითხველებს ამ სპეციფიკური მსჯელობით, მოდით, თავს ნუ შევაწყენთ.

**— ფინანსური საკითხების**



როცა შესრულებულ საქმეს ადგილზე ეცნობიან



აქ თავმოყრილი ტექნიკა დასაწყობებულს უფრო ჰგავდა

**მოსაგვარებლად ვის მოელაპარაკეთ, ბატონო ოლეგ?**

— ვინც არ იხდის, იმას — ქვეკონტრაქტორს, რომელმაც ფული უნდა გასცეს, მის ქვეკონტრაქტორსაც, რომელიც უშუალო შემსრულებლებს ქირაობს, ანუ მათ, ვისაც უნდა მისცენ ხელფასი. **თავიდან ბოლომდე, დეტალურად განვიხილეთ ყველა პრობლემური საკითხი. დაგვპირდნენ, რომ დღეის ამას იქით მოიხსნება ყველა გაუგებრობა და უთანხმოება იმ ფინანსურ ვალდებულებათა საკითხში, რომლებიც ნაკისრი აქვთ კონტრაქტორებს.**

მშენებლობის დამფინანსებლების მიწვევით ორი დღით ჩავედი ბაქოში, ერთობლივად განვიხილეთ აქტუალური საკითხები. როგორც შევატყვე, ისინი დიდად არიან მონდომებული, რათა ეს პროექტი დადგენილ ვადებში დასრულდეს.

იმასაც გეტყვით, რომ **ახალქალაქის ობიექტზე შექმნილი ვითარება მარტო გადამხდელის ბრალი არ არის: კონტრაქტორს ფული აქვს გადახდილი ქვეკონტრაქტორისთვის, არის დავალიანებებიც, მაგრამ როგორ ნაწილდებოდა, სად მიდიოდა ეს ფული, ეს ცალკე თემაა.**

**— აზერბაიჯანული ფირმებია?**

— დიახ, აზერბაიჯანულია. უშუალო შემსრულებელი კი ჩვენი მხარეა.

შევხვდი ამ ხალხს, პრინციპულად ვილაპარაკეთ, როგორც გითხარით, და, მგონია, რომ დავალაგებთ სიტუაციას. რთულია, მაგრამ უნდა დალაგდეს.

**— აქამდე რა ღმერთი უწყრებოდათ?**

— მუშაობა ახალქალაქის სადგურზე, ორი თვე არ მიმდინარეობდა, ივლისი-აგვისტო, მშენებლობისთვის საუკეთესო პერიოდი, მთლიანად გაცდა.

**— რატომ? რამ შეუშალა ხელი?**

— მთავარი მიზეზი ვთქვით, მაგრამ იყო სხვაც — იქ ვიღაცას ხელშეკრულება არ ჰქონდა გაფორმებული და სიტყვაზე ენდო, ისე იმუშავა, აქ — დამატებით ღირებულების გადასახადზე აქვთ ერთმანეთში დავა, რაც უშუალო შემსრულებლების გაჩერებას იწვევს.

**— გრაფიკს დაეწევით?**

— კორექტირებული გრაფიკის შესრულებაზე ვმუშაობთ. გასულ სამშაბათს თეთრიწყაროში შევკრიბე მშენებლები, დავთქვით, რომ ყოველ სამშაბათს, დილის 9 საათზე იქ ჩავატარებთ ოპერატიულ სამუშაო თათბირებს, განვიხილავთ დაპირებების, საერთოდ სამუშაოს მიმდინარეობის საკითხებს. ეს აპრობირებული ფორმაა და, დარწმუნებული ვარ, შედეგიც შესაფერისი იქნება.

**ინტენსიური შეხვედრების ამ ციკლს დაემატა მშენებლობის ხელმძღვანელის საქმიანი შეხვედრა მთავარ კონტრაქტორთან, რომელიც 6 სექტემბრის საღამოს გაიმართა, ეს არის „აზერ იოლ სერვისი“.**

### ოლეგ ბიჭიაშვილი იყო სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი ის პირი, რომელმაც მიიღო ეს ხაზი. იგი მაშინ აღმოსავლეთ საქართველოს რკინიგზის უფროსი იყო.

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ, როგორც იქნა, საქართველოს მთავრობამ თვალში გამოიხედა და გააკეთა ის, რაც დამოუკიდებელი საქართველოს წინა ხელისუფლებების პერიოდში აბსოლუტურად იგნორირებული იყო. სააკაშვილის უმწიფარიძეების მთავრობას კი ბიოლოგიური შეუთავსებლობა სჭირდა გამოცდილ პროფესიონალებთან თანამშრომლობის: სააკაშვილის ვიღაც იდიოტმა მინისტრმა, თუ გახსოვთ, განაცხადა კიდეც, რომ ორმოცი წლის ხეც კი ეზარება, არათუ ადამიანი თავის უწყებაში.

ტყეც გაანადგურეს და უფროს თაობასაც მოუსწრაფეს სიცოცხლე.

ოლეგ ბიჭიაშვილის შემთხვევა იმის დასტურია, რომ კადრების შერჩევისადმი მიდგომა დღეს საღ აზრზეა დაფუძნებული.

შეძლებისდაგვარად.

მისი სასამსახურო სია სადგურის მორიგის თანამდებობიდან იწყება, გრძელდება პრაქტიკულად ყველა თანამდებობის გავლით, განყოფილებების უფროსობამდე, გადაზიდვებისა და მოძრაობის სამსახურის უფროსად მუშაობდა, შემდეგ — ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის პირველ მოადგილედ, ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველოს რკინიგზას სომხეთის რკინიგზა გამოეყო, გადადის ტრანსპორტის სამინისტროში, იცავს დისერტაციას, ხდება რკინიგზის ინსტიტუტის რექტორი, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, დაბოლოს, საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ასრულებდა რკინიგზის გენერალური დირექტორის მოვალეობას.

მოკლედ, **ოლეგ ბიჭიაშვილი საქართველოს რკინიგზელთა შორის არა მარტო ცნობილი, არამედ გამორჩეული პიროვნებაა. მისი მოსვლაც საუკუნის მშენებლობად აღიარებული მაგისტრალის ხელმძღვანელად არა მარტო ლოგიკური, არამედ აუცილებელიც იყო.**

### ისტორიის ფურცელი

**მარაბდა-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზი, რომლის რეკონსტრუქციაც ამჟამად მიმდინარეობს, 1986 წელს გაიხსნა და**

**«ახალქალაქის ობიექტზე შექმნილი ვითარება მარტო გადამხდელის ბრალი არ არის: კონტრაქტორს ფული აქვს გადახდილი ქვეკონტრაქტორისთვის, არის დავალიანებებიც, მაგრამ როგორ ნაწილდებოდა, სად მიდიოდა ფული, ეს ცალკე თემაა»**



**P.S.** ეს — ისტორიული შტრიხი.

ახლა მომავლის დანახვა ვცადოთ.

ვცადოთ და, ვინ იცის, ეგებ, დავინახოთ კიდეც, რეზო გაბრიაძის მარიონეტი გმირების — მძლავრი ორთქლმავლის ИС-235-ის, ერმონია, რომ შეარქვეს კაპრემონტის დროს, და სამანევრო ФД-135-ის — რამონას ტრაგიკული სიყვარულის ამბავი რიონი-წყალტუბოს სარკინიგზო ჩიხიდან მარაბდა-ყარსის ტრანსეროვნული მაგისტრალის თანამედროვე სიტუაციაში როგორ ჰპოვებს რეინკარნაციას ფინალით „ჰეპი ენდ“.

**არმაზ სანებლიძე**

ფოტოები ავტორისა



## რუსი ექსპერტები მესამე ვიზიტისას 30-მდე ქართულ კომპანიას შეამოწმებენ

**„როსპოტრებნადზორის“ ექსპერტები მესამე ვიზიტის ფარგლებში 30-მდე ქართულ კომპანიას შეამოწმებენ.** როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა, ლევან დავითაშვილმა, განუცხადა, მათ შორის არიან მინერალური წყლის ხუთი მწარმოებელი, ასევე ღვინის, სპირტისა და ლუდის მწარმოებელი კომპანიები. „როსპოტრებნადზორის“ ექსპერტებს თბილისში 16 სექტემბრისთვის ელოდებიან.

ლევან დავითაშვილის ინფორმაციით, ერთკვირიანი ვიზიტის ფარგლებში რუსი სპეციალისტები ქართულ კომპანიებს თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით — რაჭაში, აჭარაში, ქართლსა და კახეთში შეამოწმებენ.

„როსპოტრებნადზორის“ ცნობით, ამ დროისთვის რუსეთის ბაზარზე დაშვებულია ალკოჰოლური სასმელის 65 მწარმოებელი და მინერალური წყლის დამამზადებელი ოთხი კომპანია.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გარდა „საგანგებო დავალების“ პროგრამისა, რვა წლის მანძილზე მოქმედებდა კიდევ სხვა პროგრამაც, რომელიც დედამიწის ნებისმიერ წერტილში ადამიანების მკვლელობებს ახორციელებდა. ამ დრომდე უცნობია, კონკრეტულად როგორ მუშაობდა ეს პროგრამა. თანაც, აღნიშნული პროგრამის არა მხოლოდ მუშაობის მექანიზმი, არამედ არსებობაც კი უცნობი იყო ყველასთვის.

# საგანგებო დავალება

## ცსს-ს აგენტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ადამიანებს იტაცებენ

**მსოფლიოს ათობით ქვეყანაში, სხვადასხვა კონტინენტზე, ადამიანები ყოველგვარ მიზეზგარეშე, უბრალოდ წყვეტენ არსებობას. ისინი ისე ქრებიან უკვალოდ, რომ არანაირ შეტყობინებას არ ტოვებენ ნათესავებისთვის, არ ტოვებენ კვალსა და ხელჩასაჭიდს მილიციისა თუ პოლიციისთვის. ასე გრძელდებოდა მრავალი წლის მანძილზე, ვიდრე ერთხელაც შემთხვევით ადამიანის გაქრობის მოწმეები არ მოიძებნენ.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №30-32 (217-219)

**ტაილერ დრამჰელერი, ცსს-ს ევროპული განყოფილების ხელმძღვანელი 2001-დან 2005-წლამდე:**

— არ შეიძლება ვუღალატოთ იმ იდეალებს, რომელთა პროპაგანდასაც ვეწევით, როგორც კანონის დამცველი ქვეყანა. არ მჯერა, რომ ამ გზით მიღებული ინფორმაცია ღირს იმ კომპრომისად, რომელზეც მიდიან მიზნის მისაღწევად. ვერ ვიტყვი, რომ მიხარია, ამ ყველაფერში რომ ვმონაწილეობდი და არ ვეწინააღმდეგებოდი მსგავსი მეთოდების გამოყენებას. ვცდილობდი, მაგრამ სიმართლე ის არის, რომ პროტესტს არ გამოვხატავდი. გამოდის, რომ მეც დავეთანხმე...

ადამიანს, რომელზეც წყლით წამების ექსპერიმენტს ატარებდნენ, ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ დაკითხვის ეს ფორმა სხვა არაფერია, თუ არა წამება. მაგრამ ამერიკელი პოლიტიკოსების საგანგებო ლექსიკონში სიტყვა „წამება“ კვლავინდებურად ითარგმნება, როგორც „დაკითხის ეფექტური მეთოდი“. ეს მეთოდები განსაკუთრებით გუანტანამოს ციხეში აიტაცეს.

გუანტანამოში მდებარე ამერიკულ ციხეს ერთ მშვენიერ დღეს ორი ლამაზმანი — „მის სამყარო“ და „მის აშშ“ ეწვივნენ. ისინი პატიმრების წყლით წამებას წყლის პროცედურებს უწოდებდნენ. ამის თაობაზე მედიასაშუალებები იუწყებოდნენ. „მის სამყარომ“ გუანტანამოს ბაზაზე გატარებული არდადეგები საკუთარ ბლოგში აღწერა.

**დიანა მენდოზა, „მის სამყარო — 2007“:**

— ეს არაჩვეულებრივი იყო, ძალიან ვიმხიარულეთ. იქ ისეთი ბიჭები მსახურობენ... ჩვენ მათთან ერთად კატერით ვისეირნეთ. გუანტანამოში პატიმრები თამაშობენ, ხატავენ, წიგნებს კითხულობენ და წყლის პროცედურებს იღებენ... მოკლედ რომ ვთქვათ, მშვენივრად დავისვენე, იქ დაბრუნება მსურს.

ლამაზმანებს კატერით გასეირნებისას გამცილებლებმა ურჩიეს, მთელი სანაპირო ხედი გადაეღოთ სამახსოვროდ, გარდა ნაპირზე მდებარე კოშკებისა. აჩვენეს ღია ცის ქვეშ განლაგებული კამერები და განუმარტეს, რომ ამ კამერების გისოსებზე მწვანე მცენარეები ადრე არ იყო. გოგონებმა სამზარეულოშიც შეიხედეს და საკუთარი თვალით ნახეს, როგორ უმზადებდნენ ნაირნაირ კერძებს გუანტანამოს პატიმრებს.

**ჯეი ჰუდი, გენერალ-მაიორი, გუანტანამოს ციხის უფროსი:**

— ნებისმიერი ვარაუდი, რომ ჩვენ აქ ვიღაცას ვაწამებთ, მხოლოდ ბოდვაა, ტყუილია. რა თქმა უნდა, ჩვენ დავკითხავთ უამრავ ეჭვმიტანილს, მაგრამ მათგან არც ერთი არასდროს გვიწამებია, ინფორმაციის მიღების მიზნით.

**ტაილერ დრამჰელერი:**

— ჩვენ წარმოვადგენთ საიდუმლო სამსახურს. ჩვენ ჯაშუშები ვართ და არა ციხის ზედამხედველები, პოლიციელები ან გამომძიებლები. ჩვენ ვეკითხებით და კი არ დავკითხავთ. იქ კი ყველაფერი, რისი გაკეთებაც სამხედროებს არ სურდათ ან რისი გაკეთებისაც, უბრალოდ, შერცხვათ, ცსს-ს გადააბარეს.


ტაილერ დრამჰელერი


ჯეი ჰუდი





**ჯორჯ ბუში, აშშ-ის პრეზიდენტი:**

— ეს პროგრამა ფასდაუდებელია როგორც თავად ამერიკისთვის, ასევე მისი მოკავშირეებისთვის.

ევროპაში აშშ-ის მთავარი მოკავშირე დიდი ბრიტანეთია. ეს არის ქვეყანა, რომელიც ამაყობს თავისი კანონმდებლობით და იმით, თუ რამდენად იცავს ადამიანთა უფლებებს. ბრიტანელი იურისტი კლარა გუტერიჯი ეძებდა კანონებში იმ მუხლს, რომლის საფუძველზეც ცსს შეიძლება თანამშრომლობდეს ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურებთან ადამიანთა გატაცების მიმართულებით.

**კლარა გუტერიჯი, იურისტი:**

— ამ ადამიანებს ეჭვმიტანილებს უწოდებენ, ეჭვმიტანილი კი ნიშნავს, რომ ამ ადამიანების წინააღმდეგ რაიმე მტკიცებულებები არ არსებობს. არც ერთ ევროპულ კანონს არ შეუძლია გაამართლოს საგანგებო დავალებები. ეჭვის საფუძველზე არ შეიძლება ადამიანების გატაცება, მათი დაპატიმრება, წამება, გარესამყაროსგან აბსოლუტურად განცალკევებულად გამოკეტვა, შესაძლოა, სამუდამოდ. მხოლოდ ეჭვის საფუძველზე ეს დაუშვებელია. თავად ამერიკის ხელისუფლებამ აღიარა, რომ მათ არაფრის გამო დააკავეს 14 ათასი ადამიანი.

14 ათასი პატიმარი-აჩრდილი. არაოფიციალური ინფორმაციით, საგანგებო დავალება მთელი მსოფლიოს მასშტაბით 70 ათას ადამიანს შეეხო.

**ლოურენს ვილკერსონი, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, კოლინ პაუელის, კაბინეტის ხელმძღვანელი 2002-დან 2005-წლამდე:**

— ჩვენ ვიყენებდით უკიდურესად პრიმიტიულ მეთოდებს დაკითხვისას და გატაცების ასევე ბრუტალურ მეთოდებს.

ლოურენს ვილკერსონი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, კოლინ პაუელის, აპარატს ჯორჯ ბუშის პირველი ადმინისტრაციისას ხელმძღვანელობდა.

**ლოურენს ვილკერსონი:**

— ჩემი გათვლებით, 40-50 ათასი ადამიანი დავკითხეთ. მათგან 85 პროცენტი არც ამბოხებული იყო, არც ტერორისტი და მით უმეტეს — არც განსაკუთრებით სახიფათო ტერორისტი.

**კოლბი ვოკეი, სამხედრო ადვოკატი, აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის ყოფილი ოფიცერი:**

— ჩემი აზრით, მომავალში ამ ყველაფერს, აღნიშნულ პრაქტიკას, წარსულში არსებული გულაგების იმიჯი ექნება. ადრეც ხომ იჭერდნენ და გულაგში აგდებდნენ ადამიანებს, მიუხედავად იმისა, დამნაშავე იყვნენ თუ არა. რაც შეეხება წამებას, ამ მხრივ გუანტანამო ესპანურ ინკვიზიციას უნდა შევადაროთ. სხვას რას ჰგავს ეს ყველაფერი, თუ არა ესპანეთის შუასაუკუნოვან ინკვიზიციას?

**ჯეფრი ედიკოტი, ტეხასის უნივერსიტეტთან არსებული ტერორიზმის შემსწავლელი ცენტრის პროფესორი:**

— მართლმსაჯულება, როგორც მე ვხედავ, ამ შემთხვევაში უკანასკნელი რიგის ამოცანაა, ისევე, როგორც ნებისმიერ ომში. ეს კი ნამდვილი ომია. უპირველეს ყოვლისა, იფიქრეთ, როგორ უნდა გააუვნებელყოთ მტერი. მეორე რიგის ამოცანაა ღირებული ცნობების მოპოვება და მხოლოდ ამ ყველაფრის შემდეგ ფიქრობთ მართლმსაჯულებაზე.

**კრეიგ მიურეი:**

— მე მინახავს ეს ე. წ. ღირებული ცნობები. სინამდვილეში ეს ცნობები არავის არაფერში სჭირდება, ხშირად შეთითხნილია ტერორიზმის საფრთხის გასამწვა-


კლარა გუტერიჯი


ლოურენს ვილკერსონი

## არაოფიციალური ინფორმაციით, საგანგებო დავალება მთელი მსოფლიოს მასშტაბით 70 ათას ადამიანს შეეხო

**აშშ-ის თავხედობა ხანდახან „აღფრთოვანებას“ იწვევს. დაუყოვნებლივ გასანადგურებელი ქიმიური იარაღი საბაბად ხომ უკვე გამოიყენეს ერაყში, მაგრამ ვერანაირი ქიმიური იარაღი ვერ იპოვეს. არადა, ერაყში შეჭრის წინ საზოგადოებას პირდაპირ ცხვირწინ უფრიალებდნენ დაზვერვის მონაცემებსა და რაღაც გაურკვეველ, ბუნდოვან ფოტოებს.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ვებლად და არაფერში გამოდგება.

ტერორიზმთან ომში სანახევრო ზომებს ადგილი არასდროს აქვს. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ყველა ელოდა დარტყმების გამეორებას, სპეცსამსახურები ცდილობდნენ, როგორმე თავიდან აეცილებინათ ახალი ტერაქტები.

ასე ამბობდა დიკ ჩეინი მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ მუშაობდა აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის თანამდებობაზე. მისი თანამდებობიდან გადადგომიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ გაირკვა, რომ ამ ადამიანს სხვა, გაუხმაურებელი თანამდებობაც ეკავა — ის პირადად კურირებდა ცსს-ს საიდუმლო ოპერაციას. მისი განკარგულებით, ეს საიდუმლო ოპერაციები ამერიკის კონგრესს დაუმალეს.

**გარდა „საგანგებო დავალების“ პროგრამისა, რვა წლის მანძილზე მოქმედებდა კიდევ სხვა პროგრამაც, რომელიც დედამიწის ნებისმიერ წერტილში ადამიანების მკვლელობებს ახორციელებდა. ამ დრომდე უცნობია, კონკრეტულად როგორ მუშაობდა ეს პროგრამა. თანაც, აღნიშნული პროგრამის არა მხოლოდ მუშაობის მექანიზმი, არამედ არსებობაც კი უცნობი იყო ყველასთვის. თვით ცსს-ს ახალმა ხელმძღვანელმა ლეონ პანეტამ მის შესახებ მხოლოდ თანამდებობაზე დანიშვნიდან ნახევარი წლის შემდეგ შეიტყო.**

2009 წლის 22 იანვარი. აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ხელი მოაწერა გუანტანამოს ბაზაზე არსებული ციხის, წამებისა და უკანონობის სიმბოლოდ ქცეული ციხის, ლიკვიდაციის შესახებ განკარგულებას. გარკვეული დროის შემდეგ კონგრესი დაამტკიცებს გუანტანამოს ციხიდან პატიმრების აშშ-ისა და სხვა ქვეყნების ჩვეულებრივ ციხეებში გადაყვანას ოფიციალური სასამართლო პროცესების გამართვამდე და მათთვის სასჯელის შეფარდებამდე ან მათ გათავისუფლებამდე.

მაგრამ დაიხურება თუ არა პროგრამა „საგანგებო დავალება“? დაიშლება დივერსიული რაზმი, რომლის სპეციალობა ადამიანთა გატაცებაა?

**რობერტ ბაიერი:**

**— აშშ-ში არსებობს ადგილი, რომელსაც ფერმას უწოდებენ და რომელიც ცსს-ს რაზმის საწვრთნელ ბაზას წარმოადგენს. მაგრამ ოფიციალურად ვერ დავადასტურებ, რომ კემპ-პირის სამხედრო ბაზა სწორედ ეს ადგილია. ოფიციალურად ამის თქმა არ შემიძლია, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ პრესაში გაიჟღერებს გარკვეული განცხადებები 70-იანი წლების სტილში.**

როდერტ ბაიერს ამით იმის თქმა სურდა, რომ პირდაპირ ვერ იტყოდა რაიმეს ისეთს, რითაც ინფორმაციის გაუვრცელებლობის შეთანხმებას დაარღვევდა, მაგრამ მან გარკვევით მიანიშნა, თუ სად იმალებოდა ამ დაკეტილი კარის გასაღები — 70-იანი წლების სტილის განცხადებები პრესაში და საწვრთნელი ბანაკი კემპ-პირში.



კოლბი ვოკეი



ჯეფრი ედიკოტი

მაინც რა განცხადებებს გულისხმობდა მზვერავი?

1972 წელს ამერიკულ virginia gazette-ში დაიბეჭდა სტატია, რომლის ერთ-ერთი ციტატა ასე იკითხება:

**„გატაცებისა და მკვლელობების პროგრამა არსებობდა და არსებობს ცსს-ში მრავალი ათწლეულის მანძილზე. იცვლება მხოლოდ საფუძველი — კომუნიზმის საფრთხე ან ტერორიზმის საფრთხე... იცვლებიან პრეზიდენტები და დაზვერვის მეთაურები, მაგრამ არ იცვლება მთავარი“.**

ამის შემდეგ ნათელი ხდება, რომ **ამერიკელების მიერ ადამიანთა გატაცებისა და მკვლელობების პროგრამების შექმნის მიზეზი 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტები არ არის. ტერაქტებმა, უბრალოდ, მასობრივი სახე მისცა აღნიშნულ პრაქტიკას** და მის შესახებ პრესისთვის გახდა ცნობილი. სინამდვილეში კი **პროგრამა მრავალი წლის მანძილზე არსებობდა — იცვლებოდნენ მხოლოდ მისი სახელწოდება და კურატორები.**

როგორც არაოფიციალური მონაცემებით გახდა ცნობილი, **70 ათასი ადამიანი ითვლება გატაცებულად. ზოგიერთ მათგანს გაუმართლა და გადარჩა, მაგრამ მათი უმეტესობა ციხეებში დაიკარგა, მაშინ, როდესაც ნამდვილი ნომერ პირველი ტერორისტი თავისუფალი რჩებოდა**. მისი თავისუფლება ბევრს აძლევდა კიდეც ხელს, რადგან ვიდრე არსებობდა უსამა ბენ ლადენი და ტერორიზმი, ამერიკაც საფრთხის წინაშე იყო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცსს-ს თანამშრომლებს სამუშაო არ დაელეოდათ.

ხალედ ალ მასრი იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის კურსს გადის აგრესიის იმ შემოტევების გამო, რომლებიც ავღანეთის ციხიდან დაბრუნების შემდეგ აღენიშნება. მისთვის რაიმე სახის კომპენსაცია არავის გადაუხდია.

**2009 წლის სექტემბერში ცსს-მ ოფიციალურად მიმართა აშშ-ის ხელისუფლებას თხოვნით, არ გამოექვეყნებინათ „საგანგებო დავალების“ შემთხვევები და არ დაესაჯათ ადამიანთა გატაცებასა და წამებაში ბრალდებულები, რათა აგენტები მოტივაციის გარეშე არ დარჩენილიყვნენ.**

ამ დრომდე პროგრამის „საგანგებო დავალება“ გამო არავინ დაუსჯიათ, სამსახურიდანაც არავინ გაუთავისუფლებიათ. ამ პროგრამის მსხვერპლთა გარკვეული ნაწილი მისი დახურვის შემდეგაც პატიმარია...



**აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ დიკ ჩეინის სხვა, გაუხმაურებელი თანამდებობაც ეკავა — ის პირადად კურირებდა ცსს-ს საიდუმლო ოპერაციას. მისი განკარგულებით, ეს საიდუმლო ოპერაციები ამერიკის კონგრესს დაუმალეს**

# არ გაქვთ ქიმიური იარაღი? აშშ მაინც აღმოგიჩენთ!

**აშშ მთელი თავგანწირვით ეშვება ბრძოლაში სირიის ქიმიური იარაღისგან მსოფლიოს გადასარჩენად. რა პათოსით წარმოთქვა სიტყვა ბარაკ ობამამ: „ათიოდე დღის წინ მსოფლიომ იხილა, თუ როგორ ამოხოცეს მასობრივად ქალები, კაცები და ბავშვები 21-ე საუკუნის ყველაზე საზარელი ქიმიური დარტყმით... საკითხის საგულდაგულოდ განხილვის შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება, რომ აშშ-მა უნდა მიმართოს სამხედრო აქციას სირიული რეჟიმის წინააღმდეგ. ეს არ იქნება უვადო ინტერვენცია, არ იქნება სახმელეთო ოპერაცია. ის შეზღუდული იქნება დროსა და მასშტაბში“.**





ისტორიაში ხანგრძლივი ქექვა არაა საჭირო იმისთვის, რომ ვნახოთ, თუ რამდენად შეზღუდულია ხოლმე დროსა და მასშტაბში აშშ-ის მიერ წარმოებული ომები. სია შეგვიძლია პირდაპირ ვიეტნამის ომით დავიწყოთ.

ახლა აშშ ცდილობს, სირიაში იგივე სცენარი გაათამაშოს, რასაც ერაყში იყენებდა. რა ქნას? ოპოზიციასთან დაკავშირებით არაფერი გამოუვიდა. რამდენიც უნდა იბრძოლოს „სამართლიანმა ოპოზიციამ“, შედეგი არ არის. აშშ-ს არ შეუძლია უსასრულოდ აფინანსოს ის, ამიტომაც ალაპარაკდა დროითა და მასშტაბით შეზღუდულ სამხედრო ოპერაციაზე, რომელიც, სავარაუდოდ, ისე გამოიყურება, როგორც მშვიდობიანი ქალაქების ჩვეულებრივი დაბომბვა, რათა გაანადგურონ ასადის ხელისუფლების მიერ იქ გადამალული ქიმიური იარაღი.

**აშშ-ის თავხედობა ხანდახან „აღფრთოვანებას“ იწვევს. დაუყოვნებლივ გასანადგურებელი ქიმიური იარაღი საბაბად ხომ უკვე გამოიყენეს ერაყში, მაგრამ ვერანაირი ქიმიური იარაღი ვერ იპოვეს. არადა, ერაყში შეჭრის წინ საზოგადოებას პირდაპირ ცხვირწინ უფრიალებდნენ დაზვერვის მონაცემებსა და რაღაც გაურკვეველ, ბუნდოვან ფოტოებს.**

იმისათვის, რომ ყველაფერი ერთი-ერთზე არ გაემეორებინა, ამჯერად 21-ე საუკუნის ქიმიური შეტევა გაჩნდა დღის წესრიგში. ამან კი ბარაკ ობამას საშუალება მისცა, განეცხადებინა: **„ჩვენი ჯარები უკვე დისლოცირებულნი არიან რეგიონში. შტაბების მეთაურების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ მომაწოდა ინფორმაცია, რომ მზად ვართ, ნებისმიერ დროს განვახორციელოთ დარტყმა. უფრო მეტიც, მან დამარწმუნა, რომ ოპერაციის ჩატარებასთან დაკავშირებით ჩვენი შესაძლებლობები არ არის დაკავშირებული ვადებთან — ოპერაცია წარმატებული იქნება ხვალაც, ერთი კვირის შემდეგაც და ერთი თვის შემდეგაც. და მე მზად ვარ, გავცე ამგვარი ბრძანება“.**

**„მე მჯერა ჩვენი მთავრობის დასკვნებისა გაეროს ინსპექტორების დასკვნების გარეშეც. ჩვენ შეგვიძლია წინ წავიდეთ გაეროს უშიშროების საბჭოს ნებართვის გარეშეც, რომელიც სრულიად პარალიზებულია და არ სურს ასადის პასუხისგებაში მიცემა“,** — ბრძანა პრეზიდენტმა.

გასაგებია, რომ გაეროს ინსპექტორების დასკვნები არ შეესაბამება აშშ-ის სცენარს. აშშ-ის ხელისუფლება, რომელიც ესოდენ კომპეტენტურია ქიმიური იარაღის ძებნისა და პოვნის საქმეში იმ ქვეყნებში, სადაც მისი ინტერესები ჩნდება, ცხადია, თავად გააკეთებს საჭირო დასკვნებს.

სირიაში ქიმიური იარაღის არსებობისა და სამხედრო ჩარევის შესაძლებლობის საკითხებს ვიდრე აშშ-ის სენატი და წარმომადგენელთა პალატა განიხილავს, კანონპროექტი მზადაა: **აშშ-ის შეიარაღებული ძალების მიზანი უნდა იყოს მომავალში ქიმიური იარაღის გამოყენების აღკვეთა და სათანადო პოტენციალის განადგურება. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალში აშშ სხვა სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩაერევა შეიარაღებული შეჭრის მეთოდით, იქ ქიმიური იარაღის არსებობის საბაბით და ეს ნებისმიერ ქვეყანაზე შეიძლება გავრცელდეს.** საკმარისია, ამგვარი იარაღის არსებობის შესახებ გამოცხადდეს, აშშ მუდამ თავგამოდებული მხსნელი იყო მთელი მსოფლიოსთვის.

ეს პოლიტიკა ისეთივე ძველია, როგორიც სამყარო. სასიცოცხლო გარემოს მოპოვება მუდამ იყო ნებისმიერი კონფლიქტის საწყისი მიზეზი, მხოლოდ დასავლეთმა დაიწყო საკუთარი შეჭრების ცინიკურად გამართლება — ხან უფლის საფლავს იცავდნენ, ხან ველურებს ანათლებდნენ და ცივილიზაციას აზიარებდნენ, ხან დასავლურ ღირებულებებს ამკვიდრებდნენ... ახლა მზად არიან, მსოფლიო ქიმიური იარაღისგან იხსნან. და ის, რომ ინგლისი მზადაა, ამ ბრძოლაში აშშ-ს შეუერთდეს, ძალზე საგულისხმოა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრე ლუკაშევიჩმა განაცხადა: **„ნებისმიერი ცალმხრივი ძალისმიერი აქცია გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით, როგორი შეზღუდულიც არ უნდა იყოს ის, იქცევა საერთაშორისო სამართლის პირდაპირ დარღვევად, ჩაშლის სირიაში საკითხის პოლიტიკურ-დიპლომატიური გზით მოგვარების პერსპექტივებს, განაპირობებს კონფრონტაციის ახალ ტალღას და მსხვერპლს. არ შეიძლება მოვლენათა ამგვარი განვითარების დაშვება“.**

politobzor.net



დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არ არსებობს არანაირი ევროპული ნაცია, ევროპული იდენტურობა და ევროპული ნარატივი. ასევე არ არსებობს არანაირი ევროპული საგარეო პოლიტიკა და ევროპული ერთიანობის გრძნობა, რომელიც რაიმე უფრო დიდისთვის გამოდგება, ვიდრე აშშ-ისგან განცალკევებაა. საუკეთესო შემთხვევაში, ევროპა არის თავისუფალი ვაჭრობის ზონა, ღია საზღვრების ღია ბაზარი და ეს სავსებით საკმარისია.**

## კახა კუკავა: ზოგიერთ რეგიონში, შესაძლოა, მარგველაშვილს მეორე ადგილის პრობლემაც შეექმნას

**პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის განცხადებით, მან საქართველოს სხვადასხვა რეგიონი მოიარა, უამრავ ადამიანს შეხვდა და დარჩა შთაბეჭდილება, რომ მარგველაშვილს არათუ 53-პროცენტიანი რეიტინგი არა აქვს, არამედ მას არჩევნების პირველ ტურში მოგებაც კი გაუჭირდება. იგი ვარაუდობს, რომ ზოგიერთ რეგიონში, შესაძლოა, მარგველაშვილს მეორე ადგილის პრობლემაც შეექმნას.**

კუკავა მარგველაშვილის ცნობილ განცხადებასაც აფასებს (საუბარია „ოცნების“ კანდიდატის განცხადებაზე, რომ 27 ოქტომბერს კოაბიტაცია სრულდება) და ამბობს, რომ ეს განცხადება ფარისევლობა და პოლიტიკურ შულერობაა.

„მარგველაშვილი ფუტურისტია და სიტყვებით თამაშობს. 27 ოქტომბერს კოაბიტაციის დამთავრებაში იგი გულისხმობს, რომ სააკაშვილი აღარ იქნება პრეზიდენტი და საკუთრივ სააკაშვილისა და მთავრობის კოჰაბიტაცია დამთავრდება... დიახ, მარგველაშვილი არ გულისხმობს იმას, რომ 27 ოქტომბრის შემდგომ დამნაშავეების დასჯა მოხდება, სამართლიანობა აღდგება და „ნაციონალური მოძრაობა“ დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადდება... ასე რომ, მარგველაშვილის გზავნილი 27 ოქტომბერს კოაბიტაცია მთავრდებაო, ეს არის მისი მხრიდან პოლიტიკური შულერობა და ფარისევლობა!“ — აცხადებს „ასავალ-დასავალთან“ საუბარში კახა კუკავა.



# ევროკავშირი მომაკვდავს ემსგავსება



**ევროპული იდეა იქცა ტოტალიტარულ იდეოლოგიად, რომელსაც ახასიათებს ყველასა და ყველაფრის ყოვლისმომცველი მფარველობისკენ სახიფათო მისწრაფება. განგაშისა და პესიმიზმისთვის უამრავი მიზეზი არსებობს.**

ჰაერში რაღაც ტრიალებს. ქარი ფოთლებს არხევს, თაგვები სოროებში ჩაიმალნენ და, მიუხედავად იმისა, რომ უახლოესი დღეების პროგნოზი მნიშვნელოვან რყევებს არ გულისხმობს, ხალხი მღელვარებით იყურება ცისკენ. ეს ქარიშხლის წინ ჩამოწოლილი სიმშვიდეა. წინასაარჩევნო კამპანია ნელ-ნელა ძალას იკრებს. საუბარია სოციალურ თანასწორობაზე, კეთილდღეობის სამართლიან გადანაწილებაზე, კვების პროდუქტების ხარისხის კონტროლზე, ყველა ბავშვის უზრუნველყოფაზე ადგილით საბავშვო ბაღში და კერძო სექტორის დაცვაზე ელექტრონული მონაცემების მოპარვისგან.

თუმცა არსებობს ერთი თემა, რომელიც პრაქტიკულად არ განიხილება: ევროპა. ამაზე **ყველა ჯიუტად დუმს, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის სავალე კრიზისი სულ რამდენიმე კვირის წინ მიჩუმდა და სულ უფრო მეტი რამ მიანიშნებს იმაზე, რომ ძალიან მალე საბერძნეთის ფინანსური „დახმარებისთვის“ ახალი მილიარდიანი პაკეტი გახდება საჭირო. ცხადია, როგორც წინა პაკეტი, ისიც გაიგზავნება არა ღატაკი ბერძნების, არამედ იმ ბანკებისთვის, რომლებიც ბერძნებს კრედიტებს ურიგებენ და ამით კრიზისში ეფლობიან.**

გარდა პარტიისა „ალტერნატივა გერმანიისთვის“, ყველა პარტია გვერდს უვლის „ევროპის“ თემას, თუმცა საკუთარ პროგრამებში ყველა მათგანი მის მიმართ ერთგულების ფიცს დებს და სწამს ევროპული ინტეგრაციის, რაც ერთხელაც შესაძლებელს გახდის, გამოაცხადონ „ევროპის შეერთებული შტატები“ — პოლიტიკური კონტრპოლუსი და ეკონომიკური საპირწონე ამერიკის შეერთებული შტატებისთვის.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ლოზუნგი „გაფართოებული ევროინტეგრაციისთვის“ ყველას პირზე ეკერა. რატომ აღარაფერი ისმის ახლა იმ გრანდიოზულ გეგმებზე, რომლებიც საფუძვლიანად შეცვლის ევროპელთა ცხოვრებას? **რატომ მიდის გერმანიის კანცლერი ყოფილ საკონცენტრაციო ბანაკში, რათა იქ წარსულის საშინელებებზე ისაუბროს? და რატომ უკითხავენ წამყვანი სოციალ-დემოკრატები ქუჩის დღესასწაულზე ბავშვებს ზღაპარს ბრემენელი მუსიკოსების შესახებ? იმიტომ ხომ არა, რომ ისე მოსწონთ მასში არსებული ფრაზა „ეს ყველაფერი სიკვდილზე უკეთესი იქნება“, თითქოს ის მათ არჩევნების შემდგომ პერსპექტივებს ეხებოდეს?**

პოლიტიკაში შეთანხმება ძნელი საქმეა, რადგან იქ ყველა მხოლოდ საკუთარი თავის ახლობელია, მაგრამ ამ შემთხვევაში შეიძლება მართლაც ვიფიქროთ, რომ პარტიებს შორის პოლიტიკური პაქტია: „თუ შენ გაჩუმდები, მეც გავჩუმდები“. პირველი, ვინც პირს გააღებს, ჩაკეტილ უსაშველო დინებას გამოუშვებს.

ბოლოს და ბოლოს უკანასკნელი თვეების მანძილზე **ანგელა მერკელმა** არაერთხელ განაცხადა: **„დაეცემა ევრო, — დაეცემა ევროპაც!“** ეს მხოლოდ ტაქტიკური მუქარის ჟესტია საკუთარი „უალტერნატივო პოლიტიკის“ გასამყარებლად თუ **ევროპის გადარჩენა მართლაც ევროზეა დამოკიდებული? სხვა თუ არაფერი, ევროპა ხომ 2002 წელს, ევროს შემოღებამდეც, არსებობდა და, თუ ამ ვალუტას ოდესმე გააუქმებენ, ევროპა მაინც იარსებებს, თუმცა არა იმ სახით, როგორითაც ბრიუსელელი ევროკრატების გეგმებში შედიოდა.**

ევროპისადმი რწმენა ერთგვარ ელიტურ რელიგიას დაემსგავსა და მის პირველ მცნებაში ნათქვამია: **მიიღე ყველაფერი, რაც აამაღლებს ბრიუსელს! ყველა, ვინც სხვაგვარად მოიქცევა, ერეტიკოსია. მას კოცონზე არ დაწვავენ, როგორც ინკვიზიციის დროს, ყველაზე უარეს შემთხვევაში მიიწვევენ ტელეშოუზე „მკაცრი მაგრამ სამართლიანი“, სადაც აუხსნიან, რომ, თუ ევროპა დაეცემა, ამაში დამნაშავენი იქნებიან კრიტიკანები.**

ამ პრინციპით ფუნქციონირებს ყველა ტოტალური სისტემა. უკანასკნელმა სკეპტიკოსმაც უნდა გაიგოს, რომ ჯობს, დინებას მიჰყვეს, ვიდრე მის წინააღმდეგ ცურვას შეეცადოს.

**ევროპას ყველა შანსი აქვს, ადამიანური სახის საბჭოთა კავშირად იქცეს.** ცხადია, შრომა-გასწორების ბანაკების, წამებისა და სამომხმარებლო საქონლის დეფიციტის გარეშე, მაგრამ ხელისუფლების ისეთი დანაწილებით, რომ თავად დანაწილების არსიც ფარსად იქცევა. **ევროპარლამენტი, ძირითადად, დეკორაციულ ფუნქციას ასრულებს: იღებს რეზოლუციებს; ძალაუფლება კი ევროკომისიის ხელშია.** ის გამოდის როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლების როლში, რაც რაღაც ახალია იმ დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობის ისტორიაში, რომლებიც იდეაში ერთმანეთს თვალს უნდა ადევნებდნენ და აკონტროლებდნენ.

**28 სახალხო კომისარი, რომელთა უფლებამოსილება საკმაოდ ბუნდოვნადაა ფორმულირებული, დაკავებულია 500 მილიონი ევროპელის ცხოვრების რეგლამენტირებით.** ლაპლანდიიდან კალაბრიამდე და მაზურიიდან ალგავრიმდე ყველამ ერთნაირი ნათურები უნდა გამოიყენოს. ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის მიუხედავად, ევროპელებმა ეკონომიურად უნდა ხარჯონ ენერგია და წყალი, დროის სხვადასხვა ინტერვალში შეამოწმებინონ მანქანები ტექნიკური ზედამხედველობის გაერთიანებას და მალაზიაში წასვლამდე უნდა დაიზეპირონ ევროკავშირის დირექტივა საკვები პროდუქტების მარკირებასთან დაკავშირებით.

ევროკრატებისთვის დამახასიათებელი რეგლამენტირების მანია არანაირად არ უწყობს ხელს ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, **ის მხოლოდ მოძრაობაში ინარჩუნებს აპარატს, რომელიც სხვა სახელმწიფოების ზემოთ მდგარი ახალი სახელმწიფოს ზომამდე გაიზარდა: 28 სახალხო კომისარი, 754 დეპუტატი და თითქმის 50 ათასი თანამდებობის პირი და თანამშრომელი, რომლებიც მუდმივად იგონებენ რაღაცებს საკუთარი არსებობის გასამართლებლად;** მაგალითად, უშაქრო საღეჭი რეზინის რეკლამირების რეგლამენტირებას, რათა აღინიშნებოდეს, რომ ეს საღეჭი რეზინი დადებით შედეგს მხოლოდ 20-წუთიანი ღეჭვის შემთხვევაში იძლევა.

> **28 სახალხო კომისარი, რომელთა უფლებამოსილება საკმაოდ ბუნდოვნადაა ფორმულირებული, დაკავებულია 500 მილიონი ევროპელის ცხოვრების რეგლამენტირებით**

იმ დროს, როდესაც ევროპაში ცხოვრების დონე ერთგვაროვანი უნდა გახდეს, ევროპელებს დივერსიფიკაცია სურთ. თვით მცირე ეთნიკური ჯგუფებიც კი — კოსოვარები, მაკედონელები და ჩერნოგორელები — დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფვიან. თუ 1988 წელს, ახალი ათასწლეულის დადგომამდე ცოტა ხნით ადრე, ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში 33 ნაციონალური სახელმწიფო და ფედერაცია მონაწილეობდა, 2012 წლისთვის მათი რაოდენობა 53-მდე გაიზარდა.

და არ არსებობს რაიმე, რაც ამას წინ აღუდგება. ყველა განსხვავების წაშლის მცდელობა მუდამ საპირისპირო შედეგს განაპირობებს. **არ არსებობს არანაირი ევროპული ნაცია, ევროპული იდენტურობა და ევროპული ნარატივი. ასევე არ არსებობს არანაირი ევროპული საგარეო პოლიტიკა და ევროპული ერთიანობის გრძნობა, რომელიც რაიმე უფრო დიდისთვის გამოდგება, ვიდრე აშშ-ისგან განცალკევებაა.**

საუკეთესო შემთხვევაში, ევროპა არის თავისუფალი ვაჭრობის ზონა, ღია საზღვრების ღია ბაზარი და ეს სავსებით საკმარისია.

**Die Welt**

## იემენში რვა წლის გოგო 40 წლის ქმართან პირველ ღამეს შეეწირა

**იემენში რვა წლის გოგონა 40 წლის კანონიერ მეუღლესთან პირველი ღამის გატარების შემდეგ სექსუალური კავშირის გამო მიყენებული ჯანმრთელობისთვის საშიში ტრავმების ფონზე გარდაიცვალა.** ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია მამაკაცის დასჯას ითხოვს. აღნიშნული შემთხვევა იემენის ჩრდილო-დასავლეთით დაფიქსირდა.

სტატისტიკური მონაცემებით, 2010 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, მუსლიმანურ ქვეყნებში 18 წელს გადაცილებული 140 მილიონი გოგონა ქორწინდება ზრდასრულ მამაკაცზე, 50 მილიონი კი 15 წელს არ არის გადაცილებული. სხვადასხვა კვლევის შედეგად დადგენილია, რომ აღნიშნულ ქვეყნებში დარეგისტრირებულ გოგონათა ერთი მეოთხედი ყოველწლიურად 15 წლამდე ასაკში თხოვდება. ბავშვებს ეზღუდებათ განათლების უფლება და ყველაფერთან ერთად, სერიოზულად ელახებათ ჯანმრთელობა. უფრო მეტიც, ბავშვები ხშირად განიცდიან ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სექსუალურ ძალადობას მათი ზრდასრული მეუღლეების მხრიდან.

2009 წლის თებერვალში მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც ქორწინების მინიმალური წლოვანება 17 წლამდე გაიზარდა, თუმცა კანონმდებლების გარკვეულმა ნაწილმა ამ კანონს ანტიისლამური უწოდა, რის შედეგადაც მის დამტკიცებაზე უარი განაცხადეს.



**ყველა ქვეყანაში სხვადასხვა სიტუაცია შეიქმნა, მაგრამ მათი უმრავლესობის საერთო მახასიათებლად იქცა კერძო პირების ვალების ზრდა, ასევე ბიუჯეტისა და იმპორტის დეფიციტი, თუმცა ანაზღაურებად ბალანსთან დაკავშირებული მდგომარეობა უმტკივნეულოდ უარესდებოდა უცხოელი ინვესტორების მხრიდან აქტიური ფინანსირების ხარჯზე.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# განვითარებად ბაზრებს ქარიშხალი უახლოვდება

**განვითარებადი ქვეყნების ბაზრები, რომელთა ზრდა 2009 წლის შემდეგ მნიშვნელოვანწილად ამერიკული ცენტრალური ბანკის ხელგაშლილობის შედეგია, დღეს ამ უკანასკნელის კურსის შეცვლის მსხვერპლნი ხდებიან. მართალია, ამ ბაზრების მდგომარეობა ახლა გაცილებით უფრო მტკიცეა, ვიდრე 1997 წლის აზიური კრიზისისას იყო, ფინანსური ნაკადების მდინარების მკვეთრი ცვლა ამ ზონაში ქმნის სახიფათო სპირალს, რომლის საფრთხის უგულებელყოფა არ შეიძლება.**




განვითარებადი ქვეყნების ვალუტა და ობლიგაციები 2009 წლის შემდეგ ლიკვიდურობის უსასრულო დინების ხარჯზე იმატებდა.

2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის დაწყებიდან აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ მთელი მსოფლიო წალეკა ლიკვიდურობით და ობლიგაციების ბაზრებზე ინტერვენციით ნულზე დასცა სავალე ვალდებულებებზე ფსონები. ამით მან მოახერხა, გადაერჩინა მსოფლიო ეკონომიკის მომაკვდინებელი დეფლაციური სპირალით ფსკერისკენ დაშვებისგან, და პირობები შექმნა ამერიკის ეკონომიკის გადასარჩენად.

**უდიდესი ქვეყნების ცენტრალურმა ბანკებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს ობლიგაციებიდან შემოსავლები და ამით წინ დააყენეს სადაზღვევო და საპენსიო ფონდები, ასევე, სხვა ფინანსური ორგანიზაციები გაცილებით სარისკო ინვესტიციების მოსაპოვებლად: მათ მოუწიათ, სახსრების დასაბანდებლად მიზნები მათთვის ტრადიციულ, კომფორტულ ზონებს მიღმა ეძებნათ. ამრიგად, ისინი შეუდგნენ აქტიურ ინვესტიციებს ვალუტასა და ობლიგაციებში განვითარებად ქვეყნებში.** შემოთავაზებული შემოსავლიანობა კიდევ უფრო მიმზიდველად გამოიყურებოდა განვითარებადი და განვითარებული ზონების ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების განსხვავებათა გათვალისწინებით.

კაპიტალის მოზღვავებამ განვითარებადი ქვეყნები ნამდვილი დილემის წინაშე დააყენა. 1997 წლის აზიური კრიზისის მოგონებები მათ სიფრთხილისკენ მოუწოდებდა და უცხოური დინებების კონტროლის აუცილებლობაზე მიანიშნებდა: ეს საჭირო იყო იმისათვის, რომ ფინანსებში წონასწორობა შენარჩუნებულიყო და არ დაეშვათ ეკონომიკური ბუშტების დაბერვა. მაგრამ **ვალუტის მატებასა და სესხების პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულმა სიმდიდრის შეგრძნებამ ადგილობრივ ხელისუფლებებს სიფრთხილე დაავიწყა.**

ცხოვრების დონის გაუმჯობესებასა და მოხმარების გაფართოების მსურველი მოსახლეობის ზეწოლით ხელისუფლებები შემოიფარგლნენ მხოლოდ ზედაპირული კონტროლით მოდინებად კაპიტალთან დაკავშირებით. **ყველა ქვეყანაში სხვადასხვა სიტუაცია შეიქმნა, მაგრამ მათი უმრავლესობის საერთო მახასიათებლად იქცა კერძო პირების ვალების ზრდა, ასევე ბიუჯეტისა და იმპორტის დეფიციტი, თუმცა ანაზღაურებად ბალანსთან დაკავშირებული მდგომარეობა უმტკივნეულოდ უარესდებოდა უცხოელი ინვესტორების მხრიდან აქტიური ფინანსირების ხარჯზე.**

2013 წლის შუა პერიოდში ბედნიერი პერიოდი დასრულდა. ამის მიზეზი, რაც უნდა პარადოქსული იყოს, გახდა კარგი ახალი ამბავი: ამერიკის ეკონომიკის ზრდის დაჩქარება. **ეკონომიკასა და შრომის ბაზარზე მდგომარეობის გაუმჯობესების ფონზე ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ მკვეთრად გაზარდა დოლარის კურსი და გრძელვადიანი სესხების პროცენტები.**

შედეგად განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე ფულის დაბანდება უფრო საეჭვო გახდა, პარალელურად საფრთხე გამოჩნდა საზოგადოებრივ და გეოპოლიტიკურ ფრონტებზეც: ნაპერწკალს იმდენი ნავთი გადაასხეს, რომ ნამდვილი ხანძრის გაჩაღებას წინ აღარაფერი უდგას. როგორც მსგავს სიტუაციებში ყოველთვის ხდება, ხიფათის პირველივე ნიშნების გამოჩენისთანავე აქტივების ბაზრებზე ლიკვიდურობა ორთქლდება, რაც ხელს უშლით ინვესტორებს, უმტკივნეულოდ გავიდნენ ამ ბაზრებიდან და ზრდის ფასების მერყეობას. შედეგად **სახელმწიფოები, რომლებიც სხვებზე მეტ იმედებს ამყარებდნენ უცხოურ კაპიტალზე საკუთარი ცხოვრების დონის უზრუნველსაყოფად, ცივი შხაპის ქვეშ აღმოჩნდნენ.**

ამ პირობებში კორექციის გაგრძელება, შესაძლოა, ყველაზე დამანგრევლად აისახოს რეალურ ეკონომიკაზე. თუმცა, ნაციონალური ვალუტების კურსის მკვეთრი ვარდნა პერსპექტივაში ექსპორტის გაზრდის იმედს იძლევა, აწმყოში მისი ყველაზე შესამჩნევი შედეგი მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის ვარდნაა. ბენზინისა და პირველადი მოხმარების იმპორტირებული საქონლის ფასები მნიშვნელოვნად იმატებს. ამ ქვეყნებში **არც თუ იშვიათი მოხმარების სუბსიდირების პოლიტიკა კიდევ უფრო ამწვავებს მიმდინარე დეფიციტს, რომელთან გამკლავებაც ძნელი საქმე ხდება საპროცენტო განაკვეთების ზრდის გამო.** ჩაკეტილი წრე...

ამ ქვეყნების ხელისუფლებები გაიჭედნენ კაპიტალის გადინებასა და ეკონომიკის ზრდისთვის ბიძგის მიცემის აუცილებლობას შორის, მაგრამ მათ რაიმე სასწაულებრივი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან არ იციან. **სავალუტო ბაზრებზე ინტერვენციები დიდწილად არაეფექტურია. უფრო მეტიც, ისინი, შესაძლოა, კონტრპროდუქტიულიც კი აღმოჩნდეს, თუ სწრაფად ამოწურავს მტკიცე ვალუტების არსებულ მარაგებს და ამით ბაზრებისადმი ნდობას გაანადგურებს.** რაც შეეხება პროცენტების ზრდას, რაც მოწოდებულია ნაციონალური ვალუტის მხარდასაჭერად და კაპიტალის კვლავ მოსაზიდად, ის ამავე დროს ამუხრუჭებს ადგილობრივ სამრეწველო მოღვაწეობას. იგივე ხდება იმ საგადასახადო ზომებთან დაკავშირებით, რომლებიც, შესაძლოა, დაწესდეს სახელმწიფოს ფინანსების გადასარჩენად.

საბედნიეროდ, შეუქცევადობის წერტილამდე კიდევ დარჩა მანძილი. ამ ქვეყნების ეკონომიკური საყრდენები ახლა უფრო მყარია, ვიდრე 1997 წელს იყო და ამან მნიშვნელოვნად უნდა შეარბილოს პირველი დარტყმა, მით უფრო, თუ ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკის ცვლილებასთან დაკავშირებული პროგნოზები გადამეტებული აღმოჩნდა. **საგადასახადო ბალანსში დეფიციტი ჯერ არ მისულა კრიტიკულ წერტილამდე, სავალუტო მარაგებიც შთამბეჭდავია. გარდა ამისა, უცხოურ ვალუტაში ვალების ზეწოლაც ახლა უფრო ნაკლებია, ვიდრე 1997 წლის კრიზისისას იყო, რაც ამცირებს დეფოლტების რისკს.**

და ბოლოს, **საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომლისთვისაც უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე არ მიუმართავთ, მზადაა, აუცილებლობის შემთხვევაში სიტუაციაში ჩაერთოს.**

მიუხედავად ამისა, ყველაფერი მიანიშნებს არაკონტროლირებადი ფულადი ნაკადების სახიფათო პერსპექტივებსა და მსოფლიო ეკონომიკის სისუსტეზე, ეკონომიკისა, რომელიც, ვინც რა უნდა თქვას, 2008 წლის შემდეგ მხოლოდ მუდმივი ფულადი „დახმარების“ ხარჯზე არსებობს.

**Le Huffington Post**

# ვინ იცხოვრებს კარგად ახალ მსოფლიოში

**თვითმართვადი ავტომობილები მალე უმუშევრად დატოვებს სატვირთო მანქანების მძღოლებს. კომპიუტერულ პროგრამებს უკვე შეუძლია რეპორტაჟის დაწერა სპორტული ღონისძიებების შესახებ და ბირჟაზე კურსების ცვლილებისთვის თვალის დევნება. გაჩნდა ისეთი კომპიუტერები, რომლებსაც მაღალი სიზუსტით შეუძლია სტუდენტების თემების შეფასება, რაც რევოლუციას მოახდენს პედაგოგიკაში. მანქანები სულ უფრო ხშირად ხდებიან არა მხოლოდ ფიზიკური ძალის, არამედ ინტელექტის ჩამნაცვლებლებიც, რაც ადამიანების წინაშე აყენებს საკითხს, თუ რა ადგილი ექნებათ მათ მომავლის მსოფლიოში.**



ხუთი წლის შემდეგ ჩვენ გვექნება მსოფლიოში საუკეთესო განათლების მიღების საშუალება უფასოდ, ინტერნეტში, მაგრამ ბევრი ვერ შეძლებს სწავლას, თუ თავზე არ დაადგება პროფესორი, რომელიც ამის გაკეთებას აიძულებს. ის, ვინც საკმარისად მოტივირებული იქნება ინტერნეტ-რესურსების გამოყენებისთვის, მომავალში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევს. ვერავის დაეხმარება კარგად სწავლაში განათლების უფასოდ ხელმისაწვდომობა. მთავარი მოტივაცია.

**წარმატებას მიაღწევენ ადამიანები, რომლებიც კომპიუტერებს დაუჯერებენ... მალე სმარტფონები დაიმახსოვრებენ მთელ ინფორმაციას ადამიანის ცხოვრებაზე და, თუ ვინმე ჰკითხავს მათ რჩევას, გაანალიზებენ სახლში, ახლობლებისგან, პატრონის მეუღლისა და მეგობრებისგან მიღებულ ინფორმაციას და პასუხს „გამოაცხობენ“.** მაგალითად, „ბოლო სამი შეძენის შემდეგ ეს პური გადასაგდები გაგიხდა, აღარ იყიდო!“ — დაახლოებით ასეთი იქნება მომავლის რჩევები სმარტფონებისგან. **GPS — ეს მხოლოდ დასაწყისია კომპიუტერული ინსტრუქტაჟის სფეროში. ვინც არ დაუჯერებს სმარტფონების რჩევებს, ბრჭყვიალა პრიზების გარეშე დარჩება, ვინც დაუჯერებს, სავარაუდოდ, საკუთარ აზრს მოკლებულ მარიონეტად იგრძნობს თავს...**

ახალ მსოფლიოში ბევრად უფრო მეტი სიმდიდრე იქნება, მაგრამ ის თანაბრად ვერ განაწილდება, რადგან ადამიანური შრომა უამრავ სფეროში დაკარგავს უნიკალურობას. ტექნიკურ სამუშაოებს კომპიუტერები შეასრულებენ, მაგრამ ამ სამუშაოსა და მისი შედეგისადმი ყურადღების მიპყრობა მხოლოდ ადამიანის დამსახურება იქნება მომავალშიც.

**მომავლის მსოფლიოში მრავალი მომუშავე ადამიანის მოვალეობა იქნება, დანარჩენები აიძულონ, ან უკიდურესად კმაყოფილნი იყვნენ, ან უკიდურესად უკმაყოფილონი საკუთარი თავით. სხვებისთვის სტიმულის მიმცემი ნიჭიერი ადამიანების, მოტივატორების, შემოსავლები მომავლის მსოფლიოშიც განაგრძობს ზრდას.**

ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგად ყველაზე მეტად მგრძნობიარე ადამიანები დაზარალდებიან. გამომთვლელი ტექნიკა და კომპიუტერები გაამარტივებს წარმადობის დათვლის პროცესს. ნებისმიერი მშრომელი მუდმივად თვალყურს მიადევნებს საკუთარ შრომით მაჩვენებლებს და მუდმივად თავის მართლების მძიმე მდგომარეობაში იქნება. თავის მოტყუება, ისევე, როგორც სხვათა მოტყუება, თითქმის შეუძლებელი გახდება.

ადამიანთა პროფესიონალიზმი უამრავი მაჩვენებლით შეფასდება.

**ვინაიდან ხარისხიანი ქირურგიული ოპერაციების ან სიმსივნეების მკურნალობის ავტომატიზება რთული და თითქმის შეუძლებელი საქმეა, ამიტომ ამ საქმეს კვლავ ადამიანები შეასრულებენ. მაგრამ მათი მსახურება იმდენად ძვირი სიამოვნება იქნება, რომ, სავარაუდოდ, ავად გახდომა საბედისწერო იქნება კაცობრიობის უდიდესი ნაწილისთვის.**

სამაგიეროდ ხარისხიანი დიაგნოზირება ონლაინში იქნება ხელმისაწვდომი და ზოგიერთი ადამიანი შეძლებს, ნაადრევ სტადიაზე დაიწყონ აღმოჩენილი დაავადების მკურნალობა, დანარჩენებს კი ეცოდინებათ, თუ რა კლავთ.

მექანიზირებული, კომპიუტერების მიერ მართვადი, უკიდურესად არასამართლიანი მომავალი ხანდახან განიხილება ბუნტის მიზეზად, მაგრამ ედუარდ სნოუდენის შესახებ საგა გვიმტკიცებს, რომ ეს იოლი საქმე არ იქნება. **ტექნოლოგიები შეიძლება იქცნენ როგორც ამბოხების ინსტრუმენტებად, ასევე კონტროლისა და დევნის ინსტრუმენტებადაც.** გარდა ამისა, ამერიკის საზოგადოება ბერდება, რაც მას გაცილებით უფრო მშვიდობისმოყვარეს და ნაკლებად ექსტრემალურს ხდის. სოციალური მღელვარებების პიკი 1960 წელს იყო — წარმოებისა და ამერიკის საშუალო ფენის აყვავების პერიოდში.

**The New York Times**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინმა ისტორიულად უმოკლეს დროში (საგულისხმოა, რომ სტალინს მშვიდობიანი აღმშენებლობისთვის სულ რაღაც 7 წელი ჰქონდა — 1946-1952) საქართველო გახდა მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანა, რომლის მოსახლეობა, ერთ სულზე წარმოებული და მოხმარებული საერთო ეროვნული პროდუქტის მიხედვით, მსოფლიო განვითარებული ქვეყნების ათეულში მოხვდა, უკვე 50-იანი წლების დასაწყისში, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გადანაწილებული ეროვნული სიმდიდრის მიხედვით, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა.**

# სტალინის ეპოქა იყო ოქროს ხანა ჩვენს სამშობლოში



## ღია წერილი საქართველოს პრემიერმინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს

**საქართველო რომ გამორჩეული ქვეყანაა, ღვთისმშობლის წილხვედრი, საყოველთაოდაა ცნობილი. თუმცა ისიც ნათელია, რომ ამ უშვენიერეს, თავის ხიბლით უნიკალურ მიწა-წყალზე, სამწუხაროდ, ისეთი ადამიანებიც „ბინადრობენ“ (საბედნიეროდ, ისინი არც ისე ბევრნი არიან), რომლებიც თავიანთი ქმედებით არცხვენენ არა მარტო საქართველოს, ქართველ ერს, არამედ მთლიანად კაცობრიობას — ადამის მოდგმას. ასეთებად კი ქართული საზოგადოების 99% ცალსახად მიიჩნევს „ნაცმოს“, ამ ქვეწარმავალთა სინთეზს(!).**

ათი წელია, ეს ვანდალები ანადგურებენ ყველაფერს, რითაც ქართველი ერი დადებითად გამოირჩეოდა და გამოირჩევა: ტრადიციებს, სარწმუნოებას, ხასიათს, იმიჯს, მენტალიტეტს. ანგრევენ, ანადგურებენ ლეგენდადქცეული ისტორიული პიროვნების რელიქვიებს. თვითონ პირსისხლიანი ჯალათები ჯალათს ეძახიან მსოფლიოს გადამრჩენელ პიროვნებას. **სტალინს აბრალებენ იმას, რაც მას არასდროს ჩაუდენია. ხოლო თავიანთი სატანისტური ქმედებები: უდანაშაულო ახალგაზრდების ქუჩაში დახვრეტა, ციხეებში პატიმრების წამება, ხოცვა-გაუპატიურება, დანაშაულებრივ ომში მეთაურების მიერ ბრძოლის ველზე უპატრონოდ მიტოვებული ჯარისკაცების, ახალგაზრდების, მოხუცების, ქალების, ბავშვების ტრაგიკულად დაღუპვა, ცდილობენ, სტალინის ლანძღვა-გინებით შენიღბონ!**

**მთელი ცხრა წლის განმავლობაში მოსახლეობის ყველა ფენაზე ტოტალური ტერორის თვალთვალის, უკანონო მოსმენების ამსახველი 24 ათასზე მეტი „ფაილი“, კასრებში აღმოჩენილი აღურიცხავი, უკანონოდ გადამალული საბრძოლო იარაღია. ყოველივე ეს დღემდე გამოუძიებელია, ხელისუფლება კი ამ დროს დაკავებულია სტალინის ძეგლების დანგრევა-შეურაცხყოფით, რითაც სურს ყველა მისი უმძიმესი დანაშაული სტალინის ლანძღვა-გინებით შენიღბოს.**

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ დასავლეთი, რომელიც მოგვიწოდებს დამნაშავეებთან კოჰაბიტაციისკენ, თვით ამერიკამ კი ერთადერთი უკანონო მოსმენისთვის იმპიჩმენტი მოუწყო პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონს და აიძულა, გადამდგარიყო. **„ჩვენი“ ხელისუფლება, იმის ნაცვლად, რომ დამნაშავეები დასაჯოს, იმითაა დაკავებული, რომ რაც შეიძლება მალე გაანადგუროს აღნიშნული „ფაილები“ — მოსპოს სამხილი. სხვას რას უნდა ნიშნავდეს ეს, თუ არა დანაშაულის მიზანმიმართულ დაფარვას?! ქვეყნის ღალატს?!**

სტალინს ადანაშაულებენ ტროკცისტების მიერ გამოგონილ ეგრეთ წოდებულ 37-ის „სტალინურ რეპრესიებში“.

თუმცა მას შემდეგ, რაც არქივები გაიხსნა, კაცობრიობისთვის ცნობილი გახდა, რომ **რეპრესიები, რომლებიც ლენინმა და ტროცკიმ 1917 წელს წამოიწყეს, სწორედ სტალინმა აღკვეთა 37-ში.** ამ საკითხზე ათობით და ასობით წიგნი დაიწერა, ჩვენ მხოლოდ ერთის ციტირებას მოვახდენთ:

„Сталин явление вызревал из ситуации, она его выносила, как мать вынашивает свой плод, вскормила молоком ненависти к ворюгам, лицемерам, губителя отечества и дала стране крутого вождя не знавщего пощады.

...Основной принцип Ленина, Троцкого и всей команды - террор. Коба не отступил от него. Но Сталин направил острие топора против самих зачинщикон этого террора (!!!) (Михаил Полторании)“.

ამას წერს ყოფილი რადიკალი ანტისტალინელი.

„სტალინურ რეპრესიებს“, რომელსაც, ციხის დამსმენის ცერეუს აგენტის — სოლჟენიცინის, რუსი ებრაელი დისიდენტის — კირიაკინისა და სხვათა მტკიცებით, თითქოს 40-70-110 მილიონი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა, სინამდვილეში, ათასჯერ დაგვიწერია და მილიონჯერ გვითქვამს, რომ ეს უსაზიზღრესი ცილისწამება და ჭორია, ნაძირალა ხრუშჩოვისა და მისი ანტისტალინელი თანამოაზრეების მიერ გავრცელებული.

სიმართლეს კი ამ საკითხზე ასახავს საკავშირო პრესაში მრავალგზის გამოქვეყნებული, ხრუშჩოვის სახელზე 1954 წლის 1 თებერვალს დაწერილი მოხსენებითი ბარათი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი რუდენკო, შინაგან საქმეთა მინისტრი კრუგლოვი, იუსტიციის მინისტრი გორშინინი. ამ ფრიად კომპეტენტურ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ **საბჭოთა კავშირში 1921 წლიდან 1954 წლის 1 თებერვლამდე კონტრრევოლუციური დანაშაულისთვის გასამართლებული იყო 3 მილიონ 777 ათას 300 ადამიანი. მათგან დახვრეტა მიესაჯა 642 ათას 980-ს, რომელთაგან, რა თქმა უნდა, ყველა არ დაუხვრეტიათ, ზოგს შეეცვალა სასჯელის ზომა.**

საქმე ისაა, რომ **1927 წლამდე, სანამ ტროცკი არ ჩამოაშორა ქვეყნის სადავეებს, სტალინს რეალური ხელისუფლება არ გააჩნდა. 1917-დან 1927 წლამდე სტალინს ხელი არ მიუწვდებოდა ძალოვან სტრუქტურებზე. ხალხს ხვრეტდნენ ლენინის, ტროცკის, ზინოვიევის, კამენევის, რიკოვის, ბუხარინის, ტუხაჩევსკის ბრძანებით.**

სავარაუდოდ, იმ 640 ათასი სიკვდილმისჯილიდან დაახლოებით 300 ათასი 1927 წლამდე დაიხვრიტა, სწორედ ეს დარჩენილი 300 ათასი კაცი ოცი წლის განმავლობაში დათარეშობდა მთელს საბჭოთა ტერიტორიაზე, ცილს სწამებდა პატიოსან ადამიანებს და სპობდა მათ; აწყობდა ტერორს, საბოტაჟს, ანადგურებდა მოსავალს, აფეთქებდა ელექტროსადგურებს, ქარხნებს, ფაბრიკებს და ა. შ.

ეს მავნებელთა ბანდა, დაახლოებით 300 ათასი კაცი, გაანადგურა 37-ში რევოლუციური რუსეთის კანონმდებლობამ და არა სტალინმა; 300 ათასი და არა 40-70-110 მილიონი, როგორც ამას „ამტკიცებთ“ თქვენ, გარეწარო ანტისტალინელებო!

რაც შეეხება სტალინს, პირადად, მის სინდისზე არაა არც ერთი წვეთი სისხლი პატიოსანი ადამიანისა და საერთოდ ადამიანისა. **„ლენინის მთავრობაში ყველაზე ლოიალური სტალინი იყო. იგი ყოველთვის ბრალდებულის მხარეზე იყო და უმეტეს შემთხვევაში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი გამოდიოდა“ (*ბენედიქტოვი,*** სტალინის მთავრობის სახალხო კომისარი).

ცნობილია, რომ სტალინის მიერ ძერჟინსკის მიმართ მიცემული რჩევა, როცა უკანასკნელს ვჩკ-ს თავმჯდომარედ ნიშნავდნენ: **„სჯობს 100 დამნაშავე გაამართლო, ვიდრე ერთი უდანაშაულო დასაჯო“ (!).**

ისიც ცნობილია, რომ **სტალინი წინააღმდეგი იყო მისი ბოროტი მტრების — ბუხარინისა და რიკოვის დახვრეტისა, რომლებმაც მას მრავალჯერ მოუწყვეს შეთქმულება მისი ფიზიკური განადგურების მიზნით.** მან აპელაცია შეიტანა ცკ-ს სპეცკომისიაში, შეეწყალებინათ ისინი და ქვეყნიდან გაეძევებინათ, თუმცა კომისიამ, გაითვალისწინა რა ბუხარინისა და რიკოვის მიერ ქვეყნის მიმართ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, შეტანილი აპელაცია არ დააკმაყოფილა.

ახლა განვიხილოთ კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი: **უგუნური ქართველი ანტისტალინელები ერთ ხმაში ბღავიან: „სტალინს საქართველოსთვის ცუდის მეტი არ გაუკეთებიაო“.**

თქვე უწიგნურო ნაძირლებო, კარგად წაიკითხეთ თქვენივე ქვეყნის ისტორია და დარწმუნდებით: **სტალინი რომ არა, საქართველო უკვე დიდი ხნის წინათ აღარ იქნებოდა მსოფლიო რუკაზე.**

**სტალინმა ფეოდალური რუსეთის ნანგრევებზე შექმნა დიადი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომლის სხვა, 15 სოციალისტურ რესპუბლიკასთან ერთად, სრულუფლებიანი წევრი საქართველოც გახდა** (სხვათა შორის ევროკავშირი საბჭოთა კავშირის მაგალითზე შეიქმნა 1949 წელს).

**მაშინდელი საქართველო ერთ მილიონამდე მოსახლესაც ვერ ითვლიდა და იყო ჩამორჩენილი კუსტარულ-აგრარული ღატაკი, გაუბედურებული ქვეყანა** (იხ. ჟან ფრანსუა გამბას „მოგზაურობა კავკასიაში“).

**სტალინმა ისტორიულად უმოკლეს დროში** (საგულისხმოა, რომ სტალინს მშვიდობიანი აღმშენებლობისთვის სულ რაღაც 7 წელი ჰქონდა — 1946-1952) **საქართველო გახდა მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანა, რომლის მოსახლეობა, ერთ სულზე წარმოებული და მოხმარებული საერთო ეროვნული პროდუქტის მიხედვით, მსოფლიო განვითარებული ქვეყნების ათეულში მოხვდა, უკვე 50-იანი წლების დასაწყისში, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გადანაწილებული ეროვნული სიმდიდრის მიხედვით, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა.**

სტალინმა დატოვა 5,5-მილიონიანი აყვავებული ქვეყანა. იქნებ მოგიბრუნდეთ ენა და თქვათ, რომ ეს ასე არ იყო?!

ან კიდევ: სტალინმა რა ხეირი მოუტანა საქართველოსო, როგორც ამას თქვენთან ერთად იმეორებდნენ ზოგიერთი მაღალი რანგის ისტორიკოსი ქალბატონები და ვაჟბატონები.

საქვეყნოდ ცნობილია, რომ **სტალინის ერთადერთი საზრუნავი იყო მშრომელი ადამიანის კეთილდღეობის მაქსიმალური უზრუნველყოფა.**

აი რას წერს სტალინი თავის უკანასკნელ გენიალურ ნაშრომში: „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში“: **„აუცილებელია, მივაღწიოთ ისეთ კულტურულ ზრდას, რომელიც საზოგადოების ყველა წევრისთვის უზრუნველყოფს მისი ფიზიკური და გონებრივი უნარის ყოველმხრივ განვითარებას, რათა საზოგადოების ყველა წევრს ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს განათლება, რომელიც საკმარისი იქნება, გახდეს საზოგადოებრივი განვითარების აქტიური მოღვაწე, რათა შესაძლებლობა ჰქონდეს თავისუფლად აირჩიოს პროფესია და მთელი ცხოვრების მანძილზე, არსებული შრომის განაწილების გამო, ერთ რომელიმე პროფესიას არ იყოს მიჯაჭვული.**

**რეფორმები გარდაუვალია, მაგრამ თავის დროზე და, ეს უნდა იყოს ორგანული რეფორმები, რომლებიც დაფუძნებული იქნება ტრადიციებზე მართლმადიდებლური თვითშეგნების თანდათანობითი აღდგენით. ძალიან მალე, ტერიტორიებისთვის ომებს შეცვლის „ცივი“ ომები რესურსებისა და ენერგიისთვის. მზად უნდა ვიყოთ ამისთვის. ენერგიის ახალ სახეობათა დაუფლება ჩვენი მეცნიერებისთვის პრიორიტეტული უნდა გახდეს. მათი წარმატება მომავალ-**

**სტალინი რომ არა, საქართველო უკვე დიდი ხნის წინათ აღარ იქნებოდა მსოფლიო რუკაზე**

**ლენინი, ტროცკი და პოლიტბიუროს სხვა წევრები მოითხოვდნენ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანებას, რათა შეეკოწიწებინათ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. სტალინი ჩვეული სიმტკიცით წინ აღუდგა ამ იდეის განხორციელებას, დაარწმუნა ლენინი, რომ ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთი არის სამაჩაბლო, ძველთაძველი ქართული მიწა და მისი გაიგივება ოსეთთან დაუშვებელია. ლენინი იძულებული იყო, წასულიყო კომპრომისზე — სამხრეთ ოსეთი დატოვა საქართველოს შემადგენლობაში, ოლონდ ავტონომიური ოლქის სტატუსით.**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ში ჩვენი დამოუკიდებლობის საწინდარია".**

ალბათ, დამეთანხმებით, რომ ზემოთ მოყვანილი ამონაწერი სტალინის ნაშრომიდან, რომელიც მან 1952 წლის შემოდგომაზე, სიკვდილამდე ნახევარი წლით ადრე, ლიკანში დაწერა, სამოქმედო პროგრამა უნდა გახდეს ყველა გონიერი სახელმწიფო მოღვაწისთვის.

**სტალინმა ქვეყანას მისცა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უფრო დემოკრატიული და ადამიანის კეთილდღეობაზე მორგებული კონსტიტუცია — უნიკალური უფლებების დამცველი შრომის კოდექსით და ასევე ჰუმანური, უდანაშაულო ადამიანის დამცველი სისხლის სამართლის კოდექსით.**

სტალინმა სამუდამოდ აღკვეთა უმუშევრობა, საქართველოს ისტორიაში პირველმა და უკანასკნელმა დააკანონა 7-საათიანი სამუშაო დღე და 5-დღიანი სამუშაო კვირა. იმ დროში კაპიტალისტური სამყაროს უმეტეს ქვეყნებში 12-საათიანი სამუშაო დღე დომინირებდა.

სტალინმა ხალხს მისცა უფასო სწავლა-განათლება, უფასო მკურნალობა, უფასო ბინა, უფასო დასვენება და მკურნალობა კომფორტულ სანატორიუმებში, სიმბოლური ფასები მედიკამენტებზე, პურზე და საერთოდ, სკვებ პროდუქტებზე, ფართო მოხმარების საქონელზე, ყოველდღიური მოხმარების საგნებზე, კომუნალურ მომსახურებაზე.

**სტალინმა უმოკლეს დროში არნახულ სიმაღლეზე აიყვანა ქართული მეცნიერება, განათლება, კულტურა, ხელოვნება, სპორტი, კინო, თეატრი.**

**სტალინმა 1941 წელს გაცხარებული ომის პირობებში დააარსა ქართული მეცნიერებათა აკადემია, თავისი ფრიად ეფექტური საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტებით.**

სტალინურმა ეპოქამ შვა და აღზარდა კოჰორტა უმსხვილესი, მსოფლიო აღიარების მეცნიერებისა, რომელთაგან 34 გახდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ხოლო 50 იმავე აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ეს იყო მეცნიერების ნამდვილი ტრიუმფი, რომლის მსგავსისთვის არ მიუღწევია არამც თუ საქართველოს მსგავს მცირერიცხოვან, არამედ მსოფლიოს ბევრ მრავალრიცხოვან ერებს.

სტალინურმა ეპოქამ აღზარდა მრავალრიცხოვანი არმია მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური კადრებისა, რომლებიც არამც თუ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც ხელმძღვანელობდნენ ურთულეს მშენებლობებს.

ისინი მოღვაწეობდნენ დედამიწის ყველა კონტინენტზე. ამ მხრივ მრავალთაგან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ქართველი ინჟინრების მიერ აღმართული უნიკალური ჰიდრო-ტექნიკური ნაგებობა — ასუანის კაშხალი ეგვიპტეში და უნივერსალური, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბჰილაის მეტალურგიული კომბინატი ინდოეთში.

**სტალინმა აგვიშენა ქალაქი რუსთავი თავისი უნიკალური მეტალურგიული კომბინატით; ქუთაისში აგვიშენა საავტომობილო ქარხანა და გადააქცა იგი ინდუსტრიის მშენებელ ქალაქად.**

**სტალინურმა ხუთწლედებმა საქართველოს აუშენა მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები: ზაჰესი, რიონჰესი, ხრამჰესი I, ხრამჰესი II, აწჰესი, სოხუმჰესი, ჩითახევჰესი, ლაჯანურჰესი და ბევრი შედარებით მცირე სიმძლავრის ჰესი.**

**სტალინმა საფუძველი ჩაუყარა მსოფლიოში ერთ-ერთი უმძლავრესი ენგურჰესის მშენებლობას, თავისი უნიკალური 271 მეტრი სიმაღლის თაღოვანი კაშხლით.** საგულისხმოა, რომ ენგურჰესის მიერ გამომუშავებული კილოვატი ენერგიის საპროექტო თვითღირებულებამ 0,1 კაპიკი შეადგინა, რამაც საქენერგოს ხელმძღვანელობას საფუძველი მისცა, 1988 წელს წინადადებით შესულიყო მთავრობაში მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის უფასოდ გადაცემაზე.

ენგურჰესის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ საქენერგოს მიერ გამომუშავებულმა ელექტროენერგიამ 16 მილიარდ კილოვატს მიაღწია. ტარიფი 2-4 კაპიკი გახდა. 1987 წელს საქართველომ მოიხმარა 20 მილიარდი კილოვატი და ერთ სულ მოსახლეზე გამომუშავებული და მოხმარებული ელექტროენერგიის მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზე გამოვიდა.

**სტალინმა დააშრო კოლხეთის ჭაობი და იგი ჩაის კულტურისა და ციტრუსების წალკოტად აქცია.**

**მალარიის მძიმე სენისგან განკურნა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა. სტალინმა ქართველ ქალს აჩუქა ჩაის საკრეფი მანქანა და იგი იხსნა მონური შრომისგან.**

**სტალინმა მოგვცა თბილისის ზღვა, იორისა და ალაზნის სარწყავი სისტემებით, რითაც გააათკეცა გვალვისგან გადამწვარი სავარგულების მოსავლიანობა.**

**სტალინმა თბილისს აჩუქა უნიკალური მეტროპოლიტენი, მე-3 საბჭოთა კავშირში და 33-ე მსოფლიოში.**

ალბათ, უინტერესო არ იქნება მკითხველისთვის, იცოდეს თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის ისტორია.

1950 წლის დასაწყისში სტალინი თავისთან იწვევს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან კანდიდ ჩარკვიანს და ეკითხება: „თბილისში არ გინდათ მეტროპოლიტენი?!

ჩარკვიანი: „ბარე, რო გვინდა, მაგრამ ნახევარმილიონიან ქალაქს ვინ დაგვიფინანსებს ასეთ ძვირადღირებულ ობიექტს?!"

„შენ დასვი საკითხი პოლიტბიუროზე, — ეუბნება სტალინი. — მეტროპოლიტენი არ არის მხოლოდ სატრანსპორტო საშუალება, იგი ომის შემთხვევაში თავდაცვის შეუცვლელი საშუალებაა".

1951 წელს დაიწყო თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობა.

ალბათ, მკითხველი იკითხავს, **რატომ დაუშვა სტალინმა გამონაკლისი ნახევარმილიონიან თბილისში მეტროპოლიტენის აშენებასთან დაკავშირებით, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირში ათობით იყო მილიონიანი ქალაქი?**

საქმე ისაა, რომ **პენტაგონმა, ტრუმენის დავალებით, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, „ცივი ომის" პირობებში, შეიმუშავა საბჭოეთის 20 ქალაქზე ატომური თავდასხმის სტრატეგიული გეგმა. მიზანში ამოღებული 20 ქალაქიდან ერთ-ერთი თბილისი იყო.**

აი, თურმე რატომ დაუშვა სტალინმა ასეთი უპრეცედენტო გამონაკლისი!!! **სტალინი, საქართველოს გულანთებული პატრიოტი და ქართლის ბედზე დაფიქრებული ადამიანი, არ დაუშვებდა, რომ ატომური თავდასხმის შემთხვევაში მის მშობლიურ ქალაქს ხიროსიმისა და ნაგასაკის ბედი გაეზიარებინა.**

**სტალინმა მსოფლიოს დაუბრუნა შოთა რუსთაველი, საქართველოს — ილია და ვაჟა, აგრეთვე, დიდი ივანე ჯავახიშვილი.**

**სტალინმა გადაარჩინა მართლმადიდებელი ეკლესია, ქართულ ეკლესიას აღუდგინა ავტოკეფალია. სტალინმა გადაარჩინა და საქართველოს დაუბრუნა მენშევიკური მთავრობის მიერ საფრანგეთში გატაცებული ქვეყნის ხაზინის ფასდაუდებელი ოქროს ფონდი.**

**სტალინმა სოჭი გააჩუქაო, ბუზღუნებენ ქართველი „მეცნიერები". უბედურებმა ისიც არ იციან, რომ სოჭი არასდროს ყოფილა საქართველოსი** და, თუ შენი არ არის, როგორ გააჩუქებ. ანტისტალინელო ქართველო მეცნიერ-ისტორიკოსებო, სირცხვილია, ეს რომ არ იცით: მე-19 საუკუნის 60-იან წლებამდე ის ტერიტორია, სადაც ახლა სოჭია გაშენებული, უკაცრიელი იყო და ოსმალეთს ეკუთვნოდა.

**რუსეთმა თურქეთს წაართვა რა ეს ტერიტორია 1864 წელს, იქ დააარსა სასაზღვრო პუნქტი სახელად პოსტდახოვსკი. იგი 1896 წელს გახდა ქალაქი, რომელსაც ეწოდა სოჭი.** ერთ-ერთ სუფრასთან ერთმა პროფესორმა ეს საკითხი წამოჭრა, სტალინმა სოჭი რუსებს აჩუქაო(?). როდის იყო სოჭი საქართველოსი-მეთქი. რა ვიცი, ყველა ასე ამბობს და მეც ასე მეგონაო (პროფესორი!!!).

**სტალინს არაფერი გაუჩუქებია, პირიქით (!) — 1931 წელს მან აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შემოუერთა საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით. სტალინმა ომის დამთავრებისთანავე ქლუხორის მხარე შემოუერთა საქართველოს, ასობით სოფლით, დაბითა და ასათასობით კვადრატული კილომეტრი ტერიტორიით.**

...და, რომ ამერიკას 1945-ში ატომური ბომბი არ აეფეთქებინა, სტალინი მზად იყო, თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიები დაებრუნებინა. 1949 წელს, როცა საბჭოეთმა ატომი მოიპოვა, სტალინი ისევ დაუბრუნდა ამ საკითხს, მაგრამ მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა ჩაშალა ეს საქმე.

ახლა — რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს (ამასაც სტალინს აბრალებენ).

საქართველოს ერთ-ერთმა პატრიოტმა, საქ. კპ ცკ-ის პირველი მდივნის თანამდებობაზე მუშაობისას პოლიტბიუროს წითელ არქივში მოიპოვა მასალა, რომელშიც ამოიკითხა (გადაწერა მკაცრად იკრძალება) შემდეგი: 1922 წელს პოლიტბიუროს სხდომაზე იხილებოდა ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის სტატუსის საკითხი.

**ლენინი, ტროცკი და პოლიტბიუროს სხვა წევრები მოითხოვდნენ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანებას, რათა შეეკოწიწებინათ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. სტალინი ჩვეული სიმტკიცით წინ აღუდგა ამ იდეის განხორციელებას, დაარწმუნა ლენინი, რომ ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთი არის სამაჩაბლო, ძველთაძველი ქართული მიწა და მისი გაიგივება ოსეთთან დაუშვებელიაო. ლენინი იძულებული იყო, წასულიყო კომპრომისზე, სამხრეთ ოსეთი დატოვა საქართველოს შემადგენლობაში, ოლონდ ავტონომიური ოლქის სტატუსით.**

სტალინმა 1950 წელს შექმნა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, რაც იყო წინაპირობა ავტონომიების გაუქმებისა.



**სტალინი იყო გულანთებული პატრიოტი, საოცარი მამაკაცური ხიბლით შემოსილი, სამართლიანი, კეთილი, პატიოსანი ადამიანი. მას ანალოგი არ ჰყოლია მსოფლიოში თავისი რანგის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის**

**ასეთია სიმართლე სტალინზე. ის იყო გულანთებული პატრიოტი, საოცარი მამაკაცური ხიბლით შემოსილი, სამართლიანი, კეთილი, პატიოსანი ადამიანი. მას ანალოგი არ ჰყოლია მსოფლიოში თავისი რანგის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის (!).**

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვინც კარგად იცის საქართველოს მთელი ისტორია, ალბათ, დამეთანხმება, რომ **სტალინის ეპოქა იყო ოქროს ხანა ჩვენს სამშობლოში.**

მას შემდეგ, რაც ქვეყნის №1 მტრად შერაცხულმა, თავისივე დაწყებული ომის №1-მა დეზერტირმა, 2010 წელს გორში გენერალისიმუსის ძეგლი ქურდულად მოიპარა და სანაგვეზე მოისროლა, მისმა ბარბაროსმა სატრაპებმა მთელი საქართველოს მასშტაბით დაამხეს ბელადის ძეგლები, რითაც უმძიმესი დანაშაული ჩაიდინეს კაცობრიობის წინაშე და, რომ ეს მართლაც ასეა, ისიც ადასტურებს, რომ იმავე **2010 წელს და ასევე 2013 წელს ამერიკამ სტალინს ძეგლები დაუდგა. ასევე, ყოველწლიურად იდგმება ბელადის ძეგლები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.**

მას შემდეგ, რაც საქართველოში ახალი ხელისუფლება მოვიდა, საზოგადოებას იმედი გაუჩნდა, რომ ამ დანაშაულს მიეცემოდა ადეკვატური შეფასება, მითუმეტეს, რომ **ბატონი ბიძინა თავის წინასაარჩევნო კამპანიის დროს ამომრჩევლებს შეჰპირდა, რომ, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, სტალინის ძეგლს გორში, თავის ადგილას დააბრუნებდა.** თითქმის ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, დაპირება არ სრულდება. პირიქით, ახალმა ხელისუფლებამ „მწვანე" აუნთო „ნაცმოს" სვავებს ბელადის აღდგენილი ძეგლების შეურაცხყოფის საქმეში: ჯერ ალვანში, რამდენიმე დღის წინ თელავში მოსახლეობის მიერ აღდგენილი ბელადის ძეგლები საღებავებით გაწუწეს... და ამ ვანდალიზმის ფონზე, რამაც საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია, ხელისუფლება კითხვას სვამს — რატომ დაიდგა ამ ადგილებში ძეგლები? საინტერესოა, რომელი კანონი კრძალავს რომ მოსახლეობამ თავისი ხარჯით საყვარელ ბელადს ძეგლი დაუდგას?!

საინტერესოა, **რეიგანისა და ალიევის ძეგლები უნდა იდგეს თბილისში და სტალინის ძეგლის დადგმა დანაშაულია? ბუშებისა და კაჩინსკების სახელობის ქუჩები და პარკები აუცილებელია თბილისისთვის, თუნდაც პოლიტკოვსკაიას ქუჩა?!** სასაცილოა ყოველივე ეს, სატირალი რომ არ იყოს.

კიდევ უფრო მეტად შემაშფოთებელია ის, რომ ა.წ. 4 სექტემბერს ჟურნალისტის შეკითხვაზე, რომ **უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სტალინი წამოაჩინა, როგორც უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე და მორწმუნე მართლმადიდებელი,** ბატონმა ბიძინამ განაცხადა, რომ **სტალინის მოღვაწეობას უარყოფითად აფასებს (???)** საზოგადოება გეკითხებათ (და არა მარტო ქართული) — **რის საფუძველზე, რა მტკიცებულებები გაქვთ ამისთვის?**

**კიდევ ერთი კითხვა აქვს საზოგადოებას — თქვენ არჩევნებამდე ერთ-ერთ პუბლიკასთან საუბრისას სტალინი სააკაშვილს შეადარეთ, სიტყვასიტყვით „სააკაშვილი სტალინია?"** (ასეთი შეურაცხყოფა სტალინისთვის ნაძირალა ხრუშჩოვსაც კი არ მიუყენებია). **აუხსენით საზოგადოებას, რა ნიშნით აიგივებთ სტალინს სააკაშვილთან.**

მოვითხოვთ, შეწყდეს სტალინის სახელისა და ღირსების შემლახავი აღვირახსნილი, ამორალური კამპანია.

აღსდგეს სტალინის ძეგლები ქვეყნის ყველა ქალაქსა და სოფელში; ამ ვანდალური ქმედებების ავტორები მიეცეს პასუხისგებაში, ძეგლები აღსდგეს მათი ხარჯებით.

**ორგანიზაციები:**

**პოლიტიკური ორგანიზაცია „საქართველოს მშრომელთა საბჭო"; საქართველოს სახალხო პატრიოტთა კავშირი; პოლიტიკური ორგანიზაცია „ნეიტრალური საქართველო"; რუსეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოება; საქართველოს ოფიცერთა კავშირი; სტალინის მემკვიდრეობის შემსწავლელი ორგანიზაცია; საქართველოს კომპარტია; საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფკავშირი; საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი; პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი საქართველო"; პოლიტიკური გაერთიანება „ქართველთა და ოსთა კავშირი"; ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების უფლებების დაცვის კავშირი „იმედი" და სხვ.**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს და ქართველი ხალხის ყველაზე ახლობელი მფარველი და მეგობარი — რუსეთი გავცვალეთ იმ მტაცებლებზე, საქართველოს ჩამოჭმული ნაჭრები დღესაც კბილებში რომ გასჩრიათ და ახლის ჩამოსაჭმელად ემზადებიან. აფხაზებმა და ოსებმა კი რუსეთთან კეთილი განწყობით თავი დააღწიეს ნატოს და ევროატლანტიკური ილუზიონისტების დაბეჩავების ბანგს, ასე რომ დააქციეს და დააჩაჩანაკეს ნაფერები საქართველო.**



# საქართველო გამთლიანებას და აღორძინებას ნამდვილ მეგობართან ერთად იზეიმებს

**რა ვილონოთ, როგორ დავედდოთ მალამოდ უგნურთა, კარიერისტთა, მომხვეჭელთა და ეგოისტური ცოდვებით დამძიმებულთა მიერ დაჭრილ ერს?!**
**დაიქცა და ისტორიის ფურცლებს მიეკედლა სოციალისტური ცხოვრება, რომელიც შევარდნაძემ ისე მოწამლა და დაამახინჯა, რომ ბოსტნის საფრთხობელას დაამსგავსა. ეს კაცობრიობის მომავლის თანასწორობის და ბედნიერი ცხოვრების იმედი.**

ხალხების ერთ ძმურ ოჯახში შეხმატკბილებულად, ურთიერთპატივისცემით, ძმობითა და მეგობრობით ცხოვრება სამაგალითო იყო. უზარმაზარი ქვეყანა ყველა ერისთვის ერთ სამშობლოდ ითვლებოდა. არ არსებობდა ეროვნული შუღლი, დამცირება და მტრობა. რა მოხდა, რატომ აირია ქვეყანა? ვინ დაშალა საბჭოთა კავშირი? გაზულუქებულმა კომუნისტურმა „ვერხუშკამ“, საფუძვლიანად რომ დასვარეს და დაამახინჯეს სოციალური თანასწორობის ხალხებს შორის ძმობისა და ურთიერთპატივისცემის იდეები. ეს რატომ ჩაიდინეს? განუსაზღვრელი ძალაუფლებით განებივრებულებმა სოციალიზმის, ხალხის სასიკეთოდ მოქმედი კანონების უხეში და უთავო გადაკეთებით ცხოვრებას მიზანი და ეფექტურობა დაუკარგეს. ქვეყანაში რწმენისა და დისციპლინის მოშლამ, რომელსაც თან ახლდა მაღალი თანამდებობის პირთა თავხედობა, მომხვეჭელობა, კორუფცია და ძალადობა, კრიზისული სიტუაცია შექმნა. **სოციალიზმის სიკეთე: უფასო მკურნალობა, უფასო სწავლა, უფასო ბინა, დასვენება, გარანტირებული სამსახური და ბევრი სხვა მრავალი წვრილმანი კეთილდღეობა ხალხს უცვლელი ეგონა და ამის ფონზე, დანარჩენი ნაკლოვანების აღმოფხვრის მიზნით, საბჭოთა კავშირს შეუტია.**

აქ იჩინა თავი დემოკრატიის ნილბით შემოსილმა სეპარატიზმის, სიძულვილის და ყოველივე სასიკეთოს მოსპობის უცხოეთიდან ჩამოთესლებულმა უბედურებამ, რომელმაც ესოდენ მოწამლა აქამდე სიკეთით, სიყვარულით ნაფერები კაცთმოყვარების ნერგი.

ამ საშინელმა პარაზიტმა მსუყე ნიადაგი საქართველოში ნახა, რამეთუ **საბჭოთა კავშირის პერიოდში ყველაზე ხელშეწყობილი, დაფასებული და წარმატებული საქართველო იყო.** ქართული ჩაის წარმოება რომ განვითარებულიყო, ქართული ჩაით უხვად მარაგდებოდა საბჭოთა კავშირი; ასევე იყო ღვინო და ციტრუსები. საქართველოს მძლავრი მრეწველობა რუსეთიდან მარაგდებოდა ნედლეულით და ნახევარფაბრიკატებით. განათლება, კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, უამრავი კვლევითი ინსტიტუტები რუსეთის ხელშეწყობით შეუფერხებლად ფუნქციონირებდა. **საქართველოს რესპუბლიკა ბრწყინავდა ამ კავშირში, საკუთარი ფლოტი ჰყავდა და მსოფლიო ოკეანეში დაცურავდა.**

ორი საუკუნის განმავლობაში რუსეთის დახმარებით და უშუალო მონაწილეობით ფერფლიდან ფენიქსივით აღმდგარი საქართველო გამთლიანდა. ქართველი ერი მსოფლიო ხალხთა შორის თავისი მიღწევებით შესამჩნევი გახდა.

საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მეგობრობა მტერს თვალებს უბამდა. მათ შორის **რუს-ქართველთა შორის განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება სამაგალითო იყო.**

ჯერ კიდევ მონარქიულ რუსეთში ქართველებს ისეთივე უფლებები ჰქონდათ, როგორც რუსებს; საბჭოთა კავშირის პერიოდში ხომ გაცილებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ. რუსი ტურისტები საქართველოდან ამანათებით აგზავნიდნენ კვების პროდუქტებს: კონსერვებს, ძეხვს, თევზეულს, რომელთაც ქართველები „არ კადრულობდნენ“.

მეცხოველეობის პროდუქტებს რუსეთიდან დოტაციით ვლებულობდით და ნაკლოვანება არ გვიგვრძნია, თუ არა შევარდნაძის კარიერისტული ტრაბახი, საქართველო თვითონ უზრუნველყოფსო საკუთარ თავს.

**ჩვენი ჩაი, ციტრუსები, ყურძენი გვეყოფა! — ღრიალებდა ბრბოდქცეული უგნურობა და ავიწყდებოდა, რომ ეს ყველაფერი რუსეთის ხელშეწყობით იყო ასე წარმატებული. მოისპო ჩაი, გავერანდა ვენახები; ბორჯომის დალევა ენატრება დღევანდელ გაჭირვებულ ქართველს.**

იმ რუსეთის მტრობით აიკლეს ქვეყანა, რომელიც არც ერთ რესპუბლიკას აღარ აკავებდა კავშირში, რამეთუ მისი დაშლის ორგანიზატორი თვითონ იყო.

სიცხიანი ტვინის პოლიტიკა უფრო შორს წავიდა და რუსეთიდან გამოგზავნილი აუარებელ სამრეწველო საწარმოთა ნედლეული რკინიგზაზე აღარ გამოატარეს რუსეთის დასუსტების მიზნით. ამ სასაცილო უგნურებამ დამბლა დასცა საქართველოს მრეწველობას. ანტირუსული ფსიქოზი დაეპატრონა დამოუკიდებლობის ილუზიას.

**საქართველოს და ქართველი ხალხის ყველაზე ახლობელი მფარველი და მეგობარი — რუსეთი გავცვალეთ იმ მტაცებლებზე, საქართველოს ჩამოჭმული ნაჭრები დღესაც კბილებში რომ გასჩრიათ და ახლის ჩამოსაჭმელად ემზადებიან. აფხაზებმა და ოსებმა კი რუსეთთან კეთილი განწყობით თავი დააღწიეს ნატოს და ევროატლანტიკური ილუზიონისტების დაბეჩავების ბანგს, ასე რომ დააქციეს და დააჩაჩანაკეს ნაფერები საქართველო.**

მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი ქვეყანა, რომელსაც ასე სამარცხვინოდ, თავისი ხალხის ნების წინააღმდეგ, ავღანეთის ავანტიურაში ღრმად ჩაეყვინთოს.

სავალალო და გულსატკენია, სოკოსავით მომრავლებული ვითომ პოლიტიკოსები უტიფრად და უსირცხვილოდ რომ სთავაზობენ ქართველი ხალხის ბედ-იღბალს უცხოელ დამფინანსებლებს იმპერიული ამბიციების შესანელებლად.

**პრეზიდენტად წოდებული ამერიკელთა ცრუპენტელა ძაღლიშვილი თავის სკამზე ისტერიულ ჩაბღაუჭებას, ღალატის და დასმენის ერთხელ არჩეულ საქმიანობას ასე აშკარად და ბრიყვულად აგრძელებს**

ამ ქარაფშუტა პოლიტიკოსებს მომგებიან ბიზნესად სამშობლოსა და ხალხის ინტერესებით ვაჭრობა რომ უქცევიათ, ნუ დაავიწყდებათ, სიმართლის მოკავშირე დრო მათ მყრალ სანაგვეზე მიუჩენს ბოლო ნავსაყუდელს, მაგრამ რა ეშველება მუხთლობით დაკნინებულ და დასუსტებულ ქვეყანას?!

ამიტომ არის საჭირო ერთ მუშტად შეკრული ხალხის თავდადებული ბრძოლა პარაზიტების შესაფერის ადგილზე მოსაჯდომად.

დღევანდელ ორხელისუფლებიანობაში გაკვირვებულები შევყურებ უცხოეთის ლაქია პოლიტიკოსთა და არასამთავრობო გრანტიყლაპიათა როკვას მათი დამფინანსებლების საამებლად, რაც ძლიერ აფერხებს ქვეყანას და ხალხის სასიკეთოდ გასატარებელ ღონისძიებებს, მაშინ, როდესაც **პრეზიდენტად წოდებული ამერიკელთა ცრუპენტელა ძაღლიშვილი თავის სკამზე ისტერიულ ჩაბღაუჭებას, ღალატის და დასმენის ერთხელ არჩეულ საქმიანობას ასე აშკარად და ბრიყვულად აგრძელებს.**

ამ ქვეყნის დამაქცევრისა და მისი ხროვის მიმართ კოაბიტაცია თუ შემწყნარებლობა ხალხის გაწბილების ტოლფასია, რაც ხელისუფლების სასიკეთოდ არ მეტყველებს. ეს კარგად იციან „ნაციონალთა“ უცხოელმა მწვრთნელებმა, ამიტომ ასე თავხედურად იცავენ ქვეყნის მოღალატეთა ნილაბშემოხეულ კრიმინალებს და ხელისუფლებას მათი დამსახურებისამებრ დასჯის საშუალებას არ აძლევენ. ავიწყდებათ, რომ გაწბილებული და აღშფოთებული ხალხის სამსჯავრო უფრო მკაცრი იქნება. მაშინ ამ ბოროტების ნაშიერთ ევროატლანტიკური წამქეზებლებისა და დასავლელი ცრუდემოკრატების ღავღავი ვეღარ იხსნის. ახლა კი საზარელი თავხედობის, უზნეობის, უსირცხვილობის, უტიფრობის, სიცრუისა და ცილისწამების სიმყრალეს აფრქვევს წელმოწყვეტილი პარაზიტი მისი სათანადო ადგილას მოყუჩების მოლოდინში მოთმინების ზღვართან მისულ ხალხს.

**როგორ არ უნდა გაგელიმოს დამცინავად „ნაციონალების“ პრეზიდენტობის კანდიდატ ბაქრაძის მოთხოვნაზე უმრავლესობისთვის ეკონომიკის საკითხებზე კონსულტაციის თუ რჩევის მისაცემად.** სამასი მილიონი დახარჯეს ახალი პარლამენტის მშენებლობაზე და დამთავრებას კიდევ მრავალი მილიონი სჭირდება; ამას ემატება პარლამენტის ქუთაისში შენახვის გაზრდილი ხარჯები. ამ ღალატთან წილნაყარ უზარმაზარ საბიუჯეტო თანხებს რომ ანიავებდნენ, რატომ არ ჩაუტარა კონსულტაცია ფსიქიატრის პაციენტ პრეზიდენტს?!

ახლა პრეზიდენტობა რომ მოუნდა და ხალხს ▶

**საბჭოთა კავშირის პერიოდში ყველაზე ხელშეწყობილი, დაფასებული და წარმატებული საქართველო იყო... საქართველოს რესპუბლიკა ბრწყინავდა ამ კავშირში, საკუთარი ფლოტი ჰყავდა და მსოფლიო ოკეანეში დაცურავდა. ამერიკელებმა რომელ ქვეყანას დააყარეს სიკეთე?! სადაც მისწვდნენ, უბედურება, გაჭირვება და ძალადობა აბარტყეს. რომელ პატარა ქვეყანაში ააყვავეს განათლება, მეცნიერება, კულტურა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა?**

## ვანო მერაბიშვილს იშვიათი ტიპის დაავადება აქვს

**ჯოენის კლინიკის ექიმ გრიგოლ ხურციძის განცხადებით, ვანო მერაბიშვილს დამატებითი კვლევების ჩატარება სჭირდება.**

მისი თქმით, ვანი მერაბიშვილს დამატებით სჭირდება მაგნიტორეზონანსული გამოკვლების ჩატარება ხერხემლის გამოსაკვლევად, რადგან მას აღენიშნება კისრის არეში ტკივილი და პაციენტს ბავშობიდანვე აწუხებს სქოლიოზი. ხურციძის ინფორმაციით, წონის კლების გამო აუცილებელია კომპიტერული ტომოგრაფიის გაკეთება მუცლის ღრუს არეში და დამატებითი ტესტი.

ჯოენის კლინიკის ექიმის თქმით, მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და ამ ეტაპზე, ის სტაციონარში გადაყვანას არ საჭიროებს. თუმცა ექიმმა დასძინა, რომ მას რომ ასეთი პაციენტი ჰყავდეს, მის გამოკვლევებს არაუგვიანეს ერთი- ორი კვირის ფარგლებში დაამთავრებდა.

ამასთან, ხურციძემ დასძინა, რომ წონის მასშტაბური კლება, სამი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. კერძოდ, ქრონიკული ინფექციებით, მაგალითად ტუბერკულოზით, ასევე სიმსივნური დაავადებებით, ან კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგიით.

ექიმებმა პაციენტი ადგილზე გასინჯეს და შედგა კონსილიუმი. პატიმარს აღმოაჩნდა იშვიათი ტიპის არითმია, ხერხემლის პრობლემა.

როგორც ვანო მერაბიშვილის ახლობლები აცხადებდნენ, ყოფილმა პრემიერმა 22 კილოგრამი დაიკლო.

**არავითარი რუსეთ-საქართველოს ომი არ ყოფილა, ეს იყო „ნაციონალების“ და მათი წამქეზებლების ძალისხმევა საქართველოს გამთლიანების და რუსეთთან მეგობრობის აღდგენის წინააღმდეგ. ყველა დაღუპული ვაჟკაცის სისხლი „ნაციონალთა“ და მათი სამარცხვინო პრეზიდენტის კისერზეა და ვერავითარი კოაბიტაციის ჯადო ვერ იხსნის მათ ამ პასუხისმგებლობისგან.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## საქართველოში დიდხანს გაგრძელდა ამერიკელთა ძაღლიშვილების პარპაში, რის შედეგადაც ქართველი ხალხის არსებობაში უბედურება ახრჩობს ბედნიერებას და უამრავ პარაზიტს ამრავლებს

ახალი ნიღბით ხვდება, რა გააკეთა ხალხისთვის?! სახელმწიფო ბიუჯეტი თავისი ბაბუის ყულაბა ეგონათ, ისეთ ხელფასებს და პრემიებს იკანონებდნენ, ყველაზე მდიდარ სახელმწიფოებს უკვირთ. **თუ პარლამენტში რამდენიმე თვე იპარლამენტარეს, სიკვდილამდე ისეთი პენსიები დაინიშნეს, ხელის განძრევა აღარ სჭირდებათ, მაშინ, როდესაც მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი, კეთილშობილი მამულიშვილები შიმშილთან ბრძოლას აგებენ.** რომელ ღრმა ჭაში ჩაუვარდა თავისი ეკონომიკური ცოდნა, როცა მათი პრეზიდენტი ერთ ლარად ანიავებდა ხალხის კუთვნილ ობიექტებს და ქუჩაში ერეკებოდა მათ მიერ ლტოლვილად ქცეულ, ამ შენობების ნამდვილ პატრონ ხალხს. რომელ ქურდს და ყაჩაღს შეუძლია, ასეთი უზარმაზარი ზარალი მიაყენოს ქვეყანას?!

მთელი საქართველოს ქონება გაანიავეს და სტომაქში ჩაიდეს, ერთი შემთხვევა გვითხრას პრეზიდენტობის „ნაციონალმა“ კანდიდატმა.

ისეთი რა უსირცხვილობის და ბრიყვობის ვაქცინა შეუშხაპუნეს ამერიკელმა მფარველებმა, რომ ამხელა ცოდვებით დამძიმებული არსება ხალხის წინაშე უტიფრად გამოდის და პრეზიდენტობას ითხოვს.

## «ქართულ ოცნებაში» მრავლად შეღწეული ამერიკელთა მეხუთე კოლონა ბიძინა ივანიშვილს სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის ქვეყნის სასიკეთოდ გაბრძოლებაში

**ამერიკელებმა რომელ ქვეყანას დააყარეს სიკეთე?! სადაც მისწვდნენ, უბედურება, გაჭირვება და ძალადობა აბარტყეს. რომელ პატარა ქვეყანაში ააყვავეს განათლება, მეცნიერება, კულტურა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა?**

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს მცირე ერის ისეთი გენოციდი, როგორიც მათ ინდიელებს მოუწყეს. თითქმის უკვე დამარცხებულ იაპონიაში ატომური ბომბით ისე ამობუგეს იაპონელები, რომ ამ საშინელების მომსწრე სატანასაც კი სირცხვილით ბალანი გასცვივდა. **გუშინ და გუშინწინ მონათმფლობელობას ებლაუქებოდნენ და შავკანიანებზე ძაღლებით ნადირობდნენ. იმის მაგიერ, რომ ამ საზარელი ცოდვების მოსანანიებლად დღედაღამ უფალს ჩოქვით ევედრებოდნენ, დემოკრატიის ნიღბით პედერასტების, ბინძური გარყვნილების, უზნეობისა და ძალადობის დაკანონებით ცდილობენ, კაცობრიობა ავგიას ბოსლებში შერეკონ.**

## ცხინვალის სამარცხვინო ავანტიურას რუსეთ-საქართველოს ომად ასაღებენ. არადა, «ნაციონალთა» თავქარქაშა მიშა და მისი ნახირი ვერსად წაუვა ამ საზარელი ღალატისთვის მკაცრ სასჯელს

ვერავითარი ანტიამერიკული აგიტაცია-პროპაგანდა მათ ნამდვილ სახეს ისე ვერ გამოაჩენდა, როგორც თვითონ ჩამოიხიეს ნიღაბი და მტაცებლის სიფათით, ნატოს კბილდაღრჭენილი ღრენით, სატელიტი სახელმწიფოების მარიონეტი ხელისუფლების ღავლავით ატერორებენ მსოფლიოს. **საქართველოში დიდხანს გაგრძელდა ამერიკელთა ძაღლიშვილების პარპაში, რის შედეგადაც ქართველი ხალხის არსებობაში უბედურება ახრჩობს ბედნიერებას და უამრავ პარაზიტს ამრავლებს.**

ცხრა აპრილის ტრაგედიის გამო ჯუმბერ პატიაშვილი გადადგა, მიუხედავად იმისა, რომ მას არაფერი ეკითხებოდა და ვერც შეძლებდა ტრაგედიის თავიდან აცილებას.

შევარდნაძემ სამეგრელოში ისეთი საზარელი დარბევები მოაწყო, თემურ ლენგს განაცვიფრებდა. აფხაზეთის ავანტიურის ავტორს დიდ პოლიტიკოსად მოჰქონდა თავი და მაინც ვერ ელეოდა იუდას საბრძანებლად ქცეულ პოსტს.

ცრუპენტელა მიშა ხომ პირდაპირ მიგნებაა ამერიკელთა ძაღლიშვილების გამოსაჩეკ ინკუბატორის მრავალწლიან მოღვაწეობაში. გაწვრთნეს რეზიდენტად და წამოგვიჯდა პრეზიდენტად. ირბინა, იქაქანა, საქართველოს დაკნინება, ტერიტორიების განიავებაში წინამორბედს გაასწრო. ერთი მსახიობის სპექტაკლი მთავრობის სხდომები ხან მშენებარე ობიექტის სახურავზე, ხან მინდორში თუ ტბაზე მოგვალანდა; ენაგადმოგდებული ირბინა და არბენინა თანამზრახველები, რომელთაგან ერთს არ აღმოაჩნდა უნარი, რომ დაუყვირა, რას შვრებით, რამ გადაგრიათო. ნამდვილად გადაირივნენ. **ცხინვალის სამარცხვინო ავანტიურას რუსეთ-საქართველოს ომად ასაღებენ. არადა, „ნაციონალთა“ თავქარქაშა მიშა და მისი ნახირი ვერსად წაუვა ამ საზარელი ღალატისთვის მკაცრ სასჯელს.**

**არავითარი რუსეთ-საქართველოს ომი არ ყოფილა, ეს იყო „ნაციონალების“ და მათი წამქეზებლების ძალისხმევა საქართველოს გამთლიანების და რუსეთთან მეგობრობის აღდგენის წინააღმდეგ. ყველა დაღუპული ვაჟკაცის სისხლი „ნაციონალთა“ და მათი სამარცხვინო პრეზიდენტის კისერზეა და ვერავითარი კოაბიტაციის ჯადო ვერ იხსნის მათ ამ პასუხისმგებლობისგან.** რაც მიშამ ჩაიდინა, ნამუსის და თავმოყვარეობის ნატამალი რომ გააჩნდეს, აქამდე უნდა გადამდგარიყო, ის კი მის გამრყვნელთა იმედით ისტერიულად ებღაუჭება მისგანვე შერცხვენილ პრეზიდენტობას, რომელიც საბრალდებლო დასკვნად ექცევა.

ხალხი მოთმინებით უცდის „ნაციონალთა“ ცოდვების სათანადოდ შეფასებას. იმასაც კარგად ხვდება, რომ **„ქართულ ოცნებაში“ მრავლად შეღწეული ამერიკელთა მეხუთე კოლონა ბიძინა ივანიშვილს სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის ქვეყნის სასიკეთოდ გაბრძოლებაში.** ისიც კარგად იცის, რომ **დღევანდელი პარლამენტი, მიუხედავად ხალხის გამარჯვებისა, „ნაციონალთა“ მიერ გაყალბების და ამერიკელთა მეხუთე კოლონის შეღწევით სერიოზულად არის დასვრილი.** ეს პარლამენტი დღევანდელ გაუსაძლის ყოფაში ხალხის კეთილდღეობისთვის მებრძოლი არ არის. ამიტომ საჭიროა ახალი საპარლამენტო არჩევნები. ნურავის ნუ ექნება ილუზია, რომ კანონების თუ კონსტიტუციის მოშველიებით ეს პარლამენტი ბოლომდე შეინარჩუნოს. დროზე უნდა მიიღონ გადაწყვეტილება მისი არჩევნების დანიშვნის შესახებ, სანამ ხალხი ისე არ აღშფოთებულა, რომ პარლამენტის არჩევნების დანიშვნა სახვენად არ გახდომიათ მის მოწინააღმდეგეებს.

## დღევანდელი პარლამენტი, მიუხედავად ხალხის გამარჯვებისა, «ნაციონალთა» მიერ გაყალბების და ამერიკელთა მეხუთე კოლონის შეღწევით სერიოზულად არის დასვრილი

**დრო კი ყველაფერს თავის ნამდვილ სახელს დაარქმევს. მადლობა უფალს! რომ რუს-ქართველთა ძმობის ღრმა ფესვებს უცხოეთის ლაქია პარაზიტების შხამი ვერაფერს აკლებს.** ქართველი ხალხი დემოკრატიის ჯადოს მაგიიდან თავს დაიხსნის; ყველა ცრუ სტრატეგიულ პარტნიორს და მეგობრებადგასაღებულ დამაქცევრებს შემოიფერთხავს; გამთლიანებას და აღორძინებას ნამდვილ მეგობართან ერთად იზეიმებს.

**გივი სომხიშვილი**



# არჩევნებს ხალხი მოიგებს

**სააკაშვილის მიერ განხორციელებულმა პრივატიზაციამ და „სამართალდამცავ“ ორგანოებში ჩატარებულმა მისეულმა რეფორმებმა მოშალა ქართული ზნეობა და სამართლებრივი სივრცე. დღეს საქართველოში სიკეთე გათითოკაცებულია, ხოლო ბოროტება ერთ პოლიტიკურ მუშტადაა შეკრული. დამკვიდრდა ცხოვრების ამერიკული წესი: თუ ხარ, მგელი უნდა იყო; თუ არა, სხვა მგელი შეგჭამს. ამ წესმა მოგვიტანა მჩაგვრელთა ფენა საზოგადოებაში!**

ჩვენი „დემოკრატიის შუქურა“ პრეზიდენტი კი თავისას აგრძელებს; ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლისას მსოფლიოს ამცნო, რომ საქართველოში არის კანონის უზენაესობა და აფრასიძეების ოჯახი მისი ბრძანებით ამოიხოცა! მისი მეუღლე, სანდრა, ამბობს: **„ჩემს მეუღლეს აქვს შესანიშნავი უნარი, რომ ხალხი დააშინოს, რასაც მივესალმები...“** რადგან ზურაბ ადეიშვილმა და ხათუნა კალმახელიძემ ციხე აქციეს ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკის ბურჯად, მიგვაჩნია, რომ მართლდება ამერიკელი დიპლომატების მიერ მიშას მთავრობის მონათვლა „ბოროტ ბავშვთა ბაღად“.

ჩვენ რით ვუპასუხეთ? სამწუხაროდ, ვიქეცით მონებად, სადღაა ჩვენი გენისა და ბუნების სიამაყე?! **„დღეს ცოდვისა და ეშმაკის ისეთი ბატონობაა, რომლის მსგავსიც არ ახსოვს კაცთა მოდგმას“,** — ბრძანებს ერის მოძღვარი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II და ამბობს, რომ **„ჩვენი ერთად დგომა ყველაზე დიდი მამულიშვილობაა“,** მაგრამ „საშოვარზე გადაგებული და გათითოკაცებული ერი“ ვეღარ უსმენს დიდ მოძღვარს.

ხალხთან შეხვედრებისას შეკითხვებზე (ზოგჯერ „შანტაჟზეც“ — 26 ივნისს გორში) გაწონასწორებულ, მშვიდ, გონიერ პასუხებში ჩანს, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი იქნება დიდად წარმატებული ადამიანი, კაცი, რომელსაც ამდენ ხანს ელოდა ქართველი ხალხი. მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსულ ასეთ ადამიანს პარლამენტარი წიკლაური უწოდებს „მდაბიოს“. ჩვენ მას და მისნაირებს ვეუბნებით: ძირს — „ნაცები“, მაღლა — ერის კაცები! ჩვენ მოვიგებთ საპრეზიდენტო არჩევნებს!

ჩვენი სასიქადულო მწერალი, ბატონი გურამ ფანჯიკიძე გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე დაწერილ მწერალთა ყრილობაზე წასაკითხ ანგარიშში წერდა: **„ამერიკელთა ეროვნული იდეაა „ღმერთი, დემოკრატია, კერძო საკუთრება“. იქნებ ჩვენც მოგვეფიქრებინა რაიმე, ასე მოკლედ და ლაკონურად რომ გამოხატავდეს ჩვენს ეროვნულ იდეოლოგიას“.** ამიტომაც ვფიქრობ, საქართველოს მომავალ პარლამენტსა და მთავრობაში უნდა გვყავდეს ის ადამიანები, რომლებიც სამართლებრივ სახელმწიფოს აგვაშენებინებს და მშრომელთა ინტერესებს დაიცავს. ასეთი სამართლებრივი საქართველოს სახელმწიფო იდეოლოგი იქნება წმინდა ილია მართალი, ხოლო ეროვნული იდეოლოგია სამშობლო, სამართლიანობა, სარწმუნოება.

**ბონდო კალანდაძე,**
გარდაბანი

კრიმინალი

## შსს-მ სხვადასხვა ტიპის უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის მრავალჯერ ნასამართლევი და პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1961 წელს დაბადებული დიმიტრი ჩ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დიმიტრი ჩ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას „ტეტეს“ სისტემის 2 პისტოლეტი, 4 მჭიდი, 15 ვაზნა, ასევე „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი 35 ვაზნით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 7 მჭიდი და 211 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშალს აღიარებს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით).



ჰაჰ, დრონი...

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**XVIII-XIX საუკუნეების გასაყარზე თურქეთი დაკნინებული იყო და აღორძინების გზებს ეძებდა. ოსმანთა იმპერიას რეფორმები სჭირდებოდა, რომელთა განხორციელება შეეძლო მსოფლიოსა და იმპერიაზე ახლებური შეხედულებების მქონე სულთანს. ასეთი რეფორმატორი სულთნის მოცემა, რომელიც დასავლეთზე იქნებოდა ორიენტირებული, შეეძლო მხოლოდ ჰარამხანას, და ემე, ევროპის წარმომადგენელი, ოსმანთა სახლს ახალ იმედად მოევლინა.**

# ჰარამხანების იდუმალი ცხოვრება


ჟოზეფინა მარი როზ ტაშერ დე ლა ვაჟერი


მარია მარტა ემე დიუბუკ დე რივერი


აბდულ-ჰამიდ I


მაჰმუდ II

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-32 (204-219)

**ემეს შვილმა მაჰმუდმა აღმოსავლეთის კულტურასთან ერთად შეისისხლხორცა დასავლური. იგი ოსმანთა ჭეშმარიტი შვილი იყო და ისტორიაში შევიდა, როგორც უდიდესი სულთანთა შორის. მან დაასრულა მისი წინამორბედის მიერ დაწყებული რეფორმები**

## უმშვენიერესი (მარია მარტა ემე დიუბუკ დე რივერი)

ოსმანთა სახლის მეორე ლეგენდის — ემე დე რივერის, ანუ ნახში-დილის ისტორია კიდევ უფრო დიდი საიდუმლოებითაა მოცული, სავსეა უცნაური მისტიკური დამთხვევებითა და ბედის უცნაური შემობრუნებით.

ემე დაიბადა კუნძულ მარტინიკაზე 1763 წელს მდიდარი აზნაურის ოჯახში, რომლის გვარი ნორმანელი რაინდებიდან იღებდა სათავეს. ამ შორეული წინაპრებისგან გამოჰყვა გოგონას ჩრდილოეთის სილამაზე და ძლიერი ნებისყოფა, ხოლო სამხრეთში მდებარე შესანიშნავი კუნძულის გავლენა სასიკეთოდ დაეტყო მის ხასიათს — სიცოცხლის მოყვარულსა და საქმიანს. იქვე, მარტინიკაზე ცხოვრობდა მისი მომხიბვლელი დეიდაშვილი ჟოზეფინა მარი როზ ტაშერ დე ლა ვაჟერი.

**ერთხელ, მსახურთა თანხლებით რომ სეირნობდნენ, გოგონები შევიდნენ ადგილობრივ მკითხავთან და სთხოვეს, ემარჩიელა, რა ბედი ეწერათ. წინასწარმეტყველებამ ნორჩი არისტოკრატები გაამხიარულა: ორივეს თავზე გვირგვინები დაინახა მკითხავმა. ემეს გვირგვინი აღმოსავლეთში ელოდა, ჟოზეფინა მარი როზს — დასავლეთში.**

ტრადიციისამებრ, განათლების მისაღებად ნორჩი ემე საფრანგეთში გააგზავნეს, ნანტის სამონასტრო სკოლაში. ნათესავები ერთმანეთს დაშორდნენ, რათა აღარასოდეს შეხვედროდნენ. **ჟოზეფინა მარი როზ გარკვეული დროის შემდეგ გახდება ჟოზეფინა საფრანგეთის იმპერატრიცა. ემეს კიდევ უფრო ფანტასტიკური ხვედრი ერგება.**

1784 წელს ემემ დაამთავრა სამონასტრო სკოლა და გემით მარტინიკისკენ გაემგზავრა. გზად გემი ჯერ ქარიშხალში მოჰყვა, შემდეგ მეკობრეები დაესხნენ თავს. ალჟირის დეიმ (მმართველმა), რომელსაც იგი მიჰგვარეს მეკობრეებმა, ვერ გაბედა, თავისთვის დაეტოვებინა ძვირფასი საჩუქარი. საქმე ის იყო, რომ მისმა პირველმა ცოლმა — ესპანელმა ფატიმამ ქმარს უთხრა, რომ ინფორმაციამ ლამაზმანის შესახებ მიაღწია დიდ სერალამდე და გაცილებით უმჯობესი და უსაფრთხო იქნებოდა, თუ სულთანს აჩუქებდა მარტინიკელ გოგოს — სულთანი დაუფასებდა დეის. ესპანელი ქალი მართალს ამბობდა, „შეკითხვა“ დიდი სერალიდან მართლაც ჩაიტანეს ალჟირში, თუმცა არც ისაა გამოსარიცხი, რომ პირველი ცოლი შესაძლო მეტოქის მოცილებას უწყობდა ხელს და აჩქარებდა მოვლენებს.

ასე იყო, თუ ისე, **მალე ემე, რომელსაც იანიჩარების ასეული იცავდა, „სიხარულის სახლში“ ჩაიყვანეს. ფრანგი გოგო უცხო სამყაროში აღმოჩნდა, რომლის წეს-ჩვეულებათა შესახებ მას შორეული წარმოდგენა ჰქონდა. თურქული, ცხადია, არ იცოდა. არავის იცნობდა, ესეც ცხადია და თავი მარტოსულად იგრძნო. ჰარამხანის ყოველდღიურობა მას, როგორც ყველა სხვას, ათქვეფდა და საკუთარ სახეს დააკარგვინებდა, მაგრამ მოულოდნელად აღმოუჩნდა ძლიერი მფარველი.** სწორედ მან მოითხოვა ემეს სტამბოლში გაგზავნა, თუმცა ამ გავლენიანი ქალბატონის ბრძანების მიზანი არ იყო ჰარამხანის ახალი, იშვიათი „ეგზემპლარით“ შევსება. საქმეში ჩაერთო დიდი პოლიტიკა და ნორჩი ფრანგი სწორედ მის იარაღად უნდა ქცეულიყო.

**სტამბოლში ემეს ჩასვლამდე თითქმის ოცი წლით ადრე ჰარამხანაში ჩაიყვანეს საუცხოო სილამაზის ქართველი გოგო, მოქნილი ტანითა და დიდი შავი თვალებით — მღვდლის შვილი. ემესავით ისიც მოტაცებული იყო, მაგრამ, ფრანგი გოგოს შემთხვევითი დატყვევებისგან განსხვავებით, იგი ჰარამხანის დაკვეთით იყო გატაცებული.**

ყაჩაღებს დავალებული ჰქონდათ, ეპოვათ ქალიშვილი, რომელიც მუსტაფა III-ის (1757-1773) ცოლობის ღირსი იქნებოდა. ასეთი კანდიდატის მონახვა მხოლოდ კავკასიაში შეიძლებოდა და მიხრი-შაჰმა (პირიმთვარისამ), როგორც მას შემდგომ უწოდეს, დამკვეთის იმედები სრულიად გაამართლა — იგი უჭკვიანესი იყო, რკინისებრი ამტანობის და გურჯისტანის მკვიდრი ქალებისთვის დამახასიათებელი დამოუკიდებელი ხასიათის მქონე. მაგრამ სწორედ მისი ეს თვისება, ხასიათის დამოუკიდებლობა, ჰარამხანაში მკაცრად ისჯებოდა, თუმცა პირიმთვარისას სიამაყემ, რომელიც ორგანულად იყო შერწყმული იშვიათ სილამაზესთან და სიყვარულის საოცარ ხელოვნებასთან, მოხიბლა მბრძანებელი: იგი მუსტაფას საყვარელი ცოლი გახდა, ტახტის მემკვიდრე სელიმიც გაუჩინა — მომავალი სულთანი — რეფორმატორი (1789-1808).

მიხრი-შაჰის გავლენა იმდენად დიდი იყო და მისი მდგომარეობა იმდენად მყარი, რომ ქმრის სიკვდილის შემდეგ ახალმა სულთანმა აბდულ-ჰამიდმა (1773-1789) იგი სასახლის კარზე დატოვა — ეს იყო გაუგონარი ფაქტი „სიხარულის სახლის“ ისტორიაში. აბდულ-ჰამიდი ახალგაზრდა არ იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტზე სელიმი უნდა ასულიყო, ხოლო მიხრი-შაჰი ვალიდე უნდა გამხდარიყო.

მაგრამ სელიმი უნაყოფო იყო, საჭირო გახდა ისეთი ქალის პოვნა, რომელიც შობდა ტახტის ისეთ მემკვიდრეს, რომელიც შეძლებდა დაკისრებული მიზნების შესრულებას. მიზნები კი ჭეშმარიტად უდიდესი იყო, მათ უნდა განესაზღვრა იმპერიის შემდგომი ბედი.

**XVIII-XIX საუკუნეების გასაყარზე თურქეთი დაკნინებული იყო და აღორძინების გზებს ეძებდა. ოსმანთა იმპერიას რეფორმები სჭირდებოდა, რომელთა განხორციელება შეეძლო მსოფლიოსა და იმპერიაზე ახლებური შეხედულებების მქონე სულთანს. ასეთი რეფორმატორი სულთნის მოცემა, რომელიც დასავლეთზე იქნებოდა ორიენტირებული, შეეძლო მხოლოდ ჰარამხანას, და ემე, ევროპის წარმომადგენელი, ოსმანთა სახლს ახალ იმედად მოევლინა.** მიხრი-შაჰსა და მის მომხრეებს დაუყოვნებლივ და უკიდურესად ფრთხილად უნდა ემოქმედათ. ტახტის მემკვიდრის პოზიციების გამაგრებამდე სელიმსა და მის ახალგაზრდა მეგობრებს, რომლებიც დაადგნენ რეფორმებისა და დასავლეთთან დაახლოების გზას, უნდა გაეხანგრძლივებინათ მმართველი სულთნის — აბდულ-ჰამიდის სიცოცხლე. სამოცი წელიწადი მმართველისთვის საკმაოდ ხანდაზმული წლოვანება იყო. აბდულ-ჰამიდი, ამასთან, სუსტი ჯანმრთელობის გახლდათ.

რეფორმატორთა მეორე ამოცანა იყო სულთნის დაცვა მისი პირველი ცოლის — **აიშეს** გავლენისგან. ეს ქალი, რომელსაც **შავ ქარვას** უწოდებდნენ, ქურთთა დიდებული და მებრძოლი კლანების გვარისა იყო, ხოლო მისი ვაჟი, პატარა **მუსტაფა,** ყველაფრის მომსწრე და მნახველ კარისკაცებსაც კი აოცებდა თავისი სისასტიკითა და დაუნდობლობით. დედას — აიშეს, შვილის ხასიათის ეს მხარე მომავალი მმართველისთვის აუცილებელ თვისებად მიაჩნდა: არ უკვირდა, რომ ბიჭი თავისი ხელით ახრჩობდა სასახლის კატებს, და უწონებდა კიდეც ამ საქციელს.

**აუცილებელი იყო მომავალი სულთნის ჩასახვა, ამისთვის კი ემეს უნდა მოეხიბლა აბდულ-ჰამიდი, რომელსაც მოყირჭებული ჰქონდა ჰარამხანის ლამაზმანების სიყვარული და ალერსი. მას სასწრაფოდ უნდა აეთვისებინა ჰარამხანის რთული მეცნიერება, რაც ემემ, დამპყრობელ რაინდთა მემკვიდრემ, ბრწყინვალედ შეძლო.**

**დეიდაშვილებს ბედმა გაუღიმათ. ჟოზეფინა, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის დროს, როგორც არისტოკრატი, ციხეში გამოამწყვდიეს, სასწაულებრივ გადაურჩა გილიოტინას. მრავალი წლის შემდეგ ემეც სასწაულებრივ გადაურჩა სიკვდილს მუსტაფას მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების ჟამს.**

მანამდე კი იგი, ჰარამხანის სიღრმეებში მომწყვდეული, ხანდაზმული სულთნის მოსახიბლად ეუფლებოდა სიყვარულის ურთულეს ხელოვნებას. სწავლების კურსი ითვალისწინებდა თურქული ენის დაუფლებას, სპარსულ პოეზიას, მუსიკას, ცეკვასა და მრავალ სხვას. ეს „სხვა“ ისეთი პიკანტური ხასიათისა იყო, რომ მიხრი-შაჰს სრულად უნდა მოეხმო მისთვის დამახასიათებელი ტაქტი და დიპლომატიური ნიჭი, მოქნილობა, მონასტრის ყოფილი აღსაზრდელისთვის რომ აეხსნა მის წინაშე მდგარი ამოცანები და მათი გადაჭრის გზები.

**ნორჩ ემეს მიუჩინეს ყველაზე გამოცდილი მასწავლებლები, რომელთა მეშვეობით უნდა დაეძლია ჰარამხანის მთავარი მეცნიერება — დახვეწილი ეროტიკული თამაშის ხელოვნება. ბოლოს და ბოლოს, როცა მიიჩნიეს, რომ იგი მზად იყო სულთნის მოსახიბლად, ისინი შეახვედრეს ერთმანეთს. საამისო დრო ექიმებისა და ასტროლოგების დახმარებით შეარჩიეს. და 1784 წლის დეკემბერში ჩაისახა მომავალი მაჰმუდ II.**

მბრძანებელთან გატარებული პირველი საღამო, რომელმაც სულთნის მამრის ძალის არნახული მოზღვავება გამოიწვია, იყო უმშვენიერესის გამარჯვების დღე. მან სრულად მოხიბლა აბდულ-შამიდი დახვეწილი გრაციით, შესანიშნავი მანერებით და მბრძანებლის გართობით მობეზრების გარეშე. ემე უკვე ლაპარაკობდა თურქულად, შეეძლო სპარსი პოეტების ნაწარმოებთა ციტირება, მღეროდა და უკრავდა გიტარაზე და ჰქონდა სიყვარულის საკუთარი „სტილი“. სულთანთან გატარებულმა ღამემ განამტკიცა მისი წარმატება.

**ამან კი გაიმარჯვა, მაგრამ ავხორცი აიშე დაუნდობელ მტრად მოიკიდა. შავმა ქარვამ ვერა და ვერ ახსნა, როგორ მოახერხა გარეგნულად ასეთმა ცივმა და აუღელვებელმა ევროპელმა აბდულ-ჰამიდის სიყვარულის მოპოვება. პასუხი მზად ჰქონდათ საჭურისებს, რომლებიც ჰარამხანის ყველა საიდუმლოს ფლობდნენ და საკმარისად დიდ საფასურად გაანდეს ეს საიდუმლო ევროპელ დიპლომატებს. ემეს განსაკუთრებული „სტილი“ მათ შექმნეს გაშმაგებული აიშეს მძლავრი შეტევის საპირისპიროდ, რომლისგანაც თანდათან ილლებოდა ხანშიშესული სულთანი. ემემ აითვისა ვნების აღძვრისა და მსუბუქი ვირტუოზულობით განცხრომის მინიჭების ხელოვნება. შესანიშნავად ფლობდა სურნელებათა საიდუმლო და მოუგერიებელ ძალას, მსუბუქი შეხებისა და ჩურ-**

## ჰარამხანისთვის ჭეშმარიტად „ეპოქალური“ გახდა თურქეთში საფრანგეთის იმპერატრიცას — ევგენიას ვიზიტი. ევროპის ყველაზე გემოვნებიანი ქალბატონის კაბებმა, რომლებიც შეკერილი იყო სახელგანთქმული მოდელიერის ვორტის მიერ, უაღრესად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა სულთნის ქალებზე და თურქ არისტოკრატ ქალბატონებზე, რომლებმაც მზეთუნახავი ევგენია მიბაძვის ნიმუშად გაიხადეს.

ვაჰ, დრონი...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ ჩრულის ზეგავლენის უნარს, მან დახვეწა „სასიყვარულო ოსტატობა“ თავისი (ან საჭურისების) გამოგონებით — განსაკუთრებულად თლილი ბადახშითა და ზურმუხტით მოოჭვილი მაჯისა და ფეხის სამაჯურებით ეროტიკული მასაჟირების.**

სიტუაცია უკიდურესად გამწვავდა მას შემდეგ, რაც გაცხადდა, რომ **„ჩრდილოეთის ვარსკვლავი“** (ემეს მეორე სახელი ჰარამხანაში) დაორსულდა. მიხრი-შაჰმა მისი დაცვა გააძლიერა. სიკვდილს მისთვის შეიძლებოდა მიესწრო სადილობის დროსაც და ზურგში დანის დარტყმითაც. სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად აჩუქეს მას სპეციალური ყელსაბამი — ბადახშის თვლებით შემკული „ჯავშანი“, რომელიც მას მკერდსა და ზურგს უფარავდა. უბრძანეს, ეტარებინა ყოველთვის. მომავალი დედის შიშს შვილისა და თავისი სიცოცხლის გამო ემატებოდა მიხრი-შაჰისა და სელიმის შფოთი და წუხილი. უმშვენიერესს გოგო რომ შესძენოდა, ყველა იმედი გაქრებოდა. მაგრამ **ქუდბედიანმა ემემ იმპერიას 1785 წლის ივლისში ბიჭი მოუვლინა და აბდულ-ხამიდის საყვარელი ცოლი გახდა.**

ხანდაზმული სულთანი 1789 წლის აპრილში გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა სელიმი, რომელმაც თავისი ნათესავი ბიჭი შვილივით შეიყვარა. ახალი სულთანი აშკარად ფრანკომანი იყო და ფრანგი ნახში-დილი მისი უჩინარი მრჩეველი და ერთგული მეგობარი გახდა.

სელიმის ლიბერალური სიახლეები ჭკუაში არ დაუჯდათ ძველი ადათ-წესების მიმდევართ. **1807 წლის მაისში რელიგიური ფანატიკოსები აიშეს ვაჟის, მუსტაფას, მეთაურობით შეიჭრნენ სასახლეში, ტახტიდან ჩამოაგდეს და ყაფესეში გამოამწყვდიეს** (შემდეგ — მოკლეს) **სელიმ III.** შეთქმულებს მაჰმუდის მოკვლაც სურდათ, მაგრამ ემემ შეძლო შვილის გადარჩენა — ღუმელში დამალა. ტახტზე დაჯდა აიშეს ვაჟი მუსტაფა, მაგრამ იმპერიის სასიკეთოდ, მისი მმართველობა მხოლოდ რამდენიმე თვეს გაგრძელდა. მისი ზეობა რომ გაგრძელებულიყო, თურქეთს სისხლიანი სამოქალაქო ომი დაღუპავდა.

შემდეგი სულთანი ემეს შვილი **მაჰმუდი** (1808-1839) გახდა, იგი შესანიშნავად აღზარდა და ძალაუფლებისთვის შეამზადა დედამ. მიხრი-შაჰის მსგავსად იგი ტაქტიანად, ფრთხილად და ბრძნულად მოქმედებდა. მისმა ვაჟმა მაჰმუდმა, რომელიც ფრანგულად, როგორც მშობლიურ ენაზე, ისე ლაპარაკობდა, აღმოსავლეთის კულტურასთან ერთად შეისისხლხორცა დასავლური. **იგი ოსმანთა ჭეშმარიტი შვილი იყო და ისტორიაში შევიდა, როგორც უდიდესი სულთანთა შორის. მან დაასრულა მისი წინამორბედის მიერ დაწყებული რეფორმები** (რომელთა ავტორობას ემეს მიაწერენ), **თავადაც განახორციელა ახალი რეფორმები. სწორედ მან ბევრად განსაზღვრა სახელმწიფო მართვის სისტემა, რომელმაც საშუალება მისცა თურქეთს, ახალ საფუძველზე აღორძინებულიყო ოსმანთა იმპერიის დაცემის შემდეგ.**

**მაჰმუდ II-ის მმართველობის პერიოდში განვითარდა მეცნიერება, აიგო მედრესეები და სკოლები, დაიწყო წარმოება მანამდე არნახული საქონლის, განმტკიცდა სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობები ევროპასთან, უწინარესად, საფრანგეთთან, რომლის იმპერატრიცა იყო მისი დეიდა ჟოზეფინა...**

ოსმანთა იმპერია ცვლილებათა ეპოქაში შევიდა, რომელმაც დიდწილად განსაზღვრა მისი შემდგომი განვითარება. ის კი, ვინც ამ ყველაფრის სულისჩამდგმელი იყო, ცხოვრობდა უმდიდრეს სავანეში, რომელიც როკოკოს სტილში იყო გადაწყვეტილი, სარგებლობდა საყოველთაო პატივისცემით და მშვიდი ცხოვრებით ტკბებოდა. მაგრამ ამავე დროს ცდილობდა, ყოფილიყო მსოფლიო ამბების საქმის კურსში, სიამოვნებით მასპინძლობდა უცხოელი დიპლომატების ცოლებსა და მოგზაურებს. ერთი ვიზიტი მისთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო. 1815 წელს ნახში-დილს ეწვია ჰოლანდიის ექსდედოფალი ჰორტენზია, ალექსანდრ ბოგარნესა და ჟოზეფინას, საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონის შვილი, რომელსაც თან ახლდა თავისი პატარა ვაჟი ლუი-ნაპოლეონი. უმშვენიერესმა დიასახლისმა გულითადად მიიღო თავისი სისხლით ნათესავები და ბიჭს აჩუქა ძვირფასი ხანჯალი, რომელსაც იგი შეინახავს, როგორც თილისმას.

**ლუი-ნაპოლეონ ბონაპარტი, რომელიც იმპერატორი ნაპოლეონ III გახდება, სტამბოლში ჩავა ყირიმის ომის დროს (1853-1856). იქ შეხვდება თავის ნათესავს, ემეს შვილიშვილ აბდულ მეჯიდს (1839-1861). ორი სუვერენის საუბარი ცოცხლად და საინტერესოდ წარიმართება, რადგან ორივეს ინტერესებსა და გემოვნებაში ბევრი რამ მსგავსი იყო, შესაძლოა, წინაპრების ნათესაობის გამოც. ნაპოლეონი მოინახულებს უმშვენიერესის განსასვენებელსაც, რომელთანაც, საქმეში გაურკვეველთა განსაცვიფრებლად, მუხლს მოიყრის.**

ხოლო **„ჩრდილოეთის ვარსკვლავი“, მიუხედავად იმისა, რომ ისლამი ირწმუნა, გულით და სულით ქრისტიანი რჩებოდა.** საფრანგეთში, ნანტში ანონიმური შემოწირულობით ყვაოდა და იფურჩქნებოდა მონასტერი, რომელშიც ოდესღაც სწავლობდა ემე. სიკვდილის წინ მან ითხოვა, მიეყვანათ კათოლიკე მღვდელი. სულთან მაჰმუდს არ შეეძლო უარი ეთქვა დედისთვის და არ შეესრულებინა მისი უკანასკნელი თხოვნა.

უმშვენიერესი ამქვეყნიური ცხოვრებიდან, წინაპართა წესისამებრ, წავიდა — აღსარება თქვა და ეზიარა.

### აღმოსავლეთის ქალთა მშვენება

**„აღმოსავლეთში პირველად რომ მოვხვდი, ვერ მივხვდი, რატომ იზიდავს ყველას ის იდუმალება, რომელიც ფარავს აღმოსავლეთის კაცობრიობის საუკეთესო ნახევარს. მაგრამ რამდენიმე დღე იყო საკმარისი, გამერკვია, რომ, თუ ქალი გრძნობს მისდამი მამრჩელ ყურადღებას, ყოველთვის იპოვის საშუალებას, წარმოაჩინოს თავისი სილამაზე“** *(ჟერარ დე ნერვალი, „მოგზაურობა აღმოსავლეთში“).*



**ხანდაზმული სულთანი 1789 წლის აპრილში გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა სელიმი, რომელმაც თავისი ნათესავი ბიჭი შვილივით შეიყვარა. ახალი სულთანი აშკარად ფრანკომანი იყო და ფრანგი ნახში-დილი მისი უჩინარი მრჩეველი და ერთგული მეგობარი გახდა**

ამ მოსაზრებას ადასტურებს სხვა მოგზაურიც. **ჯულია პარდო** ასე აღწერს პირბადით დაფარულ ქალთა სახეებს: **„გამჭვირვალე ჩადრის მიღმა შემეძლო დამენახა არა მარტო თვალისმომჭრელი ჰოტოზები, რომლებიც ვარდებით იყო დამშვენებული და ბრილიანტებით ინკრუსტრირებული, არამედ ტუჩების ფერიც“.** იგი წერს, რომ ეს ჩადრი, რომელსაც XIX საუკუნეში სტამბოლში ატარებდნენ ქალები, **„იმდენად გამჭვირვალე იყო, რომ თავსაბურავის ბრილიანტის ქინძისთავებიც ჩანდა“.**

იმავე საუკუნეში, **როცა ხელისუფლებაში მოვიდნენ ლიბერალი სულთნები სელიმ III და მაჰმუდ II, იწყება ევროპეიზაცია, რომელიც ოსმანთა იმპერიის ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო. ქალებმა, რომლებიც ძალიან სწრაფად რეაგირებენ ყოველგვარ გარდაქმნაზე, შეიცვალეს ჩაცმულობა და სასახლის საზეიმო მიღებაზე ტრადიციული აღმოსავლური მორთულობა ევროპულ კაბებს მშვიდობიანად შეეხამა.**

მაგრამ უცვლელი დარჩა სიყვარული სამკაულებისადმი, რომელთა დემონსტრირება ყველა ხელსაყრელ შემთხვევაში ხდებოდა. ამ დროს ყველაზე პოპულარული ძვირფასი ქვა ზურმუხტია. მკერდზე, რომელიც XIV საუკუნიდან მოყოლებული ყელსაბამით იყო დამშვენებული, კვლავ ატარებენ უხვმარგალიტიან კოლიეს ზურმუხტით შუაგულში, ყურებზე ზურმუხტის საყურეებს იკეთებენ, მაჯაზე ეკეთად სამაჯურები და ბეჭდები მწვანე ქვებით.

**სიახლეები რეფორმების მომხრე ქალებმა გამოიყენეს თავიანთი სილამაზის უკეთ წარმოსაჩენად.** უცხოელ თვითმხილველთა განცხადებით, მიმდინარეობდა დადგენილი წესების საწინააღმდეგო პროცესი, **მაშინ, როცა ქალიშვილებს შეკრული ჩადრი უნდა ეტარებინათ, ხანდაზმულებს შეეძლოთ სახის გამოჩენა, ახალგაზრდები მთელ თავიანთ სიმშვენიერეს გამოფენდნენ, ხანშიშესულები კი თავიანთი ნაოჭების დაფარვას ცდილობდნენ — ჩადრს იფარებდნენ სახეზე.** როგორც ევროპელები ამბობდნენ, ამას ისე ოსტატურად აკეთებდნენ, რომ ულამაზონი ლამაზმანებად წარმოდგებოდნენ.

**მოდაში შემოდის წმინდა ევროპული დეტალები. ქალებმა დაიწყეს პატარა, მოხდენილი ქოლგების ტარება, რომლებიც ტანსაცმელს ჰარმონიულად ერწყმოდა.** სულთნის კარის ექიმის, დოქტორ ისმაილ ფაშას ქალიშვილი — **პოეტი, მწერალი და კომპოზიტორი ლეილა საზი** (1850-1936) ოსმანთა იმპერიის დასასრულის და რესპუბლიკის დასაწყისი პერიოდის მოწმე გახდა. იგი რამდენიმე სულთანს მოესწრო და მოგონებებში დაბეჯითებით წერს, რომ ქალები იცვამდნენ ფართო ფერაჯებს, რომლებსაც სარჩულად ჰქონდათ წინწკლებიანი ქსოვილი სახელწოდებით „სანდალი“. ჩადრის თაობაზე კი ამბობს: **„ჩადრის ნაწილი, სახელწოდებით „იჩლიკ“, ერთი მტკაველი სიგანისა იყო, კუთხეები დამშვენებული ჰქონდა მაქმანით და ოთხად იყო დაკეცილი, ფარავდა შუბლს, საფეთქლებს და თავსაბურავს, იფსკვნებოდა კეფაზე. მეორე ბოლო ქამრამდე იყო ჩამოშვებული“.**



1872 წლის შემდეგ ფერაჯასთან ერთად ფარანჯის ტარება დაიწყეს, რომელიც მოდაში შემოიღეს არაბეთში ხანგრძლივად ნაცხოვრებმა ქალებმა. დიდი სერალის უკანასკნელმა მფლობელმა სულთან აბდულ-ჰამიდ II-მ (1876-1909) მისი ტარება ოფიციალურად აუცილებელი გახადა. ფარანჯის „სიკეთე“ მყისიერად შენიშნეს და დააფასეს გამჭრიახმა საყვარლებმა, რომლებიც მათი საშუალებით ჰარამხანებში შესვლას ახერხებდნენ... ასევე — კრიმინალურმა პირებმაც: შეიარაღებული დამნაშავენი ფარანჯამოსხმულნი შედიოდნენ სახლებში და ძარცვავდნენ დამფრთხალ დიასახლისებს. ფარანჯის ტარება დიდხანს არ გაგრძელებულა: 1892 წელს სულთნის ახალი ბრძანებით აიკრძალა.

**ჰარამხანისთვის ჭეშმარიტად „ეპოქალური“ გახდა თურქეთში საფრანგეთის იმპერატრიცას — ევგენიას ვიზიტი. ევროპის ყველაზე გემოვნებიანი ქალბატონის კაბებმა, რომლებიც შეკერილი იყო სახელგანთქმული მოდელიერის ვორტის მიერ, უაღრესად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა სულთნის ქალებზე და თურქ არისტოკრატ ქალბატონებზე, რომლებმაც მზეთუნახავი ევგენია მიბაძვის ნიმუშად გაიხადეს.** სტამბოლი ნამდვილმა ფრანკომანიამ მოიცვა. და თურქმა ლამაზმანებმა დაიწყეს მოდური ფრანგი მწერლების რომანების გმირი ქალების მსგავსი კაბების მორგება. ამ რომანების კითხვაც მოდაში შემოვიდა. **სულთნის ქალებმა ტანსაცმლის კერვა დაიწყეს მკერავებთან, რომლებიც სასახლის მიღმა, ქალაქში ცხოვრობდნენ, შემდეგ და შემდეგ პარიზელ ოსტატებსაც უკვეთავდნენ. ნიმუშებს ირჩევდნენ კატალოგებიდან, რომლებშიც ახალი სამოსის ყველა დეტალი, ქსოვილების ნიმუშები ზუსტად იყო აღწერილი. ამ კატალოგებსაც პარიზიდან იწერდნენ.**

XIX საუკუნის ბოლოსთვის ჰარამხანა უკვე იმოსებოდა დასავლეთის უახლესი მოდის მიხედვით და ვარცხნილობასაც მოდურს იკეთებდა.

თურქეთის ევროპეიზაცია გარდაუვალი გახდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ორფერი ვაშლი

უეინ ეიმსი, რომელიც ჰემპშირის საგრაფოში, პორტსმუტში ხილს ყიდის, გაოგნებული დარჩა, როდესაც ეს უცნაური ვაშლი ნახა. ვაშლის ცალი მხარე — წითელი, მეორე კი ყვითელი იყო. Pink Lady-ს ჯიშის ვაშლს სრულიად სწორი გამყოფი ხაზი ჰქონდა. ეიმსი ამბობს, რომ მას მსგავსი არაფერი უნახავს. „ის ისე გამოიყურება, თითქოს სხვადასხვა ვაშლის ნახევარი ერთმანეთზეა მიწებებული. ხილის საყიდლად მოსული კლიენტები გაოგნებულები არიან“, — აცხადებს ეიმსი.





## მეცნიერები პოტენციურ თვითმკვლელებს ამოიცნობენ

**ადამიანის სისხლში არსებულ ბიომარკერებს შეუძლიათ აჩვენონ, დაასრულებს თუ არა ადამიანი სიცოცხლეს თვითმკვლელობით. მეცნიერები ამბობენ, რომ ფერმენტი SAT1 პაციენტებში ბიპოლარული აშლილობა სუიციდალურ მიდრეკილებებთანაა დაკავშირებული. ბიპოლარულ აშლილობას ხასიათის მკვეთრი ცვალებადობა ახასიათებს. ამ დროს ამაღლებულ განწყობილებას უეცარი აპათია ცვლის.**

მეცნიერები აღნიშნავენ კიდევ სამ მარკერს, მაგრამ ისინი სუიციდთან ასე ძლიერად არ არიან დაკავშირებულნი.

კვლევამ აჩვენა, რომ სისხლში მარკერების მოჭარბებული კონცენტრაცია აღენიშნებოდა 9 ადამიანს, რომლებიც ხშირად ფიქრობდნენ თვითმკვლელობაზე. ბიომარკერების მაღალი კონცენტრაცია დაფიქსირდა ასევე იმ პაციენტების სისხლშიც, რომელთაც ფსიქიკური გადახრები აღენიშნებოდათ და საავადმყოფოში სუიციდის მცდელობის შემდეგ მოხვდნენ.

ინდიანის უნივერსიტეტის მეცნიერი ალექსანდრ ნიკულესკუ აცხადებს, რომ სამომავლოდ სუიციდის რისკის კლინიკურ და სოციალურ-დემოგრაფიულ ფაქტორებსაც განაზოგადებენ. „ამას დაემატება სისხლის ანალიზი და ეს მოგვცემს საშუალებას, თვითმკვლელობის შესაძლებლობა ვიწინასწარმეტყველოთ“, — ამბობს ნიკულესკუ.



## 20 წელი — გამოქვაბულში

**54 წლის ჩინელი ფენგ მინგშანი ბოლო 20 წელი გამოქვაბულში ცხოვრობს. ის 50 მეტრს კლდეზე ცოცავს, რათა სახლში მივიდეს.**

ფენგის საცხოვრებელში თანამედროვე ცხოვრებისთვის განკუთვნილ რამდენიმე ატრიბუტს შეხვდებით. მისი თქმით, გამოქვაბულში ცხოვრება სასიამოვნოა და ყველაზე მეტად ის მოსწონს, რომ ქალაქის ხმაური და ადამიანების ყოველდღიური გიჟური რიტმი არ აწუხებს.

მან მეგობრები, ოჯახის წევრები, ნათესავები და შენსის პროვინციაში მდებარე სახლი 1993 წელს დატოვა. ის ამბობს, რომ ამის მიზეზი ადამიანები იყვნენ, რომლებთანაც ურთიერთობა აღარ სურდა. ფენგი ამბობს, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაცია არასდროს მოსწონდა და ბავშვობაშიც კი ყოველთვის განმარტოება სურდა.

# ყველაზე ახალგაზრდა ქალაქები

**XX საუკუნის მეორე ნახევარში არაერთი ქალაქი გაჩნდა და არნახულ ეკონომიკურ წარმატებას მიაღწია, თუმცა ფაქტია, რომ 1960 წელს მათ ადგილზე მცირე დასახლებები, სოფლები და ზოგ შემთხვევაში სიცარიელეც კი იყო.**



## პუტრაჯაია, მალაიზია

მალაიზიის დედაქალაქი კუალა ლუმპურია, მაგრამ მალაიზიის მთავრობამ, დედაქალაქის განტვირთვის მიზნით, ახალი ქალაქის აშენება გადაწყვიტა და ფედერალური მთავრობაც იქ გადაიტანა. პუტრაჯაია კუალა ლუმპურიდან 15 წუთის სავალზეა, ეს ქალაქი 1995 წელს დაარსდა და უკვე 65 000 მცხოვრები ჰყავს.



## ასტანა, ყაზახეთი

ყაზახეთმა დამოუკიდებლობა 1991 წელს მოიპოვა. ოთხი წლის შემდეგ ყაზახეთის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ დედაქალაქი ალმა-ათიდან ისტორიულ ქალაქ ცელინოგრადში გადაეტანათ. ქალაქს მალე სახელი შეუცვალეს და ასტანა დაარქვეს. ნავთობიდან მიღებული ფულის წყალობით ყაზახეთის მთავრობამ მოახერხა ასტანა თანამედროვე ქალაქად ექცია. მისი მოსახლეობა დღეისთვის 700 000-ს შეადგენს.



## დუბაი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები

დუბაის ისტორია ძალიან ჰგავს დოჰას ისტორიას. ამ ქალაქის მშენებლობაც 1971 წლიდან დაიწყო, იმის გამო, რომ ამ ტერიტორიაზე ნავთობი აღმოაჩინეს, ნავთობმა კი დიდი სიმდიდრე მოიტანა. ქალაქის მოსახლეობა რამდენიმე მილიონამდე გაიზარდა. ბოლო 15 წელიწადში იქ უამრავი ცათამბრჯენი აშენდა, აქ მდებარეობს მსოფლიოს ყველაზე მაღალი შენობა „ბურჯ დუბაი“. გაოცებას იწვევს სპარსეთის ყურეში აშენებული ხელოვნური კუნძულები.



## ინჩეონი, სამხრეთ კორეა

ქალაქი ინჩეონი ჩრდილოეთ კორეის საზღვართან ახლოს მდებარეობს. მოსახლეობის რაოდენობა 3 მილიონია და ის ამ მაჩვენებლით მესამე ქალაქია სამხრეთ კორეაში. უნდა აღინიშნოს, რომ 1994 წლამდე ამ ქალაქის ადგილას წყალი იყო. კორეის მთავრობამ 50 მილიარდი დოლარი გამოყო ამ პროექტისთვის და უკვე სერიოზულ შედეგებს მიაღწია. ინჩეონი ერთ-ერთი ყველაზე მაღალტექნოლოგიური ქალაქია მსოფლიოში. მისი მშენებლობის დასრულება 2020 წლისთვის იგეგმება.



## დოჰა, ყატარი

ყატარმა დიდი ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობა 1971 წელს მიიღო. ნავთობის და გაზის დიდი მარაგის გამო „ფორბსმა“ ყატარის მოსახლეობას მსოფლიოს უმდიდრესი ერი უწოდა. დოჰას მშენებლობა 1963 წელს დაიწყო, სახელი კი იმ პროვინციის მიხედვით დაერქვა, რომელშიც მდებარეობს. ყატარი ეკონომიკურად ისეთი ძლიერი ქვეყანაა, რომ ფიფამ იქ მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაც კი მოინდომა, მიუხედავად ფეხბურთისთვის შეუფერებელი გარემო პირობებისა. დოჰას მოსახლეობა უკვე რამდენიმე მილიონს შეადგენს და ყოველდღიურად იზრდება.







## ორთავა კუ

**ტეხასში, სან ანტონიოს ზოოპარკში დაიბადა მუტანტი კუ, რომელსაც ორი თავი აქვს.** ორთავიანობა კუს ერთადერთი უჩვეულო ნიშან-თვისებაა, სხვა მხრივ ის არაფრით განსხვავდება თავისი მოდგმის სხვა წარმომადგენლებისგან, ყოველ შემთხვევაში — ჯერჯერობით. ორთავა კუ ჯანმრთელია, მოსწონს ცურვა და სეირნობა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შეიარაღებული ძალების გარეშე

**მაშინ, როცა მსოფლიოს არაერთი ქვეყანა იწონებს თავს შეიარაღებული ძალების სიძიერით, აღჭურვილობითა და სიდიდით, არის ქვეყნები, რომელთაც ჯარი საერთოდ არ ჰყავს.**




## სოლომონის კუნძულები

ეს ქვეყანა ერთი-ორი კუნძულისგან ნამდვილად არ შედგება. ის ათასობით კუნძულისგან შექმნილ არქიპელაგზეა განთავსებული. 1893 წლიდან სოლომონის კუნძულები დიდ ბრიტანეთს გადაეცა მფარველობის ქვეშ და ეს 1976 წლამდე გაგრძელდა. შემდეგ იქ საკუთარი მთავრობა ჩამოაყალიბეს და 1998 წლამდე სტაბილური სიტუაცია შეინარჩუნეს, თუმცა 1998-2006 წლებში მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი, რომლის შეჩერება ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის ჩარევით მოხერხდა. სოლომონის კუნძულებს არ ჰყავს არმია, მოსახლეობის დაცვაზე პოლიცია ზრუნავს.






## პალაუ

ნაცვლად არმიისა, პალაუს აქვს ნაციონალური პოლიციის დეპარტამენტი, რომელიც მოსახლეობასა და წესრიგის დაცვაზე ზრუნავს. იმ შემთხვევაში, თუ პალაუს ომის საფრთხე დაემუქრება, მას, 1983 წლის ხელშეკრულების მიხედვით, მფარველობას შეერთებული შტატები გაუწევს.




## ლიხტენშტეინი

სხვა ქვეყნების მსგავსად, ლიხტენშტეინმაც გააუქმა შეიარაღებული ძალები 1868 წელს, ავსტრია-პრუსიის ომის შემდეგ, რადგან პატარა ქვეყნისთვის არმიის შენახვა ძალიან ძვირი სიამოვნება იყო. ლიხტენშტეინს ოფიციალური დამცველი არ ჰყავს და ომის შემთხვევაში წინააღმდეგობის გაწევას ძნელად თუ შეძლებს.




## კოსტა რიკა

კოსტა რიკას ერთ დროს ჰყავდა არმია, თუმცა 1948 წლის სამოქალაქო ომის შემდეგ, პრეზიდენტ ფერერის გადაწყვეტილებით, არმიის ყოლა აიკრძალა. ამ სამოქალაქო ომმა 2000-ამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მოსახლეობის უსაფრთხოებაზე პოლიცია ზრუნავს. კოსტა რიკა გაერთიანებულია სამხედრო ალიანსში, რომელშიც ლათინური ამერიკის 21 ქვეყანა შედის და ასევე აშშ. თუ კოსტა რიკას ომს გამოუცხადებენ, მას 21 ქვეყანა დაიცავს.






## ანდორა

მიუხედავად იმისა, რომ ანდორას ორგანიზებული ჯარი არასდროს ჰყოლია, მას მაინც ეყო სიმამაცე, 1914 წელს გერმანიისთვის ომი გამოეცხადებინა, რითაც პირველ მსოფლიო ომში ჩაერთო. ომის დასრულების შემდეგ ვერსალში ანდორის წარმომადგენელი არ მიუწვევით ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად, რადგან ამ ქვეყანას არასერიოზულად ეკიდებოდნენ. 1931 წელს ანდორის 240-კაციანი არმია პოლიციას შეუერთდა. ანდორას, ომის შემთხვევაში, მფარველობას ნატოს შეიარაღებული ძალები გაუწევენ.





## თვითაალებადი ჩვილი

**ტამილნადუს შტატის (ინდოეთი) მკვიდრი, 3 თვის რაჰული უიშვიათესი დაავადებით იტანჯება — პატარას სხეული ალდება, რაც მის სხეულზე ძლიერი დამწვრობის გაჩენას იწვევს.**

რაჰულის დაავადება ცნობილია ადამიანის სპონტანური აალების (Spontaneous Human Combustion) სახელწოდებით. ისტორიის მანძილზე მსგავსი დაავადების 200-მდე შემთხვევა აღინიშნა. რაჰულის სხეული ყოველგვარი გარე სტიმულის გარეშე ალდება.

თვითაალება პატარას დაბადებიდან 9 დღის შემდეგ დაეწყო. დედამ, სახელად რაჯესვარმა, ჩვილი საძინებელში დაძინებული დატოვა. მოგვიანებით დამწვრის სუნი იგრძნო და ოთახში საშინელი სურათი დახვდა — პატარა რაჰულს მთელი სხეული წყლულებით ჰქონდა დაფარული. მეზობლებს ეგონათ, რომ ბავშვი დედამ დაწვა.

პატარა გამუდმებით ადგილობრივი საავადმყოფოს ექიმების მეთვალყურეობის ქვეშაა. მსოფლიოში ვერც ერთი ექიმი ვერ სვამს ზუსტ დიაგნოზს, თუ რა იწვევს ადამიანის სხეულის აალებას. პატარა რაჰულსაც ვერავინ შველის. მის საძინებელში წყლით სავსე უამრავი ბოთლი და სველი პირსახოცია, რათა მორიგი აალებისას ბავშვის სხეულზე ცეცხლის კერა მაშინვე ჩააქრონ და იგი სიკვდილისგან იხსნან.

ადამიანის სპონტანურ აალებაზე არაერთი მეცნიერი მუშაობდა, თუმცა უშედეგოდ. ფაქტების იშვიათობისა და ანომალიურობის გამო ეს დაავადება დღემდე ამოუხსნელ მოვლენად ითვლება.

მედიცინის მუშაკთა თქმით, თავისი ცხოვრების ამ მოკლე პერიოდში პატარა ბავშვი უკვე მეოთხედ აალდა ყოველგვარი გარეგანი წყაროს გარეშე. ექიმები სხვადასხვა თეორიას აყენებენ, მაგრამ ყველაზე მეტი მომხრე გაუჩნდა ვერსიას, რომლის მიხედვითაც აალების მიზეზი პატარის კანიდან აორთქლებული აირებია.

ინდოელი ესკულაპები აღიარებენ, რომ ვერაფრით ძალუძთ ბავშვის დახმარება, ამიტომაც, ისინი მისი მდგომარეობის სტაბილიზაციას ელოდებიან, რათა გაწერონ საავადმყოფოდან.



## ადამიანი-ხალიჩა

**მალტაში დაბადებული 53 წლის ჯორჯი, 15 წელია, ხალიჩის ფუნქციას ასრულებს. ის ხალიჩაში ეხვევა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მიწაზე წვება. ჯორჯს ყველაზე მეტად ის მოსწონს, როდესაც გამვლელები ფეხს აბიჯებენ. მისი თქმით, მსგავსი საქციელი ძალიან ჰუმანურია.**

ის ამჟამად ნიუ იორკში ცხოვრობს და ამერიკაში ჩასულ ყველა ტურისტს ექცენტრული საქციელით აოცებს. ადამიანები ჯორჯის სხეულზე დგებიან და ცეკვავენ კიდეც. მისი თქმით, ხალხი სანახაობით ერთობა, საჩუქრად ფულსაც ხშირად ჩუქნიან.

ჯორჯი ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობს: დღე მასაჟისტად მუშაობს, ღამე კი — ხალიჩად. მისი საქციელით ყველა აღფრთოვანებული არაა, ზოგიერთი ადამიანი ჯორჯისგან თავის შორს დაჭერას ამჯობინებს.

# საქართველო-რუსეთის საზღვარზე განახლებული საბაჟო-გამშვები პუნქტი გაიხსნა

**საქართველო-რუსეთის საზღვარზე განახლებული საბაჟო-გამშვები პუნქტი „ყაზბეგი" გაიხსნა. განახლებული საბაჟო ინფრასტრუქტურის გახსნაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და შემოსავლების სამსახურის უფროსმა ლაშა ხუციშვილმა. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია, ასევე პრემიერმინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე.**

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, ახალი საბაჟო-გამშვები პუნქტის გახსნა ხელს შეუწყობს ქართული ექსპორტის განვითარებას.

**„საქართველო არ არის სატრანზიტო ქვეყანა მხოლოდ აღმოსავლეთ-დასავლეთზე, საქართველო არის ჩრდილოეთ-სამხრეთის კორიდორი. სამწუხაროდ, დღეს ეს არის ერთადერთი, მაგრამ ძალიან სერიოზული პუნქტი იმისთვის, რომ საქართველომ საავტომობილო გადაზიდვებით ეს სერიოზული ფუნქცია შეასრულოს",** — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

მისივე თქმით, ტვირთი და მგზავრთა ნაკადი ძალიან დიდია რუსეთის მხრიდან და რუსეთის საბაჟო ჯერჯერობით სრულად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რის გამოც რიგებია. ნოდარ ხადურმა იმედი გამოთქვა, რომ რუსეთის მხარე ინფრასტრუქტურას მოაწესრიგებს.

შემოსავლების სამსახურის უფროს ლაშა ხუციშვილის ინფორმაციით კი, **საბაჟო-გამშვებ პუნქტ „ყაზბეგის" მშენებლობა ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და მისი საპროექტო ღირებულება დაახლოებით 10 მილიონ ლარს შეადგენს.** მისივე ინფორმაციით, **პუნქტი აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით.**

როგორც შემოსავლების სამსახურის უფროსმა აღნიშნა, **ამ დროისთვის მშენებლობა მიმდინარეობს საქართველოს ყველა საბაჟო-გამშვებ პუნქტზე და 2014 წლის ბოლომდე ქვეყნის მასშტაბით ყველა პუნქტი შესაბამის სტანდარტში ჩაჯდება.**

გარდა ამისა, როგორც ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, „ყაზბეგი" მოემსახურება რუსეთის მხრიდან გაზრდილ ნაკადს. მისივე განმარტებით, აღნიშნული საბაჟო-გამშვები პუნქტი აღჭურვილია თანამედროვე სისტემებით, სატვირთო მანქანების სკანირებისა და არასტანდარტული მანქანების გატარების სისტემით, ასევე პუნქტი აღჭურვილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სპეციალური გასასვლელით. მისივე თქმით, ყველა პირობაა საიმისოდ, რომელიც საქართველოს რეგიონში გამოარჩევს.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, **საქართველო-რუსეთის საზღვარზე განახლებული საბაჟო-გამშვები პუნქტის გახსნა თანხვედრაშია ქართული პროდუქციის რუსეთის ბაზარზე გასვლასა და ქვეყნიდან საექსპორტო საქონლის ზრდასთან.**

საბაჟო-გამშვები პუნქტის რეკონსტრუქციამდე დღეში მგზავრთა მაქსიმალური რაოდენობა 5 ათასს არ აღემატებოდა. ამჟამად ეს რიცხვი 13 ათასამდეა გაზრდილი. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გაკეთდა რეკრეაციული ზონები, მგზავრთა მოსასვენებელი, საკონფერენციო სივრცე, შენობაში მუშაობს „დუტი ფრი" და ა. შ. რეაბილიტაციის ფარგლებში 17 ათას კვ.მეტრზე განახლდა და დაისხა ბეტონის 20 სმ-იანი საფარი. ასევე მიმდინარეობს სატვირთო მანქანების დასათვალიერებელი რამპისა და პარკინგის მშენებლობა.

# მოსამართლედ დანიშვნის მინიმალური ასაკი იზრდება

**პირის მოსამართლედ დანიშვნის მინიმალური ასაკი იზრდება და ის, 28 წლის ნაცვლად, 30 წლით განისაზღვრება. ამასთან, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები ფიცს, პრეზიდენტის ნაცვლად, პარლამენტის წინაშე დადებენ.**



ამას „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონში დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს, რომლის მთავარი მიზანი აღნიშნული კანონმდებლობის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ასამოქმედებელ კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანაა. პროექტი პარლამენტში ჯერ ინიცირებული არ არის, თუმცა ის იუსტიციის სამინისტრომ „საკანონმდებლო მაცნეს" ვებგვერდზე განათავსა.

კანონპროექტის მიხედვით, **უზენაესი სასამართლოს პლენუმი აღარ გასცემს დასკვნას მოსამართლის ან კონსტიტუციით განსაზღვრულ პირთა ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის თაობაზე.**

იმის გათვალისწინებით, რომ კონსტიტუციით საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების თაობაზე პარლამენტისთვის მიმართვის უფლებამოსილება მთავრობას მიენიჭა და ცალკეულ შემთხვევებში ეს უფლებამოსილება ასევე პრეზიდენტს შეუნარჩუნდა, უზენაესი სასამართლოს პლენუმი, უზენაესი სასამართლოს კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების თაობაზე რეკომენდაციებს წარუდგენს როგორც პრეზიდენტს, ისე მთავრობას.

პროექტით გაიწერა რაიონული და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის უვადოდ დანიშვნის პროცედურა. პროექტით ასევე წესრიგდება რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა უვადოდ გამწესებამდე მათი სამი წლის ვადით გამწესებასთან დაკავშირებული საკითხები.

ასევე შეიცვალა მოსამართლის რეზერვში ჩარიცხვის ვადა. კერძოდ, **იმის გათვალისწინებით, რომ პირი მოსამართლედ უვადოდ ინიშნება, რეზერვში ჩარიცხვაც, ნაცვლად სამი წლისა, მოხდება უვადოდ, მოსამართლის რეზერვიდან ამორიცხვა კი განხორციელდება მისი პირადი განცხადების ან მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების შემთხვევაში.** რეზერვში მყოფ მოსამართლეს შეუნარჩუნდება თანამდებობრივი სარგოს მიღების უფლებამოსილება რეზერვში ჩარიცხვიდან სამი წლის განმავლობაში.

შეიცვალა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევის წესიც. კერძოდ, კონსტიტუციის მოთხოვნიდან გამომდინარე, კანონით განისაზღვრება, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ წევრს ნიშნავს პრეზიდენტი, რომელიც ჩაანაცვლებს პარლამენტის მიერ ასარჩევ საბჭოს ერთ წევრს. **იუსტიციის უმაღლესი საბჭო კვლავ დაკომპლექტებული იქნება 15 წევრისაგან — აქედან 8 წევრს აირჩევს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო, 5 წევრს აირჩევს პარლამენტი, ხოლო ერთ წევრს დანიშნავს პრეზიდენტი.** გარდა ამისა, კანონში გაკეთდა მითითება, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ex officio წევრია.

კანონპროექტით განისაზღვრა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება, **სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები მოსამართლისა და მისი ოჯახის წევრების დაცვას კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ არა პრეზიდენტის განკარგულების, არამედ პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე.** ასევე, პრეზიდენტის ნაცვლად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობის დამადასტურებელ პირადობის მოწმობას ხელს მოაწერს პარლამენტის თავმჯდომარე.



## თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

# თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი 162-ე თეატრალურ სეზონს ხსნის

**16 სექტემბერს, 19 საათზე თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი 162-ე თეატრალურ სეზონს გახსნის.**



მრავალწლიანი ტრადიცია არც ამჯერად დაირღვევა და ოპერის კოლექტივი პირველად ზაქარია ფალიაშვილის **„აბესალომ და ეთერის"** მოსასმენად მიიწვევს აუდიტორიას (ამჯერად მსმენელები ქართულ კლასიკურ ოპერას საკონცერტო შესრულებით მოისმენენ).

„აბესალომ და ეთერის" შეასრულებენ მომღერლები: **თეიმურაზ გუგუშვილი** (აბესალომი), **ხათუნა ჭოხონელიძე** (ეთერი), **სულხან გველესიანი** (მურმანი), **მარიკა მაჩიტიძე** (მარიხი), **ირინე ალექსიძე** (ნათელა), **გია ასათიანი** (აბიო მეფე), **თამაზ საგინაძე** (თანდარუხი), **ბაჩანა წირქვაძე** (სტუმარი), **ელენე ჯანჯალია** (ნანა), **ვახტანგ ჯაშიაშვილი** (მსახურთუხუცესი), თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი — **ავთანდილ ჩხენკელი**, ქორმაისტერი — **შალვა შაორშაძე**) და სიმფონიური ორკესტრი. ოპერა **რევაზ ტაკიძის** დირიჟორობით აჟღერდება.

„აბესალომ და ეთერი" შესრულდება თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

სიმაღლეში მომატება!

გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?



დარეკეთ ახლავე!

574 47 39 04
0790 30 94 35

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

## ძვლის პრობლემები

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრული ართრიტის, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე ზედმეტი წონის კორექცია თვეში 5-დან 15 კგ-მდე ჯანმრთელობისთვის უვნებლად, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება, მადის რეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით — მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით.

**ტელ. 218-46-08 (ოფისი)
555-62-09-01 ექიმი ქალბატონი მეგი**

ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო & მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894